


საქართველოს საბჭოთაო



2

(26-ე)

საქართველოს საბჭოთაო
თბილისი - 1989



ჯვარი ვახისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვახისაო,
დაგვიცვე და დაგვიფარე ჩვენ.



ქრისტი

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქ ილია II ლიცენზიაციით





፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱




რომელთა აჲ გარე მოუცავთ გლოვათა, დედუფალო, ცრემლისა და გოდებისა თანა-მღებ ვართ, არამედ უნ, ძალწულო, ისწრაფე, შებვიწყალე და კვალად უღმერთონი მტერნი ჩუენნი დაამხუნ.

ნუ მიმცემ ჩუენ ხელთა მტერთასა, სამკვიდრებელსა უენსა.

თქვენს ხსოვნას სამუდამო

სანთლებად აიხმებს



ორმოცის წინა დღეები სიონის ეზოში

ახლოა შეგი შუაღამისა,
ცაჲმ პარსკვლავი უფლისა კრთება...
კვდება სრულიად საპარტიველოსთვის,
ლოცვით,
გალობით,
ვინც ახლა კვდება!
ახლოა შეგი, შეგი ცისკრისა,
იწვიმებს სისხლი,
დადგება ტბებად...
კვდება სრულიად საპარტიველოსთვის,


გამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება.
არა გაპრობა, —
აღდგომა გკვდრებით!
არა დაღვევა, —
მრავლობა შვილითა,
რომ... გაგოვუსხლტეთ
ისევ ყორანთა
და შრთებს უფროე
კლიერად ვფლიდეთ!

ჩვენთან არს ღმერთი

ძლება ჯვართა გარბაროვთა
ზედა ღვთივ დაცვულსა მრსა
ჩვენსა მთანიჲ



პანაშვიდები სიონის ეზოში



დიდად კატივცემულ მიხეილ სერგის ძველ,

კატივცემულ ღვთაბაძე!

მოგმართავთ თქვენ იმის გამო, რომ ყრილობაზე თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების განხილვისას გამოსულთა სიტყვებში რამდენჯერმე მოიხსენიეს ჩემი სახელი.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გქონდეთ სიტუაციაზე, მინდა გაცნობოთ: 8 აპრილს ღამით შემატყობინეს, რომ თბილისში დემონსტრანტთა დასაშლელად შემოყვანილია ჯარები და შექმნილი ვითარება უადრესად საშიშია.

ღამის 3 საათზე მივაშურე მთავრობის სახლს და გამზირზე მყოფნი გავაფრთხილე, რომ საფრთხე რეალურია; ვთხოვე, იქვე წმიდა გიორგის ტაძარში შესულიყვნენ სალოცავად. დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო, დემონსტრანტები არავის არავითარ საფრთხეს არ უქმნიდნენ და ვერცერთი მათგანი ვერ წარმოიღგენდა, რომ მათ წინააღმდეგ შეიძლებოდა ხელკეტები, ხელბარები და მომწამვლელი ქიმიური გაზები გამოეყენებიათ.

დემონსტრანტები მუხლმოდრეკილი მისმენდნენ. ჩემი სიტყვის შემდეგ ხანგრძლივი ღუმილი ჩამოვარდა. შემდეგ ერთ-ერთმა დემონსტრანტმა თავაზიანად მიპასუხა, რომ ფიცი აქვთ დადებული, ფეხი არ მოიცვალონ აქედან 14 აპრილამდე.

მე, თუმცა არ ვიცოდი, რა მოხდებოდა, შემზარავი წინათგრძნობა დამეუფლა და ამიტომ გადავწყვიტე მათთან ერთად დავრჩენილიყავი და მათი ხვედრი გამეზიარებინა.

ცენტრალურ პრესაში არაერთხელ დაიწე-

რა, თითქოს დემონსტრანტებს ჩემთვის შეურაცხყოფა ძოყენებინოთ და ჯარებმა ჩემი დაცვის მიზნით, გამომიყვანეს. ეს სწორი არ არის. პირიქით, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკები დაიძრნენ, ჩემს წინ ახალგაზრდებმა კედელი აღმართეს, რათა ხიფათი არა შემთხვეოდა რა. მათვე შეუერთდა ადგილობრივი მილიცია.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომელზეც ყრილობაზე ილაპარაკა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ—პოლკოვნიკმა როდიონოვმა, თითქოს დემონსტრანტებს ჩემთვის ხელიდან გამოეგლიჯოთ მიკროფონი და მე სიტყვა ვერ დამემთავრებინოს, მართალი არ არის. ასეთი ფაქტი არ მომხდარა. ეს ვიდუფრიდანაც ჩანს.

მინდა ვთქვა, რომ, საერთოდ, გენერალ როდიონოვის გამოსვლამ თავისი ტენდენციურობით და ფაქტების ცრუ გაშუქებით შეურაცხყო ქართველი ერი და ეს ხელს ვერ შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

მწამს, სიმართლე გაიმარჯვებს. მხოლოდ ეს იქნება იმის თავღები, რომ ისეთი შემზარავი ფაქტი, როგორც თბილისში მოხდა, არასოდეს და არსად აღარ განმეორდება.

გწყალობდეთ ყველას ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და სიმართლისა.

დიდი პატივისცემით **ილია II**

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი

... უფალი გვეხმარება, მწუხარებისა და დიდი ტკივილის ვასად აღვიძებ ჩვენს ეროვნულ სულს, გვეკავს და გვაერთიანებს. ავაშია ჩვენი გადარჩენა. მივყვით ამ გზას, მოვუხმეთ სიბრძნეს, სიმშვიდეს, თორემ განსაცდელი გაცილებით დიდი შეიძლება გვეგოს.

9 აპრილის ღამე გვერი რამ დაგვანახა. დაგვანახა, რომ არ არსებობს სიკეთის მომრევი ძალა და თუ ჩვენ რწმენით, სიყვარულით და სიპართლით ვივლით, გამოვიჩინოთ წინდახედულებას, გავიმარჯვებთ.

იმ ღამეს საქართველო იტვირთა და თავის თავზე აიღო უშიშროება და რთვა. ის, რაც ამ მოხდა, სხვაგან, ალბათ, არ განმეორდება. ამით საქართველო იხსნა სხვა ქრები განსაცდელისგან. ესეც ღვთისგან დაკისრებული მისია იყო ჩვენი. ამისთვის ვაძღვრებთ ღმერთს.

საქართველოს მკვლელს აღავლენს ღოცებს უდანაშაულოდ მსხვერპლმწიფრულთა სულის სარხად, რათა უფალგან დააწესოს იგიინი საპაწმინდა მართალსა. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი, ამინ!


გაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს ჯიეის დღეა. დვთაებრივი მადლი აღდგომის სიხარულია ძლებს ქოველგვარ მწუხარებას. გავ, შეიმოსეთ სიხარულით. იგი თქვენი მუდმივი თანამდები იქნება, თუ სიყვარულის გზას აირჩევთ და მას გაჰყვებით.

გულითადად გილოცავთ წმიდა კსემის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღვთის მფარველობა, მშვიდობა, მისი სიყვარული და კეთილდღეობა არ მოგკლებოდეთ.

ქრისტე აღსდგა!

ილია II,

ს ულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.






დმერთო სულთაო და ყოველთა ხორციელთაო, რომელმან სი-
კუდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე, და ცხოვრება სოფელსა
მონიჭე, შენ უფალო, განუსუენე სულთა მიცვალებულთა მონათა
და მხევალთა შენთასა — 9 აპრილს სამშობლოსათვის მოწყვეტილ-
თა ნანას, მარინას, ზაირას, მზიას, ვენერას, ნინოს, თინას, ეკას,
თამუნას, ნატოს, აზას, ნათიას, თამრიკოს, მანანას, ელისოს,
ნოდარს, მაშუკას, შალვას, გიას, თამარს... ადგილსა ნათლისასა,
ადგილსა მწუხანილოვანსა, ადგილსა განსასუენებელსა, სადა იგი
არა არს საღმობა, მწუხარება, და სულთქმა, და ყოველნი ცოდუანი
მათ მიერ ქმნილნი, საქმითნი, სიტყვითნი და მოგონებითნი,
ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან დმერთმან შეუნდენ. რა-
მეთუ არა არს კაცი, რომელი ჰსცხოვნდეს და არ ჰსცოდოს. რამეთუ
შენ მხოლო ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა, და სიმაღლე
შენი არს საუკუნო, და სიტყვა შენი ჭეშმარიტ.

რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება
მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა, ქრისტე დმერთო
ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვაკვლენთ, თანა დაუსაბამოით მამით
შენით, და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველმყოფელით
სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმიდათა თანა განუსუენე ქრისტე, სულთა მიცვალებულთა
მონათა და მხევალთა შენთასა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება,
არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება
იგი დაუსრულებელი. ამინ!

9 აპრილის მსხვერპლთა შორისაა საქართველოს საპატრიარქოს ყოფილი თანამ-
შრომელი ნანა სამარგულიანი. თავს ვხრით მისი ხსოვნის წინაშე.



უნდა ვიართ ბნელიდან სინათლისაკენ, ცოდვიდან -
სიწმიდისაკენ, განკითხვიდან — ყოვლის მიტევებისაკენ,
სიძულვილიდან — სიყვარულისაკენ, მიწიდან — ზეცისა-
კენ. ეს გზა ერთადერთია და გულისხმობს ჭეშმარიტ
ქრისტიანულ ცხოვრებას, ანუ ეკლესიურობას, რადგანაც
აქაა მხოლოდ შესაძლებელი სულიერი სრულყოფის კი-
ბეზე ამაღლება.

ილია II,

სრულიად სამართევლოს კათალიკოს-პატრიარქი

საქართველო გადარჩება

დღევანდელი იყოს საქართველო და მისი თავისუფლებისათვის მებრძოლი. რა შწარეა, რომ 9 აპრილს სწორედ მისი შვილების სიცოცხლე აჩეხეს. რა კარგად გამოჩნდა, რომ რიცხვით არასოდეს არ ვიბრძოდით. გონება და თავგანწირვა იყო მუდამ ჩვენი გამარჯვების საწინდარი. 9 აპრილმა დაგვიდასტურა, რომ თავგანწირვის უნარი კვლავაც შეგვწევს, ხოლო დალატისაგან და საწამლავისაგან დაბინდულ გონებას ეს—ესაა ვიკრებთ.

როგორც არ უნდა შემოგვესიონ, როგორც არ უნდა შეგვავიწროონ, როგორც არ უნდა დაგვარბიონ, საქართველო გადარჩება.

ჩვენში და ჩვენს გარეთ მუდამ იქნებიან მოლაღატენი, მოშურნენი, გაუტანელნი, გაუმაძღარნი, მაგრამ ჩვენში და ჩვენს გარეთ ასევე იქნებიან ერთგულნი, უანგარონი, გონიერნი, გამტანნი, თავდადებულნი, შრომისმოყვარენი, კეთილის დამნახავნი და საქართველო გადარჩება.

მათი ღამაში და უანგარო სული დაიფარავს ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს კურთხეულ ქვეყანას და საქართველო გადარჩება.

„ნეტარ იყვენ, რომელნი გამოირჩიენ უფალო.“

მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)

იარონ სინათლეში

„...ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი“ — ქადაგებდა პავლე მოციქული და — იწყება ეს ჟამი.

გაზაფხულის უმშვენიერეს თვეში — აპრილში, როცა ძალუმად იღვიძებს ნაზამთრალი ბუნება და ვარდისა და ზურმუხტის ფერებით იმოსება, 9—ში, გამთენიის ხანს სისხლმა იწვიმა თავისუფლებისათვის მღალადებელთა ძარღვებიდან, ხოლო საქართველო შავად შეიმოსა. „... და ყველანი იესო ქრისტეს მიერ ღვთისმოსაობით ცხოვრების მსურველნი, დევნილნი იქნებიან“ — კვლავ ჩამესმის მოციქულის სიტყვები. მაგრამ ასე ველურად დევნილი, ასე მხეცურად მოქმედი, როგორც იმ საბედისწერო ღამეს დატრიალდა, მაინც ვერ წარმოედგინა გონებას, რადგან ნამოქმედარში არაფერია აღამიანური.

„სრულყოფილი სიყვარული სღვწის შიშს“ — გვასწავლის მოციქული იოანე და ბედნიერები არიან ისინი, ვინაც ადასრულა ვალი სამშობლოს სრულყოფილი სიყვარულისა.

იარონ სინათლეში მათმა სულებმა და დაიფარონ საქართველო

არქიმანდრიტი სოკრატე (ჯულუხიძე)

ზ ა რ ი

მთელი სამყარო უსასრულო ღვთის ტაძარია,
და ქრისტეს სჯული სიყვარულის დედო ზარია.
ო, დედა-ზარო,
გუგუნებდე და გვაფხიზლებდე;
ხმას მიაწვდენდე ახლობელს თუ შორით მისრეთელს.
ერო, ამ ზარით ამაღლები ვარსკვლავთ ხომლამდე,
ერო, ეს ზარი ავაშორებს ყველა ხურვებას.
ღმერთმა ნუ ქნას და ზარი ესე რომც ჩამოვარდეს, —
მთელ საქართველოს მუხარადად დაეხურება.
ო, დედა-ზარო, —
მუხარადო, ჩაფხუტ-ჩაჩქანო,
ჩვენი მოშურნე, ჩვენი მტერი არ აჭაჭანო.
გააპეთ შუაზე ეს ბეშევი, დაიდეთ ცოდვა!
გააპეთ შუაზე
და იხუვლებს დრო ლეგენდებად:
ყველა ბიჭიდან გამობტება პაატა, ცოტნე,
ყველა გოგოდან — ქეთევანი გამომზვედება.
ო, დედა-ზარო, შენ დამომდგრე ჩვენი ქალ-ვაჟი,
ეს მიწა-წყალი შენ აკურთხე მეგადავლილი.
ო, ღვთისმშობელო, შენ ჩაისვი ღვთიურ კალთაში
ჩვენი პატარა საქართველო შემკრთალ კრავივით...
ზარო კეთილო, დაჩოქილი მინდა გისმენდე,

რკედე... გრგვინავდე... გუგუნებდე...
და გვაფხიზლებდე...
შენ წმიდა კაცო, ფხადგმულო ქრისტეს საყდარო,
უნდა გვაჯობო და სწორი გზით უნდა გვატარო.
ჩვენი ვაღია, მაგ სწორ გზაზე მოგყვით ბოლომდე,
ლომი კრავობდეს, მაგრამ ზოგჯერ კრავიც ლომობდეს!...
იმ ღამით რად ვერ შეამრწმუნე ერი გულადი,
სიკერაჟე რად ვერ შეაჩვენე ერში შემგვრალი,
ქრისტეს მუხლებში და ერს ფეხქვეშ რომ ჩაუყარდი,
დრტვინვით, გოდებით ცა და მიწა რად არ შესძარი!
ერის მამაო,
ცის და მიწის სათნო ხიდი ხარ,
და უფლის სიბრძნით აშოშმინებ კაცთა სიცეტეს.
ამ ზარს,
დედა-ზარს ენასავით, ვიცე, ჰკიდიხარ,
მამ სცემდე...
სცემდე...
არისხებდე...
და გვაფხიზლებდე.

შოთა ნიშნიანიძე

ნატარ იმენს, რომელი გამოირჩიე, უფალო...

არცერთ სახელმწიფოს არ მზუფყვია ასეთი გამშაგებული, ჯვაროსნული ლაშქრობა ღმერთის წინააღმდეგ, როგორც განახორციელა ათეისტურმა დიქტატურამ. მუსრი გაავლო სამღვდლოებს, დაანგრია და გაძარცვა ეკლესიები, შეაფურთხა და ფეხქვეშ გაიგდო ხატები და სალოცავეები. ხოლო, რაკი ღმერთს, როგორც ცნობილია, სატანა ებრძვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოში მძლავრობდნენ სატანური ძალები. სატანაზე კარგი აზრის უნდა იყო, რომ 9 აპრილის ბოროტმოქმედება გააკვირდეს.

განა მას შემდეგ, რაც უმძლესმა ხელისუფლებამ გარდაქმნა გამოაცხადა, სხვა პლანეტაზე გადაფრინდნენ ის შეებნელი ძალები, გადაჭურვულ ადამიანთა არმიები, რომელთა უმეტესობაც მძლავრ საფარშელშია მოკლათებული? ან ეგებ ის სჯერა ვინმეს, რომ უკვე გარდაიქმნენ, პლემის რტოები ადამის ხელთ და მოღუღუნე მტრედებად იქცნენ. ნუთუ, ვინმეს სჯერა, რომ ზრდადასრულებული ადამიანის შინაგანი გარდაქმნა შესაძლებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური გარდაქმნის საფუძველზე? არა და არა. ამას არც ფილოსოფია, არც ფსიქოლოგია არ ადასტურებს. დაცემული სინდისის მკვდრეთით აღდგომა ხასწაულის ტოლფასია. ეს ხდება უდიდესი სულიერი ტრანსის შედეგად და ამის პრეტენზიას მხოლოდ რელიგია აცხადებს. ქრისტიანობას მაინც, რომ ადამიანს შეუძლია გამოისყიდოს თავისი ცოდვა. დანაშაული აღსარების, მონანიების, ხანგრძლივი განწყმედის, ანუ ღმერთთან მიახლოების გზით. განწყმედის სურვილის გაჩენა ადამიანში და მისი აღსრულებაც რელიგიური აქტია...


ბუნდეთის ძალები მხოლოდ იქ ჯგუფდებიან, სადაც სინათლე ჩნდება. ასეთი სინათლეა ეროვნული მოძრაობა: ერის გამოფხიზლება, მისი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, განწყმედისაკენ, თავისუფლებისაკენ. რომელ დემოკრატიზმზე ლაპარაკი იქ, სადაც „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“ დანაშაულებრივ ცნებებად ითვლება! განა სიცოცხლის ღირსია ის ვრი, რომელსაც თავისუფლების წყურვილი არა აქვს? მონობის კულმინაცია ის არის, როდესაც ადამიანმა აღარ იცის, ვეღარ გრძნობს, აღარ წუხს, რომ მონაა...

და აი, როდესაც ერმა აღდგომა მოიწადინა, აღდგომის ღიდმარჩვაში სისხლით შეღებეს მისი აღტყინებული სიმღერა თავისუფლებაზე. ეს იმდენად კონკრეტული მიზანდასახულობის მიტინგი კი არა, უფრო ერთადღეფუნის მანიფესტაცია იყო. ეს იყო ამდენი ხნის განმავლობაში განგებ დაქსაქსული, თავგზაბნეული, ერთად დგომის მონატრებული ხალხის ზვიმი: ამოთქმული ლექსად, სიმღერად, ცეკვად. ეს გაერთიანება კი გამოიწვია საერთო ტკივილმა.

რაც შეეხება დღეს ყველასათვის ძვირფას ლოზუნგს „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ ეს იგივეა, რაც — „გაუმარჯოს თავისუფალ ესტონეთს, რუსეთს! სომხეთს, თუ ირლანდიას!“ თავისუფალი ქვეყნების პარმონიული თანაარსებობა უიარაღო, განწყმედილ, ხსნილ, გადარჩენილ მსოფლიოში — აი, ეს არის ჰუმანური კაცობრიობის იდეალი!

ერთ ბრძენს უთქვამს: არცერთ ერს, არცერთ ქვეყანას ღმერთი იმაზე მეტ განსაცდელს არ მიაგებს, ვიდრე მისი ბატანც მას შეუძლიაო. მეც ამის იმედი მაქვს: მაქვს ღმერთის იმედი, რომელიც სამყაროში და ჩვენშია. მაქვს ღვთისმშობლის კალთის იმედი, რომელიც გვიფარავს და აქამდე მოგვიყვანა. თუ ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს ღვთაებრივ-მზიურ, ეროვნულ ვნერგიას: ტალიზტს, თავგანწირვას, უკომპრომისობას, ხათრობას და სხვა, ჩვენთან იქნება ღმერთი და ვერაფერი მოგვერევა. ამისი მწამს შეურყევლად: და კიდევ: მაქვს ჩვენი ახალგაზრდობისა და ბავშვების იმედი. კიდევ — წინაპართა სულებისა და ახლახან აღსრულებულ მოწამეთა, ჩვენი უსაყვარლესი გოგონებისა და ქალბატონების, ვაყების სულთა იმედი. ზეციური საქართველოს ბინადართა იმედი — მათი, ვინც ღოცვით და ზრუნვით მარადიულად თავს დასტრიალებს მიწიერ საქართველოს.

ნატარა გულაშვილი



3 0 1 0 2 0 1 0

რა იცავდა და იცავს საქართველოს? არა მარტო საბრძოლო ხმალი და სამოღვაწო გონება, არამედ მოწამეთა სისხლიც.

მოწამეთა სისხლი მიწაზე იღვრება ხალხის ცხოვრების უკიდურესი გაჭირვების ჟამს, რათა გამოაფხიზლოს ეროვნული ცნობიერება და შთაბეროს ხალხის სულს სიმტკიცე. მოწამებრივი სისხლის დაღვრის აქტი ცხადდება ქრისტეს მისტერია. იგი ცხადდებოდა და ცხადდება ყველა ერის ცხოვრებაში, ძნელბედობის ჟამს. ვინაიდან ქართველი ხალხი თითქმის ერთთავად ძნელბედობაში იმყოფება, ქრისტეს მისტერია საქართველოში გაცხადებულა ყველაზე უხვად. ძნელად თუ დაეხსახებოდა სხვა ერს, რომელსაც იმდენი ეროვნული წმიდანნი და მოწამე ჰყოლოდეს, რამდენიც საქართველოს.

მეოცე საუკუნის დასაწყისშივე საქართველოში ქრისტეს მისტერია გაცხადდა ილია ჭავჭავაძის მოწამებრივი სიკვდილით. ილიას სისხლმა ემბაზივით განბანა ქართული მიწა და გააცხოველა ჩვენი ეროვნული სულისკვეთება. საქართველოს გადარჩენა ილადადა წმიდა ილიამართლის უკანასკნელმა სიტყვამ, - მან გადასძალა ქართველი ხალხის მეობის, სიპართლისა და ღირსების ჩასახშობად მომართული, სატანური იმპულსებით აღძრული ძალები. უმძლავრესი იყო ილიას სიტყვები; მაგრამ ისიც ვერას გააწყობდა, მეოცე საუკუნის ბედურულ საქართველოს რომ არ დაეხდა, ილიას ნიშნით, მოწამებრივად მოღვაწე მამულიშვილები. მოწამებრივი იყო ცხოვრება ექვთიმე თაყაიშვილისა, ივანე ჯავახიშვილისა, პავლე ინგოროვასი და მრავალთა სხვათა - თვით იმათიც, ვისი სახელიც არ არის საჯაროდ ცნობილი. შეიძლება ასეც ითქვას: მეოცე საუკუნის საქართველოს პირობებში, მოწამებრივად ჩაითვლება ყველა პატიოსანი, ქრისტიანული მრწამსით ღირსეულად მოღვაწე მამულიშვილის ცხოვრება. და მაინც, ჭეშმარიტად მოწამებრივი აქტს მიწაზე სისხლის დაღვრა - მიწის მოწამებრივი სისხლით განბანვა ასვამს ბეჭედს.

1989 წლის 9 აპრილის ოთხ საათზე ქართული მიწა კვლავაც განბანა მოწამებრივმა სისხლმა.

ქვაშვეთის ეკლესიის შემოგარენში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლესთან, ეროვნული სულისკვეთებით ატანილ და თავისუფლებისათვის მარად მებრძოლ ქართველ ხალხს აღმართული ჰქონდა ჯვარი, წმიდა გიორგის დროშა, ღვთისმშობლის ხატება; ხალხს ხელთ ეპყრა წმიდა სანთლები; ხალხი მღეროდა ეროვნულ სიმღერებს და ქრისტიანულ საგალობლებს.

1989 წლის 3 აპრილიდან 9 აპრილამდე, ერთი კვირის მანძილზე, ქართული ეროვნული სული მაღლდებოდა, მტკიცდებოდა. თავისუფლებისაკენ მომხმობ სიტყვას, ქრისტეს ჯვარს, წმიდა გიორგის დროშას, ღვთისმშობლის ხატებას და წმიდა სანთლებს ხელისუფლებამ სხვა ვერაფერი დაუპირისპირა, გარდა ტანკების, ალესილი

სამხედრო ნიჩბების, ხელკეტების, ტყვიის და ქიმიური იარაღისა. სულმდაბალთა აქცია განხორციელდა უგუნურთა ხელით.

ნურავინ იფიქრებს და იტყვის, თითქოს იქ მყოფ ქართველთ არ უწყოდნენ, რაზეც მიდიოდნენ: ვინც თავისუფლების ხმას გაიღებს, ჯვარს აღმართავს და წმიდა სანთელს დაანთებს საჯაროდ და სატანურ ძალთა საპირისპიროდ, მან იცის, რომ უკვე ამით უძალიანდება უსამართლობას და სულის სიბეცეს. ქართველი ხალხის მიერ წმიდა სანთლების დანთება და თავისუფლების სიტყვის გაღება-უკვე თავისთავად წარმოადგენდა თავდადებას. იქ მყოფთაგან არავინ ვიყავით დახლეულები ჩვენს თავს ელდასავით დამტყდარი უსასტიკესი განაჩენისაგან. და ისინი, ჯალათთა ცელმა რომ იმ დილას იმსხვერპლა, შეეწირნენ სიპართლის ძახილს, ეროვნულ მრწამსს და ღვთის ხატებას, ვითარცა მოწამენი.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, ქართულ სინამდვილეში, ისევ გაცხადდა ქრისტეს მისტერია.

სიპართლისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული მეობისათვის შეწირულ ცნობილ ქართველ მოწამეთა რიგს შეემატნენ ჩვენი დროის მოწამენი.

რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ჩვენთვის ჯერჯერობლივით ცნობილი შეწირულნი სიცოცხლეშიც გამოირჩეოდნენ სისპეტაკით; რაოდენ ნიშანდობლივია ისიც, რომ შეწირულთა შორის უმეტესი ქალია... წმიდა საქმეს მართალი გულის ხალხი ეწირება. ასე მოხდა ახლაც.

1989 წლის 9 აპრილის დილის ოთხ საათზე დაღვრილი სისხლი - წმიდა სისხლია. ის დაიდვარა ჩვენი ხალხის და ჩვენი მიწის განსაწმენად, ქართველ ხალხში ეროვნული სულისკვეთების აღსახევებლად და თავისუფლებისკენ სწრაფის გასამძლავრებლად. ქართული ეკლესია მოიხსენიებს მათ სახელებს.

ჩვენ, ცოცხლად შთენილნი, მათი სახელითაც უნდა ავმალდეთ საკუთარ პირადობაზე, ქრისტიანული სიყვარულით შევკავშირდეთ და ავიძრათ სრულიად ქართველნი ჩვენს ცნობიერებაში ფესვგამდგარი ყოველგვარი სიბილწის, ყოველგვარი სიბეჩავის, ყოველგვარი უკუღმართობის აღმოსაფხვრელად.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში შემოხიზნულ, ჯარების მიერ დარბეულ, გონებაარეულ თანამემამულეებს მე, უნებურად, ასე მივმართე:

- ჩვენ გავიმარჯვეთ!

როდესაც, როდესაც საფლავებს მივაბარეთ ჩვენი მოწამენი, მტერთა და ბილწთა გასაგონად მინდა ვთქვა: - ქართველი ხალხი თავის ახალ მოწამეთა სისხლის ძალითაც განიწმინდება, გამძლავრდება და აღზევდება.

მარადის იყოს 1989 წლის 9 აპრილს დახოცილ ქართველ მოწამეთა ხსენება. იმატოს ქართველ ხალხში წმიდა ძალამ აწ და მარადის და, უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

...სიკვდილს უნდა მოყვეს აღდგომა, განახლება. უმან-
კო აღამიანთა სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა.
ჩვენ უნდა აღვსდგეთ! უდიდესი ყურადღება უნდა მივა-
ქციოთ განმანათლებელ მუშაობას, დემოკრატიულ პრო-
ბლემას. ჩვენ უნდა გავსუფთავდეთ ზნეობრივად, ბრძო-
ლა უნდა გამოვუცხადოთ ყველა იმ მანიკიერებას, რაც
ჩვენშივე ბუდობს. ჩვენ გვმართებს მეტი სიყვარული და
შემწყნარებლობა ერთმანეთის მიმართ და სიძულვილი
და შეუწყნარებლობა იმისა, რაც გვთიშავს, რაც ხელს
გვიშლის გვიყვარდეს ერთმანეთი. ჩვენ მზად უნდა ვი-
ყოთ თავისუფლებისათვის და ღირსი უნდა ვიყოთ თავი-
სუფლებისა. ამისათვის დიდი, ძალზე დიდი მუშაობაა
საჭირო. 9 აპრილის ამბებმა დამარწმუნა, რომ პოზიტი-
ური ძალები საქართველოში იმდენად ძლიერია, რომ მათ
შეუძლიათ ამ მუშაობას წარუძღვნენ და უხელმძღვანე-
ლონ. მე ვერ ვხედავ გულგატეხილობას და ეს მაძლევს ამ

რწმენის იმედს. ჩვენი სისუსტე ჩვენი მცირერიცხოვნე-
ბაა. სულიერად ჩვენ გაცილებით უფრო მაღლა ვდგა-
ვართ, ვიდრე, ჩვენი მტრები. ჩვენ მართლები ვართ! ჩვენ
მივისწრაფვით თავისუფლებისაკენ. არ არსებობს ამაზე
უფრო სამართლიანი, ამაღლებული და აღამიანური მი-
სწრაფება. ჩვენ ვერ დაგვამარცხეს და ვერც დაგვამარ-
ცხებენ, რადგან ჩვენ არაფერს ვთხოულობთ უკანონოს.
ჩვენი მოსპობა შეუძლიათ, მაგრამ დაჩოქება არა, რად-
გან ჩვენ ვიბრძვით ჩვენი თვითმყოფობისათვის. ამ ბრძო-
ლაში ჩვენ მარტო ვართ, მაგრამ ნუ დაგვაფიწყდება,
რომ ჩვენთან არს ღმერთი! სხვა მოკავშირე ჩვენ არა
გვყავს. ნუ ვუღალატებთ ღმერთს და ღმერთი არ გაგვწი-
რავს!

ჩვენი ბრძოლა-ეს არის მუხლჩაუხრელი შრომა ერო-
ვნული აღორძინებისათვის.

ბურამ გეგუშიძე

... მოდით ისევ ჩვენით, სხვათა დაუხმარებლად, ფუ-
ჭი იმედის გარეშე გზივლით ჩვენი ყველაზე მძიმე და ყვე-
ლაზე ძვირფასი ტვირთი - ჩვენი მეობა. რაც არ უნდა
შწარე იყოს, ერთხელ კიდევ ჩამოვიბანოთ ჩვენი მარა-
დიული, მარად პირდაღებულნი, მარად შეუხორცებელი
ჭრილობები; კიდევ ერთხელ მივაბართო მიწას, ვინ იცის
მერამდენედ მოკლული, მერამდენედ შეურაცხყოფილი,
აბუნად ავღებული ცხედარი ჩვენი ჯერ კიდევ გასათენე-
ბელი მომავლისა; ერთხელ კიდევ დავიჩოქოთ ჩვენი ამო-

უვსებელი სამარის წინ და ერთხელ კიდევ დავდოთ ფი-
ცი, არასოდეს, არავითარ შემთხვევაში, არაფრის გუ-
ლისთვის რომ არ მოვიშორებთ ტვირთს, რომელიც
ღმერთმა და დედა-ბუნებამ აგვიკიდა, არ ვუღალატებთ
გზას, რომელიც ჩვენმა კეთილშობილმა წინაპარმა გა-
გვიკვალა, არ დავკარგავთ თვალთახედვიდან მიზანს,
რომელიც ჩვენმა უკეთესმა თანამემამულეებმა დაგვისა-
ხეს.

ოთარ ჰილაძე





X X X

შენ, საქართველოს იმედად
და ვარდად გაშლილო,
ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაძა
აპრილის თვეში.
შენ საქორწილო კაბა უნდა
ჩაგეცვა, შვილო,
ვარდების ნაცვლად შავი
დროშა გიჭირავს ხელში.
სამშობლოსათვის ხარ ამაყი,
ლამაზი; მტკიცე,
ხარ ქეთევანის და
წყნეთელის
გენის და ჯიშის.
ცრემლით კი არა, ეგ
თვალეები სავსეა ფიცით,
არავითარი დაჩოქება
კრთობა და შიში.

ერის რისხვას და ხალხის
წუხილს ვინ შეაკავებს,
გზა გოლგოთისა ადრეც
ბევრჯერ გამოგვივლია.
ქართველი ქალის დროშა
ახლა არის აკვანი,
და „იავენანა“ ყველა
ქართველ დედის ჰიმნია.
დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი
და მრისხანება,
წინაპრებივით უმკურნალე
ქვეყნის იარებს,
შენი ცხრა შვილის, ცხრა
პერანგი
მტრების ჯინაზე
სამშობლოს ცაზე
დროშასავით ააფრიალე!..

ნოდარ ჯალაღონია

დიდთა წყლულეგათა კურნებად

შემოკრება პრი მრავალი

...9 მარტის ტრაგედიიდან 9 აპრილის ტრაგედიაძღვე, ქართველმა ხალხმა იცხოვრა ილუზიით, რომ შესაძლებელია ნამდვილად დამოუკიდებელი, თავისუფალი, სუვერენული რესპუბლიკის შექმნა, როცა გექნება საკუთარი დროშა და საკუთარი ჰიმნი...

... მაგრამ ილუზიები დაიმსხვრა, და როგორც ხრუმ-ჩოვის ეგრეთწოდებულ „ოტტებელს“ გადაუარეს 1956 წელს ბუდაპეშტის ქუჩებში ტანკებმა, ისევე გადათელეს პერესტროიკაც საქართველოს მრავალტანჯული დედაქალაქის ქუჩებში შემოყვანილმა ტანკებმა და ჯავშნოსნებმა, დახუნძლულმა ავღანეთში დამარცხებული მკვლელებით.

დღეს საქართველო ჭირისუფალი კი არ არის მხოლოდ, იგი უდმერთოდ დახოცილთა ჭირისუფალია, და ამიტომაც არ გაემტყუნება, თუ მარტო მსხვერპლის ღირსეულად დაკრძალვაზე კი არ ფიქრობდა ეს დღეები, არამედ შურისძიებაზეც - მაინც, ვინ იყო იგი, ვინც ასე შეუბრალებლად ჩახოცა ლოცვის ჟამს ჩაჩოქილი და მორჩილად ხელაპყრობილი ჩვენი დედები, ჩვენი უმანკო, უმწეო, ლამაზი, კვიდეჭია გოგოები...

... საქართველო, რომელსაც თითქოს ყოველი ჯურის მკვლეელი ენახა, გააოცა მანქურთი ჯალათების გაუგონარმა, კანიალურმა, ვანდალურმა სისასტიკემ. ამნაირ მკვლელობათა მასობრივი სურათი აღწერილი არაა არანაირ ლიტერატურაში, მათ შორის არც სამედიცინოში...

... მგლოვიარე საქართველომ იპოვა თავის თავში ძალა, ყოველდღე ეცქირა თავისი ლამაზი შვილების მკვლელებისათვის და არ აპყოლოდა მარტივი შურისგების გრძნობას - ეფიქრა უფრო დიდ და საბოლოო გამარჯვებაზე; ეფიქრა იმ გამარჯვებაზე, რომელსაც ჩვენი შვილების მოთმინება სჭირდება, მათი ნაადრევი დაკაცება და დაბრძენება სჭირდება, მათი სიცოცხლე სჭირდება!

არც ჩვენი შვილები აპყვენ არანაირ პროვოკაციას, და ამით, მათ, აღმაშენებლის შვილობის ღირსმა გოგონებმა და ბიჭებმა, ისევე გაწმინდეს თბილისი ბარბაროსული ურდოებისაგან, როგორც დავითმა გააკეთა ეს მარადსახსოვარ 1122 წელს!

... ტანკის დამარცხება ყვაილითა და ცრემლითაც შეიძლება...

გამარჯვებულებმა ახლა ჩვენს მკვდრებსა და უკეთეს სვლებზე უნდა ვიფიქროთ!

ქართველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ტარიელ ზანტურიბა

... ახლა საჭიროა უფრო მოქნილი და უფრო გონივრული სიცოცხლე, ახლა მთავარია მომავალზე ფიქრი, ახლა მთავარია ურთიერთნდობა და კიდევ ურთიერთნდობა.

მუხლს ვიყრი უდანაშაულოდ დაღუპულთა წინაშე, რომელთა სულის მშვენიერება აკეთილშობილებს საქართველოს ხვალისდღელ დღეს. ჯვარცმული ერი ვართ, „ჯვარს აცვამენ მას და იყოფენ მის სამოსელს, წილის ყრით,-ვინ რა აიღოს!“

დღეს ასეა ჩვენი საქმე, ჭკუით ვერ უნდა გვაჯობონ, იქნებ, თავად უნდა მოვუხმთ ჭკუას?

და რაც მთავარია, ძალიან მთავარი: ერთმანეთთან „იყავით გულმოდგინელები ისევე; როგორც თქვენი მამაა გულმოდგინელები...“

ყველაფერს გადაწყვეტს ჩვენი სიმშვიდე!...

ჩვენი თავის პატრონი ჩვენა ვართ, ნურავის იმედი გექნება!...

ჯანსუღ ჩარკვიანი

**ძლიერნი ამა სოფლისანი სრულიად განერიდნენ თანა-
ტანჯვასა მოძმისასა, უარჳჳვეს სანომბა, განაზარმაცუს
სული თვისი, განუღვნენ ღუაფუსა საქვეყნოსა, მიეცნენ
უფუჳუნებასა — ლხინსა შვიზნოსა, ნადიმსა მომსუჳებულსა,
ამპარტაჳნებას უგუნურსა, მოხვეჭასა განძისა უთვლელისა,
ენით სიძჳასა, მრთამსა და მრუჳოგასა... და, აჳა, გამო-
ისოგით ყოჳლისა ამისა, დაჯაოგდა ქვეყანა სრულად, ანუ
შეჳჳდა რეჳად წჳალთა მაცოცხლებელთა, დაღვნენ წჳარონი
სათჳჳისანი, დაგუზღვნენ მდინარენი და ნაგუზართა შინა
უთაჳჳინენ მჳაჳნი და უჳჳურნი, და აღმოცენდნენ მჳრალი-
საგან უძრჳვისა ნაჳოჳნი ცოდვისანი.**

იოანე ოძროპირი



ისმოდა ლოცვა, ტკბილი გალობა,
იფერფლებოდა ღამის წყვდიადი.
ახლოდებოდა უფლის წყალობით
ჟამი სიცოცხლის და განთიადის.
და როცა ცისკარს უნდა ეძალა,
თავს დასდგომოდა აპრილს გვირგვინად,
შხეს თითქოს შუქი შემოეცალა
და საქართველომ ამოიგმინა...
ამოიგმინა... ტყვიამ წყეულმა
წიწამურთან რომ დასცა ილია,
თუმც შუარხია შენი სხეული,
მაგრამ ძლეული თვით სიკვდილია.
თავისუფლება სულ სხვა რამ არის,
ვერვინ გაუთხრის ნიჩბით სამარეს;
ის - უკვდავების წყარო, წამალი
მოგვტაცეს, მაგრამ ვერ გადაძალეს;
თავისუფლება სულ სხვა რამ არის,
იხარებს, თუნდაც კლდეზე დავარდეს,
რამეთუ უფლის სისხლით ნაბანი
ყველგან წმიდაა მისი საფანე;
თავისუფლება სულ სხვა რამ არის,
სული - პატრონი თავის თავისი...
თბილია, როგორც მხერა თამარის,
ცივია, როგორც შუბი დავითის.
და მოაბიჯებს უფლის წყალობით
და იფერფლება ღამის წყვდიადი...
ისმის ლოცვა და ტკბილი გალობა
ნიშნად სიცოცხლის და განთიადის.

ანდრო ბაგრაქილი

8 აპრილს, ღამით...
მოსიშვილენი...





ღუღკატა განსაცდელთაგან

გვისუნენით ჩუენ,

დიდნო მთავარნო,

ზეცისა ძალთანო.

ამაღლება

ითხოვდით და მოგვეცეს თქვენ, ეძიებდით და პოოვით, ირეკდით და განგელოს თქვენ. ლუკა.11.9

წინა დღეებიდან, რუსთაველის გამზირზე, ხალხი ზღვად რომ იყო ქცეული, ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად, დღისითაც, ღამითაც, გამთენიის ხანსაც ამოჩემებულად მხოლოდ ერთ სიმღერას „შავლეგოს“ მღეროდნენ...

„შავლეგე, შენი შავი ჩოხა, შავლეგო...“

შავ ღამეში კერა დეამ, შავლეგო...“

რადაც საბედისწერო ტკივილის ანარეკლს ტოვებდა სულში იგი და გაუცნობიერებელ შიშს შვერიდა. ახლა კი ეს ამაღლებული ჰანგი იმ დღეების ჰიმნად მჩვენებდა. იმ ღამესაც, იმ ტრაგიკულ ღამესაც „შავლეგოს“ სიმღერით შეხვდნენ ტანკებს... „შავლეგოს“ სიმღერით, ცეკვით და ლოცვით...

გავიდა დღეები და, ჩვენ იმ წუთების ამსახველი ვიდეო და ფოტო კადრებიც ვნახეთ, თვითმხილველთა ნაამბობიც მოვისმინეთ... საავადმყოფოებში, თავგაჩეხილ და გაზით მოწამლულ ბავშვებსაც შევხვდით და მაინც, შეუძლებელია ყოველივე ამის სიტყვებად ქცევა. იშვიათად მოდის ადამიანის ცხოვრებაში ასეთი მძიმე, ასეთი ტრაგიკული და, ამავე დროს, ასეთი ამაღლებული წუთები. ჩვენ ყველანი ვხედავდით მის მოახლოებას, მაგრამ არ ვიძროდით... არა, იგი არ მოდიოდა „ნელი ნაბიჯით...“ იგი მოდიოდა მძიმედ, მრისხანედ, ხმაურით.

წვიმაც წამოვიდა. სულ რამდენიმე წუთით გაწვიმდა. საოცრება იყო... უწმიდესის მოსვლისთანავე გადაიღო... დიდებული წუთები აღბეჭდა ვიდეოფორმა. აი, დგას მისი უწმიდესობა, დგას შეშფოთებით... შეჰყურებს მოშიშ-შილე ახალგაზრდობას, სანთლებით განათებულ მათ სახეებს... ამცნობს, რომ წამებია დათვლილი, სადაცაა შემოვა ჯარი...წავიდეთ აქედან. თქვენ თქვენი ვალი აღსრულებული გაქვთ... შევიდეთ ტაძარში და საქართველოსთვის ვილოცოთ...

დგება სიჩუმე... მძიმე, აუტანელი, ყველაფრის მოქმელი და ყველაფრის მომცველი. ო, არ იფიქროთ, არ იცოდნენ, ვისი ხმა უხმობთ. ეთაყვანებთან მას, მაგრამ სდუმან. ბოლოს აქა-იქ გაისმის:

- არა!
- არა!
- ჩვენ ღმერთს შევფიცეთ!
- გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
- დაგვლოცე, უწმიდესო!

ისევ დუმილი. საშინელი, განწირულების, შემეზარავი, მაგრამ ამაყი! და... სიმღერა, ცეკვა. მღერიან უსინათლოები...

„გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს...“ - ისმის მათი

ხმა... საოცარი წუთებია...

გავა დრო და ერთი თვის შემდეგ ეს უსინათლო გოგონები ტელევიზიის ეკრანიდან გვამცნობენ, ტანკების შემოსვლისთანავე ჩვენი გაყვანა მოინდომეს, მაგრამ ჩვენ მიკროფონი ვითხოვეთ და სიმღერა დაიწყო... ალბათ, ოდესმე ჩვენი ემოციებიც ჩაცხრება; ალბათ, კვლავაც ბევრი დაიწერება 9 აპრილის ტრაგედიაზე, მაგრამ ამ გრძობას, ამ განცდას, ამ წამებს, ვერასოდეს ვერავენ აღწერს. ეს შეუძლებელია... ეს ის უთქმელი, ყველაზე ამაღლებული და ძლიერი ტკივილის განცხადებაა, რომელიც სიტყვებად ძნელად გამოითქმის. ესაა ქართული ხასიათის, ქართული მიწის, მისი შხის, მისი სულის სიწმიდის ყველაზე მაღალი და გასაოცარი გამოხსივება.

არა, მონად არაა დაბადებული ეს ხალხი. მისი გზა სამართლიანია. იგი ითხოვს თავისუფლებას. იგი სრულად მარტოა, მაგრამ მანთან არს ღმერთი და, გაისმის „**მაშაო ჩვენო**“...

ლოცულობს ყველა. ერთსულადაა შეკრული ხსნის გზაზე დამდგარი, განწმედილი და ერთადყოფნის სიხარულით, აღდგომის სანუკვარ იდეალთან მიახლოებული ერთი.

პატრიარქი დგას. დგას გაუნძრევლად. დგას ბოლომდე.

გრუხუნით, ოთხრიგად შემოვიდნენ ჩვენი მრავალნატანჯი დედაქალაქის მთავარ ქუჩაში ტანკები. ხალხმა წესრიგით დაიხია უკან და გზა დაუთმო... ისევ სიმღერა, ისევ ცეკვა, შეძახილები, სანთლები...

და უეცრად, ორლესური ნიჩბებით, ქვებითა და ხელკეტებით აღჭურვილი სალდათები...

- დასხედით! - გაისმის ძახილი. ყველანი ჩასხდნენ, მაგრამ მათ, ვინც მშვიდობიანი მიტინგის დასარბევად იყვნენ მოსულნი, მხოლოდ ერთი რამ ამომრავებდათ: მოეკლათ, დაეჩეხათ, დაეწამლათ. «УБИТЬ! УБИТЬ! УБИТЬ!» - რაღაც სტვენის მაგვარ სისინთან ერთად გამოსცემდნენ ამ სიტყვას... ხალხს ესმოდა ეს და მაინც უდიდესი წესრიგი სუფევდა. ბიჭები ქალებსა და გოგონებს შევლოდნენ... რაინდულად, ღირსებით, თავისგანწირვით, მკერდით იფარავდნენ მათ. გოგონებიც ზედ ეფარებოდნენ დაჭრილებს. ყველა უვლიდა და ეფერებოდა ერთმანეთს. არავინ გაქცეულა... უიარაღო მილიციელები შიშველი ხელებით მიეშველნენ ხალხს და თავადაც მისი ხვედრი გაიზიარეს...

ბოლოს, ყველაზე მეტი ქალი აღმოჩნდა მოკლულთა



შორის, აღმოჩნდნენ გოგონები. მათი ტოლები დღეს ამით ამაყობენ, შავით შემოსილნი, თვალცრემლიანნი, მაგრამ თავაწეულნი დადიან. სწამთ, საქართველო ქართველმა ქალმა გადაარჩინა და ჩვენც ეს მისია გვაკისრიაო. მომხდურნი ექიმებს დაჭრილთა მოვლის საშუალებას არ აძლევდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანიდან მომაკვდავნი ისევ გარეთ გამოჰყავდათ და უმოწყალოდ ჩეხდნენ. (არნახული ბარბაროსობა!). გაადეს მხატვრის სახლის, ქვაშეთის, რუსთაველის თეატრის კარები. სისხლს მოწყურებულნი ზოგიერთს სახლის კარამდეც კი მისდევდნენ, განსაკუთრებით გოგონებს. აღრჩობდნენ, ბარებსა და ხელკეტებს ურტყამდნენ... და ეს ყოველივე მოხდა მეოცე საუკუნის ბოლოს, გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს ჟ ა მ ს, მოხდა იმის გამო, რომ ერმა თავისუფლებაზე ოცნება გაბედა.

შეუძლებელია ყოველივე ამის თუნდაც ასე სქემატურად აღწერა და მაინც, და მაინც, არის ამ ტრაგედიაში ამაღლებულიც, საიმედოც... ვიდუფირზე ასახულია ერთი უნიკალური, გასაოცარი კადრი: ჭაბუკი გამტებით ურტყამს ტანკს-ჯოხს. და თუმცა იმ ტანკმა საშინელი მრისხანებით გადაურა ქუჩას, ის ჯოხი მაინც ვერ გადატეხა... ვერ გადატეხა ხალხის სული. განუწყვეტლივ ისმის ხმები: „სა-ქართ-ვე-ლო, სა-ქართ-ვე-ლო, სა-ქართ-ვე-ლო...“ არც არეულობა, არც ჩოჩქოლი, არც წამოკეცება.

და ახლა ვფიქრობ, სწორედ ამ თანდაყოლილი ღირსების გამო ქართველი არასოდეს არ იქცევა ბრბოდ, მასში ბრბო არ ჩასახლდება.

ეს მსხვერპლი, ალბათ, წმიდა ზვარაკია, რომელიც ბოლოსდაბოლოს, განწმედს, შეაერთებს დაღუპვის პირას მდგომ მრავალტანჯულ სულს, ქვეყანას, ხალხს.

ეს არ იყო დამარცხება. იყო არაადამიანური მსხვერვა და უღება, მაგრამ არ იყო დამარცხება. ეს იყო ამაღლება. ალბათ, უმაღლესი სამსჯავრო მოითხოვდა ჩვენგან ამ წმიდა მსხვერპლს. ყველა მათი გზა, ვინც ამ სამსჯავროზე იყო, ყველასი ერთად, მივიდა ტაძართან. ეს იყო მორწმუნე, კეთილშობილი, რაინდი ხალხის პატიოსანი, შემოქმედი სულის გამონათება. ამ დღის შემდეგ, თუმცა მწუხარე, მაგრამ უფრო იმედიანი, უფრო თავდაჯერებული დადის თავის მიწაზე ქართველი კაცი.

რა საოცარი სანახავია ადამიანთა ვიდუფირზე აღ-

ბეჭდილი სახეები. რა მშვენიერი და რა ლამაზია ყველა. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ შეიძლება იყო კბილით ფეხებამდე შეიარაღებული, ტანკებითა და ქიმიკატებითაც... მაგრამ იყო ლაჩარი. და შეიძლება იყო ჩვენი გოგონებივით სუსტი, ნაზი, სათუთი და იყო უძლეველი. ლაჩარი იყო იგი, ვინც უიარაღო ხალხს ნიჩბებით დასდევდა და გოგონებს მოსაკლავად იმეტებდა, თან „არ გამრავლდეთო“, ჩასძახოდა. (Чтобы не размножились). როგორ შეიძლება ამ სიტყვების არსის ბოლომდე გაგება. ეს შეუძლებელია, ეს ანტიადამიანურია. და ის, ვინც ეს ჩაიდინა, არა მხოლოდ ლაჩარი, ანტიადამიანიც იყო, რომელიც თავისი დაჩივებული სახით მოგვევლინა და თუმცა მათ სისხლის ტბა დააყენეს, ასეთ სიმახინჯეს არ შეუძლია მშვენიერების მოსაპოვა, სიცოცხლის შეჩერება...

დიღხანს იღვწენ ისინი ამ სისხლის ტბაში... შემდეგ, ნელ-ნელა უნივერსიტეტის მხარეს დაიძრნენ... ბავშვები გამწარებულნი უყვიროდნენ, მათ კი კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდათ...

უნივერსიტეტთან თითქმის აღარავინ იყო... ხსოვნაში ჩამრჩა დათო ტურაშვილი. ეროვნულ დროშას ჯიბრზე, ჯიუტად რომ აფრიალებდა... შემეშინდა არ ესროლონ-თქვა, ახლოს მივედი, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ ვაკადრე.

და მაინც, მთელი ამ ტრაგედიის ყველაზე შემზარავი აქტი იყო ტელევიზიის წინ, უიარაღო ბავშვების დარბევის შემდეგ აღტაცებულნი რომ ხტოდნენ საღდათე-რი და ყვირილით: «Смерть, Смерть, -ერთმანეთს ფარს ფარზე უხათქუნებდნენ. რა საშწუხაროა, რომ ეს შემზარავი სურათი ვიდუფირმა ვერ აღბეჭდა. იმჟამად ეს შეუძლებელი იყო. რა შეიძლება ასეთ ხალხზე თქვა, ან კი, რაღა საჭიროა. ეს არის ცხოველური აქტი, რომელსაც ვერასოდეს ვერ ახსნი, ნუთუ შეიძლება ადამიანის იდეალად სიკვდილი მიაჩნდეს. მათ ბევრი ვნება შეუძლიათ მოუტანონ კაცობრიობას. მაგრამ მომავალი არაა მათი.

რა მრისხანე, ამაღლებული, ძლიერი, გაუტეხელი და ამაყი იყო 9 აპრილის დღეს თბილისი. ზანზარებდა ყველაფერი. ქუჩებში დაქროდნენ მანქანები შავი დროშებით, შავი ბაფთებით... და ახალგაზრდები, მწუხარებაში კლდედ და ფიცად ქცეულნი, ხალხს ამცნობდნენ მხოლოდ ერთ სიტყვას: „გაფიცვა!“ რამ შეიძლება ჩააცხროს ეს რი-

უწაილისგველე ცხოვართა განგეულთა, ვითარცა

მწყემსგან კითილგან, შგვკრიკა და მიგვკვარა ქართველი

ღმერთსა ჭეშმარიტსა, დედაო წმიდაო ნინო, კვლამ ქრის-

ტისა ღმერთსა მწყალგად სულთა ჩვენთათვის.

სხვა, თუ არა რწმენამ, რომ სისხლი, რომელიც იმ დი-
ლით დაიდვარა, არ იყო ამაო.

შემდეგ შემზარავად მშვენიერი დღეები მთავრობის
სასახლის წინ... ყვავილებად და ლექსებად ქცეული რუს-
თაველის გამზირი...

— „გვეყვარდეს ერთმანეთი, გაუფრთხილდეთ ერთ-
მანეთს“. — ამ დღეებში ყოველ ნაბიჯზე იყო გაკრული ეს
სიტყვები შენობებსა და ხეებზე...

ცრემლები, ცრემლები და დუმილი... საქართველოს
ყველა კუთხიდან ჩამოტანილი გვირგვინები, ყვავილე-
ბისაგან დაწული ჯვრები, დროშები... სურათები — თე-
ქესმეტი, თვრამეტი, ოცი, ოცდაოთხი წლის გოგონები-
სა და ბიჭების, მოხუცებისა ცი... ადრე არასოდეს გვი-
გრძენია, რა შემზარავი ძალა ჰქონიათ ყვავილებს!

შემდეგ სიონი... პანაშვიდები, ანთებული სანთლები,
გვირგვინები, ისევ ხეებსა და შენობებზე გაკრული ლექ-
სები, მოწოდებები...

არა, ეს არ არის მხოლოდ მსხვერპლი, როგორც წე-
რენ ხოლმე, — უმანკო, წმიდა სისხლი. თითოეულმა, ვინც
იმ დამით მთავრობის სასახლესთან იდგა, იცოდა, რის-

თვის იყო იქ... ყველა შხად იყო მსხვერპლისათვისაც.
და თუ ჩვენ დღეს მაინც ცოცხალნი ვართ, ისინი კი
აღარ, ამაში მათი უპირატესი, ღვთისაგან გამორჩეული
ბედი უნდა დავინახოთ.

შეგვინდეთ ჩვენო სანატრელნო, რომ სულ ოდნავ მა-
ინც გვშურს თქვენი. მხოლოდ რჩეულთა ზვედრა ასეთი
სიკვდილი... სიკვდილი საშობლოსათვის. მარადისო-
ბაში გადასულნი ხართ თქვენ უკვე და ზეციურ საქარ-
თველოს ეკუთვნით. დავლოცეთ, შეგვკრიბეთ, შეგვა-
ერთეთ, გაგვინათეთ გზა... ვზიდოთ ჩვენ ჩვენი მძიმე
ჯვარი, მიგვატანინეთ იგი ბოლომდე.

თქვენი წმიდა ლოცვაც შეეწიოს საქართველოს!

„სადა არს სიკვდილო, საწრეტელი შენი? სადა არს
ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი“

(I კორინთელთა. 15,55)

„იღუიებდით უკუჲ“.
(მათე.25.13)

თინათინ კობალაძე




მიქომაგე, გამამთელე,
მომხსენ ცრემლის საყურე,
ზეციური საქართველო
დარდიანი დაგვეურებს.


ტყე დგას როგორც ქანდაკება,
ცხრა აპრილით თარიღობს;
ცული მე რას დამაკლებდა,
ტარი ხის რომ არ იყოს.

რას უბნობენ შიდა მტერნი?
(დმერთო, მიხსენ, მიშველე)
იმ სისხლიან ხელის მტვენებს
ერთმანეთზე იშვერენ.


გააფთრებით ალანძულნი
გულს გვიფლეთენ სიცივით,
მათ მორყეულ საგარძლებზე
უმბა ზის და იცინის...



პანაშვილები



განა ეს მარაბდა
 მარაბლით იწყება?
 ანდა ის შამქორი
 შამქორით თავდება?
 რუსთველის გაშხირიც
 დიდგორად იქცევა,
 თუ საქართველოსთვის
 გვსურს თავის დადება.
 და მართლაც, როდესაც
 გათენდა აპრილი,
 თბილისს სისხლიანი
 აპრილი დაუდგა...
 სული ალგეთური
 და ბორკილაყრილი
 სიკვდილს ცეკვით და
 სიმღერით დაუხვდა.
 თითქოსდა ყოველდღე
 სისხლისგან ვიცლები,
 ვიძინებ ტანჯვით და
 ვიდვიძებ სირცხვილით.
 თვალებს არ სცილდება
 იმ გოგო—ბიჭების
 საველე ნიჩბებით
 მოკლული სიცილი.
 თუ ისევ გაისმა
 სამშობლოს ძახილი,
 თუ ბედმა გაგვწირა,
 წლებმა გაგვიმეტა —
 შიშველი გულით და
 შიშველი მახვილით,
 კვლავ დგანან ლეკვები
 მომავლის იმედად.
 მამულის მიწაზე
 კვლავ დააბიჯებენ,
 სატკივარს ქვეყნისას
 კვლავ გულთ უვლიან...
 ალგეთში კვარცხლბეკზე
 შემდგარი ბიჭები
 სამშობლოს მარადი,
 უკვდავი სულია!



პანაშვიდები





ხეებზე გაკრული მოწოდებები... ლექსები...

ხემაზე გაკრული ლექსებიდან



X X X

მესიზმრეთ სულკურთხეულებო,
მღეროდით „შავლეგოს“,
ცა დაგეხურათ
და ძირს მიწა დაგეგოთ.
ნაწილი იღვიძებდა, ღმუღოდა ნაწილი,
ქარში ფრიალებდა შავი მანდილი,
მიწაზე ყვავილები გეფინათ,
საქართველოს კი აღარ ეძინა.
გაზაფხულის უცნაური დილა,
სისხლის გუბებზე თენდებოდა,
შიგნიდან გატეხილი ციხე,
თქვენი სხეულით მთელდებოდა.

სვანეთის ზეგვებით დაკეტილი სიხარული,
რიონით შეკრული სუნთქვა,
აჭარის ღარღვეული მთები, მაგრამ
9 აპრილი იყო სულ სხვა.
— „გაუძარჯოს თავისუფალ საქართველოს!“
გასმახოდით პატარაც და დიდიც,
დაფლეთილი სხეულებით მთელდებოდა,
საქართველოს დანგრეული ხიდი.
ნამდვილი სიცოცხლე ვე არის,
სიკვდილს რა ხელი აქვს თქვენთან,
ერის სანუკვარი ოცნებაა
უკვე მიიტანეთ ღმერთთან.

მაინც მოვიდნენ შვილები

გაცოცხლდა მიწა ქართული
თქვენგან ფეხდანაბიჯები.
სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
მაინც მოვიდნენ შვილები!
ავი შრიალი მოისმა
მიწაზე დედის თმებისა,
აპრილის დილას მოჰქონდა
სუნთქვა ამაყი მთებისა.
თურმე ფუჭი არ ყოფილა
დიდგორში ჩაერა ძვლებისა,
სისხლი დიმიტრის, თევდორეს,
ახალციხელი ძმებისა.

გადაგვარჩინა ღმერთმა და
თავის განწირვამ ათასმა
ყოველი წუთი იქ დგომის
ძვირად, რა ძვირად დაფასდა!
კურთხეულ იყოს შვილების
წინაპრის კვალზე დადგომა
იქნებ ედირსოს ლუხუმსა,
„ლაშარის გორზე შადგომა“.
ცეცხლის ღუღაბად დარჩება
თქვენი ფეხდანაბიჯები,
სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
მაინც მოვიდნენ შვილები.

X X X

გული სისხლის ტბა, თვალები უშუო, გონება დაბინდული,
რაო, საქართველოვ, შემოგველე, რატომ ხარ გარინდული.
რა გვაქვს სატირალი, არ გადაშენებულა შენი მოდგმა,
მთები ჩამოშალა აჭარაში შენი შვილებისათვის ჩვენმა მოთქმამ.
ნაწილი უფალთან გაფრინდა ზეცაში შენს გადასარჩენად,
თავისუფლებისათვის ისევე დავდგებით მტრის წინ ასაჩეხად.



ვანუქოთ ერთმანეთს ტიტები,
ვანუქოთ ერთმანეთს ცრემლი!

.....

ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,
შევუწყოთ ერთმანეთს ხმები...

ტრაგედია სულს წმენდს, აბაღლებს, ასპეტაკებს. განწყობილი, განსკეპტაკებული სულით ჩვენ ვივლით წინ, იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც ეწოდება დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო. ისიც უნდა გაგახსენოთ, რაც ვაჟამ გვიანდერძა: „არ გვეუკულებს, თუ ერთ დღეს სისხლად არ იქნებ მღანო!...“ ჩვენი მღანო უკვე იქნა სისხლად და ჩვენ ი თავისუფლებაც დავიწყეთ.

... ისტორიის პროცესი ჩვენს სასარგებლოდ მიმდინარეობს. მას ალღო უნდა ავუღოთ და ჭკუით მივყვებით. 21-ე საუკუნეს ჩვენ თავისუფალი უმკვხვედებით. ეს გარდაუვალია.

აკაკი ბაქრაძე

მეფენი

ქენი

ჩქსტ

ჩქჩქსტ

ქქქ



ჩვენი ანს ღმერთი



დავით აღმაშენებელი

და იდეკ სვეტად საქართველოსი,
ვეფხი ფრთიანი, ნათლის მხედარი

დავით აღმაშენებელი ჩვენს მეფეთა შორის განსაკუთრებით გამობრწყინდა სიბრძნით, დიდი სიწმიდით და სულიერი სიმტკიცით.

მისი ცხოვრება, მისი შრომა და ღვაწლი საფუძველს იძლევა თამამად განვაცხადოთ, რომ იგი იყო მეფე და სულიერი მამა სრულიად საქართველომსა. სხვა რომ არა ვთქვათ, მარტო რუის-ურბნისის კრების დადგენილებანი ცხადყოფენ მის დაუცხრომელ ზრუნვას ეკლესიის კეთილდღეობისათვის და სწრაფვას მაღალი იდეალებისადმი, რომელთა განხორციელებას მან სიცოცხლე შესწირა.

ერმა მას აღმაშენებელი უწოდა არა მარტო იმიტომ, რომ აღადგინა ქალაქები და სოფლები, ააგო ეკლესია — მონასტრები, მტერთაგან გაათავისუფლა თბილისი და გააერთიანა საქართველო, არამედ იმიტომაც, რომ მან სათავე დაუდო ქართველი ერის სულიერი სრულყოფის კიბეზე შემდგომი ამადლების პროცესს.

„გალობანი სინანულისანი“ — აი, მისი სულის სარკე. ეს არის საოცარი სიყვარულითა და სიმდაბლით დაწერილი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად ჩანს იშვიათი ცოდნა ადამიანის ბუნებისა, თვისთა ცოდვათა განცდის ღვთითმიმადლებული ნიჭი, რწმენა და სასოება უფლისა. თავისი სიძლიერით „გალობანი სინანულისანი“ უტოლდება მსოფლიოში ცნობილ ანდრია კრიტელის კანონს.

დავით აღმაშენებელმა გულში დაიტია წუხილი და ტკივილი ქართველი ხალხისა. მან შესძლო ერისათვის მწარე ცრემლის მოწმენდა და ჭრილობების მოშუშება. ჩვენ თაყვანს ვცემთ მის დიდებას, მის ხსოვნას, მის სახელს, მის დიდ რწმენასა და სიყვარულს, დიდ თავმდაბლობას და სიბრძნეს.

ცოდნისადმი სწრაფვა ჩვენი სულის მოთხოვნილებაა. ამიტომ იყო, რომ ყოველი ეკლესია — მონასტერი, ამავე დროს, განათლების კერასაც წარმოადგენდა. საქართველოსა თუ საზღვარგარეთ არსებული ქართული ტაძრები იყო, როგორც ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობის სავანეები, ისე მეცნიერული ცენტრები და მაინც, თავისი დიდებულებით ყველაზე მეტად გელათის მონასტერი გამობრწყინდა, სადაც დავით მეფემ სასულიერო აკადემია დააარსა.

და იქმნა გელათი „სხვად ათინად და უადრეს მისსა“.

დიდი პოლიტიკოსის, შორსმჭვრეტი და ღვთისმოშიში ბრძენი განმგებლის ხელი ერთბაშად დაეტყო ქვეყანას. პოლიტიკურ — ეკონომიკურ სიძლიერესთან ერთად განმტკიცდა რწმენა, კიდევ უფრო განვითარდა მწერლობა, ხელოვნება, არქიტექტურა, ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნება... დადგა სულიერი აღმავლობის ხანა, რომელმაც მტკიცე საფუძველი მოუშადა თამარ მეფის ეპოქას.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ლოცვით ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქი **ილია II**

კუალად წყალობა გლახაკთა ესეოდენი აქუნდა, ვიდრემდის აღავსო ზღუა და ხმელი ქუელის საქმემან მისმან. რამეთუ, ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თუსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი თთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა.

და კუალად დღითი-დღე წარსაგებელთა, რომელთა თუსითა კელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღირაცხოს თენიერ მამისა ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად, რამეთუ იყო მის კისაკი მცირე: აღავსნის დრაკნითა რა დღე სარწმუნოთა თუსთა კელითა, და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა. ოდესმე ნახევარი წარაგოს მისი, და ოდესმე არავინ ეპოვნის, და ეგრე სავსე მისცის დამარხვად ხვალისა და სულთქმითა თქუს: დღეს ვერა მივეც ქრისტესა მარცხები-

თა ჩემთა ცოდვითათა“. და ამას არა თუ ხელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ კელთა თუსთა ნადირებულისა, რომელთაგანი თუსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა, და ესეცა მცირედი მრავლისაგან თქმად შეუძლებელ.

ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მჭირვებულთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგარისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა.

ხოლო ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ-ყვნა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგიწებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეიწყნარნა ქრისტესა, და დადვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, რაფთამცა ყოველი სოფელი მოსტაცა უშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

მადლი შენი მოჰვინე კალწულო, და დაჰხსენ ქოველნი

წინა-აღმდგომნი, რომელნი აჲ გუბრძუანან მტერნი ჩუ-
ნენი, ჰბრძოლენ მბრძოლთა მათ შინთა, შემწიო შეუწევ-
ნელთაო.

**ანდერძი წმიდისა მემვისა ღვთისა ალმაშენებლისა,
პანკრატონ-ღვთისმამისა, რომელი
წარმოუხრა მოძღვარსა თვისსა არსენის, შამსა
გარდაცვალებისა თვისისა ყოველთათვის
დიდებულთა თვისთა***

გიბრძანებს და მოგაკსენებს მეფეთა მეფე დავით, დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა, ჩემ მიერ უნდოდა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა, თქუენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა: კათალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

უკუდავი და დიდებისა მოყუარე და მეფობის ტრფიალი მედგა ბუნებაჲ და არაბიოდეს მოვიკსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლესა ჩემისასა. და ვერ უძლე დატევებად საწუთოასა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა შუხარედ განმიყუანა წინაშე მსაჯულისა, რამეთუ მრავალნი წყალობანი ჰყუნა ჩემზედა სოფელსა ამას შინა.

რამეთუ მომცა პირუცლ შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიძინითა უმჯობესი ჩემსა. და ნამდვლ ესევეთარი ჯერიყო მეფე, მოცემული ღმრთისა მიერ მკვდრთათვის სოფლისათა მართლმორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა.

რამეთუ მხიარულ ჰყოფდის ყრმა ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებცა მოცლა საწუთოსაგან მეფე — ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღვარმან ჩემმან ვუწყით.

გარნა მძლო საწუთომან და წალმართ ქადებულნი ეამნი მიმტყუნავე და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა ტირინი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი და თუაღნიცა.

გარნა განბჭო მართლად მსაჯულობამან ღმრთისამან და, ესერა მიწოდა მე და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუენითა, ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოსეთიდგან სოურად და არეგაწადმდე. და მიგანდუენ შულნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა, ღმრთისათა, რაჲთა მამა მისი გაზარდოს და, თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუბტა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა ბატყ სცეს, ვითარ შულთა ჩემთა საყუარელთა.

ამას ყოველსა თანა წარუძღუანე წმიდა ძელი ცხორებისაჲ და მივეცდროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუცმონი.

ხოლო დრაჰკანნი კოსტანტი ცუბტა და ჩემნი ლაღნი და თუაღმარგაღლიტნი სახულისა ღმრთისმშობლისადა შემოწირაეს, ხოლო დუკატი და ბოტინატი, ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემისა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა, თუ არა-ნახვერისათვის წინაშე ღმრთისა ვესაჯები, რაჲთა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიწარებინ, მოძღვარმან ჩემმან უკუნ-ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთვის.

ხოლო დარნა მონასტერი სამარხავი ჩემი და სამუალე შულთა ჩემთა უსრულად და წარმეუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აწ შულმან ჩემმან, მეფემან დიმიტრი, სრულ-ჰყოს ყოველითურთ საუკუნოდ სალოცავად ჩემთვის და მისთვის და მომაველთა ჩემთათვის. რომელნი მომიცემიან, მისგან ნუ-რას მოაკლებს და ადგილნი, რომელნი მიშოვებიან უმკვდრონი და უმამულონი მათგანნიცა, ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამთარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერილთა და სიგელთა განასრულონ ყოველითურთ უნაკლულად.

* ანდერძის ეს სათაური გვიანდელია.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX—XIII სს. საბუთები. შეადგინეს და გამოასაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984, გვ. 61—63.



და ესრეთ განცხალა ქუეყანა მოკალაქობა ზენად სუფივად, რომლისა მკვდრნი გახსნილ არიან შრომა თაგან და ოფლთა და ზრუნვათა, და მუნ მეფობს სიმდიდრეთა მათზედა, რომელნი წინა წარგზავნა, საუნჯეთა მათ გაღალთა და მკარავთაგან უმრთთა დაღვინისა და მოკლემისაგან, ძალაჲსა მას, რომლისა შუენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა და რომლისა ბრწყინვალეობა ვერა აღვალს გულსა სორციელსა, ვერცა სასამენელნი დაიტყვის სმენილსა, რამეთუ მუნ არს შუება და სიხარული, რომელსა არა აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგას სიგლახაკი და მხიარულება, რომელსა არა განკუთის ურვა და მეფობა, რომელსა არა აქუს აღსასრული, და მუნ არს ცხოვრება, რომელსა არა შეაგღურავს სიკუდილი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი



მეფე — წმიდანი

მეფე დავით აღმაშენებელი ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა და მისი ხსენების (დღესასწაულის) დღე ყოველწლიურად 26 იანვარს დააწესა (ჩვეულებრივ, წმიდანის დღე მისი გარდაცვალების დღეს იღებოდა, ან იშვიათად, სხვა დღეს, რომელიც ამ წმიდანთან იყო დაკავშირებული). დავით აღმაშენებლის სახელი იხსენიება ეკლესიაში ლიტურგიაზე უსისხლო მსხვერპლის ჰეირვის დროს.

ამა თუ იმ მოღვაწის წმიდანთა სიაში შეტანა, ანუ კანონიზაცია, გარკვეულ საეკლესიო სტატუსს ექვემდებარებოდა, რომლის ცალკეული ნორმები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, მაგრამ მისი საერთო საფუძველი და პრინციპი ყოველთვის ერთნაირი იყო: პიროვნებას, სულერთია, სასულიერო იქნებოდა თუ საერო, თვალსაჩინო წვლილი უნდა შეეტანა ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის დაცვა-განმტკიცებისათვის; ამაში შედიოდა, თუ ის ქრისტიანობისათვის მოიკვლებოდა (სისხლს დაანთხევდა) და ეწამებოდა. საეკლესიო თვალსაზრისით, ადამიანის ყოველგვარი საზოგადო მნიშვნელობის საქმე, თუ ის ერის (ღვთისმადიდებელი ერის) საკეთილდღეოდ, მისი დაცვა-გადარჩენისათვის იყო და არის მიმართული, განიხილება „ღვთის სამსახურად“. თავის მხრივ, ეს შეხედულება ეყრდნობა ასევე საეკლესიო კონცეფციას: ყველა ერი, ისე, როგორც ყოველი ადამიანი, ღვთის ქმნილებაა, ყველა თანაბრად დაცულია და პატივცემულია ღვთისგან, რადგან საბოლოოდ, ყველა (ვინც ჯერ არ არის, ისიც) უნდა გახდეს ღვთის (ქრისტეს) მადიდებელი. ამიტომ ის, ვინც იღვწის ქრისტიანი ერის კეთილდღეობისათვის, ემსახურება ღმერთს (ქრისტეს). ღვთის მსახური — მეფე, მთავარი, მეომარი,

ხელისუფალი თუ უბრალო პიროვნება — დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ეროვნული საქმეების კეთებისათვის ჩაირიცხებოდა წმიდანად.

საერთოდ, კანონიზაციის წესები და პირობები ჩაწერილი არ არის საეკლესიო კანონმდებლობაში. ჩანს, კანონიზაციის დროს ზეპირ ტრადიციას ეყრდნობოდნენ, არ ღებობდა სპეციალური აქტი (ასეთი რამ არც ბიზანტიაში და არც ჩვენთან არ მოღწეულა).

დავით აღმაშენებელი მისი თანამედროვე საზოგადოების თვალში, ეჭვი არ არის, იმსახურებდა გარდაცვალების შემდეგ წმიდანთა რიცხვში ჩარიცხვას. ამ თვალსაზრისით, სრულებით არ არის გაზვიადებული და არც მიკერძოებული პატივისცემით გამოწვეული მისი თანამედროვე ისტორიკოსის მიერ დავითის მოღვაწეობის ასეთი სიდიადით დახასიათება. ტრადიციული გადმოცემებით, მოღწეული მატერიალური და დოკუმენტური მასალით ხომ სავსებით დასტურდება ისტორიკოსის შეფასება. მაგრამ მისივე თანამედროვე საზოგადოების შეფასებით, ყველაზე დიდი ჯილდო, წმიდანობა, დავითმა მიიღო ერისაგან (იგივე ღვთისაგან) იმის შედეგად, რომ იგი იყო საქართველოს „ღვთის მსახური“ მეფე. დავითი, როგორც ღრმად მორწმუნე, ამავე დროს, ღვთისმეტყველებასა და მსოფლიოს ისტორიაში გაცნობიერებული, სახელმწიფოებრივ მმართველობაში ხელმძღვანელობდა იმ მომდევრებით, რომელიც იმ დროს ეკლესიის მიერ მიღებული და სანქცირებული იყო და რომელიც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიულ დამოკიდებულებას აწესრიგებდა. ამ მომდევრების თანახმად, „მიწიერ სამეფოში“ ხდება ერის მოშაადება „უკანასკნელი ჟამისათვის“ ადამიანებმა ქრისტიანული წესებისა და მცნებების დაცვით, შეუცდომლად უნდა იცხოვრონ, რათა მეორედ მოსვლის დროს, მკვდრებით აღდგომისა, და უფლის მიერ საყოველთაო განკითხვის დროს, ცის სასუფეველი დაიმკვიდრონ საუკუნოდ. მეორედ მოსვლისათვის ადამიანებს მხოლოდ ეკლესია ამზადებს, რადგან მას აქვს ღვთისაგან მინიჭებული საშუალებანი ცოდვებისაგან განსაწმენდად (საიდუმლოებები და სხვა). იმისათვის, რომ ეკლესიამ დაუბრკოლებლად შესძლოს ამ მისიის შესრულება, პირველ რიგში, თვით ეკლესიის მოღვაწენი უნდა იყვნენ შეუბღალავნი, მეფე კი ღვთის მსახური, სარწმუნოებასა და ეკლესიაზე მზრუნველი. მან უნდა დაიცვას ქვეყანა გარეშე მტრებისაგან, დაამყაროს საშინაო მშვიდობა, სამართლიანობა და კეთილდღეობა.

მკითხველს კარგად მოეხსენება ყველა ის ღონისძიება და წარმატებული საქმე, რაც დავითმა განახორციელა ყველა იმ პრობლემის ბრწყინვალედ გადასაჭრელად, რასაც მას ღვთის მსახური მეფის მოვალეობა კარნახობდა (გარეშე მტრების განადგურება და ქვეყნისათვის მტკიცე მშვიდობის მოპოვება, შინაური მშვიდობისათვის დიდგვარიანი დიდებულების ურჩობა-განდგობათა აღაგება, ქართული მიწა-წყლის მტრისაგან გამოსხნა-დაბრუნება, საქართველოს გაერთიანება; ეკონომიკურ-სამეურნეო აღმავლობისათვის, მოსახლეობის გამრავლებისათვის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის ზრუნვა, ქვეყნის სამხედრო ძლიერების

მიზნით მუდმივი არმიის შექმნა, წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანება, ეკლესიის გაწმენდა უღირსი მღვდელმთავრებისა და მღვდლებისაგან, საეკლესიო სამართლის მოწესრიგება, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, ქალაქების, სოფლების, ხიდების, გზების, საავადმყოფოების მშენებლობა, აკადემიის დაარსება და სხვა).

მოღწეული წყაროების მიხედვით, იმ დროის საზოგადოება (და თვით დავითიც) სახელმწიფო საქმეების წარმატებით შესრულებას მიაწერდა ღვთის მიერ დავითთან დამოკიდებულ სიყვარულს და პირუკუ. ერთ-ერთი მისი თანამედროვე ამ სიყვარულს ქრისტესადმი მოციქულების — პეტრესა და იოანეს სიყვარულს აღარებს: „მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, საყვარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის“ (არსენ ბერი). ყოველივე ეს, ამავე დროს, მათთვის დავითის წმიდანობის ერთ-ერთი არგუმენტია. ამის გამოა, რომ ღმერთი არა მხოლოდ ეხმარება დავითს, არამედ თვითონ აკეთებს და განაგებს მის საქმეებს: „ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისათა და წარუშარებდა ყოველთა გზათა მისთა და მოსცემდა ჟამითი-ჟამად ძლევათა საკურველებათა და უძღოდა ძალითი ძალად. და არცა იგი უდებდა განმრავლებად საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღვთისათა, არამედ სრული გულით მსახურებდა და მათ იქმნოდა, რომელნი ნებასა ღვთისასა დაამტკიცნის და სათნო ყოვლად მისდა აღუწდის“. აქ ნათქვამია: დავითიც სამაგიეროს მისაგებად ღმერთს იმით, რომ მას მსახურებდა; მის მიხედვით საქმეებს აკეთებდაო. დავითის ისტორიკოსი (ზოგან კი თვით მეფე (აბხაძებს, რომ დავითის სამეფოს განაგებს ღმერთი: იგი თვით მეფეთმეფეთა „იქმნოდა საჭირველთა უჭირველად, ცხადად წინააღდგომთა გამგებობისა თვისისათა მისცემდა (დავითს-ბ.ლ.) მოსასკრელად“; „თვით ოდეს მარწმუნე მის მიერ განგებულსა მეფობასა“ (დავითის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი), „ღმერთმა დავითი უადრეს ჰყო უფროსს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა“ (დავითის ისტორიკოსი). მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.

დავითი საეკლესიო-სარწმუნოებრივი მოღვაწეობისათვის: წარმართთა გაქრისტიანებისათვის (ყივჩაყების გაქრისტიანება საქართველოში მათ გადმოსახლებაზე და მის შემდეგ), ეკლესია-მონასტრების გულუხვად მშენებლობისა და მათზე ზრუნვისათვის სიცოცხლეშივე შედარებულია და გათანაბრებულია წმიდა პავლე მოციქულთან, წმიდანად შერაცხილ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდთან (306—337) და იმპერატორ თეოდოსთან (379—395). აღიარებული იყო, რომ დავითს ჰქონდა „მოციქულებრივი მადლი“ და სხვა. მან ყოველი სოფელი მისტაცა ეშმაკს და შესაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე“ (დავითის ისტორიკოსი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძველის წერა); ან დასაბამ უცდომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა და ვითარცა თვედოსი სკიპტრის

მპყრობელთა შორის“ (რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერა).

დავითი დახასიათებულია, როგორც ქრისტიანული მცნებების გულმოდგინე შემსრულებელი: ქველმოქმედი, ღარიბის შემწყნარებელი, ავადმყოფთა მომვლელი, მართალი, სამართლით გამკითხავ-მსაჯული, გულით მდაბალი, ადამიანური ცოდვების მხურვალე მონახული, სამღვთო წერილის გულმოდგინე მკითხველი, მართლმადიდებლური მრწამსის ამდიარებელი, ჭეშმარიტი რჯულის დამცველი. მის სამეფოში, პირადად მისი ბეჯითი შხრუნველობით, ლოცვა, მარხულობა, ზიარება (საიდუმლოთა შესრულება) განუწყვეტელი იყო და დაუბრკოლებლად სრულდებოდა. ყოველგვარი ამგვარი დახასიათება და თვისებები დავით მეფისა, როგორც ეს ზემოთ მოვითხანეთ, მომავალში მისი წმიდანად აღიარების ერთგვარი დასაბუთებაა საზოგადოების მიერ. აქ არ ვეხებით ისეთ მომენტს, როცა დავითის პიროვნება მისი ძლიერი თვითმპყრობელობის აბოლოგეტებმა მისი სიცოცხლეშივე განადიდეს. „ესე გვირგვინოსანი მრჩობლ მარჯუენე“ (რუის-ურბნისის ძეგლის წერა). ასეთი ეპითეტები წმიდანად აღიარებისათვის, იმდროინდელ ნორმებით, არაფერს იძლეოდა და შეიძლება მკრეხელობადაც კი მიეჩნია ვინმეს. დავითის ისტორიკოსს დასახელებული აქვს ერთი ისეთი ეპიზოდიც, რომელიც პირდაპირ არგუმენტად გამოდგება, რათა ვირწმუნოთ, რომ დავითი წმიდანად გარდაცვალების დღიდანვე ჩაურციხავთ. აი, ეს ადგილი: ერთ-ერთი ომის აღწერისას, „ხელი მაღლისაჲ (ღვთისა — ბ.ლ.) შეეწოდა და ძალი ზეგარდმო ჰფარვიდა მას


და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა უძღოდა მას და მკლავითა თუსითა მოსრვიდა ზედა მოწვეულთა ურჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით — იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა“ და სხვ. ქრისტიანობის ადრეული პერიოდის შემდგომ წმიდანად ჩარიცხვისათვის ეკლესია სავალდებულოდ თვლიდა წმიდანს სასწაულმოქმედების უნარი ჰქონოდა სიცოცხლეში, ან გარდაცვალების შემდეგ მის გვამს, ან ნაწილს. თუ მღვდელმთავარმა, ვინც კანონიზაციას ახდენდა, ასეთი ამბავი პირადად არ იცოდა, იგი ერწმუნებოდა მთხრობელს. ზემოთმოტანილი ადგილი გვეუბნება „სასწაულზე“, რომლის თანახმად, ყველას დასახაზად, დავითს წინ მიუძღოდა წმიდა გიორგი და მტერს საკუთარი მკლავით უნადგურებდა. ამას ხედავდნენ და ამაზე ლაპარაკობდნენ თვით მტრებიცო, დასძენს ავტორი. ამგვარად, დავითის და წმიდა გიორგის ერთად ბრძოლა მტრის წინააღმდეგ დავითის ღვთიური უნარით და მისი მიზეზით გამოწვეული სასწაულია.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, როგორც დადგენილია, 1123—1126 წლებში დაიწერა, ე.ი. დავითის მეფობის მიწურულს, ბოლო ნაწილი კი, მისი გარდაცვალების შემდეგ. ნაშრომში სასწაულის შეტანა იმაზე მიუთითებს, რომ ერში უკვე მოწიფებული იყო საზოგადოებრივი აზრი, დავითი გარდაცვალებისთანავე შეერაცხათ წმიდანად ისევე, როგორც მაღლიერმა ერმა მას სიცოცხლეშივე უწოდა „აღმაშენებელი“.

ბაბილინა ლომინაძე



დავით აღმაშენებლის მონეტა. ვარაუდობენ, რომ მასზე თვით დავითია გამოსახული. დაცულია ბიზანტიის მუზეუმში.



დავით აღმაშენებელი
გალობანი სინანულიხანი. XII ს. ხელნაწერი



დავით აღმაშენებლის

„გალობანი სინანულისანი“

დავით აღმაშენებლის ეპოქაში ქართველ ხალხს მაღალი სახელმწიფოებრივი და კულტურული იდეალების განხორციელება ხვდა წილად. საქართველომ თავი დააღწია დამპყრობთა მოძალადეობას, შემოიმტკიცა თავისი ტერიტორია და არა მარტო უზრუნველყო მისი სრული შეუვალობა, არამედ მთელი კავკასიის ცენტრად იქცა. საქართველოს დიდება, მისი კულტურულ-მატერიალური აღმავლობა საგრძნობი გახდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. შორს გაითქვა ქართული სახელმწიფოს მესაჭის, დავით აღმაშენებლის სახელიც. უტყუარმა აღდომ, დიდმა სტრატეგიულმა ნიჭმა, ფართო ჰუმანიზმმა და მრავალმხრივმა განსწავლულობამ ლეგენდარულ პიროვნებად აქციეს და სიცოცხლეშივე დიდების შარავანდედით შემოსეს ქართველი გვირგვინოსანი. მემატიანის სიტყვით, „თუნ მამამან ზეცათამან... უხეშთაეს ყო იგი უფროსს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა“.

თანამედროვეთა წარმოდგენაში დავითი იყო „სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის, ახვან ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის, მოშურნე ვითარცა ფინეზ მდღელთა შორის, მენე ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის, უბრძოლელ ვითარცა აქილეე ელენთა შორის, ბრძენ ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშუდ ვითარცა დავით ცხებულთა შორის, შურის-მეძიებელ ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის, უხარო ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის, განმადიდებელ ფლობისა ვითარცა ავდესტოს კეისართა შორის, კაცთმოყვარე ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი ადლით ღმერთქმულთა შორის, მჟურვალე ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, საყვარელ ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მკვრცხლ ვითარცა პავლე მოციქულთა შორის, სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე თუმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა ვითარცა თევდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის“ (მონაზონი არსენი).

ქართველი მეფის დიდება სომხურ და არაბულ საისტორიო წყაროებშიც აღიბეჭდა, ხოლო ევროპულმა სამყარომ იგი ლეგენდარული „გოგისა“ და „მაგოგის“ დარაჯად დასახა და ჯვაროსანთა მხსნელ იოანე ხუცესთან გააიგივა.

დიდი მეფისადმი უსახდვრო მოკრძალებას გამოთქვამენ ყველა ეპოქის წარმომადგენლები. ცნობილია, რომ ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა დავითი, ხოლო ანტონ კათალიკოსის მიერ მის სახელზე შეთხზულ საგალობელსა და საკითხავებში დვთაებრივი ეპითეტებითაა შემკული იგი. მე-16 საუკუნის უცნობმა ფერმწერმა ხელდასხმული მეფე გელათის გამოსახულებით ხელში გამოხატა ამავე ტაძრის ფრესკაზე. თ. ბაგრატიონმა „მშვენებით საღმრთო კეთილობათა“ და ნავთსაყუდელი კაცთა“ უწოდა მას, ხოლო პეტრე ლარაქიმ-„უეპო ჟამის მეტრფე და შხიანი დამით სვიანი“. გრიგოლ ორბელიანი მიმართავს დავითს:

„დავით ჰსთქვი: „იყავნ ქალაქნი!“ და აღმოსცენდენ

ქალაქნი!

განჰვლე უდაბნო ოხერი,-სავსედ დაბებით შეჰქმენი!

დაჰკარ წერაქვი და აღჩნდენ ტაძარნი, ტურფად

ნაშენნი,

მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი

ივერნი!“

ჩვენს საუკუნის თვალსაჩინო მწერალმა კ. გამსახურდიამ კი საინტერესო ტეტრალიგია შექმნა მის შესახებ.

ღრმად შეიჭრა დავით აღმაშენებლის სახელი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაშიც. დავითის პიროვნებაში თითქოს განსხეულდა ქართველი ხალხის ეროვნული მრწამსი.

სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებულ ყოველ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქართული მწერლობისათვის სანუკვარი იმ ფაქტი, რომ მეფე-აღმაშენებელმა თავისი შემოქმედებით გაამდიდრა სასულიერო პოეზიაც. სამართლიანად მიუთითებენ, რომ ჰიმნოგრაფიაში მოღვაწეობის მაგალითი დავითს ბიზანტიელი მეფეებისაგან უნდა გადაედო. შესაძლოა ისიც, რომ შემდეგში თვითონ დავითი გახდა მისაბადი ქართველი მეფე-პოეტების თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, არჩილ მეფისა, თუ ვახტანგ VI-ისათვის. დავით აღმაშენებლის სერიოზული ინტერესი სასულიერო პოეზიისადმი ჩანს იმ საგულისხმო გარემოებიდანაც, რომ მისი უშუალო დავალებით ექვთიმე და გიორგი ათონელების შემდგომ მესამეჯერ

უთარგმნია არსენ ბერს ანდრია კრიტიკლის „დიდი კანონი“, რომელსაც ღრმა კვალი დაუტოვებია დიდბუნებოვან მეფეზე.

ჩვენამდე მოაღწია აღმაშენებლის მხოლოდ ერთმა პოეტურმა ნაწარმოებმა, რომელსაც „გალობანი სინანულისანი“ ეწოდება. პავლე ინგოროყვას აზრით, დავითს უნდა ჰქონოდა ოლა-პიმნიც, დაწერილი ქართველი მხედრობის გამარჯვების გამო დიდგორის ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ სათანადო მასალის მიკვლევა ჯერჯერობით არ ხერხდება, პ. ინგოროყვას მოსაზრებას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს.

„გალობანი სინანულისანი“ თავისი ზოგად-ადამიანური ფიქრებითა და სწრაფებით, თავისი ღრმა ემოციურობით ქრისტიანული მწერლობის ბევრ შედეგს ტოლს არ უდებს. ამ მრავალმხრივ საინტერესო ძეგლმა საზოგადოების ყურადღება ადრინდელ მიიქცია. შეიძლება ითქვას, რომ მისი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის ტექსტის პირველ პუბლიკაციასთან ერთად იყო გათვალისწინებული. „საქართველოს სასულიერო მახარობლის“ რედაქტორმა გიორგი ხელიძემ, რომელმაც 1865 წელს ვრცელი წინასიტყვაობითა და სათანადო შენიშვნებით გამოაქვეყნა თავის ჟურნალში ეს ძეგლი, მისი ზოგადი დახასიათება მოგვცა. გ. ხელიძე აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი ამ საგალობელში ბიბლიური დავითისა და საბერძნეთის ღვთისმოსავ მეფეთა მსგავსად, ღრმა რელიგიური გრძნობებს გამოხატავს. ძეგლის ასეთივე ინტერპრეტაცია ნავარაუდევია ნ. ურბნელის, ა. ხახანაშვილის, ა. გრძელიძის მიერ ამ საგალობელზე გამოთქმულ შენიშვნებშიც.

დავითის სინანულის გალობათა ირგვლივ ამ ეტაპზე გამოთქმული დაკვირვებანი მნიშვნელოვანია იმით, რომ მისი პირველი მკვლევარები ნაწარმოებს აღიქვამენ, როგორც მხატვრული შემოქმედების ფაქტს და მას ზოგად-საკაცობრიო მოტივების შემცველ ძეგლებს უკავშირებენ.

„გალობანი სინანულისანი“ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი კ. კეკელიძემ დაუდო. მან „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ ცალკე თავი მიუძღვნა დავით აღმაშენებელს, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს.

მკვლევართა ერთმა ნაწილმა ამ ძეგლში დავითის ცოდვათა კონკრეტული შინაარსის ამოცნობა დაისახა მიზნად. რით უნდა იყოს გამოწვეული ისტორიულ წყაროებსა და ხალხის შეგნებაში დიდებით მოსილი მეფის მწვავე სინანული? მათი აზრით, დავითის გოდება შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ისტორიულად ჩადენილი ჩვენთვის უცნობი ისეთი ფაქტებით, რომელსაც ქრისტიანული სჯულმდებლობა ცოდვად რაცხდა.

მაგრამ ბოლოდროინდელმა კვლევამ (მ. კაკაბაძე, ნ. ნათაძე) ნათელყო, რომ „გალობანი სინანულისანი“ შემდგომი შესწავლა უნდა წარიმართოს მასში ზოგად-საკაცობრიო მოტივთა გზით, ისე, როგორც ეს ძეგლის პირველ მკვლევართა ნააზრევში იყო ნაგულგებნი.

მართლაც, როგორი მეცნიერული საბუთიანობითაც არ უნდა დადასტურდეს დავით აღმაშენებლის მიერ ჩადენილი ქრისტიანული აღმსარებლობის თვალსაზრისით ცოდვად მიჩნეული ესა თუ ის ფაქტი, იგი „გალობანი სინანულისანი“ მილიანი კონცეფციის ასახ-

სნელად საკმარისი მინც არ იქნება. უკეთეს შემთხვევაში ამან შეიძლება მიგვანიშნოს დავითის შინაგან განცდათა მხოლოდ ერთ-ერთ კონკრეტულ დასაბამზე, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის ასახსნელად, რასაკვირველია, გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. ამასთანავე, დავით აღმაშენებლის „გალობანში“ საუბარია არა ერთ ცოდვაზე, არა ერთხელ მომხდარ რაიმე უმსგავსოებაზე, არამედ ცოდვათა რიგზე, რომელიც ჩადენილია ადამიანთა მოდგმის დასაბამიდან.

აღნიშნული ძეგლის კვლევისას მხედველობაში უნდა გვექონდეს მისი სპეციფიკა. „გალობანი სინანულისანი“ ქრისტიანული მწერლობის ისეთი ძეგლია, რომელიც ადამიანის სულის ღრმა განცდებს ასახავს. ამ ჟანრის ნაწარმოებთა ავტორებისათვის დამახასიათებელია სულის უმკაცრესი გაშიშვლება და თავის უკიდურესად დამდაბლება. დავით აღმაშენებლის მიერ თავისი თავის უცოდველესად წარმოდგენა როდი გვაძლევს უფლებას მისი თვითბრალდებანი ისტორიულ უტყუარობად მივიჩინოთ. ამგვარ პიროვნებათა ბიოგრაფიაში საქმენაღია არა რაიმე მძიმე შეცოდება, არამედ შეცოდებათა შეგნების არაჩვეულებრივი უნარი და მაღალი ეთიკური მრწამსი.

„გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა შინაარსითა და მაღალმხატვრული ფორმით შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული სინამდვილის იდეოლოგიურსა და ესთეტიკურ მრწამსს გამოხატავს. ნაწარმოების ღრმია სასულიერო ლირიკაში კარგად ცნობილი მოტივი სინანულისა. მასში ადამიანის დაცემის ბიბლიური ისტორიის ფონზე დახასიათებულია დავითის პიროვნული ცოდვები, მაგრამ ავტორის ინდივიდუალური განცდა ამაღლებულია ზოგადსაკაცობრიო ტკივილამდე და მეფის დაღადი თავის ცოდვილ ბუნებასა და შინაგან კათარსისზე საზოგადოებრივ რეზონანსს იღებს. ამიტომაც, რომ დავით აღმაშენებლის „გალობანი“ ეფრემ ასურის, იოსებ და თედორე სტუდიელების, ანდრია კრიტიკლის, იოანე დამასკელის, გრიგოლ ნარეკაციისა თუ სხვათა მიერ ამ თემაზე შექმნილ საგალობლებთან ერთად დღესაც ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშად გვევლინება.

„გალობანი სინანულისანი“ ფილოსოფიური ლირიკის ჟანრს მიეკუთვნება. ძეგლში ასახულია შესაბამისი ეპოქის შეხედულებანი სამყაროსა და ადამიანის, ცოდვის, ესქატოლოგიის, სინანულისა თუ ქრისტიანული მსოფლმხედველობის სხვა საკითხებზე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საგალობლის თითოეული ფრაზა კონკრეტულადაა დაკავშირებული ძველი და ახალი აღთქმის გადმოცემასთან და, რაც მთავარია, ამა თუ იმ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემასთან. ყოველივე ეს გაპირობებულია ეთიკური პრინციპების იმ თავისებური გაგებით, რომელიც დამახასიათებელია შუა საუკუნეების მსოფლმხედველობისათვის. ცნობილია, რომ ქრისტიანული თეოლოგია მოძღვრებას ადამიანზე მიიწინვდა სამყაროსა და ღვთაების შესახებ არსებული მოძღვრების სახეობად. ადამიანის შემეცნება ნიშნავდა სამყაროს წვდომას და პირიქით, სამყაროს საიდუმლოთა ახსნას ადამიანის გაგებასთან მიყვავდით. ამდენად, იმდროინდელი ეთიკა გულისხმობდა არა მხოლოდ ადა-

მიანთა ურთიერთმიმართებას, არამედ ადამიანისა და ყოველი არსის კავშირს. ისტორია შესაქმისა, პირველ-ცოდვისა, წარდგინისა, ძველი და ახალი სჯულის შემოსვლისა, ესქატოლოგიისა თუ აპოკალიფსისა თავისი აზრით იყო ისტორია, როგორც სამყაროს განვითარებისა, ასევე ადამიანის შინაგანი ევოლუციისა.

იბადება კითხვა, აღნიშნული გარემოება ხომ არ ქმნის საფუძველს „გალობანის სინანულისანი“ მივიჩნით ფილოსოფიურ-რელიგიურ ტრაქტატად, ხოლო მკითხველზე მისი ზემოქმედების საშუალებანი ჩავთვალთ მხატვრულ დირექტივებს მოკლებულად? კითხვას იმთავითვე უარყოფითად უპასუხებს მკითხველზე ძველის ემოციური ზემოქმედების ფაქტი.

„გალობანის“ მიზანია, გადმოგვიშალოს არა ეპოქის იდეები სამყაროსა და ადამიანის მიმართების საკითხებზე, არამედ ავტორის სულიერი მდგომარეობა, მისი განცდები, ძველში ფილოსოფიურ-რელიგიური საკითხები აღძრულია იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ლირიკული გიმრის შინაგანი სამყაროს წარმოსახენად.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დავითის საგალობლის ზემოქმედება მკითხველზე სათაურადანვე იწყება. სათაურის აღქმისას მკითხველი ერთბაშად სცილდება ორდინალურს და მას პოეტური განწყობილება ეუფლება. ის გარემოება, რომ „გალობანის სინანულისანი“ სასულიერო პოეზიის არა ერთ ძველს ეწოდება, ვითარებას არ ცვლის, ორიგინალურობა მკითხველზე ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით ყოველთვის არ თამაშობს გადაწყვეტელ როლს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში სათაურის ზეგავლენის ინტენსიურობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ძველი დავით აღმაშენებელს ეკუთვნის. მკითხველი, რომლის წარმოდგენაში საქართველოს დიდი მეფე შემოსილია უქრობი დიადემით, „გალობანისადმი“ იმსჯელება ერთგვარი გაოცებითა და კდემით. „ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო, მიუტევები? ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაა გადარდებს?“ — მოკრძალებულად სვამს კითხვას ქართველი ხალხის სახელით პოეტს ანა კალანდაძე. ამ სტრიქონებში ბრწყინვალედაა გამოხატული ის ემოცია, რომელიც მკითხველს ჯერ კიდევ ნაწარმოების პირველი აღქმისას უჩნდება; იგი ერთბაშად ეუფლება მკითხველს და მისგან განსაკუთრებულ ზემოქმედებით აქტივობას არ მოითხოვს. სამაგიეროდ „გალობანის“ მხატვრული შინაარსის შემდგომი წვდომა აღარ ხდება ასე ერთბაშად. პირიქით, იგი ნაწარმოების მხოლოდ დრმა და მრავალმხრივი შესწავლის გზით ხორციელდება.

„გალობანის სინანულისანი“ ფილოსოფიური ხასიათი განსაზღვრავს იმას, რომ ძველი მკითხველისაგან თანაზროვნებასაც მოითხოვს. მკითხველი უნდა მიჰყვეს ავტორის რეფლექსს, უნდა ჩასწვდეს და ბოლომდე შეავსოს იგი. ამ თვალსაზრისით თანამედროვე მკითხველისათვის განსაკუთრებულ სიმძნელეს ის გარემოებაც ქმნის, რომ ნაწარმოებზე ჩვენგან დაცილებულ ეპოქაშია შექმნილი და მკითხველისათვის სპეციალური ვანათლებაც კია საჭირო, რათა მიჰყვეს ავტორს. ვფიქრობთ, რომ ამ ძველის ბოლომდე ამოკითხვა არც არის შესაძლებელი.

არსებითაა, რომ დავითი პიროვნების ფართო გაგებიდან ამოდის. ძველი ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებების თანახმად ადამიანი პირველცოდვის გამო დასცილდა პირველ სხვებს, ხოლო პირველსაგან დაშორება გახდა საფუძველი ადამიანის შემდგომი დაცემისა და ცოდვების გამრავლებისა. დავით აღმაშენებელი თავის თავს უყურებს როგორც პირველი ადამიანის შთამომავლს. იგი თავის ცოდვათა დასაბამს პირველცოდვის კოსმიურ ფაქტში ხედავს და ცოდვილობას ხსნის ზოგად საფუძველზე, როგორც ადამიანის დაცილებას დედაებისაგან, პირველსაგან, უმადლესი „მე“-საგან.

ამიტომ „გალობანის“ კვლევა მსოფლმხედველობრივი კონცეფციის წარმოჩენით უნდა იქნეს დაწყებული. თუ არ გვეცოდინება, როგორია დავითის შეხედულებები სამყაროსა და ადამიანზე, როგორია მისი ეთიკური პრინციპები და სხვ., ისე ნაწარმოების აზრისა და მხატვრული რაობის სწორად განსაზღვრა არ მოხერხდება.

ხოლო ამ რიგის საკითხთა ინტერპრეტაცია მოითხოვს დავითის ეპოქის ფილოსოფიურ-მხატვრული ნააზრების მეტ-ნაკლები სისრულით გათვალისწინებას. ანგარიში უნდა გაეწიოს პატრიისტიკული მწერლობის ისეთ წარმომადგენლებს, როგორცაა ნემესიოს ემესელი, გრიგოლ ნოსელი, ბასილი დიდი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვ., რადგან მათ ნაშრომებში დასმულია და გაშუქებული ქრისტიანობის ის პრობლემები, რომლებიც აქტუალობით გამოიჩინეიან შუა საუკუნეთა ფეოდალურ საქართველოში და რომელმაც განსაზღვრული როლი ითამაშეს დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობრივი შეხედულებების ჩამოყალიბებაში. საყურადღებოა, რომ სწორედ დავითის „თანადგომით“ ითარგმნება ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათვის“, „ზეცათა მდღელთ-მთავრობისათვის“, „საკვლესითა მდღელთ-მთავრობისათვის“, „საიდუმლოდ ღმრთის-მეტყუელებისათვის“ და სხვ.

1. შეხედულებები სამყაროსა და ადამიანის არსის შესახებ

მსოფლმხედველობრივ სისტემათა ისტორიის მანძილზე სამყაროსა და ადამიანის არსის საკითხი ერთ მთლიან პრობლემას წარმოადგენდა. ცალკეული ადამიანი განიხილებოდა, როგორც მაკროკოსმოსის სრული ანალოგი. ამ საფუძველზე აღმოცენებული ანთროპოლოგიური შეხედულებების თანახმად, ადამიანის ბუნება შეიცავდა ყველა პრინციპს უმადლესიდან უმადბლესამდე, მასში გაერთიანებული იყო თვისებები დამახასიათებელი უხეიანეს არსთათვის და ფიზიკური ელემენტებისთვისაც. იგივე აზრით იყო გამსჭვალული ფსალმუნთა ავტორის შეგონებაც: „მე ვთქუ: ღმერთნი სამეხართ და ანუ შვილნი მადლისანი თქუენ ყოველნი“ (ფსალ. 81,6).

ეკლესიის რელიგიური მეტაფიზიკის თანახმად, ადამიანი დასაბამითვე სამყაროს განსაზღვრული ძირითადი მიზანია. იგია სამყაროს ღვთაებრივი გამგებლობის ნამდვილი საგანიც. ცნობილი ბიზანტიელი თეოლოგის, გრიგოლ ნოსელის თვალსაზრისით, ადამიანი დასახულია უმაღლეს მეუფედ, რომლისთვისაც „განაშადა დაბადებელმან ყოველთაჲს საუნჯე სამეუფო და არს ესე ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ხერთვისნი, და ესე ცაჲ, რომელ არს მაგრილობელ მათ ზედა, დაიუნჯა საუნჯესა ამას ყოველი სიმდიდრე...“ მხოლოდ ამის შემდეგ შემოიყვანა „კაცი სოფლად უკუანაესენელ დაბადებულთა... რათა იყოს მეფე დაბადებულთაგანვე მისით“ (1,146-147). ეკლესიის მამათა თვალთახედვით, სამყაროს კოსმოგონიურ განვითარებასაც ადამიანის სრულქმნისაკენ სწრაფვა განსაზღვრავს. ქრისტიანული თეოლოგიის ფუძემდებელმა ორიგენემ თავის ოფიციალურ ოქტრინაში შეიტანა მოძღვრება სამყაროთა იერარქიაზე, რომლის თითოეული საფეხური ასახავდა ადამიანის სულის განვითარების ერთ ეტაპს. ქვეყნის არსებობის ბიბლიური ისტორიაც, პატრისტიკული თვალსაზრისით, შეფარულად მოგვითხრობს წყნამდე არსებულ სამყაროთა შესახებ, რომელთა განადგურება და აღზოცვა დაკავშირებულია ადამიანის ევოლუციის რთულ პროცესთან. ადამიანია მიზეზიც და მიზანაც სამყაროს არსებობისა.

ამასთან ერთად, ქრისტიანული თეოლოგია მოძღვრებას ადამიანზე სამყაროსა და ღვთაების შესახებ არსებული მოძღვრების სახესხვაობად სახავდა. ადამიანის შემეცნება ნიშნავდა სამყაროს წვდომას და პირიქით, სამყაროს საიდუმლოთა ახსნას ადამიანის გაგებასთან მიეკავლით.

ადამიანი პრინციპულად შეიცავს თავისი სრული განვითარების შესაძლებლობას, მან უნდა შემეცნოს თავისი ღვთაებრიობა, განსაზღვროს თავისი ადგილი სამყაროში. ამ შინაარსითაა დატვირთული ბასილი დიდის ნათქვამი: „უძნელეს არს ყოვლისავე ცნობა თავისი თვისება“. მისი რწმენით, „არა უმეტეს იცნობების ცისაგან და ქუეყანისა ღმერთი ვითარ იგი აგებულებისაგან ჩუენისა, უკეთ ვინმე გულისკმისყოფით გამოიკულებდეს თავსა თვისსა, ვითარცა იტყვს წინააღმართმეტყუელი, ვითარმედ „საკურველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩემგან“, ესე იგი არს, ვითარმედ თავი ჩემი გულისკმა ვყავ და მის მიერ გარდამეტებულებაჲ იგი სიბრძნისაჲ შენისაჲ ვისწავლე (2, გვ. 112) ბასილი დიდის მოტანილი მსჯელობა თავისებური გამეორებაა დელფოსის მისტერიითა დევიზისა: „ადამიანო, შეიცან თავი შენი და შეიცნობ ღმერთსა და სამყაროს“.

სამყაროსა და ადამიანის აღნიშნული ურთიერთმომართება ანალოგიურადაა მოაზრებული დავით აღმაშენებლის ნაწარმოებშიც — „გალობანი სინანულისანი“. სამყაროს შემოქმედია უხენაესი ღმერთი, მარტივი, სრული, სამ-შუე, ერთციცსკოვანება. ღვთაების ეს ემათეტები ქრისტიანულ თეოლოგიაზე დაფუძნებული და ამავე ნიადაგზე უნდა აიხსნას. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, რომელიც ამ მოძღვრების საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელოა, შემდეგნაირად განმარტავს ღვთაების აღნიშნულ ატრიბუტებს: „ღმერთი სრული

არს და უნაკლულო სახიერებითაცა და სიბრძნითა და ძალითა დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, სამარადისოჲ, გარეშეუწერელი, და მარტივად ითქუმიდელ, — ყოველი თ უ რ თ ს რ უ ლ ი“ (3, გვ. 347). ღვთაების სწორედ ამ თვისებებზე დაყრდნობით იოანე დამასკელი დასაბამობრივი ერთის საკითხს ასაბუთებს: „რამეთუ დაღათუ სახიერებითა, გინა ძალითა, გინა სიბრძნითა, გინა ვაბითა, გინა ადგილითა აკლდეს რამე სრულებასა, არა იყოს ღმერთ“. (3, გვ. 347). თუ მრავალი ღმერთის არსებობას დაუშვებთ, — განაგრძობს იოანე დამასკელი, მაშინ უნდა ვადიაროთ ისიც, რომ მათ შორის განსხვავებაა, ე.ი. რომელიმეს აქვს ისეთი ნიშანი, რომელიც სხვას არა, ხოლო თუ ღმერთს აკლია რაიმე ნიშანი, მაშინ სისრულე დაირღვევა და იგი აღარ იქნება ღმერთი: „აწ უკუე მრავალთა თუ ვიტყოდეთ ღმერთთა, საჭირო არს განყოფილებისა სახილველობაჲ მრავალთა შორის, რამეთუ არცა ერთი განყოფილება იყოს მათ შორის, ერთი არს უფროსდა და არა მრავანდა, ხოლო უკუეთუ განყოფილება იყოს მათ შორის, სადა არს სრულებაჲ“. მაგრამ თუ მათ შორის არავითარი სხვაობა არ არის, მაშინ ღმერთი ერთი ყოფილა და არა მრავალი: „ყოვლითა იგივეობაჲ ერთობსა უფროს და არა სიმრავლესა აწუენებს“, ამასთან, ღმერთი მარტივია და განუზავებელი. თუ იმ თვისებებს, რომლებიც ღვთაებას მიეწერება, მივიჩნევთ დამახასიათებელ არსებით თვისებებად, მაშინ იგი ესოდენ, მრავალ თვისებათაგან შემდგარი, იქნება არა მარტივი, არამედ რთული: „აწ უკუე უკუეთუ აღუგებლობასა და დაუსაბამობასა და უსხეულობასა და უკუდავობასა და საუკუნეობასა და გეგვითართა არსებითად განყოფილებად ვიტყოდეთ ღმერთსა ზედა, ესოდენთაგან შემოკრებული არა მარტივი იყოს, არამედ შეზავებული, რომელი-ესე უკუანაესენელისა უსახურებისაჲ არს“. (3, გვ. 361). ამიტომ უნდა ვიტყოდეთ, რომ „საქმარს არს თითოეულისა ღმრთისა ზედა თქუმულთაგანისა არა რამ იგი არს არსებით, მისდა წარმომიჩინებლად საკონებელ-ყოფაჲ, არამედ რამ არა არს, მისი ცხად-ყოველობაჲ, ანუ თვისებისა რამესმე წინააღმდეგომ განყოფილთაგანისა რამესმე მიმართ, რომელ არიან მიმდგომნი ბუნებისანი ანუ მოქმედებებისა (3, გვ. 361). ე.ი. ყოველი თვისება, რომელიც მიეწერება ღმერთს, გამოხატავს არა იმას, თუ რას წარმოადგენს ღმერთი თავისი არსებით, არამედ გვიჩვენებს ან იმას, თუ რა არ არის იგი, ან მის დამოკიდებულებას საპირისპირო თვისებისადმი.

დავით აღმაშენებელი ღვთაებას ერთციცსკოვანება სამ მხედ სახავს და აქაც იგი ქრისტიანულ თეოლოგიას ეყრდნობა. იოანე დამასკელი ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და დიონისე არეოპოგელის თხზულებათა დამოწმებით განმარტავს, რომ „არცა სამთა ღმერთთა ვიტყვთ — მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, არამედ უფროსდა-ერთსა ღმერთსა, წმიდასა სამებასა ერთისა მიმართ მიზევისა ალყვანებითა მისა და სულისაჲთა“ (3, გვ. 359). იოანე დამასკელი საბულისისა და არიონის მწვალებელურ შეხედულებათა დამლევის შემდეგ შენიშნავს: „ჯერ-არს შემოკლებულად თქუმაჲ, ღმრთეებაჲ და ვითარცა — სამთა მხეთა — შინა,

მახლობელთა ურთიერთსა და განუშორებელთა მყოფთა, ერთისა ნათლისა შეზავება და შეერთება“ (3, გვ. 360). ყოველივეს შემოქმედელი ყოველივესგანა აღიარებულნი: „რომლისაცა წინაშე ქედ-დადრეკილ არს ყოველი, მუკლი ყოველი მოდრეკების და ენა ყოველი შენსა კმობს აღსარებასა“¹.

ღვთისმეტყველების თანახმად, ზეცისა და ქვეცხელის არსთა მუხლმოდრეკა ზეგრძობად ასპექტშია წარმოსადგენი. მართლმორწმუნეებს ურჩევდნენ უზუნაესის წინაშე მოედრიკათ მუხლი, მსგავსად იმ არსებებისა, რომელთაც არ გააჩნიათ ფიზიკური სხეული, მაგრამ თავისი სულიერი არსით მუხლადრეკილნი არიან.

დავით აღმაშენებელი თავისი ეპოქის ფილოსოფიური თვალთახედვის კვალობაზე სამყაროს იერარქიულ წყობაში განარჩევს „მრჩობლ სოფელს“ („ვითარცა ცხად ჰყოფს თეატრომ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ“) ერთია — ზესთა სოფელი, რომელსაც ძველი ქართული მწერლობის ძეგლებით ეწოდება: „უხილავი სოფელი“, „საცნაური“, „გონიერი“, „ნამდვილ-მყოფი“, „საყდარი ანგელოზებრი“, „ჰუართა საღვური“, „სულთა საყოფი“. მეორეა — ხილული სოფელი, „ქუენა სოფელი“, „გრძობალი“, „სააქაო“.

ზესთა სოფელმა დასაბამი პირველმყოფისაგან მიიღო. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ვიინათგან უკუე სახიერმან და ზეშთა-სახიერმან დემერმან არა კმა იყო თვისი ოდენ ხედვაჲ, არამედ გარდამეტებულებითა სახიერებისა და სათნო იყო ქმნა რათამე მიმდებელთა ქველის-მოქმედებისა მისისაჲთა, რათა ქველ-ყოფილ იქნენ მისგან, ამისთვისცა არა-არსისაგან არსად მოიყვანნა და დაჰბადნა ყოველნი და ხილულნი“ (3V გვ. 53). დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეული რუს-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ შესავალი ნაწილი, რომელიც ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათისაა და ისევე, როგორც მთლიანად ძეგლისწერა, შედგენილი უნდა იყოს დავით მეფის უშუალო მონაწილეობით, იმეორებს აღნიშნულ თვალსაზრისს ზესთა სოფლის შექმნის საკითხზე.

„ხილული სოფელი“ გრძობადია. „გრძობადად ეწოდების ყოვლადვე ხილულსა, ხოლო ოდესმე შესახებელსაცა“ — ვკითხულობთ „გარდამოცემის“ ეფრემ მცირის სულ თარგმანის შენიშვნაში (3, გვ. 92), ე.ი. ხილულ სოფელს განსხვავებით უხილავისაგან გრძობათა ორგანობით აღვიქვამთ. ეს სოფელი არის „ცაჲ და ქვეყანაჲ და ყოველნი მის შორისნი“ (ფსალმუნნი-145,6). იოანე დამასკელი განმარტავს: „დემერთმა შექმნა რომელიმე უკუე არა წინა-მდებარისა ნივთისაგან, ვითარ-იგი ცაჲ, ქუეყანაჲ, ჰაერი, ცეცხლი, წყალი, ხოლო რომელნიმე ამათ მის მიერ დაბადებულთაგან, ვითარ ცხოველნი, ნერგნი, თესლნი, ესენი ქუეყანასაგან და წყლისა, ჰაერისაგან და ცეცხლისა ბრძანებითა დაბადებულისათა შექმნეს“ (3, გვ. 377). მაშასადამე, ხილული სოფლის შექმნაში მონაწილეობს ოთხი ელემენტი: მიწა,

წყალი, ჰაერი და ცეცხლი. ეს ელემენტები შეადგენენ ყოველი მატერიალური საგნის საფუძველს.

რა ადგილი უჭირავს ადამიანს სამყაროს ამ იერარქიაში? პასუხი ადრულ კითხვაზე მოცემულია „გალობანის“ შემდეგ სტრიქონებში: „საკრველად გრძობადისა და გონიერისა მყოფობისად ღამაწვეს შენებ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა“. ამ გამონათქვამში გამოვრებულია თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის ძირითადი თეზისი, რომლის თანახმადაც, შემოქმედმა განახორციელა ორგვარი ბუნების — „უხილავისა“ და „ხილულის“ კავშირი. მაგრამ რაში მდგომარეობს ხილული და უხილავი ბუნების კავშირი? როგორ არის იგი განხორციელებული ადამიანში? საკითხის ინტერპრეტაციისას მხედველობაშია მისაღები რუისურბნისის „ძეგლისწერის“ ის ადგილიც, სადაც აღნიშნულ თემაზე მსჯელობა, ოღონდ წარმოჩენილია ამავე პრობლემის სხვა ასპექტიც და საკითხის სრული გააზრების საშუალებას გვაძლევს. „ძეგლისწერაში“ ნათქვამია, რომ ადამიანის გზით ყოველი დაბადებული უკავშირდება ღმერთს და ამნაირად იგი (ადამიანი) აერთიანებს არსთა ხუთივე სახეს: ადამიანის მიერ, „ვითარცა საზოგადოებასა საკრველის მიერ, შეერთებულად ღმერთისა შემოკრებობოდინ ყოველნი დაბადებულნი და თანად ხუთივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიყენებოდინ“ (4, გვ. 543). უნდა გავითვალისწინოთ, რას წარმოადგენენ ეს არსნი და როგორ არიან ისინი წარმოდგენილნი ადამიანში. ამით გამოიკვეთება ადამიანის როლი, როგორც „გრძობადისა“ და „გონიერის“, ე.ი. ხილულისა და უხილავის შემაერთებლისა.

ხილულ ბუნებაში არსთა შორის ყველაზე დაბალ საფეხურზეა უსულო ნივთი, ხოლო ვინაიდან „ყოველი სხეული ოთხთა ნივთთაგან შეიმზადებისო, ამიტომ ადამიანის სხეულსა და უსულო ნივთებს ერთმანეთთან სწორედ ეს ოთხი ელემენტი აკავშირებს. „საკმარ არს ცნობად, — წერს იოანე დამასკელი, — ვითარმედ კაცი უსულოთაცა ეზიარების... რამეთუ ეზიარების უსულოთა უკუე ს ხ ე უ ლ ე ა ნ ო ბ ი თ ა და ო თ ხ თ ა ნ ი ვ თ ა ა გ ა ნ შე ხ ა ვ ე ბ უ ლ ო ბ ი თ ა“ (3, გვ. 401). მაშასადამე, ოთხი ელემენტის (მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი) საშუალებით ადამიანის სხეულში წარმოდგენილია დაბალი არსნი.

არსთა შემდეგი სახეა მცენარე, რომელშიც ოთხი ელემენტის გარდა მოქმედებს „ძალი მ ო ხ ა რ დ უ ლ ი“. ამ ძალის შემწეობით იგი „იზარდების“ და „აღორძინდება“ (1, გვ. 155). ადამიანის სტრუქტურაშიც გამოიყოფა „ძალი ც ხ ო ვ ე ლ ო ბ ი თ ი“, ესე იგი არს, შობლობითი და ნერგობითი, რომელი მ ზ რ დ ე ლ ო ბ ი თ ა დ ც ა იწოდების“ (3, გვ. 402). „ძალი მოზარდული“ ანუ „მზრდელობითი“ განაგებს ადამიანის ზრდას, „აღორძინებას“, გამრავლებას, იგია „შემატებისა მიმნიჭებლობითი კორცთაჲ“. მაშასადამე, ადამიანი და მცენარე ერთმანეთთან ნათესაობას ავლენს ოთხელემენტოვნებითა და „მოზარდობითითა და აღორძინებადობითითა და თესლოვნებითითა, ესე იგი, არს შობლობითითა ძალითა“ (3, გვ. 40), ანუ მზრდელობითი, აღორძინებითი ძალით.

¹ „გალობანი სინანულის“ ტექსტის ციტირებისას ვყვრდნობთ ჩვენს პუბლიკაციას. იხ. თხუ შრომაჲ, ტ. 163, 1975 წ., გვ. 180-184.

ცხოველში, რომელიც სამყაროს შემდგომ საფეხურზე მდგომი არსია, ფიზიკური სხეულისა და აღმზრდელობითი ძალის გარდა ჩნდება სხვა ნიშანიც. გრიგოლ ნოსელი მას „მგრძობელი სულს“ უწოდებს. სწორედ „მგრძობელი სული“ განაპირობებს, რომ ცხოველი „არა იზარდების, ხოლო და აღორძინდების“, არამედ „მოქმედება მისი არს გრძნობათაგან“ (1, გვ. 155). მაშასადამე, ადამიანი პირუტყვს, გარდა ზემოთჩამოთვლილი ნიშნებისა, ედარება „წადიერებითა, ესე იგი არს, გულისწყრომითა და გულისთქუმიითა და მგრძობელობისაებრ და მიმართულებითისა მოძრაობისა“ (3, გვ. 401).

ამგვარად, ადამიანში წარმოდგენილია გრძნობადი სამყაროს ყოველი არსი: უსულო ნივთი თავისი ოთხი ელემენტით, მცენარე აღნიშნული ოთხი ელემენტითა და „მზრდელობითი ძალით“, ცხოველი მის დაბლა მდგომ არსთა ნიშნებითა და საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი „მგრძობელი სულით“.

მაგრამ ადამიანში არა მხოლოდ გაერთიანდნენ გრძნობადნი არსნი, არამედ ადამიანისვე საშუალებით დაუკავშირდნენ ზეგრძნობად სულიერ არსებებს. რას წარმოადგენენ ეს ზეგრძნობადი არსნი, რომელთაც დავით აღმაშენებელი „ღვთაებრივ არსთ“ უწოდებს? ეს არსნი არიან „საცნაურნი და მცნობელნი არსებანი ღმრთის სახეთა ანგელოზთანი“ (5, გვ. 63).

ხოლო იმის წარმოსახენად, თუ რა აკავშირებს ანგელოზებსა და ადამიანს, ყურადღება უნდა შევანჩროთ ადამიანის ცნების ნემსიოს ემესელისეულ შემდეგ განსახლვრახე: „ადამიანი არის ცხოველი სიტყვური, მოკუდავი, გონებისა და ხედმიწვენულებისა შემწყნარებელი“ (6, გვ. 18). პირველი ნიშანი — სიცხოველე, ე.ი. სიცოცხლე, დამახასიათებელია ყოველი გრძნობადი არსებისათვის. ნემსიოს ემესელის თანახმად, „ესე არს სახელვარი ცხოველისა“. რაც შეეხება მეორე ნიშანს — „სიტყვერებას“, ამით ადამიანი გამოეყოფა არაგონიერ ცოცხალ არსებებს („რათა განეყოს უტყუთა“); მაგრამ სიტყვიერება ამავე დროს ისეთი ნიშანია, რომელიც ახასია-

ათებს უკვდავ არსებათ, ე. ი. ანგელოზებსაც და სწორედ მათგან გამოსაყოფად აქვს ადამიანს სხვა ნიშანიც, სახელდობრ, „მოკუდავობა“.

მაშასადამე, ადამიანის ცნების ამ განსახლვრახეში გამოკვეთილია ნიშანი, რომელიც ადამიანსა და ზეგრძნობად არსთ აკავშირებს. ეს ნიშანია სიტყვიერება, ე.ი. გონება. როგორც ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი იტყვის: „უფალმან მსახმან ბუნებისამან შეატყუთა თავსა თვსა ბუნებაჲ ჩუენ კაცისა გამოყოფითა უტყუებისაგან სულისა — ს უ ლ ი ს ი ტ ყ ვ თ ი“ (7, გვ. 207).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ თანახმად ქრისტიანული თეოლოგიისა, „სიტყვიერებით“ ადამიანი ავგირგვინებს გრძნობადი სამყაროს იერარქიას და უერთდება ზესთა სოფლის არსთ, „თანა შეეხების სიტყვერებისა მიერ უსხეულოთა და გონიერთა ბუნებათა“ (6, გვ. 18). ადამიანში გაერთიანებულია ხუთივე სახე „არსთა განყოფილებისანი“: უგრძნობელი მატერია, მცენარე, ცხოველი, ადამიანი, ანგელოზი. ამიტომ არის ადამიანი „მეორე რამე სოფელი, მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა“ (4, გვ. 543).

ადამიანით არა მარტო სრულდება სამყაროს შექმნა, არამედ დგას რა იგი გრძნობად და ზეგრძნობად სამყაროთა მიჯნაზე, აერთიანებს მათ ერთ მთლიანობად. სწორედ ამაშია ადამიანის კოსმიური დანიშნულება. იგი შუამავალია ზეცასა და მიწას შორის. მისი საშუალებით ხორციელდება კავშირი იდეალურისა მატერიალურთან.

მაგრამ ადამიანი, როგორც დავით აღმაშენებელი იტყვის, უმაღლო ექმნა ღმერთს, დასცილდა პირველ ხატს და სათავე დაუდო ბოროტებას. რით იყო გაპირობებული ადამიანის ეს გადახრა? დასმულ კითხვას პირველცოდვის პრობლემასთან მივყავართ. უნდა გავითვალისწინოთ რა საფუძველზეა აღმოცენებული ადამიანის ცოდვილობის შესახებ დაკანონებული დოგმა, რა შეადგენს ყველა რელიგიისათვის ამ საერთო მოძღვრების არსს.

ლ ა უ რ ა ბ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. უჭველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1964.

2. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.

3. რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, სადოქტორო დისერტაცია, ნაწ. II, თბ., 1967.


4. ძველისწერა წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისა... იხ. დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. ლოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975.

5. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის გამოცემა, თბ., 1961.

6. ნემსიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, თბ., 1914.

7. იოანე პეტრიწის შრომები, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.





მეფეო ღაპიო

სწყუროდი საქართველოს, როგორც უდაბნოს წყალი,
სწყუროდი საქართველოს, როგორც უჩინოს თვალისჩინი,
სწყუროდი საქართველოს, როგორც სნეულს ჯან-ღონე,
სწყუროდი საქართველოს, როგორც სითბო ნაზამთრალს.
მოხვედ-მახვილო მესიისა, მოხვედ-წყალობა გლახაკათო,
მოხვედ-შენდობა ცოდვილთა, მოხვედ-შებრალეა ქვრივ-ობოლთა,
მოხვედ-გამარჯვება მამულისა, მოხვედ-დამარცხება მტრისა,
მოხვედ-გამრთელეა კავკასიის, მოხვედ-აღზევება ქართველთა,
მოხვედ-აღშენება გაენათისა, მოხვედ-შუქი სწავლისა,
მოხვედ-უსამართლოთა სამართალო, მოხვედ-ნუგეში უნუგეშოთა,
მოხვედ-სიხარული მწუხარეთა, მოხვედ-სიბრძნე უმეცართა,
მოხვედ-დაუნდობელი დაუნდობელთა, მოხვედ-გზა სანთელ-
საკმეველისა,
მოხვედ-აღდგენა დანგრეულისა, მოხვედ-გამრთელეა
დაფლეთილთა,
მოხვედ-შეკრებად გაბნეულთა, მოხვედ-საქართველოსთვის შუქო
მზისაო,
გოლგოთიდან საქართველოს გადმომხსნელო.
მოხვედ და დაგიხვდით ისევ გაფანტულნი, ისევ დაგლეჯილნი და
აწეწილნი,
ისევ გონებადაბნეულნი, ისევ ამპარტავანნი და დიდგულნი,
ისევ მტერთაგან გათელილნი, ისევ ერთმანეთის ვერმცნობნი,
ისევ ციხებურჯდანგრეულნი, ისევ ჩვენ-ჩვენთვის განდგომილნი,
ისევ უღმერთონი და გულგრილნი, ისევ სათარეშონი ბილწთა,
ისევ ორპირნი და გამცემნი, ისევ საქართველოს წამგლეჯნი,
ისევ გამყიდველნი ძმათა, ისევ უმეცარნი და ვერმცნობნი,
საკუთარისა და სხვათა,
ისევ ქედღადრეკილები, მზის თვალის ვერგამსწორებელნი,
ერთმანეთის არშემწყალებელნი,
სიყვარულგანმარცხულნი, რწმენასთან მოდავენი,
მხერადაშრეტილნი, უგულდვიპლონი.

მოხვედ და გამოანათე, ისევ იმედად უიმედოთა, ისევ აღსადგენად
 დანგრეულთა,
 ისევ გამრთელებად საქართველოს, ისევ რწმენად ურწმუნოთა,
 ისევ გვარად უგვაროთა, ისევ გამბედაობად შემკრთალოთა,
 ისევ მოხვედ ჟამთა სიავისაგან გადამალულო, ისევ მოხვედ!
 მშვიდობა შენს მოსვლას!
 ე-ჰეი, სრულიად საქართველოვ, მოვიდა-ურჯულოთა
 მომრჯულებელი,
 მოვიდა-დიდგორის გამარჯვება, მოვიდა თბილისის
 თავისუფლება,
 მოვიდა-მგალობელი სინანულისა, მოვიდა-განაშენებულთა
 სიმრავლე,
 დავითი-გული საქართველოსი, დავითი-ძარღვი საქართველოსი,
 დავითი-სისხლი საქართველოსი, დავითი-რისხვა მტრის.
 მოვიდა, საქართველოვ, მოვიდა დავითი-მახვილი მესიისა, მოვიდა!
 გიხაროდენ, დიდო მეფეო. გამოღვიძება საქართველოსი,
 გიხაროდენ, დიდო მეფეო. გამობრწყინება საქართველოსი,
 გიხაროდენ, სარწმუნოების დაბრუნება, გიხაროდენ, ზარების
 ხმა სამრეკლოების,
 გიხაროდენ, დაბოქლომებულთა გახსნა, გიხაროდენ, მართალთა
 ღალადება,
 გიხაროდენ, ჩვენი ენის ამოდგმა, გიხაროდენ, უფსკრულიდან
 ამოსვლა,
 გიხაროდენ, ქართველნო, გიხაროდენ, დაიჩოქეთ და ეცით თავყანი,
 საქართველოში დაირწა მისი აკვანი,
 დიდება ხსოვნას იმისას, ნათელს იმისას, იმედს იმისას,
 დ ი დ ე ბ ა !

ლალი ღვანოსიძე





და იწყო

აღმოცისკრებად

ბნელსა უკუნესა მზემანს

მუხლმოდრეკილი მეფე უფალს ცოდვათა მიტევებას ევედრება. მხოლოდ ცოდვები ახსენდება და სინანულით მიმართავს უფალს: „ხატსა თვისსა მამსგავსე... მეფობისაცა შარავანდნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი... და სჯულისა შენისა მოწამე, სჯული გონებისა, ცოდვისა და ხორცთა სჯულსა დავამონე. თითოეულთა მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე... სოლომონისასა წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად... ბოროტად გარდავჰხედ საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა... ვერცხლი, ვითარცა მიწა, და ოქრო ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯენ, თაყვანი ვეცანგარებისა მამონას... შემასმენელთა დავიტკბენ ზრახვანი, და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი. ცრემლნი ქვრივთანი და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწვალე... მილხინე, ჰოი, მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა, და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა“.

ქართული ლირიკის შედეგს, საიდანაც დამოწმებულია ეს სტრიქონები, „გალობანი სინანულისანი“ ჰქვია, ხოლო მისი ავტორი არის დავით აღმაშენებელი. შესაძლოა, „გალობანი“ ჩაითვალოს მწიგნობარი მეფის კალმით შექმნილ ვარიაციებად ქრისტიანული მონანიების თემაზე.

მხოლოდ დიდსულოვან ადამიანებს ძალუძთ ასე ხმა-დაღლა, დაუფარავად და მწარედ აღიარონ თავიანთი ჭეშმარიტი თუ გაზვიადებული ცოდვები. დიახაც, ვაჟა-ფშაველამ მეფის გულწრფელ აღსარებას, მაგრამ კიდევ ასი ჩადენილი ცოდვა რომ ჩამოეთვალა, ასმაგად გადაწონიდა ის დიდი მადლი და ენით გამოუთქმელი ამაგი, რომელიც დავით აღმაშენებელს მიუძღვის საქართველოს წინაშე.

ამიტომაც არის, რომ თითქმის ცხრა საუკუნის შემდეგ ანა კალანდამე მოწიწებითა და გაცხებით კითხება სახელოვან ქართველ მეფეს: „თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო, რაღა ქანა ცოდვილთ, სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მოველთა?“ — და პასუხად ესმის: „ფხვი დამადგით, გულზე დამადგით ფხვი ყოველთა...“

ჩვენც, ბუნებრივია, ვიზიარებთ პოეტის მოწიწებულ გაცხებას დავით აღმაშენებლის თვითგვემის გამო. თუ დავუჯერებთ და ცოდვილად მოვნათლავთ, მართლაცდა,

რაღა დავარქვათ სხვადასხვა ჯურის ავაცებებსა და მოლაღატეებს, რომელთა წარწყმედილი სახელები და შემხარავი საქმენი შავ ლაქებად აღბეჭდილა საქართველოს ისტორიის ფურცლებზე.

... განგებამ უძიმეს ჟამს მოუვლინა საქართველოს მეფე, რომელსაც სულ მალე ქვეყნის ღირსეულ მესაჭედ შერაცხავენ და „აღმაშენებელს“ უწოდებენ. ეტყობა, ისტორიული კანონზომიერება იყო, რომ ბოროტი უნდა დაედგია კეთილს და დავით აღმაშენებლის მოვლინებაც ამ გარდუვალ კანონზომიერებათა რიგს ეკუთვნის. რა მოხდებოდა, რომ არ დაბადებულიყო? ეგებ ცხოვრება თავისას გაიტანდა და მაინც არ გადაშენდებოდა საქართველო? ეგებ, უდავითოდაც მოგვით დიდგორის ომი, ავგოთ გელათის ტაძარი? მაგრამ ამგვარი მსჯელობა ბაღღურ იწილო-ბიწილოს უფრო წააგავს და არაფერი აქვს საერთო ისტორიულ მეცნიერებასთან, რომელმაც უნდა შეისწავლოს ის, რაც მოხდა.

დიახ, უძიმეს ჟამს მოუვლინა საქართველოს მხსენლად და აღმაშენებლად ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ სიტაბუკეში, თექვსმეტი წლისას, მეფის ბრძკვი-ალა და უძიმესი გვირგვინი დაადგეს თავზე.

ქართველი მემატიანის ორიოდე ფრაზა, ლაკონიურობითა და ხატოვნებით რომ გამოირჩევა, შთამბეჭდავად გადმოგვცემს იმდროინდელ ვითარებას: „და იქმნა საძაგელ ქვეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგოდეს ქვეყანასა თვალნი... და სისხლის მწვიმელი დრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა და იქმნა დამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა.“

თურქ-სელჩუკთა გამოჩენა ისტორიის ავანსცენაზე, მართლაც, სტიქიურ უბედურებას ჰგავდა-წარღვნას თუ გრიგალს, რომელთაც ადამიანი ვერაფრით უმკლავდება და მხოლოდ თავის გადარჩენაზედა ფიქრობს, ღმერთისა და ლოცვა-ვედრების იმედიღა ასულდგმულებს.

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველომ სწორედ ამგვარი განსაცდელი იკემა. თურქ-სელჩუკები მკვეთრად განსხვავდებოდნენ იმ დამპყრობელთაგან, მანამდე რომ ენახათ ჩვენში. მომთაბარე მეჯოგენი, დელაწულიანად აყრილნი, უხარმაზარ ტალღებად მოედინებოდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ცეცხლითა და მახვილით

იპრობდნენ ქვეყნებს, რათა ისინი იალაღებად და ყიშ-
ლაღებად გადაეციათ. სელჩუკებმა მთლიანად დაიმორ-
ჩილეს ისინი, აიღეს ბაღდადი, მანაზკერტთან დაამარ-
ცხეს ბიზანტიის კეისარი, დაეპატრონენ მცირე აზიის
უდიდეს ნაწილს, ააოხრეს სომხეთი, შეიჭრნენ იერუსა-
ლიმში. ძლიერი დამპყრობლის პირისპირ ეულად დარ-
ჩენილი საქართველო არნახული საფრთხის წინაშე აღ-
მოჩნდა. ყანებისა და ბაღ-ვენახების ადგილას ჩნდებოდა
სელჩუკთა ჯოგების საძოვარი, მარჩენალი მიწიდან აყ-
რილი გლეხობა მთებში იხიზნებოდა.

თანადროული სომხური და ქართული წყაროები შე-
მაძრწუნებელი ფერებით გვიხატავენ სელჩუკთაგან გა-
პარტახებული ტერიტორიის სურათს. არისტაკეს ლას-
ტივერტეცის სიტყვით, კალამს არ ძალუძს მაშინდელ
უბედურებათა აღწერა. მთელი ქვეყანა ავსებულა გვამე-
ბით, მტერს გადაუწავს ტყეები, სახლები, ეკლესიები.
მხიარულება ქრებოდა პირისაგან მიწისა. ყველგან ის-
მოდა გოდება და მოთქმა, ტირილი და კვნება. შეწყდა
მღვდელთა გალობა და ადარავეთ კითხულობდა წიგნს
მსმენელთა სანუგეშებლად, ვინაიდან წამოთხველი ამო-
ეწვერტათ, ხოლო წიგნები ნაცრად ექციათ. აღარსად
იხდიდნენ ქორწილს და აღარ ზეიმობდნენ ყრმათა და-
ბადებას. აღარ ივსებოდა კალოები ხორბლით და საწ-
ნახელები — ღვინით. ქვეყნის მოსახლეობა ორ ნაწილად
იყო გაყოფილი: გაჟღეტილებად და ტყვედწაყვანილე-
ბად.

სომეხი მემბტიანე სომხეთის ტრაგედიას მოგვით-
ხრობს, ქართველი მემბტიანე-საქართველოსას. „და არა
იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა. მოოხრდა ქვეყანა
და ტყვედ გადმოიქცა და ნაცვლად კაცთა შტეცნი და
ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“.

არაბი ისტორიკოსის იბნ ალასირის ცნობით, სელ-
ჩუკთა იმპერია, მალიქ-შაჰის დროს, ჩინეთის საზღვრე-
ბიდან სირიამდე იყო განფენილი და მას ბიზანტიის
კეისარიც კი უხდიდა ხარკს. მენავეებს, რომლებმაც
მალიქ-შაჰი და მისი ლაშქარი აზრ-დარიაზე გადაიყვან-
ეს, ქალაქ ანტიოქიაში გადაუხადეს განხარჯელო, რათა
თვალნათლივ ეგრძნოთ თავიანთი მბრძანებლის სამ-
ფლობელოთა თვალწევდენელი სივრცე. ქალაქ ლატაკი-
ასთან, სირიის სანაპიროზე, მალიქ-შაჰმა ხმელთაშუა
ზღვის ტალღებში შეაგდო ცხენი და აღაპს მადლობა
უძღვნა ესოდენ უხვი წყალობისათვის.

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასული
დაებითი შეურიგებელ ბრძოლას იწყებს დამპყრობელთა
წინააღმდეგ. მისი უპირველესი მიზანი იყო-სულით და-
ცემული ხალხის გამოფხიზლება, გამხრევა; აღდგენა
თითქოსდა სამუდამოდ გამქრალი რწმენისა და შეუპოვ-
რობისა, სელჩუკთაგან არაერთხელ დამარცხებული და
დაჯაბნილი მეომრების გაწვრთნა; და, რაც მთავარია,
შინაური მტრების მოთოკვა. ნაბიჯ-ნაბიჯ, მოთმინებით
და ურყევი იმედით შეუდგა ამ მიზნის განხორციელე-
ბას, ქართველ ერს უფსკრულიდან რომ ამოიყვანდა და
აღმავლობის ბილიკზე დააყენებდა.

ნათქვამია, ბედი ძლიერთა მხარეზეაო. საგარეო ფაქ-
ტორები ხელს უწყობდნენ დაეით აღმაშენებელს საქა-
რთველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 1092

წელს გარდაიცვალა სელჩუკთა ყველაზე სახელგანთი-
მული ხელმწიფე მალიქ-შაჰი და მისმა მემკვიდრეებმა
დაუყოვნებლივ გააჩაღეს დავა სამეფო ტახტისათვის. ამ
დაუნდობელი შეხლა-შემოხლის თვალსაჩინო სურათის
წარმოსადგენად ერთადერთი ფაქტის დასახელებაც იკმა-
რებდა: უფლისწულ ბარქიაროის დედა ტყვედ ჩაუვარდა
მის უმცროს ძმას მუჰამედს და სიკვდილით იქნა დას-
ჯილი.

საქართველოსთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღ-
მოჩნდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა. დაეით აღმა-
შენებლის ისტორიკოსი გვაუწყებს: „ამას ჟამსა გამოვი-
დეს ფრანგი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია და
შეწვენიდა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართველთა, გან-
ძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მის-
ცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიხამთრებ-
დეს ქართლსა“.

... როგორც ცნობილია, 1095 წელს, ქალაქ კლერმონში,
რომის პაპმა მოიწვია საეკლესიო კრება და მუზნებარედ
იქადაგა-მოუწოდებდა მთელ თავის სამწყსოს, რომ სას-
წრაფოდ დამრულიყვენენ აღმოსავლეთის ქრისტიანეთა
დასახმარებლად. ურჯულოები ჩვენს მოძმეებს ხოცავენ
და ატყვევებენ, ეკლესიებს ანგრევენო. უფლის სახელით
მიმართავდა ყველას, მდიდარსა თუ ღატაკს, ყოველგვა-
რი ღონე გაედოთ „წმიდა მიწის“ განთავისუფლებისა-
თვის. რომის პაპი ამბობდა: აქაური მიწა ძლივს გა-
საზრდობთ, ამიტომაც ერთმანეთს კბენთ და ჭამთ, ერ-
თმანეთს ებრძვით და სასიკვდილო ჭრილობებს აყენებ-
თო. ვინც აქ უპოვარი და მწუხარეა, იქ მდიდარი და
მხიარული გახდებაო, რადგან იერუსალიმის უნაყოფი-
ერესი მხარე ამქვეყნიური სამოთხეა, სადაც თავლისა
და რძის მდინარეები მოედინებიახო. მსმენელთ შეახსე-
ნებდა ფსალმუნის ღებქს („ღმერთო, შევიდეს წარმართნი
სამკვიდრებელსა შენსა, და შეაგინეს ტაძარი წმიდა
შენი...“) და უქადაგებდა: დაე, შეწყდეს სიძულვილი
თქვენს შორის, დაღუძდეს მტრობა, მოისპოს შუღლი,
დადექით გზას უფლის საფლავისაკენ, წარმართებს
წაართვით მიწა და დაისაკუთრეთო. პასუხად გაიხმა
ერთსულოვანი შეძახილი: „ღეუს ლე ეოლტ!“ („ღმერთს
აგრე სწადია!“), რაც პაპმა ღვთისაგან შთაგონებულ
ხმად მიიჩნია და ჯვაროსანთა საომარ დევნიად აღი-
არა. მეგრე გაიმეორა მაცხოვრის უკომპრომისო მრწამსი:
„რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიღგეს
მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“.

ასე მიეცა დასაბამი ჯვაროსნულ ლაშქრობებს.
ბიზანტიელი მემბტიანის სიტყვით, ფრანგები ყოველდღ
მხრიდან მოვარდნილი მდინარეებზე დაიძრნენ აღ-
მოსავლეთისაკენ და სიმრავლე მათი აღემატებოდა ზღვა-
ში ქვიშას და ცაში ვარსკვლავებს.

1189 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია, მომდევნო
წელს-იერუსალიმი. ჯვაროსნული ქრონიკის ავტორი აღ-
ტაცებით მოგვითხრობს, რომ იერუსალიმის ქუჩები
ჩახერგილი იყო გვამებით, ხოლო ტაძრის მახლობლად
რაინდთა ცხენებს სისხლი მუხლამდე სწვდებოდა. არაბი
ისტორიკოსის მტკიცებით, 15 ივლისს, პარასკევს, რო-
დესაც დაემხო იერუსალიმი, მზეც დაბნულდა და დღისით
ვარსკვლავები აციმციმდნენ ცაზე. დაემოწმათ არაბი
პოეტის მოთქმაც: „ჩვენი სისხლი შევრია ცრემლს; აღარ

დარჩა თავშესაფარი, სადაც გავქცევით ვარაშს, ჩვენ რომ დავფორთვუნა... ძენო ისლამისა, როგორ ძალგაძობ დახუჭობთ თვალი იმ ვაგების ტყვეობაში, რომელიც გააღვიძებდა ღრმა ძილში ჩაფლულს? ნუთუ არაბთა თავისუფლების შეურიგდებიან ამგვარ ბოროტებას? ნუთუ სპარსეთის მეომარნი ქედს მოუხრიან ამგვარ შერცხვენას? და თუ ისინი დათმობენ ზეციურ ჯილდოს, ნუთუ არ აცდუნებთ ბრძოლა ნადავლის მოსახვეჭად?”

საქართველოს მძლავრი მოკავშირე გაუნდა სირია — პალესტინაში დამკვიდრებული ჯვაროსნების სახით, ფრთები შეესხა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უინი გაუათქვედა.

კორნელი კეკელიძე, თამარის ისტორიკოსის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, ვარაუდობდა ქართველების მონაწილეობას პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მეცნიერის ვარაუდი მწერლის შემოქმედებითა ფანტაზიამ მხატვრული სინაშვილის სურათად აქცია, ლოგიკურად რომ გამოდინარეობს ჯვაროსანთა და საქართველოს შორის არსებული კონტაქტებიდან. კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელში“ ვკითხულობთ, რომ იერუსალიმს სალოცავად წასული საქართველოს დედოფლის მცველთა რაზმი ანტიოქიის მახლობლად თურქ-სელჩუკებს შეეტაკება და ჯონდი ერისთავი ხელშუბით განგმირავს მაჰმადიან ამირას. მწერალი განაგრძობს: „როცა ჯონდი ერისთავმა ანტიოქიის ციხეში მთართვა ბოჭქმუნდს იავი სიანის თავი, ნორმანელმა რაინდმა გადაკოცნა ქრისტიანი „ბერძენი“, ნორმანული ხმალი უბოძა მას თავისი, რომელზედაც ეხატა მგლის თავი. მერე გაუღიმა უცნობ რაინდს და ეს უთხრა: „ღეუს ლე ვოლტ!“

გამოხდა ხანი და დავით აღმაშენებელმა ჯვაროსნებს რაინდულად გადაუხადა მოყვრობა-მოკავშირეობის ვალი.

როდესაც ანტიოქიის სამთავროს გამგებელი როჟერი დაიღუპა მაჰმადიანებთან ომში და იერუსალიმის მეფე ბალდუინ მეორეც საფრთხეში ჩავარდა, ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ადრინდანვე უწოდებდნენ ქრისტიანობის წინა ბურჯს აღმოსავლეთში. იოანე ბატონიშვილი („კალმასობის“ ავტორი) გვაუწყებს, რომ 1119 წელს ზემოხსენებული ბალდუინი „მოვიდა იღუმალ ქართლსა შინა“. როგორც ჩანს, იგი დახმარებას სთხოვდა დავით აღმაშენებელს. მომდევნო წელს ქართველები თავს ესხმიან ჯვაროსანთა მთავარი მტრის, ილდაზის სამფლობელოებს. არაბი ისტორიკოსის ალფარაკისა და ანტიოქიის სამთავროს კანცლერის გოტიეს ერთობლივი მოწმობით, საქართველოზე მაჰმადიანთა ლაშქრობის თაოსნობა და წინამძღოლობა სწორედ ილდაზიმ აიღო საკუთარ თავზე. მას განზრახული ჰქონდა დავით მეფის განადგურება, რათა თავისი ზურგის უსაფრთხოება მოეპოვებინა და ხელები გახსნოდა ანტიოქია-იერუსალიმის დასამორჩილებლად. მაგრამ ჯვაროსნებმა თავად ისარგებლეს ილდაზის გალაშქრებით საქართველოში და რამდენიმე გამარჯვებას მიაღწიეს შეთხლებულ მტერთან ბრძოლაში. ხოლო ილდაზი, როგორც ცნობილია, დიდგორის ომში სასტიკად დამარცხდა, მძიმედ დაიჭრა და ერთი წლის შემდეგ სული განუტევა.

გოტიეს ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი ჯვაროსანი რაინდი. ალბათ, მათი ნაამბობის მიხედვით გადმოგვცემს ბრძოლის ამბავსა და დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს მხედრობისადმი მიმართულ სიტყვასაც.

გამოცდილი მხედართმთავარი უკანდასახვე გზას უჭრიდა თავის მეომრებს.

იბნ ალ-ასირის მიხედვით, საომრად გამზადებულ ქართულ მხედრობას უეცრად ორასი ყივჩაღი გამოეყო და მტრის რიგებისაკენ გასწია. ეტყობა, მათი მშვიდობიანი მარში ეჭვს არ იწვევდა. მაჰმადიანებმა მოლაპატებელ მიიჩნიეს და ხელი არ შეუშლიათ, ვიდრე ყივჩაღებმა იარაღი არ იშეშლეს. ილდაზის უზარმაზარი ლაშქარი პანიკამ მოიცვა. დავითმა მყისვე ისარგებლა ამით და ორივე ფლანგიდან წამოიწყო მძლავრი შეტევა (შოთა მესხია თავის წიგნში „ძღვევაჲ საკვირველი“ შენიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის ამ ტაქტიკურმა ხერხმა სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევართა ყურადღება მიიქცია).

დიდგორის გამარჯვება მთელი საქრისტიანოს ტრიუმფად იქცა.

დიდგორს მოჰყვა თბილისისა და სომხეთის დედაქალაქის, ანისის განთავისუფლება მაჰმადიანთაგან.

სელჩუკთა ხელშეწყობით სანჯარი ბალდაღის ხალიფას შემოფოთებით შეახსენებდა მაჰმადიანთა თავზე დატეხილ უბედურებებს: მულიდათ (ანუ ასასინთა) მძლავრობას ხორასანში, ჯვაროსანთა მიერ სირია-პალესტინის დაპყრობას, ქართველთა თარეშს ისლამის ქვეყნებში და მაჰმადიანთა უზენაეს მბრძანებელს გამოსარჩლებას სთხოვდა.

თამაზად შეიძლება ითქვას, რომ თურქ-სელჩუკთა იმპერიის დაქვეითება-დაცემის საქმეში საქართველომაც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი.

ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორიის ფრანგი მკვლევარი რენე გრუსე აღნიშნავს: „მაჰმადიანური სამყაროს გასაჭირთა ჩამოთვლისას არ უნდა დავივიწყოთ მოხსენიება საქართველოს ქრისტიანული სამეფოს ექსპანსიისა კავკასიის სამხრეთში. ქართველი ხელმწიფის, დავით აღმაშენებლის (1089—1125) ზეობისას, ქართველთა ექსპანსია, რასაც ერთხანს ამუხრუჭებდნენ მალიქ-შაჰი და მისი ძე მუჰამედი, სელჩუკთა დასუსტების წყალობით, ისევე გაგრძელდა და დაწყებულ იქნა განთავისუფლება სომხეთის მიწებისა. 1121 წლის აგვისტოში შეჭირვებულმა სულტან მაჰმად იბნ მუჰამედმა ქართველთა წინააღმდეგ წარგზავნა თავისი უმცროსი ძმა თოდრული და ილდაზი, ართუკიანთა ამირა მარდინისა. მაგრამ საქართველოში შეჭრილი ლაშქარი განადგურდა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც მერე თბილისიც დაიბრუნა მაჰმადიანთაგან. 1124 წელს ძღვევამოსილმა ქართველებმა აიღეს ანისი. თურქ-სელჩუკთა ამ დიდმა მარცხმა ჩრდილოეთში ისევე ძლიერ შეაძრწუნა მაჰმადიანური სამყარო, როგორც ფრანკთა გამარჯვებებმა სირიაში. კავკასიიდან ბალდაღს ჩასული მაჰმადიანები ივერებთან ანტიქართული საღვთო ომის წამოწყებას ისევე, როგორც მაჰმადიანები ალეპოლდან აქეზებენ ხალიფას ანტიფრანკულ საღვთო ომზე, მაგრამ ეს მოწოდებანი

ამო იყო... ქრისტიანული ამიერკავკასიის გამოღვიძებისა და ფრანკთა მიერ სირიის ოკუპაციის შედეგად, თურქ-სელჩუკთა სამყარო გრძნობდა, რომ ყოველი მხრიდან ემუქრებოდნენ.

დიდგორის გამარჯვება ციდან არ ჩამოფრენილა. ძღვეამოსილების აბჯარი გულმოდგინედ იჭედებოდა წლების მანძილზე. საჯარო ვითარება, დიახაც, სწავლობდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მაინც მისი საშინაო რეფორმები იყო, რომელთაც დღიდან ტახტზე ასვლისა ენერგიულად და თანმიმდევრულად ახორციელებდა. საქართველოს მეფემ, წინაპართა გამოცდილებით, მშვენივრად იცოდა, რომ შინაური მტერი გარეულზე არანაკლებ ზიანს აყენებდა ქვეყანას. როგორ უნდა მოეწოდებინა ხალხისათვის დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა, როდესაც ირგვლივ უსამართლობა და განუკითხაობა სუფევდა; როდესაც უბრალო მოკვდავს მხოლოდ მაშინ შეეძლო ეპოვა სამართალი, თუკი გზაში სადმე დაუდარაჯდებოდა მეფეს და თავის გასაჭირს შესჩივლებდა. როგორ უნდა აღედგინა ხალხის მხნეობა და რწმენა, როდესაც სულიერი მოძღვარნი ქვეყნისა, საღვთო რჯულის ერთგულების ნაცვლად, საწინააღმდეგო მაგალითებს აძლევდნენ თავიანთი საშფეოს, ანუ როგორც მემატიანე გვამცნობს, „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ“. ეპისკოპოსებად უღირსნი ისხდნენ. საეკლესიო თანამდებობანი იყოფებოდა. პირად ღირსებას ჩაღის ფასი ჰქონდა. დაწინაურების საწინდარი გახლდათ მაღალი ჩამომავლობა და მფარველის კეთილგანწყობა. ნიჭსა და პატიოსნებას, ცოდნასა და განათლებას პატივი ჰქონდა აყრილი. ზნეობისა და სიწმინდის ტაძრიდან უზნეობის სენი იოლად ვრცელდებოდა მტრისაგან გაპარტახებული ქვეყნის მკვიდრთა შედრეკულ-შეშინებულ ბუნებაში.

1103 წელს, რუის-ურზნისის საეკლესიო კრებაზე მეფემ, ერთგულ თანამოსაგრეთა მხარდაჭერით, მაღწია იმას, რომ დაეგმოთ არსებული უკანონობა, გადაეკენებინათ უღირსი მღვდელმთავარნი და ღირსებით შემკულ პირთათვის, ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთათვის მიენიჭებინათ შესაფერი პატივი. ამ კრებამ შეამზადა ნიადაგი, რათა ანალოგიური რეფორმები გატარებულიყო სახელმწიფო და სამოხელეო წეს-წყობილებაში.

სათანადო ცვლილებანი იქნა შეტანილი მართლმსაჯულების სფეროში. თუ წინათ სხსამართლოს უმაღლესი საფეხური მეფის ხელთ იყო, ახლა მისივე თაოსნობით, ცალკერძო მოუცვლელიობისა და ცალკერძო საქმის ინტერესების გამო, დაარსდა სამი მსაჯულისაგან შედგენილი უხენაესი სასამართლო, რომელიც აღარავის ექვემდებარებოდა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ეს ღონისძიება „ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს“.

დავითი არ გაჰყოლია მამის ფრთხილსა და გაუბედავ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობდა ერთგულთა და ორგულთა თანაბარ შეწყნარებას, ურწმუნოდანთა მოთვინიერების მცდელობას წყალობითა და ტკბილი სიტყვით. მრავალნი ამხილეს და დასაჯეს. მეფის თვალთა

და ყურთაგან არაფერი იყო დაფარული-არც კეთილი, არც ბოროტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე“. უკვე უჭირდათ ორგულობა და ღალატი, ვეღარ ბედავდნენ ვინმესთვის გაეხიარებინათ ავი ხვაშიადი. იცოდნენ, რომ მეფეს შეიძლება შეეცყო ყოველი სიტყვა და განზრახვა. დიახ, ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა არა მარტო იერუსალიმსა და რომში, ისპაანსა და ბაღდადში, არამედ-დიდგვარიანი აზნაურის სასახლესა და გლეხის ქოხში, ეკლესია-მონასტრებსა და ლაშქარში. ამგვარი მეთვალყურეობა, რა თქმა უნდა, ემსახურებოდა მხოლოდ ქვეყნის უშიშროებას. თუ მემატიანის მტკიცებას ვირწმუნებთ, სასურველი ნაყოფიც მოუხვეჭია: „ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თვით მათი მეძავთაცა ყოველთა კრძალულება“.

დავით აღმაშენებლის რეფორმათა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ყიფილთა ჩამოსახლება და მათგან მუდმივი ჯარის შექმნა, რომელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. ორმოცდახუთი ათასი პროფესიონალი მხედარი საიმედო დასაყრდენად ესახებოდა შინაური თუ გარეული მტრების წინააღმდეგ.

ეს ღონისძიება მოგვიანებით ჩატარდა. თავისი მეფობის დასაწყისში კი დავითი, ხედავდა რა მეომართა სიმცირესა და მათი საბრძოლო თვისებების უკმარისობას („თურქთა მიმართ წყობისა ყოველად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“), დაუზარებლად წვრთნიდა, ამხნევებდა, წვრილ-წვრილ შეტაკებებში აჩვევდა ბრძოლას, უბრუნებდა დაკარგულ ვაჟაკობას, მკაცრად ნერგავდა სამხედრო დისციპლინას, გულადებს ატებდა და აჯილდოებდა, ლაჩრებს ხან კაცხავდა, ხანაც დღედაციის საშისელში გამოაწყობდა ხოლმე, რათა გაეღვიძებინა მათი თავმოყვარეობა. მემატიანის მიხედვით, „საეშმაკარნი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და განება ღმრთისა საძულველი, და ყოველი უწყისობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“. ბრძოლის დროს ზურგიდან როდი ხელმძღვანელობდა მეომრებს, შორიდან როდი ესმოდათ მისი მოწოდებანი. ჯარს წინ მიუძღოდა და „ვითა ღომი შეუსახებდა ხმითა მაღლითა“.

ერთი სიტყვით, ხალხის დაბეჩავებულ-შერყვნილი სულის განწმენდასა და გამოცოცხლებაზე დაუცხრომლად ზრუნავდა. ქვეყანას დიდი გამოცდიასთვის ამზადებდა.

საშინაო ცხოვრების არც ერთი მხარე არა რჩებოდა მისი ყურადღებისა და მზრუნველობის მიღმა: ეკლესიების შენება, გზების გაყვანა და მოწესრიგება, ქარვასლებისა და ფუნდულების გაწყობა, ხიდების გადება „მდინარეთა სასტიკთა ზედა“.

დავით აღმაშენებლის რჯულშემწყნარებლობითი პოლიტიკა ხომ საქვეყნოდ არის ცნობილი: საამისო ინფორმაცია სწორედ მაჰმადიან ავტორთა თხზულებებში შემონახულა. ალ-ფარისის სიტყვით, საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან მეცნიერებსა და პოეტებს ისეთ პატივს მიაგებდნენ, როგორც თვით მაჰმადიანურ სახელმწიფოებში არ ენახათ. ჰუმანისტა მეფის რჯულშემწყნარებლობა ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურული ინტერესების

თაც იყო ნაკარნახევი. ამიტომაც არ იშურებდა შედა-
ვათებს მაჰმადიანთათვის. მაგრამ, ამავე დროს, ქრისტი-
ანული საქართველოს მტრებს მკაცრად აფრთხილებდა
ქართველი მეფის მონეტაზე არაბულად ამოკვეთილი წარ-
წერა: „მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისა, მესიის მახ-
ვილი“, შეახსენებდა მეზობელ თუ შორეულ სახელ-
მწიფოს, რომ ქრისტიანი მეფე ქრისტეს მიერ კურთხე-
ული მახვილით დიაცავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას
შინაც და გარეთაც.

როცა კი მოცილობდა სახელმწიფო საქმისაგან, უმაღ-
ვე წიგნს ეწავლობდა. წიგნის კითხვა იყო მისი შეე-
ბა და განცხრომა, სასარგებლო და გონების საწვრთნე-
ლი საქმიანობა. ძილის წინაც წიგნს კითხულობდა და
სანადიროდ წასულსაც არ ავიწყდებოდა წიგნის თან
წაღება. ნადირობას ვინ ჩივის, ბრძოლაშიც მიჰქონდა
წიგნები. ჯორ-აქლემნი მეფის ბიბლიოთეკას აიკილებ-
დნენ და დაჰყვებოდნენ ომისა თუ მშვიდობიანი მოგ-
ზარობის ჟამს. მემატიანის სიტყვით, ერთი წლის მან-
ძილზე ოცდაოთხჯერ წაუკითხავს „წიგნი სამოციქულო“. ამასთან ერთად, კარგად იცნობდა მაჰმადიანურ მწერ-
ლობასა და თეოლოგიას. ღრმად განსწავლული მეფე,
რასაკვირველია, რულუნებით იღვწოდა ქვეშევრდომთა
სწავლა-განათლების საქმისათვის.

როგორ ასწრებდა ამდენს? რაოდენ აღტაცებას იწვევს
ქვეყნის მესაჭე, რომელსაც თანაბრად ემარჯვება ხმა-
ლი და წიგნი, თანაბრად აშშვენებს ბრძოლა და ცოდნა.
განსაკუთრებით საისტორიო თხზულებანი უყვარდაო.
წარსულში ეძებდა მისაბამ მაგალითებს, ითვალისწი-
ნებდა წინამორბედთა შეცდომებსაც. ახლა ქველმოქმე-
დება ვთქვათ. დილაადრიან სასახლიდან გასულს ფუ-
ლით გავსებული ქისა მიჰქონდა და, გლახაკთა მეოხე-
ბით, სადამოს რომ დაუცარიელდებოდა, უხაროდა. თუკი
მთლიანად გაცემას ვერ მოახერხებდა, წუხდა და და-
ურიგებელ ფულს მეორე დღისთვის გადადებდა, ისევ
დასარიგებლად, ისევ გლახაკთა შესაწყალებლად.

ანდა, გავიხსენოთ მეფის ბრძანებით მშენიერ ად-
გილას აგებული ქსენონი, სადაც სწეულთა თუ ბრძო-
ლაში დაჭრილთა სასოებით უვლიდნენ, კურნავდნენ,
ჭრილობებს უშუშებდნენ. ხოლო დავით აღმაშენებელი,
ისევე, როგორც ბრძოლის ველზე, აქაც პირად მაგა-
ლითს უწვევებდა თავის ქვეშევრდომებს. ხშირ-ხშირად
ესტუმრებოდა ხოლმე ქსენონს. აკონტროლებდა, თუ რო-
გორ საწოლებზე იწვენ ავადმყოფები, როგორ იყვნენ
შემოსილნი, როგორი ჭურჭლით მიართმევდნენ საჭმელ-
სასმელს. უფრო მეტიც: „მოიკითხნის და ამბორს უყვის
თითოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, განამზნობდის მოთ-
მინებისა მიმართ“.

სახელმწიფო საქმეებით გადატვირთული და მუდამ
მოუცლელი, გადაუდებელი საფიქრალით გონდაქანცუ-
ლი და უამრავი ბრძოლებით მკლავმოდლილი მეფე მა-
ინც პოულობდა დროს ქსენონში გამწესებულ სწეულთა
სახილველად, მათი ყოფა-ცხოვრების წვრილმანების
საჩხრეკად და თვალყურის სადევნებლად.

ქართველმა ხალხმა შემთხვევით როდი შეარქვა „აღ-
მაშენებელი“. ეს ცნება მართლ საქართველოს გაერთი-
ანებას, დამოუკიდებლობის აღდგენას, ეკონომიკურ მო-

ღონიერებასა და კულტურის გაფურჩქვნას არ უკავ-
შირდება. ვგებ, უპირველეს ყოვლისა, ხალხის სული
„აღმაშენებელი“ უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც დამ-
პყრობელთაგან დამცრობილი და შემდგრეული სული
აღამაღლა, თავის ქვეშევრდომთ გამბედაობისა და უმაღ-
ლესი ზნეობის გაკვეთილები დაახეპირებინა. მოთმინე-
ბითა და გულდინჯად ატარებდა ამ გაკვეთილებს, რო-
გორც გამოცდილი მოძღვარი, და დაუღალავა გარჯამ
ამოდ არ ჩაუარა. მოწაფეებმა გულდასმით დაისწავლეს
გაკვეთილები და როდესაც დადგა ჟამი მკაცრი გა-
მოცდისა, პირნათლად დაამტკიცეს თავიანთი სიბეჯითე
და ნიჭი.

ქვეყნის უბადლო მესაჭე ქართველ მემატიანეს მე-
ორე აღექსანდრე მაკედონელად მიანდა და თვისტომთა
შედარებითი მცირერიცხოვანებით დანაღვლიანებული
შენიშნავს: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცა-
რას აღექსანდრე იქმოდა კარგსა...“

თანამედროვე ინგლისელი მწერალი ევან ჯონი თავის
რომანში „ხვალვე გაეშურე შინ“, სადაც ნაამბობია ნორ-
ვეგიელი რაინდის თავგადასავალი „წმიდა მიწაზე“
(XII საუკუნის დამლევის), სხვათა შორის აღწერს მის
ვიზიტს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. სტუმარს
მონასტრის ქართველი წინამძღვრისაგან მოუსმენია ის-
ტორია საქართველოს მეფის, განსვენებული დავით ბაგ-
რატიონისა, რომელსაც ახასიათებს, როგორც „გულ-
მოწყალე რაინდს, კეთილ ქრისტიანსა და ძლევამოსილ
მონარქს“. ჯვაროსანი რაინდი იმასაც შეიტყობს, რომ
დავით აღმაშენებელმა შეძლო მაჰმადიანთა განდევნა
თავისი სამშობლოდან და მთელი კავკასიის გაერთი-
ანება დამოუკიდებელ და ძლიერ სამეფოდ, რაც ესპა-
ნიეთის ხელმწიფეებმა აქამდე ვერ მოახერხესო (უნდა
აღინიშნოს, რომ ევან ჯონის რომანი ძირითადად ეყ-
რნობა ვეროპულ თუ ბიზანტიურ საისტორიო წყარო-
ებს და საფიქრებელია ზემოთმოტანილი ეპიზოდის არ-
სებობა რომელიმე ჩვენთვის უცნობ თხზულებაში).

დიდგორის ომმა დავით აღმაშენებელს, ცხადია, პო-
პულარობა მოუხვეჭა დასავლეთ ვეროპაში. გოტიეს მო-
ნათხრობი, ალბათ, მრავალ ხელნაწერად გავრცელდებ-
ოდა. ასე რომ, სავსებით რეალური ინფორმაცია ჰქონ-
დათ სახელგანთქმული ქართველი მეფის შესახებ, რო-
მელიც, დიდგორის ომიდან ზუსტად ასი წლისთავზე,
უკვე ლეგენდარულ პერსონაჟად გადაიქცა. მეხუთე ჯვა-
როსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლი რომის
პაპს ამცნობდა „მეფე დავითის“ მიერ მთელი „სპარ-
სეთის“ დამორჩილებას და ისევ მაჰმადიანთა ხელთ
ჩავარდნილი იერუსალიმის გამოსახსნელად გამალებულ
სვლას. როგორც ჩანს, ჯვაროსნებს ირან-ხორეზის დამ-
პყრობ მოწოდებდა სათავეში მოელანდათ „მეფე დავითი“,
ვისი სახელიც ამჯერად ჯვაროსანთა ილუზიებს ასაზ-
რდობდა.

საქართველოს მეფემ თავის დროზე სახელი გაუთქვა
თავის სამშობლოს, ხოლო ჩვენში დარჩა უჭკნობი ხსოვნა
დიდი წინაპრისა, რომელიც კვლავ და კვლავ მოძღვრავ-
და შშობელ ხალხს. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ
წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა: „ერი თავის გმი-
რებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის

მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“.

დავით აღმაშენებელი კი სიკვდილამდე ინანიებდა თავის ცოდვებს, რასაც მეტყველებს არა მარტო „გალობანი სინანულისანი“. შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძში მეფე ავალეუბდა ბერებს, ლოცვისას არ დაეცივნებოდნენ და ამგვარად შევედრებოდნენ ზეცას: „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებიანნი!“

ივანე ჯავახიშვილი, იმოწმებდა რა დავით აღმაშენებლის თვითგანსჯას, თითქოსდა ღმერთის პირით

მიუტევებდა არსებულსა თუ არარსებულ ცოდვებს: „მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და უღმობელი მსჯავრიც შთაშობაობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდი ხანია უკვე რაც თავისი პირუთენელი განაჩენი გამოსთქვა... ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“.

თამაზ ნატროშვილი

ხ ე მ ე ზ ე ბ ა კ რ უ ლ ი ლ ე მ ს ე ბ ი დ ა ნ

X X X

აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება
ყალბზე შემდგარი რაშით,
გული გაიმაგრე, გული გაიმაგრე,
გული გაიმაგრე, დავით.
რა დაგვიტოვე და რას გახვედრებთ,
რით მოვიწონოთ თავი,
ვერ ვიდავითეთ, ვერ ვითამარეთ,
ვერ ვიდიდგორეთ, დავით.
მიწა გაგვიყიდეს, ხორცი დაგვიფლითეს,
გული ამოგვკლიჯეს ტანჯვით,
გარეჯს გვიფუთქებენ,
რუსთველს გვიგინებენ,
სულში გვაფურთხებენ, დავით!
უცხო ტომელები, გადამთიელები,
ტაძრებს გვიფხაჭნიან დანით,
„გადამიარეთ“, ასე დაიბარე,
გადაგვიარეს, დავით.
ვერ მოვუფროხილდით, სრულიად საქართველოს,
ვერ მოვუარეთ კრწანისს,

ჰერეთს მივსტირით, ტაოს მივსტირით,
სამცხეს მივსტირით, დავით.
კენესის საქართველო, შენი საქართველო,
გულში დაჭრილია ხარი,
მუხლი მაგარი აქვს, არ დაიწოქებს,
ნუ გეშინია, დავით!
თბილისი მაინც ისევ თბილისობს,
გელათი ისევ ჰყვავის,
იძალებიან ისევ ლეკვები
საღიდაგორენი, დავით.
მეფედ შენ გვსურხარ, შენ გვიპატრონე,
შენი ხმლითა და ფარით,
სხვას არავის ვცნობთ, სხვას არავის ვცნობთ,
სხვას არავის ვცნობთ, დავით.
აღმაშენებელი თბილისს შემობრძანდა,
ქართველი ხალხის მაღლით,
მუმლი მუხასაო, მუმლი მუხასაო,
მუმლი მუხასაო, დავით!

მაია მკვდლიაშვილი





გ ე ლ ა თ ი

გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ქუთაისის მახლობლად, მდინარე წყალწითელას ხეობაში მდებარეობს. XII საუკუნიდან შემორჩენილ ძეგლებს შორის იგი ყველაზე მნიშვნელოვანი და თვითმყოფადი ნაგებობაა.

ზოგიერთი მეკლესიარის აზრით სახელწოდება „გელათი“ დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში არ არსებობდა. იყო მხოლოდ მისი პირვანდელი ფორმა „განათი“, რაც სხვივით განათებულს ნიშნავს, „გელათი“ უფრო მოგვიანებით უწოდეს.

სამეფო მონასტრის დაარსებამდე, გელათი საკულტო ადგილი უნდა ყოფილიყო, რაზედაც ნათლად მეტყველებს მონასტრის გალავნის გარეთ, სამხრეთ მხარეზე დღემდე შემორჩენილი წმ. საბას საყდრის ნანგრევები, რომელიც X—XI საუკუნით თარიღდება.

გელათის მონასტრის აშენებას საქართველოს დიდ მეფეს, დავით IV-ს უკავშირებენ (1073—1125), რომელიც ისტორიაში აღმაშენებლის სახელითაა ცნობილი.

როგორც მემატრიანე გადმოგვცემს, „დავითმა მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა ადგილსა შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა“.

თითქმის მეოთხედი საუკუნე აგებდა დავით აღმაშენებელი გელათს და ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო მის დათავრებას. ერთ-ერთ ანდერძში დავითი უბრძანებს შვილს: „დამრჩა ეს მონასტერი უსულოდ... და წამყვა გულის ტკივილი მისითა, ხოლო მეფემან დემეტრემან, შვილმა ჩემმა, სრულყოს მონასტერი ყოველთვის სალოცავად“.

გელათის მონასტრის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელიც იმ პერიოდის ძეგლებისაგან გამოირჩევა თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, შეიცავს სამ ეკლესიას, აკადემიის შენობას, ძველ კარიბჭეს, სამრეკლოს, საცხოვრებელ შენობებს და ქვით ნაშენ ზღუდე-გალავანს.

გელათის მთავარი ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის სარკმელებიდანაც ტაძარში უხვად იღვრება კაშკაშა სინათლე. იგი აგებულია მკვრივი, მორუხო-მოყვითალო ფერის თლილი ქვით. ფასადები შექმნილია დეკორატიული თაღებით. ტაძარს ამშვენებს შვერილი აფსიდები, ჯვარის მკლავები, ექვტრები და ფრონტონები. ტაძარში ვხვდებით მე-12

საუკუნის პირველი ნახევრის კედლის მხატვრობის იშვიათ ნიმუშებს, რომელთა შორის გამოირჩეული ადგილი უჭირავს მოზაიკას.

აღსანიშნავია განთქმული მოზაიკა საკურთხეველის ნახევარსფეროზე. კომპოზიციის ცენტრში, ოქროსფერ ფონზე გამოსახულია ღვთისმშობელი, რომელსაც ხელში ყრმა ქრისტე უჭირავს, მის ორივე მხარეს დგანან მთავარანგელოზები — მიქაელი და გაბრიელი. სპეციალისტების აზრით, აქ წარმოდგენილი კომპოზიცია იმდენად ორიგინალურად, ექსპრესიითა და დინამიკურად არის შესრულებული, რომ მას ბადალი არ მოეპოვება იმ დროის მსოფლიო ხელოვნებაში.

აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში — „საქართველოს ხელოვნების ისტორია“, წერს: „გელათის მოზაიკა მხატვრული თვალსაზრისით წარმოადგენს მონუმენტური ფერწერის ღრმად გააზრებულსა და სრულყოფილ ნაწარმოებს, რომელიც თავისი საერთო კულტურული დონით მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის კედლის მხატვრობის მოწინავე ნაწარმოებთა დონეზე დგას“.

გელათის მოზაიკურ მხატვრობას, სამართლიანად უტოლებენ კიევის, სოფიის, ვენეციის წმ. მარკოზის სახელობისა და სხვა ქვეყნების დიდი ტაძრების განთქმულ მოზაიკურ მხატვრობას. ამიტომაც უჭირავს მას საპატიო ადგილი მე-12 საუკუნის მოზაიკური ფერწერის საყოველთაოდ აღიარებულ ძეგლებს შორის.

ტაძარში დაცული ფერწერის ძეგლები გამოირჩევიან ოსტატური შესრულებითა და ორიგინალობით. ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე სამეფო ტანსაცმლით შემოსილი დავით აღმაშენებელია გამოსახული. მას თავზე სამეფო გვირგვინი ადგას, მარცხენა ხელში კი გელათის ეკლესიის მოღვლე უჭირავს. დავითის სურათს ახლავს ორ სვეტად შესრულებული ასომთავრული წარწერა: „დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი, საუკუნოდმცა არს ხსენება დავით მეფისაა, ამინ“.

დავით აღმაშენებლის მარჯვნივ გამოსახულია მისი თანამედროვე, აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი, რომელიც მონაწილეობდა ტაძრის მშენებლობაში. აქვეა გიორგი ლაშას, რუსუდანის, ბაგრატ III-ისა და სხვათა ფრესკები.

ტაძრის კედლებზე უხვადაა გაბნეული სხვადასხვა

ეპოქის ფრესკები: „ლაზარეს აღდგინება“, „ხარება“, „შობა“, „ღვთისმშობლის მიძინება“, „წმიდა გიორგი“ და სხვა.

მოთავარი ტაძრის დასავლეთით მდებარეობს წმ. ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესია. პირველი სართული ოთხ სვეტზე მდგარ ღია თაღებს წარმოადგენს, მეორე სართული კი — მრავალწახნაგოვან მინიატურულ ეკლესიას, რომელიც აშენებულია XIII საუკუნეში.

ამ ეკლესიის დასავლეთით მდებარეობს აკადემიის შენობის ნანგრევები. იგი სწორკუთხა ფორმის საკმაოდ ვრცელი და სინათლიანი შენობა უნდა ყოფილიყო. შენობას დასავლეთის მხრიდან აქვს მდიდრულად მორთული კარიბჭე, რომელიც აგებულია XIV საუკუნეში.

მონასტრის სამხრეთ მხარეზე მოთავსებულია მისი დამარსებლის, საქართველოს დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის საფლავი.

გელათის ტაძრის ღირსშესანიშნაობებს მიეკუთვნება ეგრეთწოდებული „ღარუბანდის რკინის კარები“, რომელიც საშხედრო ნაღავის სახითაა მოტანილი.

დავით აღმაშენებლის გონივრული პოლიტიკის წყალობით საქართველოს გაერთიანებისა და გათავისუფლებისათვის ხანგრძლივი ბრძოლა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ წარმატებით დამთავრდა. ამ დროს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში აღმოჩნდა მთელი ამიერკავკასია „ნიკოფსიდიდან დარუბანდამდე“. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება გელათის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა.

დავით აღმაშენებლის პიროვნებას მშვენივრად ახასიათებს მისი მოძღვარი და თანამოაზრე არსენ იყალთოელი: დავითი იყო, საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, ნათლისფერ, ვითარცა ელვა დრუბელთა შორის, მშვენიერი ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის, ვითარცა სიყვარული სათნოებათა შორის, ძლიერი ვითარცა ღობე მხეცთა შორის, ბრძენი, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, უზარო ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის, საყვარელ ვითარცა იოანე (ღვთისმეტყველი) მეგობართა შორის, მხურვალე ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, მკვირცხლი ვითარცა პავლე მოციქულთა შორის“. ამასთანავე, დასძენს მემატიანე, იგი იყო: გონებაგრცელი, განსწავლული, ზნემაღალი, შრომით განსპეტაკებული, უმშვენიერესი სახით, ტანად ახოვანი, უგონიერესი მოქმედებით, „ჯვრითა მტერთა მძლეველი“, „საქართველოს „რკინის კარი“, მქონებელი და უმონებელი თავისუფლებისა, ერისა და ღვთის მსახურებაში დადლილი, ვალმოხდილი მამულიშვილი, „მესიის მახვილი“, ავტორი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებისა „გალობანი სინანულისანი“.

დავით მეფემ მშვენივრად იცოდა, რომ ისლამურ სამყაროსა და შინაურ სეპარატიზმთან ბრძოლაში მართლ ხმალი არ იყო საქმარისი. საჭირო იყო ზრუნვა სახელმწიფოებრივი კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. იმ დროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მაღალმა დონემ, სახელმწიფოებრივი და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულმა მოთხოვნებამ განაპირობა გელათში შექმნილი რელიგიური ცენტრი, მეცნიერულ-ლი-

ტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დიდი კერა — გელათის აკადემია.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სიტყვით „ქართული რენესანსის პოეზია განვითარდა გელათის აკადემიის მიერ მითითებული გზით, რომ საქართველოში რენესანსის იდეოლოგიური ცენტრი — გელათის აკადემია, ანტიკურ პერიოდში არსებული ქართული აკადემიების ტრადიციების განახლება იყო. იგი შეიქმნა რეალური მოთხოვნების ნიადაგზე და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს“.

ქართული რენესანსი, უპირველეს ყოვლისა, იყო აღორძინება იმ მდიდარი აღმოსავლური, თუ ანტიკური სულიერი ტრადიციებისა, რომელმაც ადრეულ საუკუნეებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენში. ამ მოძრაობის ცენტრი გახდა გელათის აკადემია, რომელიც ქრისტიანული აზროვნების უმნიშვნელოვანეს სავანედ იქცა.

უძველეს წერილობით წყაროს „გელათის აკადემიის შესახებ წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. მისი გადმოცემით, გელათი იქცა „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უადრეს მისსა. საღმრთოთა შინა წესთა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 330—331).

ანალოგიურ შეფასებას აძლევს გელათის მისი დიდი მეხოტბე, იოანე შავთელიც: „ვნატრი ელაღსა, თვით მას გელათსაო“. (შავთელი, „აბღულმესიანი“).

დავით მეფემ დიდი ღონისძიებები გაატარა მონასტრის მატერიალური უზრუნველყოფისათვის. რამდენიმე სოფელთან ერთად მას გადასცა კლდეკარის ერისთავთა საგვარეულო სამფლობელო — „მაჰული ლიბარტეთი“, აგრეთვე უამრავი განძი და ძვირფასეულობა. გარდა ამისა, „გელათს შემოკრიბნა“, კაცი პატროსანნი ცხოვრებითა და შემეული ყოვლითა სათნოებითა, არა თხსსა ოდენ სამეფოსა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანასა კედეთა. სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობიძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დამკვდრნა მას შინა“. (ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, თბილისი, 1894 წ., გვ. 82).

მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამოღვაწეოდ მოწვეული სწავლული ქართველები შემეული უნდა ყოფილიყვნენ სიწმიდით, სისპეტაკით, კეთილშობილებით, პატიოსნებითა და სათნოებით. ამ თვისებებთან ერთად მათ კიდევ ერთი ნიშანი — „სისრულე“ მოეთხოვებოდათ.

თუ მუშაკი არ იყო „სრული“, რაც საბას მიხედვით უნაკლოს ნიშნავს, ისე არ მოიწვევდნენ მას სამოღვაწეოდ. გელათში სწავლულ ადამიანებს იწვევდნენ იმის მიხედვით, თუ რაოდენ სრულყოფილად გამოიყურებოდნენ ისინი, აგრეთვე, „ხორციელ სფეროში, ყოფაცხოვრებაში“ (ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგნი I, თბილისი, 1945 წ., გვ. 215).

გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა დიდი ქართველი

ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომლის შესახებ ცნობებს მისივე ნაშრომებიდან ვგებულობთ.

იოანე პეტრიწმა განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044—1047 წელს დაარსებულ მანგანის აკადემიაში. იგი იყო მოწაფე გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის, იოანე იტალიისა და მიქაელ ფსელოსის, რომლებმაც გარკვეული მიმდინარეობა — ნეოპლატონიზმი შექმნეს ფილოსოფიურ აზროვნებაში, დაახლოებით 1083 წელს. ამ ჯგუფმა ოფიციალური წრეებისაგან დევნა განიცადა. მათ შორის იყო იოანე პეტრიწიც. იგი იძულებული გახდა საქართველოში გამოემგზავრებულყო. მცირე ხნის შემდეგ, იოანე ბულგარეთს გაემგზავრა და მოღვაწეობა განაგრძო გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის ქართული მონასტერთან შექმნილ სემინარიაში. გარკვეული მიზეზების გამო XII საუკუნის დამდეგს იოანე პეტრიწონის მონასტრიდან საქართველოში ბრუნდება და მოღვაწეობს გელათის აკადემიაში.

იოანე პეტრიწი ცდილობდა პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფია შეეცვალა პროკლეს ნეოპლატონური ფილოსოფიით. მან თარგმნა რამდენიმე ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო თხზულება. იოანე პეტრიწი, როგორც ნეოპლატონიკოსი, საქართველოში ქმნის ფილოსოფიურ მიმართულებას. მან ქართული ლიტერატურა გაამდიდრა არისტოტელისა და ნეოპლატონიკური შრომების თარგმანებით, დაურთო ვრცელი კომენტარები, შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია და სხვა.

გელათში ითარგმნა, გადაიწერა და შეიმკო ქართული და უცხოური, უმთავრესად ბერძნული შწერლობისა და მეცნიერების არაერთი დიდი ძეგლი, არაერთი ორიგინალური ქართული თხზულება, რომლებიც თავისი დროის მსოფლიო მეცნიერებისა და ფილოსოფიის საუკეთესო ნიმუშთა დონეზე დგანან.

იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოთარგმნა არისტოტელეს „ტოპიკა“ და „განმარტებისათვის“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთის მეტყველებითნი“ და სხვა.

გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მეცნიერების თითქმის ის შვიდივე დარგი, რაც ბიზანტიაში. ესენი იყო: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.

გელათის აკადემიის პირველი „მოდვართ-მოდვარი“ ანუ რექტორი იყო ქართული და ბიზანტიური ფილოსოფიის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი იოანე პეტრიწი. იგი, იმავე დროს, სახელმწიფო უმაღლესი სათათბირო ორგანოს — დარბაზის ავტორიტეტულ წევრად ითვლებოდა. კორნელი კეკელიძის აზრით, გელათის მოძღვართ-მოდვარი ფილადელფური საქართველოს განათლების მინისტრი იყო. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, იგი მეფის უახლოეს პირს და მრჩევლს წარმოადგენდა.

ე. თაყაიშვილი „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ სა-

მეფო კარის მოძღვართ-მოდვარს უფრო მეტი და განსხვავებული პატივით ეყურებოდნენ, ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს, ხოლო მისი პატივი ზოგჯერ ჭყონდიდელის პატივსაც აღემატებოდა. სამეფო კარზე მიღებისას მოძღვართ-მოდვარს შესახვედრად მეფე ნოხის პირამდე მოვიდოდა („მეფე ნოხთა პირსა მიეგებვისო“), მაშინ, როდესაც კათალიკოსის შესახვედრად მხოლოდ ნოხის მესამედს გამოივლიდა („ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“). (ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოკვლევათა და რედაქციით, თბილისი, 1920 წ., გვ. 13).

სამეფო კარზე მოძღვართ-მოდვარს წვევის შემთხვევაში განსაკუთრებული მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა სამეფო კარის დიდებულებს, „შინაური დარბაზის ერს“. მოძღვართ-მოდვარისათვის უნდა გაეგზავნათ ერთი ჯორი და სამი ცხენი. სამეფო კარზე მოწვევისას მოძღვართ-მოდვარს განსაზღვრული რაოდენობის მოწაფეებიც უნდა წამოჰყოლოდა, რომელთათვის კიდევ ორ ცხენს აგზავნიდნენ.

საგვარაუდოა, რომ მოძღვართ-მოდვარი განაგებდა სამეფოში განათლების საქმეს და მასვე ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მეფის - წულის სწავლა - განათლებაზეც.

გელათში მოღვაწეობდა მეორე ცნობილი ფილოსოფოსი, არსენ იყალთოელი. არსენი იოანე ტარიჭისძესა და თეოფილე ხუცეს-მონაზონთან ერთად 1114 წელს მოსულა საქართველოში დავით აღმაშენებლის მოწვევით.

გელათის აკადემიაში მოღვაწეობისას არსენმა თარგმნა საეკლესიო კანონ-სამართალი, რომელსაც ეწოდა „დიდი სჯულის კანონი“.

აღსანიშნავია გელათის აკადემიის დავლი ქართული ოქრომჭედური ხელოვნების განვითარების საქმეში. XII საუკუნეში ჭედური ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ოპოზისა და ტბეთის სკოლის შემდეგ გელათი ითვლებოდა.

გელათმა ამ მხრივ სრულიად დამოუკიდებელი სტილი და ტექნიკური შესრულების წესი შეიმუშავა, რომლის გავლენაც დიდხანს არსებობდა საქართველოში.

გელათის სკოლის მიერ შექმნილი ოქრომჭედური ხელოვნების ძვირფასი ძეგლები ადასტურებენ, რომ აქ სხვა დარგის სწავლეულებთან ერთად შემოკრებილნი იყვნენ ოქროჭედისა და მინაქრის განთქმული ოსტატები, მხატვრები, რომლებმაც განავითარეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული ოქრომჭედური ხელოვნება და ფერწერა.

ხატებს შორის თავისი სინატივით გამოირჩევა ხახულის ღვთისმშობელი, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება. აღმაშენებელმა ეს ხატი თურქ-სელჯუკთა ხშირი თავდასხმების გამო გელათის მონასტერში გადმოასვენა. ღვთისმშობლის სახე ტიხრული მინანქრითაა შესრულებული.

გელათში მოღვაწეობდა დიდი ქართველი მგოსანი იოანე შავთელი.

პლატონ იოსელიანის ცნობით, შავთელი თამარ მეფის შემატანის დახასიათებით იყო „კაცი ფილოსო-

ფოსი და რიტორი“. „ყოვლად განთქმული და საკვირ-
ველი მოღვაწეობითა შინა და ლექსთა გამომთქუმელი“.
შაველმა შეთხზა „აბღულ მესიანი“ (ქართლის ცხოვ-
რება, გვ. 101).

გელათის აკადემიამ XVI საუკუნის 20-იან წლებამ-
დე იარსება, თუმცა, გელათში შემდგომაც გრძელდე-
ბოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ამავე ხანებში
გელათში ფართო მასშტაბით წარმოებდა ხელნაწერი
წიგნების გადაწერა. ამის შესახებ საინტერესო ცნობა
შემოუნახავს XVI საუკუნის გელათური ხელნაწერი წიგ-
ნის წინასიტყვაობა-ანდერძს. ანდერძი გვიხასიათებს
აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიძის პირველი საყვარე-
ლიძის (1579—1612) დიდ ღვაწლს საეკლესიო წიგნე-
ბის გადაწერისა და გასრულების საქმეებში. იგი, თურმე,
„ჭეშმარიტად იჭიროვდა და ამკობდა პატიოსანთა საყ-
დართა კახეთით, ქართლით, იმერეთით, ოდიშით და
გურიით და დასდებდა ღიდროანსა და პატიოსანთა ყოვ-
ლითურთ შემკობილსა წიგნებსა“.

გელათური ხელნაწერი წიგნები, რომელთაგან ზოგი-
ერთს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, ამჟამად ქუთაისის
ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

გელათისათვის გულმოდგინედ ზრუნავდნენ და მას
მატერიალურ დახმარებას არ აკლებდნენ საქართველოს
მეფეები: დიმიტრი I, გიორგი III, თამარი, ლაშა —
გიორგი, დავით ნარინი და სხვ.

XV საუკუნიდან, გელათის მონასტერი იმერეთის მე-
ფეთა საკუთრება გახდა. იმერეთის მეფეთაგან განსაკუთ-
რებით აღსანიშნავია მეფე ბაგრატ III-ისა და გელა-
თელი მღვდელმთავრების: მელქისედეკ საყვარელიძის,
ევდემონ ჩხუტიძის, ანტონის, ზაქარია ქვარიანისა და
სხვათა სამეურნეო-აღმშენებლობითი და კულტურულ-
მწიგობრული საქმიანობა.

ძველი ქართული წყაროები მეფე ბაგრატ III-ს
(1510—1565) გელათის „მეორე აღმაშენებელს“ უწოდებ-
ენ. მის დროს განახლდა წმ. გიორგისა და მთავარანგე-
ლოზის ეკლესიები, მასვე მოუხატავს და შეუმკია მთავა-
რი ტაძრისა და წმ. გიორგის ეკლესიის კედლები და
სხვ. ბაგრატ III მე-16 საუკუნის 20 - 30-იან წლებში
გელათში დააარსა საეპისკოპოსო.

გელათის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარ-
მოადგენდა XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს
კათალიკოსის რეზიდენციის გადმოტანა აფხაზეთიდან
გელათში, რაც მოჰყვა თურქთა მომძლავრებას შავი
ზღვისპირეთში. კათალიკოსს დაუთმეს წმ. გიორგის ეკ-
ლესია.

ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებ-
ლო მუშაობა გელათში XVI—XVIII საუკუნეებშიც
გრძელდებოდა, მაგრამ არა ადრინდელი მასშტაბით.


აღნიშნული წყაროები და მემატრიანეთა ცნობების
ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გე-
ლათის აკადემიას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა სა-
ქართველოს კულტურის ისტორიისათვის, როგორც მან-
განის აკადემიას ბიზანტიისათვის (შ. ამირანაშვილი.
ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I).

გელათის აკადემია, რომელმაც ოთხ საუკუნეზე მეტი
ხნის განმავლობაში იარსება, იყო საქართველოს სა-
მეფოს უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო კერა,
სადაც თავისი ეპოქის შესაბამისი „სიბრძნე ბუდობდა
და საიდანაც ეს სიბრძნე შეეძლოთ მიეღო ყველა იმით,
ვინც ამიერიდან საქართველოს გარშემო ერთიანდებო-
და“ (საქართველოს ისტორია, 1955, გვ. 158).

მეფე პარიკლიძე

„განვიხილავთ შემოსულ მტრებისაგან საქართველო და
გაადიდ-გააკლიმებო ის, და მიტოვებ ნაღვსა და ისტო-
რიაჲ უწოდებ მას „აღმაშენებელად“... მიტოვებ კი არა, რომ
ის აშენებდა ციხე-დარბაზებს, მონასტრებს, ხიდიებს,
გუმბაზს და სხვათა, არა! მიტოვებ, რომ იმან ააშენა მოქ-
ლი საქართველო და გაადიდა მოქლი სამეფო. ქართული
თქმულებაჲ: „მეფე შვილისაგან უნდა ითავსებოდესო“,
მ. ი. რაც მეფე ვერ მოასწროს და დააკლდეს, ის შვილ-
მა უნდა ააშენოსო და ქართლად, დავით აღმაშენებლის
ნამოყვარლობა ასრულდებდა ამ ნათქვამს; შვილი მეფის
ათავსებდა, თანდათან უმატებდა ძლიერებას...“

ს ა კ ა კ ი წ ა რ მ თ ე ლ ი



გელათის აკადემიის ისტორიიდან

ვერობის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით ჩვენში არ არსებობს 800 ან 700 წლის უნივერსიტეტი. მაგრამ საქართველოში უძველესი განათლების ისტორია მე-4 საუკუნიდან იწყება; აქედან მოვიდებული სხვადასხვა დროს, როგორც კი ამისათვის ოდნავ მაინც ხელსაყრელი დრო დგებოდა, ჩვენს მიწა-წყალზე თუ მის ფარგლებს გარეთ უძველესი განათლების რამდენიმე მძლავრი ქართული კერა იქმნებოდა. ამ წერილში შევხებით მე-12 საუკუნის დამდეგს გელათში დაფუძნებულ „სხუად ათინად“ წოდებულ, აკადემიის ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

დავით აღმაშენებლის ხანგრძლივი, დაუცხრომელი მოღვაწეობა უწინარეს ყოვლისა თურქ-სელჯუკთაგან აზრებული ქვეყნის ჭრილობების მოშუშებისაკენ იყო მიმართული. სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, რაც „დიდმა თურქობამ“ თავს დაატეხა ჩვენს ქვეყანას, მომთაბარეებმა „დაწვეს... უდაბნონი კლარჯეთისანი“, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს განათლების კერებს წარმოადგენდნენ. მართალია, საქართველოს „სინაჲ“-ის ანუ კლარჯეთის „აიორ-შეტ“ საგანგს და საერთოდ ქართული კულტურის კერებს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის პირველ მეოთხედში, ბიზანტიის კეისრის ბასილ I ბულგარომუსერელის შემოსევის და ქართველთა და ბერძენთა შორის გაჩაღებული დიდი ომიანობის შედეგად ძველი ბრწყინვალეობა მოაკლდათ, მაგრამ მათი ძირფესვიანად განადგურება და გაღაწვა თურქ-სელჯუკთა „დამსახურებაა“.

დავით მეოთხის აღმშენებლობით საქმიანობაში ერთ-ერთ საბატიო ადგილზე დგას სწორედ გაღაბულ ქვეყანაში დროებით ნამკედარი სავანმანათლებლო საქმიანობის განახლება და ეპოქის შესაბამისად მისი თვალსაზრისით დაწინაურება.

როდესაც სელჯუკები წინანდებულად უკვე პარპაშს ვედარ ბედგენენ საქართველოს მიწა-წყალზე, და გარდა ამისა, თითქმის ასი წლის განზე დგომის შემდეგ 1105 წელს ერწუხის „ემა-გასმენილი“ ბრძოლით დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოურთა პერეთ-კახეთი ერთიან საქართველოს, მან, მისი ისტორიკოსის სიტყვით, იხება „აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოიარნა მადლმან საღმრთო მან აღგილსა ყოვლად შეუნიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა... რომელი ზეშთა მპატს შეუნიერებასა ყოველთასა“.

ლაპარაკია გელათის ღვთისმშობლის მონასტრის „აღშენებაზე“, რომელიც 1106 წელს დაწვებულა. ამ მონასტერთან, როგორც ეს დღეს დადგენილია, არსებობდა მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო კერა, აკადემიის ტიპის უძველესი სასწავლებელი, სადაც დავით აღმაშენებელმა თავი მოუყარა საქართველოსა თუ მის გარეთ მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს: „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატროსანი ცხოვრებითა და შემუშენი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენსა შეფოთა შინა პოვნილი, არამედ ქუეყანასა კიდეთა სადათცა ესმა ვითმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და გორციელითა სათნოებითა აღსაესებობა... მოიყვინნა და დაამკურნა მას შინა“.

ღვთისმშობლის მონასტერთან აკადემიის დაფუძნება მოხდა 1106-1110 წლებს შორის. სწორედ ამ წლებში „კელისინა შინა გაენათისასა“ დაემკვიდრა საქართველოში მეორედ ნამოსული დიდი ქართველი მეცნიერი იოანე პეტრიწი, მრავალგზის დევნილი, აძვირად დავითის „წყალობისა“ და „თანადგომისა“ მოიმედა. გელათის მონასტერთან აკადემია რომ დაარსდა, ამაში საკვირველი არაფერია; შუა საუკუნეებში აკადემიები სწორედ სამონასტრო სისტემაში შედიოდნენ.

გელათის აკადემიაში მისი დაარსების პირველ წლებშივე იოანე პეტრიწს გარდა, მოღვაწეობს ახვევ დიდი მეცნიერი არსენ ივალთოელი, რომელიც იოანე ტარიჭის ძესა და თეოფილე ხუცესმონაზონთან ერთად, 1114 წელს მისულა საქართველოში.

იმდროინდელ უმდიერეს, ზოგჯერ განსხვავებულ მსოფლმხედველობათა მქონე (აღიარებულია, მაგალითად, რომ ორი დიდი ფიგურა ამ ეპოქისა იოანე პეტრიწი და არსენ ივალთოელი ერთიმეორის იდეური მოწინააღმდეგეები იყვნენ და მანგანის აკადემიაში ცნობილი აზრთა ჭიდილი აქ მათს დაპირისპირებაში პოულობდა გაგრძელებას) ქართველ მეცნიერთა დამკვიდრებამ გელათში განსაზღვრა აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობის ფართო მასშტაბები. ისევე როგორც მე-12 საუკუნეში გაძლიერებული ქართული სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე (დავითის ისტორიკოსის სიტყვით, დავითმა „სულტანი დასუა მოხარედ თვსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახელუკული თვისი“), ახვევ მე-11 საუკუნის მიწურულში,

მანგანის აკადემიის დაცემისა და სელჯუკთა მიერ იერუსალიმის შევიწროების შემდეგ, დავითის ისტორიკოსის თანახმად, გელათის აკადემია „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მომღურად სწავლულებისად, სხუად ათინად“.

იერუსალიმისა და ათენის შეერთებით ერთი ცნების — გელათის — ქვეშ დავითის ისტორიკოსი ხაზს უსვამს გელათის აკადემიაში გაშლილ როგორც საღვთისმეტყველო, ისე საფილოსოფიო მუშაობას.

დავით აღმაშენებელმა მისივე თაოსნობით დაფუძნებული გელათის აკადემია მატერიალურად საფუძვლით უზრუნველყო. მან მრავალი მჭირფახეულობა შესწირა გელათის ღვთისმშობლის მონასტერსა და, მასთანადავ, მის სისტემაში შემაჯალ აკადემიას. მონასტრის განმკებლობაში „მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლოდ-მიუხუშველთა სოფელთა თანა“ დავითმა გადასცა „მამული ლიბარტეით“, რომელიც „უმკვდროდ დარჩომილ იყო“. როგორც აღნიშნულია, აქ „ლიბარტეით“ ლიბარტის საკუთარ საგვარეულო მამულს გულისხმობს (ვ. დონდუა), რომელიც ისტორიულ არგვეთში მდებარეობდა. ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელმა მონასტერს „უზრუნველი ტრაპეზი განურჩინა“.

ამასთანავე ირგვევა, რომ აკადემიისათვის სამონასტრო სისტემაში გამოყოფილი იყო კაპიტალური, გრანდიოზული შენობა.

გელათი, ვითარცა სამეფო მონასტერი, განსაკუთრებული პრივილეგიებით ხარვებლობდა. თავის საქმეებს თვითონ განაგებდა, უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა.

საერთოდ ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას აქცევდა სამეფო მონასტრების მშენებლობას (ასეთები იყო შიომღვიმე, გელათი, დავითგარეჯი და სხვა), მაგრამ გელათის მონასტრის მნიშვნელობა, როგორცა სწინს, მასთან არსებული აკადემიის წყალობითაც იმდენად დიდი ყოფილა, რომ მე-14 საუკუნისათვის, „აქლმწიფის კარის ვარიტების“ დაწერისას, მხოლოდ გელათს შემორჩენია განსაკუთრებული უფლებები; მის გარდა, „აქლათისაგან კიდევ სადარ(ნ)ი და სხუნი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა ჭჳონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საეკლესიო(ა)“.

* იბეჭდება მცირედლ შემოკლებით.

ქვეყნის საერთო აღმავლობის წყალობით გელათის აკადემია ბრწყინავს მთელი მეთორმეტე საუკუნის მანძილზე. აკად. კ. კეკელიძის აზრით, აქ უნდა იყოს (1125—1155 წლები) იოანე ქსიფილიანოსის მეტაფრასები, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შემონახულა და ამდენად ქართული თარგმანი ავსებს უმდიდეს ხარვეზს სასულიერო მწერლობის ისტორიაში. ამ კაპიტალური შრომის თარგმანი კონკრეტული კეკელიძის თქმით, კუთვნიან იოანე პეტრიწის ერთ-ერთ მახლობელ შვიტს.

გელათში უფრო და უფრო მეტი რაოდენობით შემოკრბნენ ფილოსოფოსნი, მთარგმნელები, მწერლები, პოეტები და სხვანი; გელათის აკადემია, აკად. შ. ნუცუბიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართული რენესანსის იდეოლოგიურ ცენტრად“ გადაიქცა.

გელათის აკადემია ხდება ხოტბის საგანი სახელმწიფო იოანე შავთელისა, თამარის თანამედროვესა, რომელსაც თავისი ოდა 1210—1212 წლებში, გელათის აკადემიის არსებობის მეორე საუკუნის დასაწყისს, დაუწერია: „ახლო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მეოფთა ყოველთა“ და შემდგომ: „განატი ელადსა, თვით მას გელათსა“.

გელათის აკადემიის ხელმძღვანელი, რექტორი, მამინდელი ტერმინოლოგიით მოძღვართ-მოძღვარი ფრიად პატივცემული პიროვნებაა სამეფო კარზე, სადაც მას დროდადრო იწვევენ ხოლმე და სადაც იგი თავისი მოწაფეების თანხლებით მობრძანდება. კარის ვარიეტების მიხედვით „მოძღვართ-მოძღვარი უფრო მეტი პატივი აქვს, წარს აკად. ე. თაყაიშვილი, ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს. პატივი მისი სწორია ჭკონდიდლის პატივისა, მაგრამ ზოგჯერ ამასაც მერტობს, მეფე მას ეპურობა განსაკუთრებული ყურადღებით და განსაკუთრებული პატივის მინიჭებით, როდესაც მოძღვართ-მოძღვარს დარბაზს მიიწვევენ, მას უნდა აახლონ დარბაზის ერთი...“

ფიქრობენ, რომ გელათის აკადემიის პირველი მოძღვართ-მოძღვარი, რექტორი, იოანე პეტრიწი იყო.

როგორც ხეობი აღნიშნულია, გელათის აკადემია წარმოადგენდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ სასწავლო კერასაც, უმაღლეს სასწავლებელს; პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, გელათის აკადემიაში „დისციპლინათა სწავლება აგებული უნდა ყოფილიყო ცნობილ სისტემაზე trivium-quadrivium, ე. ი. ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია“, რადგან ბიზანტიის ბევრ უმაღლეს სკოლაშიც სწორედ სწავლების ასეთი სისტემა არსებობდა. ამას აფიქრებინებს პატივცემულ მეცნიერს აგრეთვე იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში დაცული ცნობები, თუმცა, როგორც თვითონვე შენიშნავს, ეს ბოლოსიტყვაობა საქმოდ არეული და დამახინჯებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული და აღნიშნული საკითხი საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება.

ჯერ კიდევ პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა ივარაუდა და სხვა მკვლევარები უშუალოდ ცნობენ, რომ გელათის აკადემიაში ისწავლებოდა:

მედიცინაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათში მონასტრისა და აკადემიის დაარსების შემდეგ, უშუალოდ მითხრობილი აქვს დავითის მიერ ქსენონის, სავადმეფოს, „აღშენების“ შესახებ: „ამან უზუთაესმან და ღმრთივ-განბრძობილმან მეფემან დავით“ „ეკუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტყბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყურებისა თვისისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შეუნიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა მძანი, თუთოსახითა სენითა განცდილინი და მოუშადა ყოველი საკმარი მათი“.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი იმ მოსაზრებით, რომ „ბიზანტიაში ცნობილია სისტემა დაწესებულია: მონასტერი, უმაღლესი სკოლა, ქსენონი“, ვარაუდობს დავითის მიერ ქსენონის აგრეთვე გელათში აგებას.

ქართული მედიცინის ისტორიის ერთ-ერთ მკვლევარს მიხედვით შეგანგებულად მაინცნია გელათში ქსენონის არსებობა და აკადემიაში მედიცინის სწავლებაც. მისი, აზრით, „გელათის საექიმო საქმიანობასთან და უმაღლესი სამედიცინო განათლების არსებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული არსენ იყალითელის მიერ იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ „მეორედ გადმოღება ქართულ ენაზე (აღრე ის თარგმნილი იყო ფერეგ მცირის მიერ) და იოანე პეტრიწის მიერ ნემესიოს ექსელის „ბუნებისათვის კაცისას“ გადმოღება ბერძნულიდან; ორივე ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე გელათში მათი მოღვაწეობის პერიოდს ეკუთვნის“. რაც შეეხება „ბუნებისათვის კაცისას“, შ. შენგელიას აზრით „მისი თარგმნა გელათის აკადემიის პრაქტიკული სასწავლო საჭიროებით იყო გამოწვეული“, ასევე აკად. ივ. ბერიტაშვილიც თავის ნაშრომში „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში“ მიუთითებს, რომ გელათის აკადემიაში ისწავლებოდა მედიცინა და „ბუნებისათვის კაცისა“ სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი.

ვარაუდობენ აგრეთვე, რომ გელათის აკადემია აზნადგენდა მხატვრებს, ფერწერის ოსტატებს, რომ მას დიდი დეწალი მიუძღვის ქართული ოქროვალური ხელოვნების წინსვლის საქმეშიც.

ვეფიქრობთ, გელათის აკადემიაში ყურადღება ექცეოდა აგრეთვე საერთოდ მსოფლიო ისტორიისა და განსაკუთრებით საქართველოსა და კავკასიის წარსულის შესწავლას. როგორც აღნიშნავენ მანგანის აკადემიაშიც ისწავლებოდა ისტორია (როგორც საერთო, ისე რელიგიის); მაგრამ რაც მთავარია, ჩვენ ამას გვაფიქრებინებს მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ხასიათი, იმ ეპოქის სულის გათვალისწინება, როდესაც გელათის აკადემია დაარსდა.

აღსანიშნავია, რომ იოანე პეტრიწს გელათში უთარგმნია სისტორიო თხზულება ცნობილი ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიოსისა (I საუკუნე წ. ერ.) „იოსიპოსის წიგნი შურიისა“, — რომელსაც ყწოდება „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყუადასამობისა“ ან დასაბამიტყვაობისა. ისიც საყურადღებოა,

რომ სწორედ მე-12 საუკუნის დამდეგს უთარგმნია არსენ იყალითელს მეცხრე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის ქრონიკაში, რომელიც მსოფლიოსა და ბიზანტიის ისტორიის ფართოდ გავრცელებულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა; მასში მსოფლიო ისტორია მოცემულია ადამიდან ვიდრე კეისარ თეოფილეს გარდაცვალებამდე (842 წ.), თუმცა ქართული თარგმანი თეოდოსი დიდის (379—395 წლები) მეფობის აღწერაზე წყდება. ვფიქრობთ, აღნიშნული თხზულებების მაინცადაბინც XII საუკუნის დამდეგს გადმოღება ქართულ ენაზე პრაქტიკული საჭიროებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

მეორე მხრივ მე-12 საუკუნეში ვხვდებით პეტრიწის სალიტერატურო-საფილოსოფიო სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც ფრიად საინტერესო საისტორიო თხზულებებს გვიტოვებენ: ასე მაგალითად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორის სიტყვით, დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე პირველის (1125—1155 წლები) „დიდებითა სიმკნითა და გურითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოანე ფილოსოფოსისა ჭიჭიქიელისა შესხმა-მოთხრობა“. სამწუხაროდ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. შემონახულია პეტრიწის სკოლის ტრადიციების მიმდევარის კათალიკოს ნიკოლოზ გულაბერისძის (ხეობის წლები დაახლოებით 1150—1178) ერთი თხზულება „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, ყუართისა საუფლომსა და კათოლიკე კელესიისა“, რომელიც აკად. კ. კეკელიძის სიტყვით, „მეტად საყურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან და დიდ ინტერესს წარმოადგენს იდეური მხრივითაც“. სხვათა შორის, პირველად ნიკოლოზმა დასვა საკითხი, თუ რატომ მაინცდამაინც ქალმა, წმინდა ნინოს სახით განაბოთლა „ეგი იგი სახუბურო“ და ამოცანა თავისებურად გააღაჭრა. ისიც გამოკვლეულია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი, ავტორი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-სა უხვად სარგებლობს პეტრიწის როგორც ლექსითაც, ისე მისი აზრებით. იგი, წერს პროფ. ს. ყა. იჩიშვილი, „პეტრიწისაგან ნასესხები აზრების საფუძველზე აგებს ზოგჯერ თავის მსჯელობას“.

ამავე დროს, როგორც მრავალგზის არის აღნიშნული, ავტორი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ფრიად განათლებული ისტორიკოსია, იცნობს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ისტორიასა და ლიტერატურას, ზედმიწევნითაა გარკვეული არა თუ თავისი დროის საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ყოფაში, არამედ მის წარსულშიც. მის შრომაში, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ მრავალი ისეთი ფაქტია აღნიშნული, რომელსაც დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ვერ ვპოულობთ; ცხადია, ამის შესახებ მან სხვა წაროებიდან, როგორც ფიქრობენ, თვით უცხოური არხებიდანაც კი უნდა იცოდეს.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ მე-12 საუკუნის დამდეგისათვის, გელათის აკადემიის დაფუძნების მომენტისათვის, ქართული საზოგადოებრივი აზრი მრავალ საჭირობო-

ტო საკითხს დასტრიალებს თავს; მოვიგონოთ, მაგალითად, ქართული ეკლესიის ღირსების დასაცავად მე-11 საუკუნეში გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მოღვაწეობა, ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიელი ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ და ამით თავისებური შემზადება ნიადაგისა საერთო კავკასიური სახელმწიფოს შექმნისათვის, ბოლომოუღებელი სარწმუნოებრივი დავა ქართველთა და სომეხთა შორის, რომელსაც საფუძვლად, რასაკვირველია, პოლიტიკური სარწმუნოებრივი დაპირისპირება ყოველგვარი ბერძნული-სადმი ქართულისა და ხშირად ქართულისადმი უპირატესობის მინიჭება.

საერთოდ, საჭირობოტო საკითხთა წრე, რომელსაც იმდროინდელი ქართველი საზოგადოება დაუფიქრებია, საკმობდ ფართოა და ქართველ მეცნიერთა მიერ ამ საკითხების გადასაჭრელად, ვფიქრობთ, ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნილიყო სწორედ იმდროინდელი ქართული მეცნიერების ტაძარში — გელათის აკადემიაში.

ნიშნადობლივია ის გარემოებაც, რომ აკად. ე. თაყაიშვილის აზრით, ქართული სახელმწიფო-

ებრიობის შესასწავლად ესოდენ მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორც „ეკლესიის კარის გარიგება“, გელათში უნდა იყოს დაწერილი.

გელათის აკადემიის ძლიერების ხანა მე-12 საუკუნე და მე-13 საუკუნის დამდეგია; საერთოდ კი იგი არსებობას განაგრძობს მე-16 საუკუნის დასაწყისამდე. ამის შემდეგაც კი არ წყდება გელათში კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა, რაც უპირატესად აფხაზთა: კათოლიკოსების ევდომენ პირველი ჩხეტიძისა (1557—1578) და ექვთიმე პირველი საყვარელიძის (1578—1616) მიერ სხვადასხვა ძვირფას ხელნაწერის გამრავლებებისაში გამოიხატა. იმდენად ცოცხლადაა შემონახული ხსენება გელათის ოდინდელი ძლიერების შესახებ, რომ პაგრატ იმერთა მეფის მიერ გელათისადმი პომეხულ 1545 წლის შეწირულების სიგელშიც კი „გენათის საყდარს“ მიემართება სახელწოდება „დიდისა“, „ზესთა — აღმატებულისა“, „ახლისა იერუსალიმისა“. მაგრამ სინამდვილეში ადრინდელი აქ გაშლილი კულტურული მოღვაწეობა მხოლოდ ანრდისს თუ

წარმოადგენს მეცნიერების მძლავრი ტაძრის — გელათის აკადემიის წარსული დიდებისა, ისევე როგორც გელათის ადრინდელი მფარველი იმერეთის სამეფო ერთი უმწურო ნაშეერთაგანია ოდინდელი ძლიერი ქართული სახელმწიფოსი.

საერთოდ უნდა დავსძინოთ: იმდენად ძლიერ საფუძველზე იყო შექმნილი გელათის აკადემია, რომ იგი საოცრად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. როგორც აღვნიშნეთ, ერთიანი საქართველოს სამეფო — სამთავროებად საბოლოოდ დაშლის შემდგომაც კი იგი ერთხანს კვლავ ფუნქციონირებდა; ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არა ჯამთა საშინელი ავებლობა მოკიდებულ იქნა მე-13 საუკუნიდან, რომ არა „ათასი რისხვა მოწვევული ქართველთა ზედა“, დღეს უზუტუცის ტაძარი ქართული მეცნიერებისა თავისი არსებობის არა თუ ორმოცდაათს, არამედ 900 წელს მოითვლიდა.

ალექსანდრე აბლაძიძე

ღრმად მვამს, რომ პიროვნების როლი ისტორიაში ძალიან დიდია. მართალია, საპრთველო, მართველი პერი, მისი ენერგია და შეგნება იმ ორი საუკუნის მანძილზე დავით აღმაშენებლის გამეფებას რომ უსწრებდა წინ, აღმაშენებლის გზაზე იღბა. ისიც მართალია, რომ საპრთველო ღრმა და ძლიერი პიროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიცია ჰქონდა ზარნაპაზის ხანიდან, მაგრამ დავით აღმაშენებელი რომ არ დაბადებულყო, საპრთველო, ალბათ, გაინც ვეღარ აღგებოდა ფუნქცი. მას თურქობის ტალღა გადათქვამდა. დავითმა ვოლგაზეობა იმით დაიწყო, რომ თავისი ვოლგაზეობა არამის მხრემ პირთველი შექმნა, პირადი ურთიერთობებისა და ურთიერთდაზავების საფუძველზე. ხომ ცნობილია, როგორ გადასდო მან თავი ჯერ ზაბუკმა, თავისი ხიჯათში ჩაპარდნილი თანამებრძოლების დასახსნელად და თითქმის შეუძლებელი კატარა გაგარჯება მოიპოვა! მან ააგო ორგანიზებული სახელმწიფო მანამა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვებლად მართვის ეფექტიანი სისტემა, დისციპლინა შექმნა. თავისი საბარეო და სამხედრო პოლიტიკა მან იმ პრინციპზე ააგო, რომელსაც დღეს „ბათველი რისკის“ პოლიტიკას უწოდებენ და ზხიხალი და გამჭრიახი გონების წაღობით ის შეძლო, რომ არც ერთხელ არ შეცდა.


დავითი ვეზროლი ხარისხით სკოლა მოწინააღმდეგებისა და აბას იგი ვერ მიაღწევდა, აღამიანისადმი ინდივიდუალური მიდგომა რომ არ სცოდნოდა. აკი გვეშენება მისი უსახელო ემპათიანე — იშვიათი ნიჭისა და გამჭრიახობის ისტორიკოსი — მან „ვითარებად კაცისად“, ანუ აღამიანის ბუნება ჯედვიწვენიტ კარგად იცოდაო. ამიტომ იყო, რომ თავის ჯარზე რამდენჯერმე უფრო მრავალრიცხოვანი მტერის დაბარცხა არამრთხელ და ჯანსაღი, სიცოცხლისუნარიანი, კერსამპტიული საზოგადოება შექმნა.

დავით აღმაშენებელი, ანდერძის თანახმად გელათში დაგარ-
ხა პრეა, შემოსასვლელში. ანდერძის თანახმად, მისი საფლავის
ძვანა (ანუ მის მკერდზე) უნდა დაედგა ფხვი ყოველ ქართველს,
სხვაგვარად უწმიდეს ტაძარში ის ვერ მოხვდება. ამ ანდერძის
მრავალნაირი ახსნა არსებობს. ყველა თავისებურად საინტერე-
სოა და მიმზიდველი. ერთი რამ არის საბუღისებო-არცერთი
ახსნა არ უარყოფს მთავარს – დავით აღმაშენებელი ანდერძის
წყალობით მარადიულ კონტაქტს ამჟამებზე თავის ერთან –
ტაძარში შემავალი ერი მუდამ ფიქრობდა მასზე! განუწყობ-
ლივ კავშირში დარჩენა განუსაზღვრელი მნიშვნელობისა იყო,
იმ კავშირით დავით აღმაშენებლის უნომრეა ფიქრი ცხოველ-
მყოფელ ძალას ასხივებდა. მისგან მოხდენილი ისტორიული
მოვლენების გააზრება, მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის
სტილისა და მემორი ცხოვრების კანონების შემცნობა ხალხი-
სათვის ვალად იქცა.

შემცნობა მისსავე სიცოცხლეში დაიწყო და მისი სიკვდი-
ლისთანავე ჩამოყალიბდა თხზულებად, რომელიც ერის ისტო-
რიული არსებობის საიდუმლოს შეიცავს. ამ თხზულების ავტო-
რი უცნობია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად არის სახელ-
დებული...

ჯანსუღ ღვინჯილია

წიგნიდან: – „სული აღმაშენებელი“.



გელათი. ფრესკის ფრაგმენტი



დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს

ქართველს

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის...
დიდგორში მაშინ დანთებულ სანთლებს
არ ჩაქრობიათ ჯერ კიდევ ალი...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის.
... და წასაღებად ჩვენს ველს და ზეგანს,
მოაწყდა მტერი მუქარით, დავით...
მაგრამ თურქ-სელჯუკ დუშმანთა ზედან
აიღო ხმალი მეფემან დავით.
და სცეს ნადარას და ბარბითს რა წამს
წამოიგრაგნენ რაზმები ფიცხლად.
პირველ დავითმა ცხენ-კაცი გასჭრა
და წვერი ხმლისა უწვდინა მიწას.
გაიძვრიალა ცაში ჰოროლმა
მოზიდეს შვილიცი, ბოძალიც სტყორცნეს...
მეფის ნახმლევი თითო-ოროლა
ახლაც შრეებად ატყვიათ ბორცვებს.
დაზაფრეს მტერი, თავზარი დასცეს,
დაცხრილეს ზეცა, გატორეს ტვერი...
და თუმც სჭარბობდა მომხდური ასჯერ,
დაცალეწეს და აოტეს მტერი...
რამეთუ დედასამშობლოს დაცვა,
რამეთუ დაცვა მშობელი ერის,
რამეთუ დაცვა რჯულის და ენის
ერთს აქცევს ასად...

დიდგორის ომმა მაშინ ჰყო ნათელ,
როდია მთავარ სიმრავლე ჯარის...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის...
დიდგორით მტერი შემდეგ შიშვ ვპუსრეთ,
რეკდა დიდგორი „ჭკა მაგრად“, „ვაშად“...
ცოტნე დადიანს ეხატა გულზე,
ხმალს უფხავებდა შამქორში ლაშქარს.
ხმა დიდგორისა დედების ლოცვად,
ხმა დიდგორისა მამების რისხვად,
გვიხმობდა მებრძოლს, გლეხკაცს თუ მგოსანს:
— სამშობლო ვიხსნათ!
დიდგორით მტერი შემდეგ შიშვ ვძლიეთ,
გძირი აჩრდილი მრავალგზის ვიხმეთ...
იქნებ დიდგორიც რუსთველის გძირებს
აღებინებდა ქაჯეთის ციხეს...
რუხს თუ ბასიანს, მარტყოფს, მარაბდას
გვედგა დავითის აჩრდილი დიდი,
ის გვამხნევებდა და გვიფარავდა
და დავითფერულს თამამად ვცდიდით.
...დრო გადის, ჩვენს მთებს, დიდგორის კალთებს
მთვარედ დაჰნათის დავითის ფარი...
დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს,
დიდგორი დიდი იმედიც არის!


იოსებ ნონეშვილი

„ძ ლ ე ვ ა ღ ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი“?

ჰ ე მ ო დ ი ღ გ ო რ ი ღ ა მ ი ს ი

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ო მ ი ზ ნ ე ლ ო ბ ა

თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი



დიდმის ხეობის შუა წელში და ქართლის (არმაზის) ხევის სათავეში აღმართულია დიდი, ლამაზი „ღედა გორა“... წვერზე მოჩანს ერთნავეიანი ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც დიდგორის წმიდა გიორგი ეწოდება. თუ ვინმე ამ მთის წვერზე ავა, მის თვალწინ გადაიშლება თვალის-მომჭრელი სილამაზე ქართლის ქედისა, მტკვრის ხეობისა, შიდა და ქვემო ქართლისა. ლამაზადაა განფენილი გარე კახეთის სოფლები, თბილისი, არაგვის ხეობა. ამბობენ, აქედან „გორიც მოჩანსო“, ერთი სიტყვით, დიდგორის მთის წვერი „მჭვრეტია“ დიდი სივრცისა.

დიდგორი თავისი მღებარეობით, გზების თავშესაყარი იყო. აქ გადიოდა სამცხეთო და სათბილისო გზები, აქვე იყო სამცხე-ჯავახეთზე მიმავალი გზა, ასევე უძველესი „საცხვრე გზა“, რომელიც დღემდე არსებობს. დიდგორიდან ერთი მთავარი გზა თბილისისაკენ მიემართებოდა, რომელსაც ისტორიული დოკუმენტების მიხედვით „სადიდმო შარა“ ეწოდებოდა. ცნობილია, რომ ძველად ქართლიდან და თრიალეთიდან თბილისში მიმავალი გზა დიღომზე გადიოდა. „უამინდობის“ და „ში-შიანობის“ დროს გზაში დარჩენილი მგზავრების შენახვა საქონლით ამ სოფლის მოვალეობას შეადგენდა. (იხ. ჯ. სონდულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. 1964 წ., გვ. 216, „სტუმრისა და მღებურის საკითხისათვის“).

საერთოდ, დიდმის ხეობის იმ სოფლებს, სადაც სამეფო და საკათალიკოსო გლეხობა ცხოვრობდა, ევალებოდათ დიდგორის, მუხათგვერდისა („ღევის ნამუხლართან“) და თბილისისაკენ მიმავალი გზის „ვიწროებთან“ „ნაურდულარის“ დაცვა.

დიდგორის შემოგარენი განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიული ძეგლებით. ამას მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქ აუცილებლად წმიდა გიორგის სახელობის ცხრა ეკლესია. მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გახლდათ „დიდმის თავის წმიდა გიორგი“, რომელიც დიდმის ხეობის სოფლების დეკანოზის კათედრალი იყო. „დიდგორის წმიდა გიორგი“ XI—XII საუკუნისაა. მის დიდი სახელი ჰქონდა არა მარტო დიდ-

მის ხეობის მოსახლეობაში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს დიდ რეგიონებში. დღევანდლამდის შემორჩენილ რიტუალებში დიდგორის წმიდა გიორგის მიმართ ხეობის მოსახლეობის განსაკუთრებული პატივისცემა მკლავდება. კარგად მახსოვს, თუ როგორ ილოცებოდნენ მოხუცები ნადიმის დროს „მტერი გილახვროს და მოყვარე გიმრავლოს დიდგორის წმიდა გიორგიმ“. დიღომში დღესაც ქორწილის მესამე, მეოთხე დღეს მექორწინებები ქორწილში მოტრიალე ხალხთან ერთად მიდიან დიდგორზე, ანთებენ სანთლებს, ლოცავენ დაქორწინებულებს და იქვე იმართება ლხინი.

არსებობს ხალხური ლექსი:

„გაითუ, ქართლში გათხოვდე,
შავად შეგჭვარტლოს კერის ბოლმა,
წადი, ილოცე ხატები,
ეგებ გიშველოს დიდგორმა...
ბუნებიდან გადაგწმინდოს
იმისმა მწვანე მინდორმა“.

დიდგორის დღესასწაული გაზაფხულზე — 20 მაისს მოდიოდა. (ძვ. სტ. 7 მაისი). დღესასწაული იმართებოდა დიდგორის ველზე „მოსალოცავის გარშემო“. „დიდგორის წვერზე“ მხოლოდ ის მლოცველი მიდიოდა, ვისაც ასვლა ჰქონდა შეთქმული. 20 მაისს დილით, ბინდ-ბუნდისას მიდიოდნენ, სანამ შუე ამოვიდოდა. შხის ამოსვლას იქ უნდა დასწრებოდნენ. მთის წვერიდან მინდორ-ველს, ხეობებს ეფინებოდა ცნობილი დიდგორის ზარის ხმა. ეს ზარი სიონის ცნობილ ზარს ეტოლებოდა ხმითა და სიდიდით.

საინტერესოა, რომ ერთ დღეს იყო ზედაზნისა და დიდგორის დღესასწაული. დიდგორის ველზე იკრიბებოდნენ ქვემო და შიდა ქართლის სოფლებიდან, მოდიოდნენ კახეთიდან, არაგვის ხეობის, თიანეთის სოფლებიდან და თბილისიდან. „შორი სოფლებიდან“ წამოსული მლოცავნი წინა დღეებში 18 და 19 მაისს იწყებდნენ მოსვლას. მოდიოდნენ მოჩარდახული ურმებით. ასე გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. დიდგორის წმიდა გიორგისაკენ მომავალ ძირი-

თად მლოცველთ დიდობზე უნდა ამოველოთ ურემებით. ურემზე ქალები და ბავშვები იხდნენ, უკან კოფოზე საკლავი იყო მიკრული. ხოლო ურემის თვალზე „კურატი“ ან „ბერზვარა“ იყო გამობმული. სოფელზე მომავალ მლოცველებს „სავევარაზე“ მდგომი მოხუცები შეძახილებით ხვდებოდნენ: „გწალობდეთ, გწალობდეთ დიდგორის წმიდა გიორგი და მისი სალოცავების მადლი“, „თქვენი შწალობელიც იყოს“, — პასუხობდნენ მგზავრები.

ამ დღისათვის დიდმის ხეობის სოფლებში სახეიმო განწყობილება სუფვედა. ყველა ოჯახი განსაკუთრებულ საშხადისში იყო. ეშხადებოდნენ დიდგორზე წასასვლელოდ და სტუმრის მისაღებად. ყველა ოჯახს მოლოდინი ჰქონდა შორი სოფლებიდან თავიანთი მახლობლებისა და კიდევაც აკითხავდნენ. ამ დღისათვის განსაკუთრებით ახალგაზრდობა ეშხადებოდა. ერთი თვით ადრე იწყებდნენ ცხენების მოვლა-პატრონობას. საძოვრებს ურჩევდნენ, რომ კარგ ბალახში ეძოვებინათ, „ჯანზე“ დაეყენებინათ, რათა დიდგორის ასპარეზობაზედ სახელი მოეხვეჭათ. ღამის თვეით მოსულნი თავ-თავიანთ ბინას იღებდნენ „მოსალოცავის“ ირგვლივ, განსაკუთრებით ტყის პირებს ირჩევდნენ გასაჩერებლად. ტყიდან წალო, შეშა და ფიჩხი გამოჰქონდათ. ცეცხლს ანთებდნენ, ლხინითა და ნადიმით ათევდნენ ღამეს, ასეთი დროსტარებით ხვდებოდნენ დღესასწაულს. აქ მოდიოდნენ ვაჭრებიც... სახელდახელოდ მოწყობილი ქოხების წინ გამთფნილი ჰქონდათ სხედასხვა ხასიათის სავაჭრო საქონელი.

20 მაისს დილით ადრე დიდგორის გზები კვლავ მომსვლელებით ივსებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ამ დღესასწაულზე მაჰმადიანებიც იღებდნენ მონაწილეობას, მოჰქონდათ შესაწირი, ანთებდნენ სანთელს და ქრისტიანთა დღესასწაულს იზიარებდნენ.

დიდგორის დღესასწაული ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. 1955 წელს დიდგორის წვერიდან აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოვიტანეთ დიდი ქვისაგან გამოთლილი ნაყოფიერების ღვთაება, „ფალოსი“ და ელინისტური ხანის კერამიკა. ქვის ქანდაკება წლების მანძილზე მუზეუმის ეზოში იდგა, ამჟამად ძეგლი არმაზის ფონდსაცავში ინახება. ძეგლის გადატანა განაპირობა დიდმის მინდვრის ჩრდილოეთით „ჭერმის კლდეებზე“ არსებული ეკლესიის დანგრევამ. ეკლესია ზეგარდის წმიდა გიორგის სახელით იყო ცნობილი. ამ ამბით შემოფოთებულმა ირ. სონდულაშვილმა გაგვაფრთხილა, დიდგორის წმიდა გიორგისაც არაფერი შემთხვევოდა და იქ დაცული ძეგლი, რომელიც წინაქრისტიანული სარწმუნოების საინტერესო მასალას წარმოადგენდა, გადასარჩენად მუზეუმში ჩაგვეტანა.

ქვემო დიდგორს შეეხება ის გადმოცემები, რომლებიც მრავალნაირი ვარიანტით გვხვდება დიდმის ხეობის მოსახლეობაში, სადაც ნათქვამია, რომ დიდგორის ბრძოლაში ძლევა მოსიღმა დავით აღმაშენებელმა გამარჯვების ნიშნად ეკლესიის აგება ბრძანა და დიდი ნადიმი გადაიხადა, მაგრამ რომელი ეკლესია ააგო დავითმა დიდგორის ველზე, ამის თქმა ძნელია. ამ ტერიტორი-

აზე აუარებელ ნაეკლესიარს ვხვდებით. 1987 წელს არქეოლოგიურმა დაზვერვებმა 5 ნაეკლესიარი გამოავლინა. აქედან ერთი გაითხარა 1988 წელს. ამათ ორი ეკლესია კიდევ დაემატა. დიდგორის მთის გარშემო რაღაც სიძველე და ტრადიციულობა რომ არსებობს, ამას ქართლის ცხოვრება და ისტორიული დოკუმენტური მასალაც ავლენს. ეს გახლავთ ქართველ მეფეთა საზაფხულო სადგომი.

სამეფო სახლს, ცხადია, თან მოსდევდა ამაღლა თავისი „ჯალაბით“. ვფიქრობ, ეს ტრადიციული სადგომი უეჭველად შექმნიდა მატერიალური ხასიათის ძეგლს: საცხოვრებლებს, სამლოცველოებს, სახელოსნოებს, წყალსადენებს.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ზემო დიდგორზე? გვაქვს რაიმე ხელნასაკიდებელი ძეგლი? არა, ამის მსგავსი არაფერი არსებობს, გარდა მწვემსების „ნაბინაურებისა“ და ერთი საკულტო გორისა.

მხედველობაშია მისაღები ქართლის სოფლების ძირძველი მოსახლეობის ცნობაც იმის შესახებ, რომ ზემო დიდგორი „მთიულების დიდგორია“, ხოლო ქვემო დიდგორი თავისი სალოცავებით „მამაბაბურია“.

1970—71 წწ. ზემო დიდგორზე დიდმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით გათხარა ის საკულტო გორა. გაირკვა, რომ გორა ბუნებრივი მთა ყოფილა, ხოლო სამლოცველო XIX საუკუნის მასალას შეიცავდა. ქვემო დიდგორი კი, ამ დროს, არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარი კუთხეა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გვსურს შევეხოთ ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საინტერესო საკითხს, თუ სად იყო ის ბრძოლა, რომელიც „დიდგორის ომის“ სახელით არის შეტანილი საქართველოს ისტორიაში. სად მოხდა „ძლევა საკვირველი“?

პირველ რიგში გასარკვევია, საიდან, რა გზით მოდიოდა ეს კოალიციური ლაშქარი. დავითის ისტორიკოსს მხოლოდ ისა აქვს აღნიშნული, რომ მტრის ურიცხვი ლაშქარი, „ვითარცა ქვიშა ზღვისა“, მოვიდა „თრიანეთს“, მანგლისად დიდგორს“. მათ ურბაელის ცნობიდან კი ჩანს, რომ ილღაზი და ღუბისი, ასევე სულთანი მელიქი (თოდრული) განძიდან დამრულან და იქიდან „საშინელი სიმრავლით შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქ. თბილისის მხარეს, მთაში, რომელსაც ქვია დეკორ (დიდგორი). (შ. მესხია, ტ. III, 1986 წ., გვ. 90).

ამ საკითხზე სხვა ცნობა აქვს ალ. ფარიკს. მისი მონაცემებით, არზრუმიდან ილღაზი გაემართა „ყარსისაკენ და შევიდა იქ (საქართველოში) თრიალისით (თრიალეთით). შეკრიბა დიდი ლაშქარი, სულთანი თოდრული მოვიდა განძის მხრიდან, ხოლო ფაზრ-ად-დინ თუღან არსლან კუზიანი დვინის მხრიდან, და იარა ამ ლაშქარმა იმდენი, რომ მასსა და თბილისს შორის დარჩა მთა ნახევარდღის სავალი“. ამ ცნობების მიხედვით, დიდგორთან შეყრილი კოალიციური ლაშქარი სამი მხრიდან მოსულა: ყარსიდან თრიალეთის გზით, განძიდან და დვინიდან. ცნობიდან ჩანს, რომ თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა არა მარტო ილღაზის ლაშქარი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, არამედ სულთანი თოდრული და თუღან არსლან კუზიანიც თავის ჯარებით.

ცნობიდან არ ჩანს ბრძოლაში იღებდნენ თუ არა მონაწილეობას თბილისელი და დმანისელი მაჰმადიანები. განა ამათი თაოსნობით არ მოხდა მოკავშირე-თა თავშეყრა? როდესაც დავითისაგან „შეიწრებულნი თურქმანნი“ და მოქალაქეთა წარმომადგენლები „წარვიღეს სულთანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა“. როგორც ჩანს, ისინი სულთანს ხლებიან, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სხვა მაჰმადიანი მფლობელებისათვისაც მიუმართავეთ. ისტორიკოსის განცხადება — „წარვიღეს... ყოველსა სპარსეთსა“ — სწორედ ამაზე მიუთითებს. სომეხი ისტორიკოსის, მათე ურპაკლის მიხედვით, შავტანსაცმლიანი და თავდაუხურავი კლჩები „გაჰკიოდნენ თავიანთ სულთანთან მის წინაშე თავიანთ დაღუპვას. ხოლო სხვები მივიდნენ არაბთა ოლქში, კარმინიის (კაბადოკიის) ქვეყანაში ამირა ხაზისთან — არღუხის ძესთან და დიდი ტირილით უამბობდნენ მას... ხოლო მან თავისი ძლიერებისა და ზვიადობის გამო ბრძანა შეკრებილიყო თავისი ჯარების სიმრავლე...“

შეუძლებელია, არ მიედოთ მონაწილეობა მოკავშირეების ამ გაერთიანებულ ლაშქრობაში თბილისელ და დმანისელ მაჰმადიანებს და ვფიქრობთ, ამ გაერთიანებული ლაშქრის დათქმული თავშეყრის ერთ-ერთი ადგილი დიდგორი უნდა ყოფილიყო. არც ის ვარაუდი უნდა იყოს სწორი, რომ კოალიციური ლაშქრის ნაწილმა წალკის მხარეში, მანგლისსა და დიდგორში დაიბანაკა, მეორე ნაწილმა კიდეც დიდგორის კალთებიდან შემოსეულმა დიდმის ხეობა დაიჭირა“ (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94). როგორც ჩანს, ქვემო დიდგორიდან წალკამდე მტრის ლაშქარი მდგარა. დიდგორიდან წალკამდე კი 100 კილომეტრზე მეტია. ამხელა მანძილზე ლაშქრის გაშლა გადააწყვეტი ბრძოლის დროს შეუძლებელია. საერთოდ სხვა წყაროების მიხედვით თავმოყრა ხდება ერთ ადგილზე — დიდგორზე, რამაც განაპირობა გამარჯვება.


ზემოთ აღვწერე გზები, რომლებიც დიდმის ხეობის ველში ქვემო დიდგორთან იყრიდა თავს. ეს გზაშესაყარი მიმანია სწორედაც ლაშქრის თავშესაყრელ ადგილად. დიდმის ხეობა გვიანამდის თბილისის საამიროში შედიოდა და ამ კოალიციის დროს მოკავშირეთა ძალებს თბილელ-დმანელ მაჰმადიანთა ლაშქარიც აქ უნდა შეერთებოდა. მათი მოსვლა მიზანშეწონილი იქნებოდა ქვემო დიდგორზე. ამავე დროს, ქვემო ქართლიდან და თრიალეთიდან ხომ აქეთ მოემართებოდა ორი უმთავრესი გზა. ლაშქარი აქ უნდა მოსულიყო და შეიძლება თამამად ითქვას, ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ეს ადგილი უნდა ყოფილიყო. აქედან საშუალება ეძლეოდათ ქართლის (არმაზის) ხვევით ქართლის საქარავნო გზაზე გასულიყვნენ, მეორე — კარსან-მცხეთის ხილით შიდა ქართლისკენ გაჭრილიყვნენ, მესამე — მთავარი გზა თბილისზედაც აქედან მიემართებოდა.

როცა ექვთიმე თავაიშვილი ემიგრაციიდან დაბრუნდა, კვირა დღეებში გამოდიოდა სასაქონლო საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით, დიდმის მინდორზე. ძალიან ლამაზია და მომწონს ეს ადგილები, უთქვამს. ხშირად დიდგორში ამობრძანდებოდა ხოლმე, ჩვენს მამაბაბურ სახლში, იქ, სადაც ძველთაგანვე თავს იყრიდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები.


ერთხელ ასეთი სტუმრობის დროს ექვთიმესთან ერთად მობრძანდა სრულიად საქართველოს კათალიკოსპატრიარქი, მისი უწმიდესობა კალისტრატე ცინცაძე, მათ მოჰყვანს სამსონ ფირცხალავა, გოგლა ლეონიძე, ავაკი შანიძე და სხვები. როდესაც დაავით აღმაშენებელზე და დიდგორის ომებზე საუბრობდნენ, ირ. სონღულაშვილი ასაბუთებდა, „დიდგორის ომის ადგილად“ ზემო დიდგორი არ არის სწორად განსაზღვრული და მოჰყავდა სათანადო მაგალითები: პირველი, რომ, დიდგორის ველზე არამც თუ ნახევარმილიონიან, ასიათასიან ლაშქარსაც ვერ მოათავსებო. ამის საშუალებას მხო-



ქვემო დიდგორის ფერდა სოფელი მანხაანი. საკათალიკოსო სოფელი იყო. არსებობდა 1930 წლამდე. შედიოდა საყაფლანისვილო მაძულში.



ნასოფლარი მანხაანი. წმიდა გიორგის ეკლესია. აღმოსავლეთის ხედი.



ნახოფლარ მანხანთან „ხეთისმშობლის ეკლესია“. XI—XII ს.

ლოდ ქვემო დიდგორის ველები იძლევიანო. მეორე, ქვემო დიდგორის ველზე ხენის დროს გლეხები პოულობენ ისრის წვერებსა და შუბის პირებსაო. გლეხები მათ „ნაომარ მინდვრებს“ უწოდებენო. მესამე, „მანძილს“ შეეხებოდა. როცა ძველი ისტორიკოსების ცნობებით, ლაშქრის გაჩერების ადგილს თბილისიდან „ნახევარი დღის სავალი გზით განსაზღვრავდნენ“.

ეს მოსაზრება მე ყოველთვის მახსოვდა და ვსწავლობდი დიდგორს, მაგრამ როგორც დღეს მეცნიერებაშია მიღებული, ომის ადგილად ზემო დიდგორია მიჩნეული. აღრე მეც ვიზიარებდი ამ აზრს და ჩემს ნაშრომებშიც მაქვს აღნიშნული, მაგრამ დროთა ვითარებაში მუშაობა ცხადყოფდა, რომ დიდგორის ბრძოლა ზემო დიდგორზე კი არა, ქვემო დიდგორის გარშემო მოხდა. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი მოსაზრებები და ფაქტიური მასალა:

ზემო დიდგორის ველი ვერ დაიტევდა იმ კოალიციუ-

რი ლაშქრის ნახევარსაც კი, რაც ისტორიულ წყაროებშია მოცემული. ეს მხოლოდ ქვემო დიდგორზე მოხერხდა. ამ დროს ყველაფერი გასათვალისწინებელია: მეომრები, ცხენები, აქლემები, ტრანსპორტი, ბარგი და სხვა.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება — წყლის საკითხი. საერთოდ ცნობილია, რომ მგზავრები, ეს იქნებოდა ურმისაღალი, ქარავანი, ლაშქარი თუ მოსიარულენი, ღამის სათევად თუ დასასვენებლად ისეთ ადგილს აირჩევდნენ, სადაც წყარო-ნაკადულები იყო. ზემო დიდგორს ასეთი წყლიანი ადგილები არ გააჩნია. ესაა „უწყლო მთა“. ქვემო დიდგორი კი ყველანაირად შემკულია: ტბებით და წყარო-ნაკადულებითაც. მხოლოდ ასეთ ადგილს შეეძლო ისეთი დიდი ლაშქრის წყლით უზრუნველყოფა. ამას უეჭველად ანგარიში უნდა გაეწიოს.

ყველა გზა თავს იყრის ქვემო დიდგორზე. ამ მხრივ თრიალეთზე წამოსული ილღაზის ლაშქარი წალკაში არ განერდებოდა. თრიალეთის გზით ქვემო დიდგორზე ჩამოვიდოდა, ისე, როგორც დანარჩენი მოკავშირეები, თორემ ქვემო დიდგორიდან, გნებავთ ზემო დიდგორიდან მანძილი წალკამდის 100 კილომეტრზე მეტია, ხოლო ქვემო დიდგორიდან ზემო დიდგორამდე 22 კილომეტრია. ამ მანძილებიდან საომარი ოპერაციების განხორციელება შეუძლებლად მიმაჩნია. ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით ჩანს, რომ მტრის ლაშქარი თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა. ნახევარი დღის სავალ გზად განისაზღვრება მანძილი ქვემო დიდგორიდან თბილისამდე. მაგალითად ცხენის საპალნიანი კაცი კორთახევიდან, გნებავთ თელოვანიდან, პირველ მამლის ყივილისას იძვროდა ადგილიდან, რათა გათენებულზე თბილისში ყოფილიყო. ძველად ხომ თბილისის საზღვრები უფრო შორს იყო. როგორც ლიტერატურიდან ირკვევა, კოალიციური ლაშქრის ნაწილმა მანგლისსა და ზემო დიდგორში დაიბანაკა, მეორე ნაწილმა კიდეც, დიდგორის კალთებიდან შემოსულმა (მეორე ნაწილი ქვემო ქართლიდან ალგეთ-ვერეს ხეობის გზით წამოვიდოდა—ჯ. ს.) დიდმის ხეობა დაიჭირა. ასე რომ, მტრის ლაშქრით გაივსო როგორც ქვემო, ასევე ზემო დიდგორი, რომელთაც დავითის ისტორიკოსი ერთ გეოგრაფიულ პუნქტად მოიხსენიებს, ოღონდ მრავლობითი რიცხვით—„დიდგორნი“. დიდგორის ველი შესაყრელ პუნქტად მტრის მიერ შემთხვევით არ იყო შერჩეული — აქეთკენ მოემართებოდა არა ერთი გზა და გასასვლელი. კლდეკარი, საიდანაც ერთი გზა დიდგორისაკენ მოდიოდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასასვლელი იყო ქართლისაკენ მიმავალი დამპყრობლისათვის, დიდგორიდან კიდეც გზა ეხსნებოდა თბილისისაკენ, ზოგი ძველი ისტორიკოსის მიხედვით, მტრის ლაშქრის დიდგორთან შეკრება თბილისის კართან შეკრებას ნიშნავდა. ამას გარდა, აქედან მათ შეეძლოთ, მცხეთის შემოვლით, გასვლა შიდა ქართლში და დავითის ლაშქრის გარემოცვა. გამარჯვების შემთხვევაში, ისინი თბილისისაკენ აიღებდნენ გეზს (შ. მესხია, გვ. 94). ზემოთ მოტანილი აღწერილობიდან ჩანს, რომ მკვლევარები წინააღმდეგო-

ბაში ვარდებიან. თუ „მტრის ნაწილმა წალკის მხარეში, მანგლისა და დიდგორში დაიბანა, მეორე ნაწილმა კიდევ დიდმის ხეობა დაიჭირა, ასე რომ, მტრის ლაშქრით გაივსო როგორც ქვემო, ისე ზემო დიდგორი“ (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94), მაშინ მტრის ლაშქარი საკმაოდ გაფანტული მოჩანს, იმ დროს, როცა ქვემო დიდგორიდან, თანაც ზემო დიდგორიდან მანგლისამდე კიდევ სულ მცირე ამდენივე მანძილია. ლაშქრის ამგვარად განლაგება არ უნდა იყოს სწორი. თრიალეთისა და ქვემო ქართლის გზებით შემოსული ლაშქარი ერთ ბირთვად ქვემო დიდგორზე უნდა დამკვიდრებულიყო. განა ბრძოლის ვითარება ამას არ მიუთითებს? განა სამსაათიან ბრძოლაში არ განადგურდა მოკავშირეთა ეს უზარმაზარი მხედრობა და „ძღვეაჲ საკვირველი“ — აქედან არ იწყება? „მცხეთის შემოვლით გავლა შიდა ქართლში“ განა ქვემო დიდგორიდან არ უნდა განხორციელებულიყო? ან, გნებავთ, ქართლის საქარავნო გზაზე გასავლელი ქვემო დიდგორთან არაა? ერთი სიტყვით, ბევრი რამ დასაზუსტებელია. თუ მტრის ლაშქარი ასე გაშლით იყო განლაგებული სათრიალეთო გზაზე, იგი მაშინ არც ისეთ დღეში აღმოჩნდებოდა, რაც ამ ბრძოლას მოჰყვა შედეგად.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე დავით აღმაშენებლის ნათქვამი, რომელიც ეხება ხეობის შესავალს, საიდანაც ქართველთა ლაშქარი შემოვიდა „ხეთა ხორგებით შევკარით“—ო. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ მეფის ბრძანებით გასავალ გზაზე ხერგილი აუკიათ. მე კა ვად ვიცნობ ზემო და ქვემო დიდგორის გარშემო მდებარე ხეობებს. მთლიან ხეობაზე ხერგილის აგება შეუძლებელია. ხერგილი უნდა აეკოთ ისეთ მონაკვეთში, სადაც სტრატეგიულად ამის შესაძლებლობა იქნებოდა. ასეთ ხეობად (ასეთ ადგილად) ქართლის (არმაზის) ხევზე გამავალი გზა მიმაჩნია, სადაც ფრიალო კლდოვან ადგილზე გადადის გზა მეორე ხეობაში და „ჩახერგილის“ სახელითაა ცნობილი. ამ ტოპონიმის საფუძველზე XIX საუკუნის დასაწყისში, მთიულეთ-გუდამაყრიდან მიგრირებულ ხალხისაგან დაარსდა სოფელი „ჩახერგი-

ლი“. ეს ის გზაა, რომელიც ქართლის საქარავნო გზიდან დიდგორს უკან ამოდის და დიდგორზე გავლით თბილისისკენ მიემართება.

შ. მესხია ამ ტოპონიმზე შემდეგს წერს: „აღსანიშნავია, რომ დიდმის ხეობის თავში (შუა წელია. — ჯ. ს.), რომელიც ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზი იყო, დღემდე დაცული ადგილის სახელწოდება — „ჩახერგილი“ — იქნება, დავითის მიერ საგანგებოდ გადაკეტილი ჩახერგილი პუნქტის იმ დროიდან შერქმეული და დღემდე შემორჩენილი სახელი იყოს“ (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 96). და თუ მტრის ლაშქრის მეორე ნაწილმა, დიდგორის კალთიდან შემოსულმა, დიდმის ხეობა დაიჭირა, მტრის ლაშქრით გაივსებოდა როგორც ქვემო, ისე ზემო დიდგორი“ (გვ. 94). ზემოთ მოტანილ ტექსტში აღნიშნულია, რომ დიდმის ხეობის თავში, რომელიც ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზი იყო (შ. მ., გვ. 94), ხოლო ამ ასპარეზს დიდმის ხეობა, კერძოდ ქვემო დიდგორის ველები წარმოადგენდა, მაშინ სადაო არაფერი ყოფილა და დიდგორის ომიც ქვემო დიდგორზე უნდა ვიგულოთ.

ზემო დიდგორის მთა საკულტო გორად გადაიქცა XIX საუკუნის დასაწყისში, მთიულეთის აჯანყების შემდეგ, როცა მთიდან მიგრირებული მოსახლეობა განსახლდა ქართლის მთების ნასოფლარებში. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ გორაზე ადრეული რაიმე ხელშესახები დამასაბუთებელი სიძველე არ ყოფილა. რაც შეეხება ბრძოლის ამსახველ მასალასაც (ისრის პირები, შუბის, ფარის და სხვათა ნამტვრევები), აქ არაფერი არაა ნაპოვნი.

ხოლო ქვემო დიდგორი, რომელიც მდებარეობს ქართლის (არმაზის) ხევის სათავეში და დიდმის ხეობის შუა წელში, არის უძველესი საკულტო გორა „დღედა გორა“. მის წვერზე აღმოჩენილი ნაყოფიერების ღვთაება და აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში გორა წარმოადგენდა წმიდა მთას, რომელზედაც შემდეგ დიდგორის წმიდა გიორგის ეკლესია აღიმართა.

დიდგორის მთის გარშემო არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები მიუთითებენ იმაზე, რომ უძველესი დროიდან მთის გარშემო მოსახლეობა იხსდა. მთის აღმოსავლეთის ძირიდანვე სამკილომეტრიანი ნამოსახლარია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც 1987 წელს დაიწყო, გამოვლენილ იქნა ეკლესია, რომელიც XI საუკუნეს მიეკუთვნება. ეკლესია აშენებიდან მალევე დაუნგრევიდა. აქვე გაითხარა ნამოსახლარის ერთი კომპლექსი, სადაც აღმოჩნდა სახელოსნოები: კერამიკის, მინისა და ლითონის ქურები. ეს სახელოსნოებიც ცეცხლით არის გადაბუგული. ამავე ტერიტორიაზე მივაკვლიეთ სხვა ნაეკლესიარს, რომელიც საგანგებოდაა განადგურებული. გათხრების დროს მოპოვებულია ისრის წვერები, ფარისა და სხვათა ფრაგმენტები. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ამ მინდვრებში ხვნის დროს გლეხებიც ხვდებიან ისრის, შუბისა და სხვა იარაღების ფრაგმენტებს. ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ომს თავისი კვალი დაუტოვებია.

დიდმისთავის წმ. გიორგის ეკლესია. X—XI ს.



იყო თუ არა საქართველოს ისტორიაში „დიდგორის ომი“ ერთ-ერთ მისაბამ მბაღალითად ქცეული? რა თქმა უნდა, იყო და მისი დავიწყება არ შეიძლებოდა.

დღევანდლობამდის შემორჩენილი ის დიდი რწმენა, რომელიც დიდმის ხეობის სოფლებში ფიქსირდება, რომ მათ არ გასწირავს „დიდგორის წმიდა გიორგი“, „დღეა გორა იცავს სეტყვისა და ყველა უბედურებისაგან“, არ არის დასაფიქარი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაში, როცა ბრძოლის ველს აღწერს, ნათქვამია: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მადლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინ უძღოდა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I. 1955, გვ. 341). აი, ძველ ფესვებზე დამყნობილი და ტრადიციად ქცეული რწმენა.

და ბოლოს ისმება კითხვა: იყო კი 1121 წელს „ზემო დიდგორი?“ და თუ იყო, რას წარმოადგენდა და რა მნიშვნელობა ენიჭებოდა მას?

1121 წელს ზემო დიდგორი, როგორც რაიმე მნიშვნელობის „გორა“ არ არსებობდა. იგი შეიქმნა XV—XVI

საუკუნეებში. კერძოდ, 1505—1525 წლებში, როცა ქართლში მეფობდა დავით X. მის დროს ქართლის სამხედრო რეორგანიზაცია მოხდა, ქვეყანა დაყოფილ იქნა ოთხ ნაწილად, თითოეულ ნაწილს სადროშო ეწოდებოდა. სადროშოდან გამოსული ლაშქარი ცალკე ერთეულს „დროშას“ ქმნიდა. დროშის სარდლობა ამა თუ იმ ბატონის სახლს ეკუთვნოდა. ასეთი სამხედრო რეორგანიზაცია ამ დროს საქართველოს სხვა სამეფოებშიც მოხდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული საკითხები, I, 1973 წ., გვ. 151). და სწორედ ქართლის ქედზე, იქ, სადაც დღეს ორი დიდგორი გვაქვს, ორი სადროშო საზღვარი გადიოდა, საყაფლანიშვილსი, პირველი სასპასპეტო, რომელშიაც სამეფო-საკათალიკოსო დროშა შედიოდა. „ზემო დიდგორი“ წარმოშვა ქვეყნის პოლიტიკურმა მდგომარეობამ, განსაკუთრებით კი „ლევანიობამ“.


ამგვარად, ზემოთ მოყვანილი მბაღალითების საფუძველზე მიმანია, რომ დიდგორის ბრძოლის ადგილი ქვემო დიდგორია, სწორედ აქ უნდა მომხდარიყო „ძლევა საკვირველი“.

ჯ. შანშია სონულაშვილი



ჯოანის წმიდა გიორგის ეკლესია. XII ს.

306 იყო იოანე ხუცესი?



შუა საუკუნეების ვერობას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღელვებდა ვინმე იოანე მეფე-ხუცესის (იოჰანეს პრესბიტერის) პიროვნების გამოცნობა. მე-12 საუკუნის შუა წლებიდან დასავლეთში ფეხი მოიკიდა ლეგენდამ ძლევაძოსილ აღმოსავლელ ქრისტიან მეფე-ხუცესზე, რომელმაც მუსლიმანობას გამანადგურებელი დარტყმა აგება და მოწოდებული იყო, დაემხო ისლამი და ქრისტეს რჯული გაეხატონებინა აღმოსავლეთში. გაჭირვებული, დამარცხებული ჯვაროსნები სასოებით ელოდნენ მსხნელის გამოჩენას. საუკუნეთა განმავლობაში ცოცხლობდა ვერობაში იოანე მეფე-ხუცესზე თქმულება და საუკუნეთა განმავლობაში აღიზიანებდა იგი ვეროპელთა ფანტაზიას.

იოანე ხუცესი ლეგენდარული ცნობების, ხალხური ფანტაზიისა და ჯვაროსანთა მითქმა-მოთქმის სფეროდან ვერობის მხატვრულ ლიტერატურაშიც გადავიდა. იოჰანეს პრესბიტერი შუა საუკუნეების ვეროპული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული პერსონაჟთაგანია.

როგორც სამართლიანად ვარაუდობენ ისტორიკოსები, ყოველ თქმულებასა თუ ლეგენდაში, რაგინდ ფანტაზიკური და ზღაპრულიც არ უნდა იყოს იგი, მაინც დაიძებნება, თუნდაც სულ მცირე, რეალურ-ისტორიული მარცვალი და ისტორიკოსები უკვე დწდი ხანია ეძებენ ამ იოჰანეს პრესბიტერის რეალურ-ისტორიულ პროტოტიპს. გამოითქვა მრავალი ვარაუდი და პიპოთეზა, რომელთაგან ზოგიერთი ჩვეთვისაცაა საინტერესო, მაგრამ მათ ცოტა ქვემოთ შევხებით.

ახლა უფრო ზუსტად და დაწვრილებით ამ თქმულების თაობაზე.

მე-12 საუკუნის 40-იან წლებში სირიიდან ვერობაში ჩასულა ქალაქ გაბალას კათოლიკე ეპისკოპოსი და ჩაუტანია ცნობა, სადაღაც შორს, აღმოსავლეთში, სპარსეთისა და არმენიის გადაღმა, მეფობს ხუცესი იოანე (პრესბიტერი იოჰანესი), რომელიც თავის ხალხთან ერთად ნესტორიანულ ქრისტიანობას აღიარებსო. მას დაუმარცხებია სპარსეთისა და მიდიის მეფე-მეხობი და აუღია მათი სატახტო ქალაქი, ეკატანა. ამ გამარჯვების შემდეგ იოანე ხუცესი დასავლეთისაკენ დაძრულა, რადგან იერუსალიმის სამეფოსთვის დახმარების აღმოჩენა ნდომებია, ტიგროსამდე მიუღწევია, მაგრამ გემე-

ბი არა პყლია, მდინარეზე ვედარ გადასულა და ჩრდილოეთისაკენ წასულა. აქ ზამთარში მდინარის გაყინვის იმედი ჰქონია, მაგრამ თბილი ამინდების გამო მდინარე არ გაყინულა; ამას გარდა, იოანეს ჯარში ბევრი დახოცილა და მეფე იძულებული გახდადარა შინ გაბრუნებულიყო.

ძლევაძოსილი ქრისტიანი მეფის ამბავმა, რომელიც აღმოსავლეთიდან დაესხა თავს მუსლიმანებს, დიდად გაახარა თურმე ჯვაროსნები, ხოლო საერთოდ ვეროპელებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

პირველად იოანე ხუცესი წერილობით მოხსენებულა გერმანელი მემატიანის, ოტო ფრაიზინგელის ქრონიკაში. მე-12 საუკუნის გერმანელი ჟამთააღმწერელი დაახლოებით იმასვე მოგვითხრობს, რაც ზემოთ გადმოვეცით.

საინტერესოა, რომ ლეგენდებში იხსენიება, აგრეთვე, პრესბიტერ იოჰანესის შვილი თუ შთამომავალი „მეფე დავითი“.

ვეროპელებს და ჯვაროსნებს ძალიან დიდხანს არ დაუკარგავთ აღმოსავლეთის ამ ძლევაძოსილ ქრისტიან მეფესთან კავშირის დამყარების იმედი. მე-15 საუკუნეშიც კი პორტუგალიელი ზღვაოსნები ოცნებობდნენ, მოხვედრილიყვნენ ლეგენდარული მეფე-ხუცესის სამეფოში (იხ. В. Бертольд, История изучения Востока в Европе и России. Лекции, изд. 2-е, Ленинград, 925, стр. 70).

იოჰანეს პრესბიტერის მოსაძებნად ვეროპელთა სპეციალური საზღვაო ექსპედიციები ეწყობოდა. ამ ლეგენდარულ იოანე ხუცესს წერილებსაც კი წერდნენ ვეროპელი მეფეები და პაპები.

იოანე ხუცესს რამდენჯერმე ახსენებს მარკო პოლო, პრესბიტერზე ლაპარაკობს ფრანცისკანელი ბერიც, ჯიოვანი დე მონტე კორვინო (მე-13 — მე-14 საუკუნე). აბულფარაჯად წოდებული გრეგორიუს ბარ პებრუსიც მოიხსენიებს მას თავის სირიულ ქრონიკაში, ჯიოვანი დალ ბლანო კარპინი მოგვითხრობს, თუ როგორ დაამარცხა იოანე ხუცესმა თათრები, მის ამბავს გადმოგვცემს ეპისკოპოსი იორდანუსიც. იოანე ხუცესი მოხსენიებულია მოგზაურ ბენიამინ ტუდელელის დღიურში, ალბერიკუსის ქრონიკაში და ა. შ.

იოჰანეს პრესბიტერი სხვა ნაწარმოებთა გარდა,

პერსონაჟად გვხვდება ისეთ მნიშვნელოვან შუასაუკუნეობრივ ძეგლებში, როგორიცაა ალბრეხტ ფონ შარფენბერგის (მე-13 საუკ.) „უმცროსი ტიტურელი“ (შარფენბერგის ავტორობა უახლესი გამოკვლევებით დადასტურდა, დიდხანს ეს ნაწარმოები ვოლფრამ ფონ ეშენბახის შექმნილი ეგონათ) და სახელგანთქმული „ხალხური წიგნი“ „ფორტუნატუსი“, რომელიც მხოლოდ მე-16 საუკუნის დამდეგს დაიბეჭდა.

ენახოთ რა არის მოთხრობილი იოჰანეს პრესბიტერზე, მაგალითად, „ფორტუნატუსში“... მაგრამ ჯერ ძალიან მოკლედ, საერთოდ ამ ძეგლის შესახებ: ეს წიგნი „ტილიოლენშპიგელთან“ და „რაინკე დე ფოსთან“ ერთად არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „ხალხური წიგნი“. „ფორტუნატუსის“ მასალა შემდეგ საუკუნეებში არაერთხელ გამოუყენებიათ პანს ზაქსს, ლუდვიგ ტიქსს, ლუდვიგ ულანს, ადალბერტ შამისოს, პებელს და სხვ.

ახლა კვლავ იოჰანეს პრესბიტერზე. „ფორტუნატუსში“ შემდეგია მოთხრობილი: იოანე ხუცესი მეფობს ინდოეთში. რომანში ლაპარაკია სამ ინდოეთზე (დიდი ინდოეთი, შუა ინდოეთი, მცირე ინდოეთი) და ყველა იოანე ხუცესს კუთვნიან. რომანში ნახსენებია ინდოეთის მოსახლენი ქვეყნები: სპარსეთი, ჩინეთი, თურქეთი. რომანის გმირი ფორტუნატუსი, რომელიც სტუმრადაა იოანე ხუცესთან, მოისურვებს იმ ადგილის ნახვას, სადაც პილპილი ხარობს. ეს არის ლუმბეტტი, რომელიც აგრეთვე იოანე ხუცესის სამფლობელოს წარმოადგენს. ფორტუნატუსს წაიყვანენ ლუმბეტში. რომანში ნათქვამია, პილპილი მთელს მსოფლიოში მხოლოდ აქ ხარობს. იოჰანეს პრესბიტერის სამფლობელოებში უხვად მოიპოვებოდა ოქრო, ძვირფასი ქვები, სპილოს ძვალი და ა. შ. ლუმბეტში მოსახლენი საჭიროა ზღვის გადაცურვა. ლუმბეტში ზღვის პირასაა. აქ იზრდება პილპილის ბუჩქები, უფრო სწორად, ველური ბუჩქი, რომელსაც პქვია თობარი, ისხამს პილპილს.

ახლა ზოგიერთი იმ პიპოთეზის შესახებ, რომელთა მიხედვით იოჰანეს პრესბიტერის რეალურ-ისტორიული პროტოტიპი ჩვენშია საგულგებელი.

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორი ფ. ბრუნი ვარაუდობდა, რომ იოჰანეს პრესბიტერში საგულგებელი იქნებოდა იოანე ორბელიანი, XII საუკუნის საქართველოს ამირსპასალარი.

ზურაბ ავალიშვილმა შეფარვითა და ძალიან ფრთხილად წამოაყენა პიპოთეზა, რომლის მიხედვითაც იოანე ხუცესის რეალურ-ისტორიული პროტოტიპი დავით აღმაშენებელი უნდა იყოს. აღექსანდრე ნიკურაძემ ამ პიპოთეზას გაცილებით მეტი კატეგორიულობა მიანიჭა.

უკანასკნელ ხანებში პიპოთეზას დავით აღმაშენებლის სასარგებლოდ (ოლონდ მის მოდიფიცირებულ სახეს) მხარი დაუჭირა და ახალი არგუმენტები წამოაყენა ისტორიკოსმა შოთა ბადრიძემ.* მისი ვარაუდი მოკლედ დაახლოებით ასე შეიძლება შეჯამდეს: იოანე ხუცესის ქრისტიანული სამფლობელო მდებარეობდა აღმოსავლეთში, სპარსეთსა და არმენიის გადაღმა (იქით). ქრის-

ტიანული სახელმწიფო, რომელიც სპარსეთსა და არმენიას ესაზღვრებოდა, იყო საქართველო-ამ დროს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ყოველმხრივ ძლიერი სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების სათავეში 1089 წლიდან იყო დავით აღმაშენებელი, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწე. დავითი თავის ხელში აერთიანებდა საქრო და სასულიერო ძალაუფლებას (იოანე მეფეცა და ხუცესიც).

დავით აღმაშენებელი აწარმოებდა ფართო მასშტაბის ომებს თურქულ-მაჰმადიანურ სამაროთან. მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მაჰმადიანებთან დიდგორის ომში. დავითის სახელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ჯვაროსანთა შორის სწორედ ამ ომის შემდეგ (სწორედ დიდგორის ომი ხომ არ იკვლისხმება გაბაღის ეპისკოპოსის მიერ მონათხრობ ბრძოლაში, როცა იოანე ხუცესმა სპარსეთისა და მიდიის მეფე-მეხები დაამარცხა?)

ყოველივე ეს შ. ბადრიძეს საფუძველს აძლევს გაიგივოს იოანე ხუცესი და დავით აღმაშენებელი.

როგორც დავინახეთ, შ. ბადრიძის მიერ მოხმობილი მასალა და არგუმენტაცია, რაც ჩვენ ერთობ შეუკუმშულად და სქემატურად გადმოვეცით, მეტად საგულგებელია, მაგრამ შ. ბადრიძის ვარაუდს არა აქვს კატეგორიულობის პრეტენზია. დავით აღმაშენებლისა და იოჰანეს პრესბიტერის იგივეობის დასადასტურებლად არსებობს თითქმის ყველანაირი შესაბამისობა — ქრონოლოგიური, გეოგრაფიული, ტიტულატურული, სარწმუნოებრივი და ა. შ. მაგრამ ორი რამ მაინც გასარკვევი რჩება: ოტო ფრაიზინგელის (თუ გაბაღელი ეპისკოპოსის) ცნობით იოჰანეს პრესბიტერი ნესტორიანელია, დავით აღმაშენებელი კი არ ყოფილა ნესტორიანელი; და მეორეც: საიდან განჩნდა თქმულაში სახელი იოანე (იოჰანესი?) ამაზე გადაწყვეტი პასუხი არც შ. ბადრიძეს მოუპოვება. თუმცა რამდენიმე არგუმენტით იგი ცდილობს პირველი ხარვეზის ამოხსნას: ერთ-ერთი, ჩემი აზრით, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტია ის, რომ ბიზანტიელები ქართველებს ნესტორიანელებად ნათლავდნენ, რათა ქართული ეკლესიისათვის მწვაობა დაეებრალეინათ, რადგანაც ბიზანტიელებს არაფრად ეპიტნაებოდათ ამ პატარა ქვეყნის მედგარი ბრძოლა კულტურულ-პოლიტიკური ემანსიპაციისათვის და შესაძლებელია, ევროპაში ერთხანს დაიჯერეს კიდევ ქართველთა ნესტორიანელობა.

შ. ბადრიძეს სავსებით დასაშვებად მიიჩნია, რომ იოანე მეფე-ხუცესის ლიტერატურულ-ლეგენდარული სახის შექმნაში „მონაწილეობდა“ არა მარტო დავით აღმაშენებელი, არამედ მისი შვილიც, დემეტრე პირველი — ესე იგი, შესაძლოა, იოჰანეს პრესბიტერის სახე შეიქმნა დავით და დემეტრე მეფეების პიროვნებათა შერწყმით.

დემეტრე პირველიც დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე ის ქართველთა ლაშქარს მეთაურობდა, რომელმაც სახელგანთქმული გამარჯვება მოიპოვა შირვანში. დემეტრე პირველის დროს საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება კიდევ მეტი აღიარება მოიპოვა ახლო აღმოსავლეთის ხელისუფლთა შორის. მან მძიმე დარტყმები მიიყენა თურქობას, შაჰ-

* ის. მისი „ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე“ (თბ. სახ. უნ-ტის შრ., ტ. 125, 1968, გვ. 365-400).

არმენების სახელმწიფოს და საერთოდ მაჰმადიანებს.

იმ დროს, როცა შეიქმნა ლეგენდა იოანე ზუცესზე, აღმოსავლეთში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო საქართველო იყო. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი და უსაფუძვლო, რომ სპეციალისტთა ნაწილი იოჰანეს პრესბიტერის რეალურ-ისტორიულ პროტოტიპს სწორედ საქართველოში ეძებს. აქ შეიძლება გავიხსენოთ შვედი ისტორიკოსი კარლ გრიმბერგი, ავტორი შვეციის მრავალტომიანი ისტორიისა, რომელიც ვარაუდობს, რომ მე-13 საუკუნის ისლანდიურ საგაში („ინგვარ-საგა“) გამოყვანილი ძლევამოსილი ქრისტიანი აღმოსავლელი დედოფალი თამარ მეფე უნდა იყოს.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გვიანდელ ლეგენდებსა და ლიტერატურულ ძეგლებში (მაგალითად, „ფორტუნატუსში“) იოჰან პრესბიტერი ინდოეთის მბრძანებლად გვევლინება, ამაზე შემდეგი შეიძლება ითქვას:

ინდოეთის ცნება შუა საუკუნეების ევროპელთა წარმოდგენაში ძალიან ფართოა, მასში უამრავი ქვეყანა შედის. ზოგჯერ ერთმანეთში არეულია ინდოეთი და ეთიოპია (აბისინია), ინდოეთი და ტიბეტი, ხანდახან ეთიოპია და ტიბეტი ინდოეთის ნაწილებად და მიჩნე-

ული. არაიშვიათად, ინდოეთი სპარსეთსაც მოიცავს. შ. ბადრიძე ასახელებს კომპეტენტური სპეციალისტის ი. კ. რაიტის შრომას — „ჯვაროსანთა ომების დროინდელი გეოგრაფიული ცოდნა“ (ნიუ-იორკი, 1925), რომელშიც ნაჩვენებია, რომ ჯვაროსანთა გეოგრაფიულ წარმოდგენაში ინდოეთი თითქმის მთელ აღმოსავლეთს მოიცავდა.

ჩვენის მხრივ დავემატებთ კიდევ შემდეგ ფაქტებს: აღსანიშნავია, რომ ვოლფრამ ფონ ეშენბახის სახელგანთქმულ რომანში — „პარციფალი“ (მე-13 საუკუნის დასაწყისი) კავკასია ხან ინდოეთის მეზობელ ქვეყნად, ხან კი ინდოეთის ნაწილად წარმოდგენილი. ხოლო მე-16 საუკუნის „ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტუსზე“ (იგი მე-16 საუკუნეში დაიბეჭდა, მაგრამ მისი შექმნის თანდათანობითი პროცესი წინა საუკუნეებშია საკულევბელი) ვკითხულობთ, რომ კავკასიაში ხარობს პილიპის ხეები (გავიხსენოთ „ფორტუნატუსიდან“ ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ იოჰან პრესბიტერის ერთ-ერთ სამფლობელოში, ლუმბეტი უამრავი ბილპილის ბუჩქია).

ნოდარ კაკაბაძე





ღაკით აღაშენებელი სნეულთა

„მამებრ მწყალობელი“

როგორც ცნობილია, საქართველომ თავისსავე ტერიტორიაზე განვლო ფილოგენეზური განვითარების ყველა ის პერიოდი, რაც გაიარა ვაცობრიობამ და მოგვცა ყველა ამ პერიოდის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი კულტურის დონე. მიუხედავად თავისი არსებობის მანძილზე განცდილი დაპყრობითი ომებისა, რომლებსაც დასასრული არ უჩანდა, რაც გარკვეულ პერიოდებში იწვევდა დაცემას, სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაქუცმაცებასა და კულტურის დაქვეითებას, ქართველი ერი საბოლოოდ მაინც აღწევდა კულტურისა და ეკონომიკური ვითარების აღდგენა-განახლებას და შემდგომ განვითარებას. საქართველოს ამ მხრივ, მსოფლიო კულტურასა და კერძოდ, მედიცინის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უძველესი დროიდან. (დაწვრილებით იხილეთ, მ. შენგელა, „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“, თბ., 1978 წ.).

ამჯერად, მოკლედ გვინდა შევხებით ქრისტიანული რელიგიის, ქრისტიანული კულტურის დანერგვის პერიოდს საქართველოში, რაც IV საუკუნიდან იღებს დასაბამს.

„ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ მირიან მეფის თანამეცხედრე, დედოფალი ნანა და მირიან მეფის ძის „ჰრმაწული“ უკურნებელი სენით იყვნენ შეპყრობილნი, რომლებიც ვერ განიკურნენ „მრავალთა ხელოვანთა მკურნალთა“ მიერ. დედოფალმა გადაწყვიტა მოეწვია „უცხოელი“, რომელიც მეფის ვენახში იყო დასახლებული და ცნობილი იყო, როგორც „სნეულთა მკურნალი ხელოვანი“. ეს „უცხოელი“ იყო მოციქულთა-სწორი-წმიდა ნინო, ვინც ქრისტიანობის საქადაგებლად მოკვლინა საქართველოს.


წმიდა ნინომ განკურნა დედოფალი ნანა და ასევე, მეფის ძის, რევის წულიც. ნინოს, როგორც „მკურნალის“ სახელი ხალხში გავრცელდა „და ამიერითგან უფროს მოვიდოდეს ყოველნი უძლურნი და სნეულნი, განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჯვარსა წმიდასა ქრისტესა“. ნინო „ხელოვანი მკურნალი“ იყო და „მრავალი განრდევულნი განკურნა, მაგრამ მან იცოდა, საიდანაც ჰქონდა მინიჭებული ეს ძალა. მემბტიანე გვამცნობს, რომ იგი „ჰყოფდა კურნებითა საკვირველებითა ძალითა ქრისტესათა“; „კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა ვყო: ხოლო დემეტოან ჩემმან ქრისტემან მისცეს ყრმასა მავას კურნება“. ეს იყო მკურნალობა „შეხებითა ჯვარისათა“ და მან მიადწია მიზანს. ხალხმა ირწმუნა მისი, ხოლო დიდ სასწაულთა შემდეგ მირიან მეფემ ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოაცხადა, რის

შედგადაც სამოქალაქო და ხალხურ მედიცინასთან ერთად საქართველოში ყალიბდება საეკლესიო-საქაპრო სამედიცინო სისტემაც. საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებთან არსდება სამედიცინო-კულტურული კერები და საავადმყოფოები (ლაზარათები), (პ. იბერიელი). ამ მხრივ აღსანიშნავია საბაწმინდის ქართველთა ლავრა, ხანძთის სავანეთა მონასტრები, ათონის ივერთა მონასტერი, პეტრიწონის მონასტერი, რომანა; სირიელ მამათა მონასტრები საქართველოს ტერიტორიაზე და სხვ.

საბაწმინდის ქართველთა ლავრაში (483 წ.) აშენებულ იქნა 200 საწოლიანი საავადმყოფო, სადაც სავანეებოდ მიწვეული ექიმები მოღვაწეობდნენ, რომლებიც საექიმო პრაქტიკაში იყენებდნენ „მეცნიერ“ და „ხელოვან“ მკურნალთა გამოცდილებებს. აქვე დაიწერა „სინანულისათვის სიმდაბლისა“, რომელშიც იმ დროისათვის მეცნიერული სიზუსტითაა განხილული ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხები.

VII საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიის გარეთ კულტურული ცენტრების შექმნა-გაძლიერება იმითაც იყო განპირობებული, რომ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში არაბები ბატონობდნენ, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის კულტურის შემდგომ განვითარებას. თბილისს ამირა განაგებდა მთელი ოთხი საუკუნე. ამ ხანებში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო-კულტურული კერები ხანძთის სავანეების სახით, სადაც საექიმო-პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. აქვე ქმნიდნენ, აგრეთვე, სამედიცინო ლიტერატურას-ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ტრაქტატებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიზანტიაში და იერუსალიმში ილარიონ ქართველის (822—875) და იოანე, გაბრიელ და ექვთიმე მთაწმიდელების მოღვაწეობა ათონის ივერთა მონასტერში.

ილარიონ ქართველის სახელმძღვანელოდ, საექიმო საქმიანობასთან არის დაკავშირებული როგორც ოლიმპოს მთაზე არსებულ ქართველთა მონასტერში, ისე კონსტანტინეპოლში. ის საქვეყნოდ იყო ცნობილი, როგორც „ხორცთასა... საღმობიერთა მკურნალი“ და ბიზანტიიდან ზმირად იმიტომ ჩამოდიოდა (დავით გარეჯის მონასტერში), რომ უსასყიდლოდ ემკურნალა შშობელი ხალხისათვის. ის ცნობილი იყო ყველგან „უვერცხლო მკურნალად“ და როცა მიიცვალა, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ მოიწვია „ყოველთა მამასახლისთა“ კრება, ჩაატარა სამგლოვიარო ცერემონიალი. მადლიერმა მეფემ მის მოწაფეებს აუშენა მონასტერი კონსტანტინეპოლთან ახლოს, ქალაქ რომანაში, რათა გაეგრძელებინათ თავიანთი მასწავლებლის საქმე და რაც მთავარია, საკუთარი ვაჟიშვილები „მენი თვისნი“ ლეონ და ალექსანდრე მიაბარა, აზიარა ილა-



დავით აღმაშენებელი პირადად ზრუნავდა ქსენონში ავადმყოფების მოვლა-პატრონობაზე. «ვით მოვიდის, მოილხინის, მოიკითხნის და ამბორს უყვის, თვითეულსა მამებრ სწვალობდის».

როინ ქართველის სიბრძნეს, შეასწავლა ის ენა (ქართული), რომელზედაც მეტყველებდნენ მისი მოწაფეები. მეფის დავალებით დაწერილი იქნა „ცხოვრება ილარიონ ქართველისა“, რომელიც 200 წლის შემდეგ, დავით აღმაშენებლის ბრძანებით, თარგმნა ქართულ ენაზე.

ქართული კულტურული ტრადიციებისა და, კერძოდ, საქმიანობის ტრადიციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა ათონის ივერთა მონასტერი ქალკედონის ნახევარკუნძულზე. 1054 წელს აქ აშენებულ იქნა საავადმყოფოს საგანგებო შენობა. აქვე ყოფილა ზეთისხილის ბაღი, რომელიც „სნეულთათვის“ შეუწირავთ. გვიან XV—XVII საუკუნეებში ქალკედონის ნახევარკუნძულზე განლაგებული იყო პროპული ქვეყნების 16-მდე სამონასტრო კულტურული კერა, მათ შორის, მედიცინის მხრივ ყველაზე მოწინავე იყო ივერთა მონასტერი... ივერთა მონასტერში არსებობდა ორი საავადმყოფო: წმიდა გიორგისა და წმ. მოდესტის სახელობის და მე-

სამე ლებროზორიუმი-კეთროგანათავის. აქ, დაავადებულთა მომსახურების უარესად მაღალი დონის შესახებ შემონახული მრავალი საისტორიო ცნობა. (იხ. მ. შენგელია — „მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში“. თბ., 1961 წ., გვ. 81—93 და „ქართული მედიცინის ისტორია“, თბ., 1980 წ., გვ. 109—120). საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო-კულტურულ კერებს შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, პეტრიწონის ქართველთა მონასტერი. მისი დამაარსებელი იყო ბიზანტიის დასავლეთ იმპერიის დიდი დომესტიკოსი, ქართველი გრიგოლ ბაკურიანისძე. აქ საქველმოქმედო-მოხუცთა და ინვალიდთა თავშესაფარს გარდა არსებობდა საავადმყოფო (სასნეულო), სადაც „ხელოვანი მკურნალნი“ ეწეოდნენ სნეულთა მკურნალობას. აქ ოც წელიწადს მოღვაწეობდა დიდი ქართველი ფილოსოფოსი, მედიცინისა და ბუნებისმეტყველებაში განსწავლული იოანე პეტრიწი.

დავით აღმაშენებლის გამეფების (1089) შემდეგ საქართველოში იცვლება სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სიტუაცია. დავით აღმაშენებლის ბრძოლა თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ საბოლოოდ გამარჯვებით დაგვირგვინდა დიდგორის ომში (1121 წ.) და ამის შემდეგ შეიქმნა ნიადაგი ქართული კულტურის აღორძინებისა, ქართული რენესანსისა. თვით დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით აშენდა სამონასტრო-კულტურული ცენტრი გელათში. დავით აღმაშენებელმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა... და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა, და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“. („ქართლის ცხოვრება“, მარიაშვილი დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 293—294). თანამედროვეთა მიერ გელათი აღიარებული იყო მეორე „ათინად“ განათლების და მწიგნობრობის ცენტრად. „ახალ რომად“, „ელადად“, რომზე და ათინაზე „ფრიად უაღრესად“ და ა. შ. დავით აღმაშენებელი, როგორც წყაროებიდან ირკვევა, აქტიურად ერეოდა საქეიმო საქმიანობასა და საავადმყოფოების ჩამოყალიბება-მოვლა-პატრონობაში. მისი ისტორიკოსი წერს, რომ მან „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შეკრიბნა ძმანი, თუითიო სახითა სენითა განცდილნი და მოუშადა ყოველივე სახმარი მათი“ (ანასტასიუსი ქართლ. ცხოვრ., გვ. 210). გარდა ქსენონისა, (საავადმყოფოსი), მას აუშენებია „მოხუცთა და დაერდომილთა თავშესაფარი“. ისტორიკოსი წერს, რომ დავითი ხშირად მიდიოდა ქსენონში და პირადად ნახულობდა იქ მოთავსებულ სენულთ: „თვით მოვიდის, მოიღვინის, მოიკითხნის და ამბობს უყვის, თვითიუელსა მამებრ სწყალობდეს“.

აღსანიშნავია, რომ გელათის აკადემიის დაარსების შემდეგ, პეტრიწონის მონასტრიდან გადმოყვანილ იქნა იოანე პეტრიწი. დავით აღმაშენებელმა იოანე პეტრიწი „მოიყვანა“... როგორც კაცი პატიოსანი „ცხოვრებითა და შემკულ ყოვლითა სათნოებითა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავითმა თავის სამეფოში მრავალი საავადმყოფო და უძღურთა თავშესაფარი დააარსა.

გელათის აკადემია და მასთან არსებული საავადმყოფო, მიუხედავად იმისა, რომ გელათის მონასტერთან იყო დაკავშირებული, როგორც ჩანს, მინც სამეფო ხელისუფლების უშუალო მზრუნველობისა და მატერიალური უზრუნველყოფის ქვეშ იყო და ამდენად, სამოქალაქო მედიცინის ერთ-ერთ კერადაც უნდა იქნეს მიჩნეული.

არსენ ივალთოელი წყაროებში ნახსენებია, როგორც „ანატომიის მოძღვართმოდვარი“, ე. ი. „ანატომიის პროფესორი“ თანამედროვე გაგებით. ქართულად ხელმეორედ მან თარგმნა იოანე დამასკელის „გარდმოცემაჲ“ — ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი. იოანე პეტრიწის მიერ იქნა, აგრეთვე, თარგმნილი გელათში მოღვაწეობის დროს „ბუნებისათვის კაცისა“, რაც უთუოდ გელათის აკადემიის პრაქტიკული სას-

წავლო საჭიროებით იყო გამოწვეული. ისიც ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი და წარმოადგენს ადამიანის ბუნების შესახებ არსებული ანტიკური და აღმოსავლური ფილოსოფოსებისა და ანთროპოლოგების მოსაზრებათა შეჯამებას; გარდა ანატომიური მონაცემებისა, განიხილავს ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საკითხებს, თითოეული საკითხის განხილვისას მიუთითებს ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური პროცესების ანატომიურ ლოკალიზაციაზე და ა. შ. აღიარებულია „მშვენიერ სახელმძღვანელოდ ანთროპოლოგიის შესასწავლად“ (ს. გორგაძე). იოანე პეტრიწის მიერ იქნა თარგმნილი პროზორულ დიდახოსის „კავშირნი“ და „განმარტება“.


არსენ ივალთოელი, როგორც ცნობილია, გელათის აკადემიიდან ივალთოს აკადემიაში იქნა გადაყვანილი. ამგვარად, როგორც ირკვევა, გელათისა და ივალთოს აკადემიებში უკვე აღიზნებოდა ისწავლებოდა მედიცინა. ამის აშკარა მარჯვენაა, აგრეთვე, ხოჯაყოფლის მიერ შედგენილი „წიგნი საქეიმოჲ“, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მაშინ არსებული „კარაბადინისაგან“ და განკუთვნილია სასწავლო წიგნად მოწაფეთათვის, მომავალ აქიმთათვის. თვით ავტორი წერს: „რამ ზედა სწავლა უნდა მოსწავლესა, სრულად ვახსენო აბას წიგნსა შინა“; „ვახსენო, რომელ მოსწავლემან გავონებით ისწავლოს“ და ა. შ., რაც უთუოდ სახელმძღვანელოდ იყო იმდროინდელ უმაღლესი განათლების სისტემაში შვიდ საკადრეულ საგანთა შორის მედიცინაც იყო გათვალისწინებული.

ამ დროისათვის ცნობილია, აგრეთვე, საქეიმო მომსახურების კერები: ვარძიის აფთიაქი, ვანისქვაბის მონასტრის სასწავლო და სხვა.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის მეფობისა და მოღვაწეობის წლების და მისი მომდევნო პერიოდი, თამარ მეფის დროსთან ერთად, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე პერიოდია.

დავით აღმაშენებლის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები, საქეიმო მომსახურებისადმი განსაკუთრებული ზრუნვისა საუკუნეების განმავლობაში ვრცელდებოდა. თამარ მეფე დიდ მატერიალურ დახმარებასა და მფარველობას უწევდა იმ სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებს, რომლებიც საქეიმო საქმიანობას ეწეოდნენ: „საბერძნეთის, მთაწმილისა, იერუსალიმისა და შავთისისა საყდარნი და კელესიანი რომელნიმე მათითა, საფასოთა და დახსნა ხარკისაგან უცხოელთასა“. ფშავ-ხევსურეთში დღემდე შემორჩენილია თამარის სახელი, როგორც მკურნალი ღვთაებისა, როგორც აქიმ დედოფალი, „ფშავის ერთ-ერთ სოფელში, ამჟამადაც არის ერთი ნავებობა „თამარ აქიმის“ სახელწოდებით, სადაც დაავადებულნი მიჰყავდათ თამარის მიმართ მაგიურ-რელიგიური რიტუალებითა. ყოველივე ეს თამარ მეფის მედიცინისადმი განსაკუთრებული ზრუნვის ანარეკლი უნდა იყოს.

მიხეილ შენგელია



მეფე — ფილოსოფოსი და მხედართმთავარი



საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ველური ტომების — თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების კავკასიელი ხალხების შეკავშირება და ამიერკავკასიიდან დამპყრობთა განდევნა, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე საერთო კავკასიური სახელმწიფოს შექმნა დაკავშირებულია ქართველთა სახელგონი მეფის, დავით აღმაშენებლის სახელთან.

900 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 16 წლის ყმაწვილი დავითი სამეფო ტახტზე ავიდა. მძიმე იყო მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი თურქ-სელჩუკებს ჰქონდათ დაკავებული, სახელმწიფოს ტერიტორია თითქმის განახევრებული იყო. დავით აღმაშენებლის მემატიანე გვაუწყებს: „რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოიხრებულ იყო ქართლი... და იყო მაშინ საზღუარად სამეფოსა მთა მცირე ღიბთა და სადგომი სამეფო წაღულის-თავი“. თურქ-სელჩუკების დამპყრობლურმა პოლიტიკამ მთელი მსოფლიო შესძრა. ქრისტიანული სამყაროს დასაცავად აღმოსავლეთით დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი საერთო-კავკასიური სახელმწიფო დადგა, დასავლეთით კი „ამასა ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია და შეწყვიტა ღმრთისათა მიუშენა ქუეყანა ქართლისა. განმლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არდარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერდარა დაიხამებდეს ქართლს“.

დავით აღმაშენებელი შიშის ზარს სცემდა გარეშე და შინაურ მტრებს, გაბედულად ებრძოდა და ამარცხებდა მათ. თურქ-სელჩუკებზე გამარჯვების შემდეგაც, ისინი მაინც არ აძლევდნენ მოსვენებას დავით აღმაშენებლის საქართველოს და მის ყმაღაფიც ქვეყნებს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ სულთან შირვანში შემოჭრილა, შირვანში შეუპყრია, ხოლო დავითისათვის თავხედური წერილი გამოუგზავნია: „შენ ტყუთა მეფე ხარ და ვერასოდეს გამოხვალ ველთა, ხოლო მე ესე-რა შირვანში შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვითხოვ. შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე და თუ გინდა სამალავათ გამოვედ და მნახე“. დავით აღმაშენებელმა „ხმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი“. სულთანი შიშმა შეიპყრო: „მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებითა და ძღუენითა და მუდართა შეთულილობათა, ვითარცა მონაპან ჭირვეულმან, არდა ძღუენი ანუ ომი ითხოვნა, არამედ გზა სამღვთვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე“.

1121 წელს დიდგორის ომში დავით აღმაშენებელმა ქრისტეს სახელით გადაწყვეტ და საბოლოო გამარჯვებას მიიღწია.

რაც შეეხება საშინაო მტრებს, მეფე მათ მკაცრად მხოლოდ მაშინ უსწორდებოდა, როცა დარწმუნდებოდა, რომ „უდი ძალისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

დავით აღმაშენებელი იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე. მან სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებისაგან შექმნა საერთო კავკასიური სახელმწიფო, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა თურქ-სელჩუკ დამპყრობთა დამარცხება. კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხების დარაზმვა ქრისტიანული საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელმძღვანელობით იოლი არ იყო. დავითის მიერ შექმნილი საერთო კავკასიური სახელმწიფო სამხედრო კანონს ემყარებოდა, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, ამისათვის „მართო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა, ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისათვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო... უმაღლესი ნიჭიერებითა და თავგამოდებითაც აღჭურვილი მოღვაწე, თვით უძლიერესი გვირგვინოსანი მეფეც კი ყოვლად შემძლებელი არ არის. თუკი ერი და სახელმწიფოც იმისდა შესაფერისად მომზადებული და დაწინაურებული არაა, მაშინ მისი მოღვაწეობა სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს“.

საქართველოს „მკლავ-ხმლის ძალასთან“ დაკავშირებული დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა კარგადაა შესწავლილი, მაგრამ რაც შეეხება მის თეორიულ საფუძვლებს, იმ სულიერ მეძვედრეობას, რომელსაც ემყარებოდა იგი, შედარებით ნაკლებადაა გაანალიზებული. თუმცა მის ძირითად მიმართულებებზე მიუთითებენ: დავით აღმაშენებლის მემატიანე, ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ნ. ბერძენიშვილი და სხვა.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს იმ საერო და სასულიერო მოძღვრების წარმოჩენას, რომლითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი.

წინგონობარმა მეფემ გამოიყენა და იმდროინდელი საქართველოს სინამდვილის შესაბამისად განავითარა, როგორც სამაშულო, ასევე სხვა ქვეყნების სულიერი სიმდიდრე, რომელიც საფუძვლად დაედო მის მიერ შემუშავებულ ახალ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. როგორც შ. ნუცუბიძემ ცხადყო, სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებზე წარმატებით განსახორციელებლად ეს ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა თავისი შინაარსით შეიძლებოდა მხოლოდ რენესანსული ყოფილიყო. ფილოსოფოსმა მეფემ თავის გარშემო შემოიკრიბა საერო და სასულიერო სწავლულნი, დააარსა სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც დიდ კვლევით მუშაობას ეწეოდნენ მრავალეროვნული სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური ცხოვრების საჭირობოტო საკითხების გასარკვევად. დავითის მემატიანე მიუთითებს, რომ ქვეყნის „დიდთა წყლუ-

ლებათა კურნებად შემოკრება ერთი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თვისსა კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარი, მუუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა და ადგილსა ჯეროვანსა და დღესთა მრავალთა ფრიალითა გამოწულილვითა გამოიძიეს და ყოველი ცთობა განმარტეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს. ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ასამაღლებლად და ვითა და მისმა სწავლულულებმა „უღირსად გამოჩინებულნი განუუტეს და შეჩვენეს, გარდმოსთინეს საყდართაგან, დაღათუ ძნელდა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაიპყრნეს საყდრები; და მათ წოდ ჭეშმარიტნი მწვემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინეს“.

დავით აღმაშენებელმა ქვეყნის სამხედრო და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში ჩრდილოეთიდან გადმოასახლა ყოვანაღმა მრავალრიცხოვანი ტომი ათრაქა შარაყანის ძის მეთაურობით. ქალაქებში დასახლდა ვაჭრები და ხელოსნები, ხოლო მდიდარ ტრადიციებზე დაფუძნებული ქართული სულიერი ცხოვრების აღსახელებლად „შემოიკრიბნა კაცნი პატროსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყნისა კიდეით სადათცა ესმა ვითემე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, ძლიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსახელობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“. მწიგნობარმა მეფემ შექმნა აკადემია „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოღუარად სწავლულულებისად, სხუად ათინად, ფრად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიკონად ყოვლისა საეკლესიოსა შეუნიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათი“.

შემოქმედა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმატებით განხორციელების მეცნიერული საფუძვლები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიტიკურ საქმიანობაში ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინება. მემბტიანე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ამ მხარეს, როგორც ახალი პოლიტიკური კურსის მანამდე უცნობ ფაქტს, საგანგებოდ წარმოაჩინს: „ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემცენებანი, პირველ ყოვითა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემთხუენი წინაგანსაკრძალვებლად სახედ არა შემთხუენეს და არა მოეხმარნეს, ვითარცა იტყვის სოლომონ ვითარმედ: „იციის ქცეულბანი ჟამთანი, აღხსნანი იგავთანი და გარდასრულთა მიემსგავსნის მომავალი“ — არათუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამაბლვებელი, ესეოდენ ძნელი და ნამდვილვე დიდი განსაგებელი, რათა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხუამან“.

დიდი უბედურება მოუტანა აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა თურქ-სელჩუკებმა ამიერკავკასიის ხალხებს. ამ ველურმა ტომებმა დაამხეს ამიერკავკასიაში არსებული თითქმის ყველა სახელმწიფო. მხოლოდ საქართველო განაგრძობდა არსებობას. უსახელმწიფოდ დარჩენილი სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხები თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის და დამპყრობელთა ქვეყნიდან განდევნის იმედს მხოლოდ ქართულ სახელმწიფოზე ამყარებდნენ. დავითმა ისტორიის გაკვეთილებიდან კარგად იცოდა, რომ შუა საუკუნეებში საერთო მიზნისათვის საბრძოლველად სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხთა შეკავშირება არც თუ ისე ადვილი იყო, ქრისტიანული ქართული სახელმწიფოებრიობის მეთაურობით ამ ხალხების დარაზმვა დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად დიდ დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული. სინდელეების გადასახლება აუცილებელი იყო საერთო კავა-

სიურ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხების შეგნებაზე მძლავრი იდეოლოგიური ზემოქმედება. იდეოლოგიური ზემოქმედების მთავარ საშუალებას კი წარმოადგენდა სარწმუნოება, მაგრამ ამ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ მრავალი ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხები და რომელიმე ერთისათვის უპირატესობის მინიჭება არ შეიძლებოდა. ეს გადავივება მათ შორის სარწმუნოებრივ და ეროვნულ შუღლს.

სინდელეების დასაძლევად ფილოსოფოსმა მეფემ, რომელიც ისტორიიდან კარგად იცნობდა სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერებისა და ქვეშევრდომთა ერთსულოვნების იდეოლოგიური ზემოქმედების ეფექტურ მოძღვრებებს, ყურადღება შეაჩერა ანტიკურ სულიერ მეშვიდროებაზე, კერძოდ, ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე, რომელიც ახალი დროის ყველა რელიგიური წარმოდგენებისაგან თავისუფალი იყო.

სამწუხაროდ, ბუნებითი სამართლის მოძღვრების ქართული ვარიანტები ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში არაა გამოკვლეული, მეტიც, ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელიც ყველა ხალხში, ყველა ეპოქაში დღევანდელი მისი ჩათვლით, უადრესად პოპულარულია, ქართული მეცნიერების ფართო წრეებში არაა ცნობილი. ამის გამო აუცილებელია ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე, რომელსაც დიდი ადგილი აქვს დამოძირებული დავით აღმაშენებლის სულიერ მემკვიდრეობაში, საგანგებოდ შევჩერდეთ.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება ჩამოყალიბებას იწყებს აღმოსავლეთისა და ანტიკურ ქვეყნებში (მო ძი, ლაო ძი, დემოკრიტი, პლატონი, არისტოტელე და ა. შ.) ძვ. წ. აღ. I საუკუნიდან. უძველეს დროში ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ ბუნებით სამართალს და დაღებით (პოზიტიურ) სამართალს. ბუნებითი სამართალი აბსტრაქტულად არსებულ, ადამიანთა გონებისაგან დამოუკიდებელ ჭეშმარიტებებზე დამყარებული მუდმივი სამართალია, პოზიტიური სამართალი კი — სახელმწიფოს მიერ დადგენილი, ადამიანთა ნების გამოხატველი დაწერილი სამართალი.

საქართველო უძველესი ქვეყანაა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქართველები ოდითგანვე იცნობდნენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას და წარმატებითაც იყენებდნენ მას პოლიტიკური საკითხების გადასაჭრელად (აეტი, ფარტაძი და ა. შ.).

დავით აღმაშენებელმა სრულყო და განავითარა ბუნებითი სამართლის მოძღვრება და მას პოლიტიკური ჟღერადობა მისცა. ჩვენამდე მოღწეული ძეგლები ცხადყოფენ, რომ იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა ბუნებით, დაღებით და ღვთაებრივ სამართალს. ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „ასეთი კლასიფიკაცია იმ რწმენაზეა დამყარებული, რომელიც დავითის სინანულის გალობაშია გამოთქმული. მაშინ იცოდნენ, რომ განგებისაგან თანდაყოლილი ბუნებითი სჯულის გარდა, არსებობს, აგრეთვე, „სჯული ბუნებისა კაცთაჲსა“, ადამიანის ფიზიკური ბუნების კანონი, რომელიც ხშირად ადამიანის იმონებს ხოლმე“.

დავით აღმაშენებლის აზრით, სამართლის სახეებს შორის ყველაზე მაღალი მდგომარეობა ბუნებით სამართალს უკავია. ადამიანებმა რომ იხელმძღვანელონ მუდმივი ჭეშმარიტებებით, სწორედ „ამისთვის მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული“. სახელოვანი მეფე და მის გარშემო შემოკრებილი სწავლულნი ავითარებენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომლის მიხედვით ყველა ადამიანის ბუნება ერთნაირია. მათი მტკიცებით, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების კავკასიურ ხალხებზე ქართული სახელმწიფოებრიობა წარმატებით განხორციელდება, უკეთუ იგი დაეფუძნება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას. თავისუფლებისათვის ბრძოლა ბუნებითი სამართლის მიერ დადგენილი ყველა ადამიანის

თანდაყოლილი უფლება. სწორედ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი ეს თვისება აკავშირებს სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის მოთავედ ქართული სახელმწიფოებრიობა გამოდიოდა.

ამრიგად, ანტიკურ და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოშობილი ბუნებითი სამართლის მოძღვრება მწიგნობარმა მეფემ და მისმა სწავლულებმა შემოქმედებითად გამოიყენეს ქართული სინამდვილის მიხედვით. სხვათა შორის, ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, როგორც ადამიანთა შეგნებაზე მძლავრი იდეოლოგიური ზემოქმედების იარაღს შუა საუკუნეების დიდი ჰუმანისტური მოძრაობა, რომელიც დასავლეთ ევროპაში რენესანსისა და რეფორმაციის სახელითა ცნობილი, ფართოდ იყენებდა (მ. პალუელი, ნ. მაკიაველი, ჟან ბოდენი, მ. ლუთერი, ჯ. ლოკი და ა. შ.).

დავით აღმაშენებლის ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შინაარსი მნიშვნელოვნად განაპირობა თეოლოგიის რენესანსულმა ჰუმანიზაციამ, რასაც მოგვიანებით ფართო გასაქანი მიეცა რეფორმაციის ბელადის, მარტინ ლუთერის შრომებში. მანამდე კი, როგორც შ. ნუცუბიძემ ცხადყო, თეოლოგიის ჰუმანიზაციის პრობლემების დამუშავება სათავეს იღებს დავით აღმაშენებლის ნააზრევში. დავითის აზრით, რადგან ადამიანის ბუნება ყველგან და ყველა დროში მუდმივი და უცვლელია, მას ერთნაირი წარმოდგენა აქვს ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრეს ფენომენზე (სიცოცხლე, ბედნიერება და ა. შ.). ადამიანის ცხოვრების მიზანი ბედნიერებაა. ხოლო სრული ბედნიერება და საბოლოო ნეტარება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ღვთის შეწყვეთით. ღმერთი არის სიკეთე. იგი უმაღლესი არსებაა, „ბუნებით მოწყალე და სახიერი“, ღმრთის მიერ დადგენილი წესი არის „კეთილი და სათნო“, ღმერთი იძლევა მტრებზე გამარჯვებას, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ „იქმნა ბრძოლა ფიცხელი და შეწყვეთითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი“, „ადიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი... ესოდენ ადვილად და მოსწრაფედ ხელთ უხსნა ღმერთმან საკვირველებათამან“.

ღმერთის გარეშე არაფერი არ ხდება ქვეყნად. ღვთის არსში ღრმა წვდომა გახდა სწორედ დავით აღმაშენებლის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე დამყარებული ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის — ტოლერანტიზმის (რჯულ შემწეობის) საფუძველი. ცნობილია, რომ დავითი ყოველმხრივ მხარს უჭერდა და მფარველობდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხებს. ხშირად დადიოდა მეჩეთებში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იდეოლოგიურ-დოგმატიკური ხასი-

ათის დისპუტებში და ყველას თავისი ღრმა ცოდნითა და ფართო განათლებით აკვირვებდა, ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ირანულ სუფიებსა და პოეტებს. ამ მიზნით მათ სპეციალური თავშესაფარიც კი აუგო თბილისში.


სამეფო ხელისუფლების ტოლერანტული პოლიტიკის დაინტერესებით უნდა აიხსნას დავით აღმაშენებლის მიერ მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობის შეერთება. როგორც ნ. ბერძენიშვილმა გამოიკვლია, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ეს ახალი თანამდებობა თავისი ხასიათითა და ბუნებით არსებითად განსხვავდება ყველა იმ თანამდებობებიდან, რომლებიც გვხვდება ამ ეპოქაში არამარტო ფეოდალურ საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, როგორც უმაღლესი ხელისუფლების ყველაზე გავლენიანი თანამდებობის პირის გაჩენა სამეფო ხელისუფლებაში ნაწილობრივ დავით აღმაშენებლის მიერ შემუშავებული ტოლერანტული პოლიტიკით უნდა აიხსნას. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც მეფის შემდეგ პირველი პირი იყო საქართველოში, დავით აღმაშენებლის ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფდა ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებას სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებში.

შუა საუკუნეებში განხორციელებული ეს ტოლერანტიზმი იმდროინდელი მსოფლიოსათვის უცხო იყო. რჯულ შემწეობა, საკანონმდებლო წესით, მოგვიანებით დადგინდა. (1786 წელს დამტკიცდა აშშ-ს მესამე პრეზიდენტის კანონპროექტი ტოლერანტიზმის შესახებ).

ტოლერანტიზმი, მართალია, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში წარმოადგენდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხთა დაახლოებისა და მათი გარკვეული მიზნით დარაზმების საშუალებას, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, გარკვეული სახით ეწინააღმდეგებოდა შუა საუკუნეების ორთოდოქსულ რელიგიურ დოგმატიკას.

დავით აღმაშენებლისა და მის გარშემო შემოკრებილ სწავლულთა მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ფესვებზე ჩამოყალიბებული ორიგინალური და მდიდარი სულიერი მემკვიდრეობა, რამაც უზრუნველყო საქართველოს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, დაედო საფუძვლად მძლავრ ჰუმანისტურ მოძრაობას, რომლის სულიერი წინამძღოლობა შოთა რუსთაველს ხვდა წილად.

პასტანა აბაშაძე





საკაო. წმიდა გიორგის ჭედური ხატი. X ს.

ისიც საკითხავია, თუ დავით აღმაშენებლის ჯარმა განმათავისუფლებულ ოშში, რა საჭურველით დაიბრუნა თურქ-სელჯუკებისაგან მიტაცებული მიწა—წყალი, რით გადაიტანა საქართველოს საზღვარი „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან—სოერად, და არეგაწყემდე? საქართველოსათვის ასეთი პიროვნების მოვლენას გ. ორბელიანი განგებას მიაწერს.

მიუხედავად მრავალი ქართველისა, ჩვენს წინაპრებს შემონახული ჰქონიათ შუა საუკუნეების ქართველი მხედრის მთლიანი აღჭურვილობა, რითაც ეს საკითხი ნათელი გახდებოდა, მაგრამ სხვა უნიკალურ ქართულ კოლექციებთან ერთად, საქართველოში მოღვაწე უცხოელთა წვალობით ზოგი საზღვარგარეთულ მუზეუმებში აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით, აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც იგი 1937 წ. ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შ. რუსთაველის ხანის მატერიალური კულტურის საიუბილეო გამოფენას, გულისტკივლით აღნიშნავდა: „არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან მთლიანად იმდროინდელი XI—XIII ს. ჯავახი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგპაუსის (იარაღის) მუზეუმში ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX ს.—ში გატანილს მანეკენზე ჩამოცმულს, XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს. ოქროს ზარნახშით უხვად შემკული მშვენიერი ქართული მუზარადიც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით არც ის არის საქართველოში“. კავკასიის მუზეუმის ყოფილი დირექტორი გ. რაღე (1867—1903), დასძენს აკად. გ. ნიტაია, ქართული უნიკალური კოლექციებით პირველ რიგში გერმანიის მუზეუმებს: ჰამბურგს, ლაიპციგს და ბერლინს ამარაგებდა. საფიქრებელია, რომ ხსენებული კოლექცია ბერლინში მისი მეშვეობით მოხვდაო. ეს ქართული აღჭურვილობა გერმანიის საჭურველის მუზეუმში კ. გამსახურდიას დაუთვალეიერებია, რომლის შესახებ მწერალი შემდეგს აღნიშნავს: „ჩვენ დრომდის

დავით აღმაშენებლის დროინდელი

საჭურველისათვის

მოაღწია ქართული თორის უბრწყინვალესმა ნიმუშმა. ერთი ქართული თორის მთელი კომპლექსი XIII ს. მე თავათ მინახავს ბერლინის ცოიგპაუსში—იარაღის მუზეუმში (ურიგო არ იქნება, ეს თორიც მოვიტოხოთ პრუსიელებს). ბერლინის მუზეუმში დაცული ქართული საჭურველის ბადალი, კვამსახურდიას გადმოცემით, არსებულა ქ. მიუნჰენში მცხოვრებ მანტოლდის ოჯახში, რომელიც მათთვის უსახსოვრებია ნიჟინგოროდის პოლკის „კომანდირს ბაგრატიონს“. საჭურველს კ. გამსახურდიას ასე აგვიწერს: „სავსებით უხადოდ შენახულიყო, როგორც ჯაჭვის პერანგი, ისე თორი, ჯაჭვის პერანგი თვალმრგვალი იყო და სამფეროსანი. ჩაბალახის ორიოდ ადგილას თვალი ამოვარდნოდა“. ხოლო მუზარადზე კი ქართული ასოებით „ჩსნგ“ ე.ი. 1253 წ. აღნიშნულია ნივთის თარიღი. იქვე გამოფენილი ყოფილა: ხევსურული დავითურული ფრანგული, ქართული ვადაჯერიანი ხმლები. ქართული საჭურველის სანახავად ამ წერილის ავტორსაც, მოუხდა დასახელებულ მუზეუმში 1967 წ. მუშაობა, რამაც უშედეგოდ ჩაიარა 1941—45 წწ. ომის შემდეგ ექსპონატების აწვეილობის გამო. ამ საკითხით იქაური თანამშრომლებიც დავაინტერესეთ. 1987 წელს ბერლინის საჭურველის მუზეუმიდან გამოგვიგზავნეს საჭურველის ფოტოსურათი, რომელიც ქართული არ აღმოჩნდა. ე. ი. ძიება კვლავ გრძელდება. მართლაც როგორ დაშვენდებოდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოტოალური ხანის გამოფენას, რომ მის დარბაზში იყოს ფოტოალური ხანის მხედრის აღჭურვილობა.

საკითხავი ისიცაა, ეროვნული საჭურველი სად მზადდებოდა? კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფოტოალური ხანის საჭურველი, ლითონის საბადოებთან ახლოს საქართველოს მთაში: აჭარაში, სვანეთში, რაჭაში, ხევსურეთში, გულამაყარში და ალგეთში იჭედებოდა, რასაც მატერიალურ კულტურასთან ერთად, ზეპირსიტყვიერება ადასტურებს.

საჭურველს შემდეგ უკვე დიდ ქალაქებში — დავითის მიერ აღმოცენებულ ქალაქებში“ აშხადებდნენ. ანონიმური ავტორის ცნობით ქ. თბილისიდან საექსპორტოდ გაჰქონდათ სპილოს ძვლით ინკრუსტირებული კაპარტები და სხვა.

აურაცხელმა საჭურველის ჭედვამ საქართველო მეტალურგიის მნიშვნელოვან კერად აქცია. საჭურველის დამზადებისათვის საგანგებო ოსტატები რომ არსებობდნენ, ჩვენამდე მოღწეული შემდეგი გვარების არსებობაც აღსატყუებს: მეფარიშვილი, მეიფარიანი, ჯავშანიშვილი, ჯავშანიძე, ჯაჭვლიანი, ჭურაძე, ჯოლბორდი (ისრის მთელი), ზეინკლიშვილი (ზეინკალი, ადრე მთლიანი საჭურველის, ხოლო შემდეგ კი მხოლოდ თავდასაცავი საჭურველის ოსტატი), შუბითიძე, ხმალაძე, ხანჯალაძე, დაშნიანი, დაშნიანიძე, ქარქაშაძე და არა მარტო ამ გვარების წარმომადგენლები ჭედავდნენ თავის მხსნელ ქართულ საუკეთესო საჭურველს, რომლის მაღალხარისხოვნობამ და ხმარების დახვეწილმა წესმა უცხო დამპყრობლებისაგან გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა.

საგანგებოდ ყურადღება უნდა შევაჩეროთ ქართული საჭურველის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან, როგორც ცნობილია, ბევრ დიდ და სახელოვან ერებს საკუთარი საჭურველი არ გააჩნდათ. ქართველები კი ომაიშვილები, ომაიძეები, ჩუბინაშვილები, ჩუბინიძეები (ისრის მსოფლიანი) მშვიდობაძეები და მათთან ერთად ყველა, ქართული საჭურველით სამშობლოს დასაცავად, მშვიდობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

ფეოდალური ხანის ქართული საჭურველი აღწერეს სულხან-საბა ორბელიანმა და ვახუშტი ბაგრატიონმა. ხოლო ი. ჯავახიშვილმა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა.

ამ პერიოდში შესატყვის მკვეთელ საჭურველად ხმაობდნენ: მახვილს, ხმალს, და სატყეარს, დასარტყმელად: ლახტს, ჩუგლუგს და გურსს, საძვერებლად კი პიროლს, შუბს და ხიშტს; სატყორცნელად: შურდულს ქვითა და ტავარჯუხით, ახვევ ფილაკვანს, სასროლად კი შვილდ — ისარს კარბაჭით. თავდასაცავი საჭურველიდან კი: ფარს, თავსარქველად მუხარაღს და ჩაბალახს (XI ს. ნიკორწმინდის სიგელში მოხსენებულია „გუდამაყრული ჩაბალახი“). ტანისსაცავად: ჯავშანს, ჯაჭვს და პოლოტიკს. ზედაკიდურთსაცავს: ხელნავს და საფუხრეს. ქვედასი კი: საბარკულს, საჩერნეს და სხვა.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ მიცვალებულს თან საჭურველს ადარ ატანდნენ. მიუხედავად ამ წესისა, ჩვენს დროში ფეოდალური ხანის ინტენსიური, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მაინც აღმოჩენილია შუასაუკუნეების ზოგიერთი საჭურველის ნიმუში. მუხარაღი რკინისა, ძაბრისებური ასევე მუხარაღის წოხი ჯავახეთის ახალქალაქიდან, ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯი ქსოვილთან ერთად დმანისიდან. ჯაჭვის პერანგი ბიზანტიური მონეტით, ზურტაკის-სამარხიდან. ბრტყელი, სამკუთხოვანი და ორკაპიანი ისრები. შუბი ხიშტისებური დმანისიდან. ხმლის ვადები უმეტესად ნეფრიტისა, მცენარეული და რელიეფური ორნამენტით. ხმალი რკინისა ორღესული, ხმალი რკინისა ცალღესული, ვადა ბურთულეებისებური დაბოლოვებებით, ვანიდან და სხვა. დიდგორის არქეოლოგიური გათხრები ამ მხრივაც მდიდარ მასალას გადაგვიწვლიდა თვალწინ.

საქართველო აღმაშენებელმა ჯგერით, რომელსაც ბრძოლებში ყოველთვის თან ატარებდა და ჯვარ—ვადიანი ხმლით აღადგინა. მეფე—სარდლის მიერ საქართველოს საზღვრების გაფართოებას და მის მიჯნის გადატანას გორბელიანი აღმაშენებლის ხმალს მიაწერს: „შირვან, დერბენდი, ჰევე სამზღვრად, შენი ხმლით შემოხაზული“. მაღალხარისხოვანი ქართული ხმლის შესახებ აღნიშნავენ: „თუ სადმე ხმალი მძლეობდეს, უთუოდ აქაური“; მაგრამ როგორი ფორმის ხმლით აღადგინა საქართველო და დაუმკვიდრა თავის ერს?



საძიებელი აი, ეს არის. XII ს. ხმლის ფორმის დასადგენად უ — და დავუვრდნოთ არქეოლოგიურ გათხრების შედეგად მოპოვებულ, დარიბ და მდიდარ ფრესკულსა, იკონოგრაფიულსა და ნუმისმატიკურ მასალას, რითაც დგინდება, რომ XII ს. ხმალი სწორი იყო, რომელიც XIII ს. მონღოლების შემოსევის გამო მოიხარა, რაც ლაშა გიორგის ბეთანიისა და ბერთუბნის ფრესკებზე კარგადაა გამოხატული. პირველზე ლაშას შვეტი—სწორი ხმალი არტყია. ბერთუბნის ფრესკებზე კი მისი ხმალი უკვე მოხრილია. ი. ჯავახიშვილი, აგრძელებს რა მსჯელობას ამ საკითხზე, აღნიშნავს: „ისტორიულ მხატვრობის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, რომ XII ს. საქართველოში გავრცელებული ყოფილა შვეტისწორი ხმალი; მაგრამ XIII ს. დამდეგს უკვე ჩნდება მოხრილი ხმალი, ისეთი, როგორც გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში“. ე.ი. ქართული ხმალი ფორმას იცვლის, მაგრამ ისეთი დვარჯნილი და მრუდე არ ხდება, როგორც მუსულმანური—ნახევრად მთავრისებური, არამედ ქართული ხმალი ოდნავ მოხრილია, რომელიც უკეთ გამოყენების გამო ჩვენში დამკვიდრდა.

დავითის ჯვართან ერთად ჩვენამდის მოაღწია მის დროს მოჭრილმა მონეტებმა, ჩვენს თემასთან დაკავშირებით, ყურადღებობა არაბული შემდეგი წარწერიანი „მეფეთა მეფე და-



ვითი, ძე გიორგისა, მესიის მახვილი“; და „მეფე, მეფეთა, მახვილი მესიის დავით“. რაც დავითს წარმოვიდგენს ქრისტიანთა დამცველად და მუსულმანთა დამლაზრებლად. დავითის მიერ შემოღებული დასახელებული წარწერა აშვენებს მეფეებს: დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდან მეფის მონეტებს. დასახელებული წარწერა უამთა უკუღმართმა სელამ მოსაპო.

ქართველების მიერ ომის დროს საჭურვლის გამოყენებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია იბნ-ალ-ასირის ცნობა. დიდგორის ბრძოლაში იმ 200-მა გმირმა ვაჟაკმა, ომის დაწყებამდე მოწინააღმდეგის ბანაკს რომ მიუახლოვდა, დამპყრობლებს მშვილდ-ისარი ესროლა, რითაც მოწინააღმდეგეების არეულობა გამოიწვია.

დავითი ომის დროს არა მარტო მხედართმთავრობდა, არამედ, იგი თვით იყო უბრო მეომარი. არსენ იყალთოელის თქმით: „ძლიერი, ვითარცა ლომი მხეტია შორის“, როგორც მისი ისტორიკოსი აღნიშნავს: 1105 წ. ერწუხის ბრძოლიდან დაბრუნებულ ნაომარ დავითს ჯაჭვის პერანგის სარტყელი რომ შეუხსნია, მტკნარი შეყინული სისხლი გადმოღვრილა, რომელიც იყო მტრის სისხლი, დავითის ხმლით „უკუმომდინარე“. ამ ბრძოლაში დავითისათვის სამი ცხენი მოუკლავთ და მეოთხეთი გაუმარჯვნია.

ქართველებისათვის ხმლით ბრძოლა მთავარი იყო. ამბობდნენ, „ხმალი ქართველს დაბადებოდან ებეებაო“. ქართველი კაცი და ხმალი ისე შეერწყვნენ ერთმანეთს, რომ ჩვენს ყოფაში მან საბატო ადგილი დაიკავა. იგი ქართული ჩოხა-ახალუხის და ოჯახის სამკაულია. ჭაბუკს, მხედართმთავარსა და მეფეს ხმალს შემოაკრავდნენ. ნეფე-პატარძალს გადაჯვარედინებულ ხმლებში გაატარებდნენ და სხვა. ხმლით ჩვენმა ხალხმა იმდენი იბრძოლა, რომ ამბობდნენ, „ხმალივით მართალი კაციო“. ქართველისათვის ხმლით ბრძოლა იყო მთავარი. „ქართველო, ხელი ხმალს ივარ, დრო დაგიდგა ხანატრელი—“ო. და სხვა. ასეთი ურთიერთობისა გამო ხმალმა ჩვენს ცხოვრებაში საბატო ადგილი დაიხაკურთა. მეფედ კურთხევის ცერემონიაში, ადრე, ფოცალურ ხანაში, მეფეს ხმალს ფოცალური არისტოკრატია შემოარტყამდა, რაც დავითის მეფედ


კურთხევისას, იმ აწეწილობის ვამს, არ შესრულებულა. დავითს „თვით მამამ (გიორგი II) დაადგა გვირგვინი მეფობისა“. დავითმა მეფის კურთხევის ძველი ტრადიცია აღადგინა და მნიშვნელოვანი სიახლეც შეიტანა. თავის ვაჟს დემეტრე I-ს „დაადგა გვირგვინი, თვით მისთა ხელითა“ და თვითონ „შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი“. ამით დავითმა სამეფო სიმღიერეს გაუსვა ხაზი. დემეტრე I-ისათვის ხმლის შემოკვრის ცერემონიალი ასახული სოფ. ლატალის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკაზე, რომელსაც ახლავს შემდეგი წარწერა „ხმალს აბამენ დემეტრესა დავითისასაო“. აღმაშენებელი თავის ანდერძში დასძენს, რომ დემეტრე I-ს „მივეც დროშა ჩემი სვანი“. დავითის დროშას ეწოდებოდა „დროშა სვანად ხმარებული გორგასლიანი და დავითიანი“. სწორედ დავითის დროშითა და ხმლით გალადდა საქართველო. ანდერძში აღნიშნულია, რომ დავითს დემეტრე I-ისათვის გადაუცია აბჯარი სამეფონი და საჭურვლენი, თვითონ ზემონი და ქვემონი, რაც ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანია.

დავით აღმაშენებლის, როგორც ომის ღმერთის სახელი, იქამდის აღზვედა, რომ იტალიის ქ. ფერარაში და გერმანიის ქ. ზოლინეში დამზადებულ ფერარას ხმლებს, რომელსაც ჩვენში დავითფურულს უწოდებენ, მეცნიერები (ბ. აბაშიძე და რ. ბურჭულაძე) დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებენ.

საჭურვლის კარგ ხმარებასთან ერთად დავითი ზრუნავდა ქართული ჯარის საგანგებოდ გაწერტინისათვის, რისთვისაც ვაჟაკებს საგანგებოდ ახალისებდა, „მხნეთა ქებითა და ნიჭითა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადღერთა შთაცუმითა და კიცხვითა ძაგებითა“. დავით IV-ს ჯარში „ყოველი უწესობა“ მოსპობილი იყო, ლაშქართა შინა მისთა“.

საქართველოს აღორძინებისათვის დავითს, მისგან დავალებულმა ქართველმა ერმა აღმაშენებელი უწოდა. აღმაშენებლის საქმის უკვდავსაყოფად ერთმა დარბაისელმა გლეხმა ესეთი სადღერძელი წარმოსთქვა: „დავით აღმაშენებლის თამადობით, ვინც ქართულ საძირკველს ერთი აგურიც კი მიუმატა, ყველას გაუმარჯოსო“, მართლაც და, დალოცვილი იყოს დავითის ღვაწლი და ყველა მისი მიმდევარი.

კობა ჩოლოყაშვილი





და იქმნა კელატი „სხუად ათინად და უდრეს მისსა“.

იზიგისუქიფიფიფი

შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა

განმარტება „მამარ ჩვენოსი“*

„მოქალაქეობის სუფიფიფი“

(ლუკა 11,2)

ყოველ ადამიანს, მომავალს ამსოფლად, მოაქვს, როგორც საუნჯე, უმთავრესად სამი რამ: პირველი-მისი წინაპრების მიერ მოპოვებული, დაცული და მათი გმირული შარავანდედით შემოსილი სამშობლო; მეორე-პოტენცია იმისა, რომ ამაღლდეს დღიური ჭირ-ვარაშიდან ცხოვრების უმაღლესი აზრისადმი დასამორჩილებლად და შესამე-სინთეხი განცდათა სამშობლოსა და სამშობლოსადმი სამსახურის გარშემო და ჩვენ ამის დაჯარკვით სახელად ვნა. უმთავრესად ამ სამი დიდი საუნჯით დაჯილდოებული მოდის ყოველი კაცი ამქვეყნად და მისი მოვალეობაა ქვეყნად მოქალაქეობა.

მოქალაქე არ ნაშნავს ქალაქის მცხოვრებს, არამედ, სამშობლოს ყოველ შეგნებულ წევრს, გინდ იყოს ქალაქელი, გინდ სოფელი, გინდ მუშა. მოქალაქე არ ნაშნავს მას, ვისაც რაიმე კერძო საკუთრება აქვს თვის გარეშე, არამედ მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას. ამისთანა კაცს ჰქვია ქართულად მოქალაქე და მის ცხოვრებას ჰქვია მოქალაქეობა. ეს სიტყვა არის მძიმე და შინაარსიანი. ეს სიტყვა სხვა ერებს არა აქვთ და ამის გამო ყოველი ქართველი მოვალეა ზედმიწევნით ჩაუკვირდეს ამ სიტყვის მნიშვნელობას. აგრეთვე, გაითვალისწინოს ის სიტყვები სხვა ერებისა, რომელნიც ჩვენს „მოქალაქეს“ ან „მოქალაქეობას“ ენათესავებიან, მაგრამ მთლად მაინც არ ამოსწურავენ. თუ ვისმეს თქვენგანს სადღე წმიდანის ცხოვრება უნახავს და სათაურისთვის ყურადღება მიუქცევია, შეამჩნევდა: „ცხოვრება და მოქალაქეობა“ — ესაა სათაური ყოველი წმიდანის ცხოვრებისა. სიტყვა „ცხოვრება“ უთითებს მხოლოდ გარეგან მხარეებს ამა თუ იმ წმიდანის ცხოვრებისა: დაბადებას, დროს, ქვეყანას, მშობლებს, პირობებს და სხვა ამგვარს. სიტყვა „მოქალაქეობა“ კი ჰკულისხმობს წმიდანის სულიერ ცხოვრებას: მის ბრძოლას თავის თავთან, თავის

წრესთან და სიბნელესთან, ე. ი. ბრძოლას იმ აზრების და პრინციპების განხორციელებსათვის, რომელნიც მას აღელვებენ და რომელთა განხორციელება თავისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს. სხვა ვარიანტი ამ მოქალაქეობისა არის „მოღვაწეობა“ ან „ცხოვრება და ღვაწლი“ ამა თუ იმ წმიდანისა. მე გეონია, ეს უკვე ერთგვარი ცდაა რუსულის მიხედვით შესწორებისა, რომელსაც სიტყვა „მოქალაქეობა“ არა აქვს, ანდა გართულება და ბუმბერაზულად დასახვა წმიდანის პიროვნებისა, რადგან „მოღვაწეობა“ უფრო რიხიანია და რთული, ვიდრე „მოქალაქეობა“ და ისეთივე განსხვავებაა, როგორც უბრალო მოქალაქეს და „სახოგადო მოღვაწეს“ შორის. ჩვენს ერს კი სწორედ ამისთანა უბრალო და მარტივი მოქალაქეობის სჭირდება. თვით მნიშვნელობა „ღვაწლის“ სრულიად გათვალისწინებისთვის საჭიროა ეს მოქალაქეობა, რადგან ეს ღვაწლი - სწორედ შედეგია იმ მოქალაქეობის; ჩვენ კი რახაკვირველია ყოველთვის რთული და ძნელი რამე გვიტაცებს და სახლის შენება გვიყვარს არა სამარკველზედ, არამედ დრუბლებში.

მოქალაქეობა არა მხოლოდ ყოველი წმიდანისა არის ბრძოლა თავის წრესთან, დროსთან ან თავის-თავთან, არამედ მოქალაქეობა ყოველი მოქალაქისა არის ბრძოლა თავის წრესთან, თავის დროსთან და თავის-თავის მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას; მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიან თვლით სგნების დანახვას, წინდახედულებას; აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის; მოქალაქეობა მოითხოვს სხვისი აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანობის ძებნას და დაფასებას. ესაა შინაარსი ჩვენი სიტყვის. მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება, თვისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის განსათლებლად, ქართული მოქალაქეობა არც მაშინ გაურბის მსხვერპლს, როდესაც სხვები სიბნელეში და ჭაობში ყოფნას არჩევენ. ქართველი მოქალაქე მთის მოქალაქეობს, ვინაიდან მისი პირიზონტი გაცილებით შე-

* დასაწყისი. „ჯვარი ვახისა, 1988 წ., № 3

უზღუდველია, ვინც მისი, ვინც სიმინდზედ ზევით აღარაფერს ჰხედავს. მან იცის, რომ თუ დღეს არა, ხვალ მაინც და „ტყუილად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკეთება“.

შინაარსი მოქალაქეობისა არის ცხოვრება და ცხოვრება აწმყოში და იესო ქრისტე მიტომ მოვიდა ამ ქვეყნად, რომ ადამიანისთვის ეს ცხოვრება და ეს სარგებლობა აწმყოთი ესწავლებინა, ის ეთქვა ადამიანისათვის, რაც ორი სიტყვით გამოითქმება, რაც ჩვენმა წინაპრებმა ინტუციით შეიგნეს და რაც დღეს ყოველ ქართველმა თვის შუბლზედ უნდა დაიწეროს, და ესაა: ვინც ამ ქვეყნის მოქალაქედ არ ვარგა (მოქალაქედ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი მე ვიხმარე), იგი არც იმ ქვეყნის მოქალაქედ გამოდგება.

სწორედ ეს იყო ერთი მიზანთაგანი ღვთის განკაცებისა. მან ეს აზრი გამოთქვა ბევრჯერ და დღევანდელ ლოცვაში „მოვედინ სუფევა შენი“ - ეს აზრია ჩამარხული სხვა მრავალ აზრთან ერთად.

„მოვედინ სუფევა შენი“ - ესაა კარდინალური და ცენტრალური წერტილი კაცობრიობისა. რა ადვილად გასაგებია ეს სიტყვა ყველა ჩვენგანისათვის და რა ძნელად გვეჩვენება მისი ასრულება!... ნაწილაკი „მო... გვითითებს მასზედ, რომ ღვთის სუფევის დამყარება უნდა მოხდეს ამქვეყნად, ჩვენს შორის, ამ მიწაზედ და ეს მოწოდება, ეს ლოზუნგი მიმართულია ყოველი ქრისტიანი პიროვნებისადმი. იმ დღიდან, რაც ეს სიტყვა ადამიანთა შორის ჩავარდა, საუკეთესო შვილნი ყველა ერისა და საუკეთესო შვილნი ჩვენი ქვეყნისა დაირაზმნენ. რათა შეეწირათ თავიანთი საუკეთესო ძალა ქრისტეს სუფევისათვის. ვის შეუძლიან გაითვალისწინოს საშუალებანი და ხატებანი ამ პიონერთა?! უდაბნოში ცხოვრება, ოჯახის დატოვება, მიწიერ ცხოვრებაზედ ხელის აღება, მოქალაქეობა მოქალაქეთა შორის, დღიური ჭირ-ვარამის ლოცვითა და მოთმინებით ზიდვა - ესაა წიგნი ცხოველი და ვინც ამ წიგნში მოხვდება, იგი სიკვდილს არ იგემებს, არამედ გარდაიცვლება სიკვდილისაგან ცხოვრებად. ესაა, ჩემი აზრით, შავი წიგნი, წიგნი შავიდან და შავფურცლებიანი, ანუ ის წიგნი, რომელზედაც ერთმა ქართველმა მგოსანმა ჰკითხა საზოგადოებას:

ვის უნახავს შავი წიგნი,
წიგნი წითელ ასობიით,
ღაწირილი სისხლის წვიმიით,
ღაწირილი სსობიით?

„მოვედინ სუფევა შენი“ ნიშნავს ღვთის სუფევის, ღვთის მეუფების დამყარებას ამ ქვეყანაზედ. და დღეს, როდესაც ადამიანს სურს საკუთარი ძალით ბატონობა, როდესაც იგი მთელი სიმძაფრით გრძნობს თავის პიროვნებას და არავის უფლებას არ აძლევს, მის ცხოვრებაში გაერიოს, მადის ეკლესია ამ ადამიანთან და ეუბნება: იცხოვრე, იმუშავე, ღვთის საბატონებლად, ღვთის მეუფებისთვის...

და ვინც ღრმად ჩაუკვირდება დღევანდელ დღეს, ის დაინახავს, რომ ჩვენი ცხოვრება არის სიბნელითა და განსაცდელით სავსე, განსაცდელით თვითულისათვის და მთელი ერისთვის. ამიტომაც ეკლესიის მსახური დღეს განსაკუთრებითაა მოვალე შეიგნოს და შეაფასოს 1) ძალები, რომელნიც ანგრევენ და 2) ძალები, რომელ-

ნიც აშენებენ. იგი უნდა შეეცადოს, რომ ეკლესია სულითა და უკვდავებით შემოსოს ეს შვენიერება. რა აღშენებულს ჰქონდეს მადლი და კურთხევა. ამინ.

„იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა“ (ლუკა 11,2; მათე 6,10).

ცხოვრებას აქვს ერთი უღმობელი, მაგრამ სამართლიანი კანონი, რომელსაც ყოველივე ემორჩილება. ეს კანონი ერთი წინასწარმეტყველის მიერ ლამაზი და სხარტი სურათით არის გამოთქმული: ებრაელები იცავენ იერუსალიმს. უკვე დიდი ხანია, რაც მტერი არტყია ქალაქს. სურსათი აღარაა ქალაქში: შიმშილი, სიცივე და სიმწარე აღწევს თვის სიმაღლეს და ამ საშინელ ტანჯვაში რამოდენიმე პიროვნება, რომელთათვის ეს ყველაფერი არის სასჯელი ცოდვების გამო, ხოლო ამ ცოდვებს თვის თაობაში ვერ პოულობენ, ეკითხებიან წინასწარმეტყველ იერემიას: „რისთვის ხდება ეს? თუ ჩვენი წინაპრები ოდესღაც ისერიმს ჭამდნენ უდაბნოში, ჩვენ მათ მაგიერ რატომ გვეკვეთება დღეს კბილი?“ სწორედ ესაა ცხოვრების უღმობელი კანონი: წინაპრების მიერ ჩადენილი ცოდვები შვილიშვილებს გზახედ ხედებათ და პასუხს ითხოვს მათგან. ჩვენში ამას „ცოდვის კითხვას“ ეძახიან. ეს ცოდვის კითხვა დღეს დახვდა ყოველ ჩვენგანს ცხოვრების გზახედ და მოელის იგი თითოეულისაგან პასუხს და პასუხია ამ კითხვის: ჩვენი ტანჯვა და უცხოეთში ყოფნა, ჩვენი ქვეყნის ტანჯვა და სიმწარე. მიზეზები შეიძლება ბევრი იყოს... თვითუღმობელობა ჩვენგანმა უნდა მოსძებნოს ამისთანა მიზეზი თავისი ცხოვრებიდან და თვის წინაპართა ცხოვრებიდან და, როდესაც ამ მიზეზებს გაითვალისწინებს, შეიძლება მისთვის ცხადი იქნას, რომ ის სასჯელი მაინც და მაინც დიდი არაა იმ დანაშაულთან შედარებით, რომელიც მას ან მის წინაპრებს მიუძღვით.

ყოველი სასჯელი წარსულში, თუ გნებავთ ჩვენი ისტორიიდან, თუ გნებავთ რომელიმე ადამიანის ცხოვრებიდან უნდა ნიშნავდეს თვალის ახილვას. გადაბრუნებულ ურემთან მდგომი გლეხი ხედავს გზას და მისთვის ნათელი ხდება: სხვა გზით რომ გავვლო, ისე რომ არ მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, თავზედ არ დაატყდებოდა ის, რაც დაატყდა. ყოველ სასჯელს უნდა მოსდევდეს შედეგად მოქცევა, ე. ი. თავის საკუთარ თავში ჩახედვა - სინანული. ყოველი ემიგრაცია ყოველთვის განიცდიდა ამ სინანულს (საჭირო არაა მაგალითების მოყვანა). სადმერთო წერილი გვაძენობს, რომ ყოველთვის ჰქონდა ამისთანა სინანული ადგილი. სამწუხაროდ, ამისთანა სინანულს არ აქვს ადგილი დღეს ჩვენს ემიგრაციაში, ანდა, - რა ადგილი უნდა ჰქონდეს ამ სინანულს ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც ჩვენ, ერთი მიმუნისა არ იყოს, სარკეში საკუთარი სახე მოყვარის სახედ მოგვანია; როდესაც თითოეული ჩვენგანი დანაშაულს სხვებს ახვევს თავზედ და თავისი თავი უდანაშაულო მსხვერპლად მიანია.

სინანული! ჩვენი ეკლესია საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ იყო დამონებული და ეს

ამსუბუქებს მის ბევრ დანაშაულს და სახელს, თუმცა ვერ გაამართლებს... რა მისცა ჩვენმა ეკლესიამ ჩვენს ერს წარსულ საუკუნეში? ერს, რომელსაც სიცოცხლე სურდა და სიმართლეს ეძებდა, რომელსაც ეკლესია უყვარდა და ეკლესიის მსახურს პატივს სცემდა? ანუ მით, ვის ძეგლზე და სისხლზედაცაა აშენებული ეკლესია? ანუ იმით, რომლებიც ყველაზე ძლიერ გრძობენ უსამართლობას და იბრძვიან და რომელთა წრიდან და საშოდან გამოდის და იბადება ყოველთვის ცხოვრება. მით ლტოლვას ვერ აუღო ჯიშო ჩვენმა ეკლესიამ და ეს მისია გადასცა სხვებს, რომელნიც დღევანდლამდის ცხოვრების სიმართლეს არასწორი გზით ეძიებენ. არ უნდა დაგვაიწუდეს ორი რამ, გინდა დაგვიანებული რომ იყოს (თუმცა დაგვიანებული არაა): 1. ერი თავის უმაღლეს ფენებში მანც, ე.წ. განათლებულ სფეროში, ეძიებს სიმართლეს და სწორედ ეს ძიება არის მეთოდური და ერთგვარად დისციპლინირებული. კაცი იქ აზროვნებს ისტორიულად, ლოდიკურად და მისი აზროვნება არის შემკული არტიტული გემოვნებით. მას სურს შეიგნოს საწესი მიზევი ყოველივესი. სწორედ ეს სურვილი აძირკვლებს მასში ბევრ რამეს, გინდაც უსამართლოდქმნილს. იგი აკეთილშობილებს ადამიანის ფსიქიკას და ართმევს მას ფანატიზმს. ხოლო ერი, დაბალ ფენებში ეძებს სიმართლეს იმგვარად, რომ არ ფიქრობს ისტორიულად: მისთვის ირაკლი და მაჰმედ-ხანი ერთი და იგივეა, იგი არ აზროვნებს ლოდიკურად და მისი გემოვნება არაა არტიტული. ამიტომაც: ამისთანა სტიქიას უნდა აღზრდა, თორემ თუ მოედო დურჯივით მოვლილ ყანებს, წალკავს და სრულიად გაანადგურებს. 2. არ უნდა დაგვაიწუდეს არასოდეს ქართული სიბრძნე: როგორც ბერი, ისეთი ერი; ერის აზროვნება არაა მატერიალისტური, არამედ იდეალისტური, ე.ი. რა სიმადლეზედაც იდგება სამდღელოება, მატარებელი მორალურ-ზნეობრივ რელიგიურ პრინციპისა, იმ სიმადლეზედაც იდგება თვით ერიც. რასაკვირველია, ჩვენს ეკლესიას ჰყავდნენ ბრწყინვალე პიროვნებანი მე-19 საუკუნეში, მაგრამ ისინი საკმარისი არ აღმოჩნდნენ... მთელ ამ წარსულს ტრადიკას ისეთი სიმწვავეთ არგზნ გრძნობს, როგორც ის, ვისაც ეკლესია უყვარს და ვისთვისაც ამ ეკლესიის არსებობის მიზანი ცხადია და ნათელი, ვისაც ეს „ცოდვის კითხვა“ წარსულისა ხვდება, როგორც გზა სავსე ქვებითა და ეკლით, როგორც ბილიკი რაიმე, რომელიც მას აქვს გასავლელი. ამგვარ ადამიანს კი ყოველ მხრივ ამ ბილიკზედ მკვდრები, მკვდრები და მკვდრება ეგებებიან. „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, გგრეთცა ქვეყანასა ზედა!“

ჩვენ შევცოდეთ შენი ნების წინაშე. ამიტომაც ჩვენი ბრძოლა ამ შენი ნების გულისთვის ადამიანის ნებასთან, რომელიც აქ სუფვედა, ძლიერ სუსტი და უმნიშვნელო იყო. ჩვენ დაგვაიწუდა, რომ მიზანი ჩვენი იყო შენი ნების ამ ქვეყანაზედ გაბატონება, ისე როგორც ის ბატონობს ცაში ანგელოზთა და წმიდანთა შორის... ადამიანის ფსიქიურ მოვლენათაგან არცერთის დამორჩილება და მოდრეკა არაა ისე ძნელი, ისეთი რთული და პრობლემებით სავსე, როგორც ამგვარი ნებისა. მაგრამ სწორედ ამ ნებას - დვითის ნებას - უნდა დაუშორჩილოს ადამიანმა თავისი ნება. და ეს მოითხოვს მორჩი-

ლებას. თუმცა ჩვენს საუკუნეს ისე არ ძულს არაფერი, როგორც მორჩილება და სიმდაბლე, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი საუკუნე არ იყო იმდენი მონებით სავსე, როგორც ჩვენი. უმაღლესი ნებისყოფისადმი თვისი ნების ანუ თინის: „გაიტანე რაც დაიყინო“ - დამორჩილება თავგანწირვა არის და სწორედ ამგვარი თავგანწირვა იყო საუკეთესო თვისებათაგანი ქრისტიათა მოქალაქისა, რომელიც თვისი მოქალაქეობისათვის მაგალითს იღებდა იესო ქრისტეს ცხოვრებიდან და ეს ცხოვრება იყო სიმდაბლითა და მორჩილებით სავსე მამისადმი, რომელსა - „მორჩილ იქმნა სიკვდილამდისინ და სიკვდილამდისინ ჯვარზედა!“

ვინც ჩვენი ემიგრაციის ცხოვრებას თვალს გადავლევს, ის დარწმუნდება, რომ ჩვენს შორის სინანულს, ე.ი. მოქცევას ანუ მამისეულ სახლში დაბრუნებას, უნდა პქონდეს ადგილი. ჩვენ ვეძებთ მაგალითს ჩვენს წარსულში, ვეძებთ მდლიან პიროვნებას საორიენტაციოდ და ესაა ჩვენთვის დღეს შოთა რუსთაველი. მაგრამ შოთა არაა საკმარისი, იგი დასაწყისისთვის შეიძლება კმაროდეს მხოლოდ. ის არაა სათავე ჩვენ კი უნდა შევეცადოთ და გავიგნოთ გზა სათავისაკენ, რომლიდანაც იღებდა დასაბამს თვით შოთა რუსთაველიც და ეს სათავეა იესო ქრისტე. მისი ცხოვრება და სიკვდილი ჩვენთვის - ესაა მისი ანდერძი და სახარება, დატოვებული ჩვენი ცხოვრების ორიენტაციისათვის, ჩვენი ცხოვრების ბნელის გასაფანტად, ჩვენთვის მკვიდრი და მტკიცე დასაყრდნობელის მოსაცემად. „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, გგრეთცა ქვეყანასა ზედა.“ ამინ.

**„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“
(ლუკა 11,3, მათე 6,11).**

ის სამი მუხლი ამ ლოცვისა, რომელიც ჩვენ აქამდისინ განვიხილეთ: „წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფვეა შენი და იყავნ ნება შენი“ არის იდეალი და მისწრაფება ადამიანისა - ანდერძი ქრისტესი, რომლის აღსრულებას უნდა შეეწიროს მსხვერპლად კოველი ადამიანის ცხოვრება... ეს სამი იდეალი იქმნება ყოველთვის იდეალი ყოველი ადამიანური საზოგადოებისა განუსაზღვრელი დროით, სივრცით და ამ საზოგადოების კულტურული განვითარებით. რაც უფრო მდლა იდგება საზოგადოება, მით უფრო მწველად იქნება მასში განცდილი ეს იდეალები. თვით გრამატიკული ფორმაც „იყავნ“ და „მოვედინ“-ისა არის ობტატიური, ე.ი. ნატვრითი ფორმა: ნეტავ იყოს, ნეტავ მოვიდეს. და ეს ნეტავ არაა რაიმე ზღაპრული, უიმედო კილო: „ნეტავი რამედ მაქცია“, არამედ ესაა ნატვრა და ოხერა მთელი კაცობრიობისა, მუშაობა და ბრძოლა მთელი ქრისტიათობისა - იდეალი და მისწრაფება ყოველი შეგნებული წევრისა ქრისტეს ეკლესიისა.

და დღევანდელი თხოვნით: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“ ვტოვებთ ჩვენ ამ იდეალებს და გადმოვიდვართ ცხოვრებაში, რომლისთვისაც ადამიანს სჭირია პური არა მხოლოდ დიდი მიზნების ახრულებებისთვის, არამედ, საერთოდ. არსებობისთვის და ეს ადამიანი მიდის დმერთთან, რომელიც მისი მამაა - ქრისტეს სწავლით, და, როგორც შეილი, ბრძანების კილოთი ეუ-

ბნება მას: პური მომეც ჩვენ, პური არსობისა, პური ჩვენი.

„მომეც ჩვენ“... ამ აზრის ქართული გამოთქმა არის უბადლო, ე.ი. მომეც მე და იმას, თვითველ ჩვენთაგანს. სდგას ადამიანი, მტკიცედ გადახლართული მეორე ადამიანთან — საზოგადოებასთან, და სთხოვს ღმერთს ამ პურს თავისთვის და სხვისთვისაც. მან იცის, და თუ არ იცის, ეს ლოცვა უნდა ეუბნებოდეს, რომ თუ მხოლოდ მას, ერთს, აქვს პური და სხვას არა, თუ მეორე შშიერია, მის პურს არც ბარაქა, არც მაღლი და არც ღვთის კურთხევა ექნება. ჩვენი ქართული ენის ელასტიკამ, ინტუიციამ და სიმდიდრემ აქ ცხადად და ნათლად დაგვიხატა, თუ ქრისტე რას ჰგულისხმობს „მომეც ჩვენ“-ში.

მეორე აზრიცაა დღეს ჩვენთვის აქ საინტერესო: იესო ქრისტე ასწავლის ადამიანს, ბრძანების კილოთი უთხრას ღმერთს: „მომეც ჩვენ“, ე.ი. ბრძანების კილოთი მიმართოს იმ ღმერთს, რომელმაც დასწევდა ადამიანი და უთხრა: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა“-ო და მიწას უბრძანა, მისთვის ანწლი, ეკალი, კუროსთავი და შხამიანი ბალახი მიეცა ოფლის წილ. სწორედ ამ ღმერთმა მისცა უფლება დედამიწას მრავალი უსამართლობისა, ადამიანს კი სიბოროტისა... და ეს პურიც ადამიანის სისხლით, ჩაშავებული სისხლითა და ოფლითაა გაკედნილი. ადამიანი მიმართავს ღმერთს, რომელმაც უფლება მისცა დედამიწის ვაკხანალიას... რის გამოც ეს ლუკმა ჰბილწავს მთელს ჩვენს ცხოვრებას, ამცირებს და ჭუჭყში სვრის ადამიანის ღირსებას. და დღეს მოდის ეს ადამიანი ღმერთთან და ბრძანების კილოთი ეუბნება: შენ ხარ ჩვენი მამა და მოგვეც მიზანი განუსაზღვრელი და დაუსრულებელი. შენი ვალიცაა, რომ მოგვეც საზრდო, რომ ეს მიზანი შევასრულოთ აქ, დედამიწაზედ, ჩვენი ძალის და ღონის მიხედვით.

მაგრამ მითხარით: აქვს ადამიანს უფლება ასეთი ბრალდება წარუდგინოს ღმერთს? გვაქვს დღეს უფლება? რა გავაკეთოთ ჩვენ იმ სამი მუხლის აღსრულებისათვის, რომ დღეს ჩვენ ბრძანების კილოთი ვთხოვდით ღმერთს ამ პურს? - გულუბრყვილო იქნებოდა ფიქრი, რომ ღმერთი ზეციდან ჩამოგვიყრის საზრდოს, ანდა, როგორც უსუსურ ბავშვებს პირში უდებენ საჭმელს, ისე ჩაკვიდებდა. ჩვენ ვართ აქ მუშაობისთვის და საბრძოლველად და ჩვენს ნამუშევარს ბარაქა და კურთხევა ექნება მაშინ, როდესაც ღვთის კურთხევა იქნება მასზედ. მთელი ჩვენი მუშაობა დამოკიდებულია ჯანსაღობაზედ, ამინდზედ და ამას სთხოვს კაცი ღმერთს. და მას, რასაც იღებს, -და რა გვაქვს ჩვენ თითონ, რაც ღვთისგან მომდებელი არ იყოს? - ვაღებულობა მისცეს სხვებსაც, ვისაც არა აქვს, რადგან მხოლოდ ამ პირობით გამოითხოვა ღვთისგან და ამ პირობითაც მიიღო მან.

და მესამე აზრი: ჩვენთვის საჭირო და საყურადღებო არის სწორედ „დღეს“, - „პური ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს“-ის კი ნიშნავს მას, რომ პურისთვის არსებობა და ცხოვრება არ უნდა იყოს იდეალი ადამიანისა. „დღეს“ ნიშნავს იმას, რომ მუშაობა პურისთვის არის განსაზღვრული და ყველა პროგრამები, რომელიც ამ პურის საკითხს შეეხება, არიან წარმავლნი და განსაზღვრულნი ამ დღით, ე.ი. მომენტით. გუშინ შექმნი-

ლი პროგრამა დღეს უკვე დაძველებულია: ახალი მანქანის შექმნით, ანდა ახალი კუნძულის აღმოჩენით იგი შეიძლება სრულიად უვარგისად იქცეს, და მას, რომელიც ამ პროგრამას მაინც ებღუდებოდა და ქაფიან პირით მაინც ამ პროგრამის შესრულება სურს, უფრო მეტი ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის, ვიდრე სარგებლობა... ხვალინდელ დღეს სულ სხვა კონცეფცია და სულ სხვა პროგრამა ესაჭიროება.

იესო ქრისტე არ მოვიდა მისთვის ამქვეყნად და მიტომ არ შექმნა თავისი ეკლესია, რომ იგი ამისთანა წარმავლ და განსაზღვრულ რამეზედ, რომელიმე ბანკირის და სახელმწიფოს ყინზედ ან გუნებაზედ ყოფილიყო დამყარებული. ის ეძებდა ადამიანში უკვდავ ღირსებას და ადამიანის სულის უკვდავ ღირებულებას და ღვთაებრიობას, რომელიც არაფრით და არავისგანაა განსაზღვრული, გარდა ღვთისა. ამისთანა უკვდავ საძირკველზე ააგო მან ეკლესია და იგი უკვე 2000 წელიწადია, რაც არსებობს და იარსებებს კიდევაც, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა ჯოჯოხეთისა და სიბნელისა მის წინააღმდეგ. იესო ქრისტე არ იყო პირველ რიგში ნაციონალ-გეოგრაფი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას პურის საკითხი არ აინტერესებდა. თვითონ იგი, როგორც სახარებიდან ვიცით, ჭამდა და სვამდა, ქორწილშიც კი იყო და როდესაც მას სადილს უმართავდნენ, ყოველთვის მიდიოდა. იესო ქრისტე აძლევდა ღირსებას მოწყალებასა და კასაც კი ჰქონდათ მის მოწაფეებს ღირებულებისთვის. უკანასკნელ საღამოსთვის ამქვეყნად ცხოვრებისა გაუმართა მოწაფეებს სერობა გამოსათხოვარი და თვის პროგრამაში „პურის საკითხი“ სხვებზედ (თანანადებნი და განსაცდელი) წინ დააყენა.

ჩვენ ვართ უცხოეთში საშინელ ნივთიერ გაჭირვებაში და ლუკმა პურზედ ზრუნვა შინაარსია მთელი ჩვენი ცხოვრებისა. ჩვენ გვჭირია სიჯანსაღე ამ პურის მოპოვებისათვის და სწორედ დღეს აქ გვმართებს ჩვენ გულმოდგინედ ლოცვა: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“... რათა ამ პურით სხვებსაც დავეხმაროთ. ამინ!

„და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა“*

(მათე 6,12; ლუკა 11,4).

მოქალაქეობა ადამიანისა სწარმოებს არა ტყვეებში და ღრეებში, არამედ ადამიანთა შორის. თვით სიტყვა „მოქალაქე“, რომელზედაც ჩვენ გვქონდა საუბარი, ჰგულისხმობს ქალაქს, ე.ი. შემოღობილ, შემოზღუდულ ადგილს. „ქალაქი“ პირველ ხმარებით ნიშნავს ციხეს (საპყრობილეს კი არა, არამედ ციხეს). და ამ ციხეში, რომ მტრები არ დაესიონ, სცხოვრობს ეს მოქალაქე. ყოველ ციხეში ცხოვრება და მოქმედება ჯარისკაცისა მტკიცედ არის შეკავშირებული მეორე ჯარისკაცის ცხოვრებასთან და მოქმედებასთან. და თუ ჯარისკაცი ისე არ იქცევა, როგორც ამას დისციპლინა მოითხოვს და

* სიტყვა, წარმოთქმული 29 მარტისთვის თვეს 1932, საქართველოში აჯანყების დროს დაღუპულთა სულის მოსახსენებელ წირვაზედ.

თვის ცხოვრებით სხვებს რყვნის და პბილწავს, თუ იგი გარეგნულად და სულიერად საქმისადმი ისეთ განწყობილებას არ აჩვენებს, როგორც ამას მისი უფროსი ან საქმე მოითხოვს, მაშინ ჯარი ვერ გაუძლებს მტრის შეტევას. ასევეა ამ შემოზღუდულ ციხეშიც: ცხოვრება მოქალაქისა გადაკეპნულაა მეორე მოქალაქის ცხოვრებასთან. ეს კავშირი შეიძლება ერთი შეხედვით უგრძობობა, მაგრამ მისი წევრნი ამას უსათუოდ იგრძობენ განსაცდელის დღეს. თუ ერთი და იგივე სულიერი განწყობილება არ არსებობს ამ წევრთა შორის, თუ ერთი დიდი აზრი და იდეა არ აღაფრთოვანებს ამ საზოგადოებას, და ერთ დიდ იდეას ყოველივე თვის წვრილმანს არ უმორჩილებს, თუ ერთი ცისკენ იწევს, მეორე - ზღვისკენ და მესამე უკან იხედება (როგორც ერთ არაკშია), ამისთანა საზოგადოების დასასრული დაღუპვაა. დაიღუპება არა მხოლოდ იგი, ვინც დამნაშავეა, არამედ ისიც, ვისაც თავი განხედ უჭირავს (შეგნებით თუ შეუგნებლად) და გაიძახის: „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ო და ამ ნაბდის გარდა მას არაფერი არც სწამს და არც აინტერესებს - საზოგადო დაღუპვა, რომელიც აუცილებელი შედეგია ამისთანა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, იმსხვერპლებს მეთაურებსაც და ამ ნაბდის პატრონსაც.

ასეთი სიმწვავეთ ამას ისე ვერვინ განიცდიდა წარსულში, როგორც ჩვენი ეკლესია და ერი და ამ განცდას ჩვენმა ერმა აღუპართა ძეგლი თვის ენაში: წვენი უკვე დავინახეთ, რომ „მომეტევენ ჩვენ“ და „მომიტევენ ჩვენ“ უთითებს მასზე, რომ ქართველი ერი, ერთი მუჭა ხალხი, შემოფარგლული მტრებით, გრძნობდა ყოველთვის სიმწვავეს განცალკევებისას; გრძნობდა, რომ ერთის ცხოვრება არაა კეთილდღიური და ბედნიერი, თუ მეორესი არ იქნება ბედნიერი; ერთის ცხოვრება არ იქნება მშვიდობიანი და მყუდრო, თუ მეორეს ელის რაიმე განსაცდელი.

წარსულ ქადაგებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანი ვალდებულია გაუნაწილოს თვისი პური მეორეს, რადგან მისთვისაც გამოითხოვა იგი ღვთისაგან და ამისთანა პირობითაც მიიღო (არა როგორც დანაშაული და ნასუფრალი, არამედ როგორც მოვალეობა). აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო სოციალურ-ეკონომიურ საკითხთან, დღეს კი მეორე დარგთან საზოგადოების ცხოვრებისა, რომელიც აგრეთვე მრავალმნიშვნელოვანია. ესაა სოციალურეთიკური. „მომიტევენ ჩვენ“-ით გამოთქმულია, რომ თვითველ ადამიანს აქვს თვისი პირადი ეთიური ღირებულება და ფასი ღვთის წინაშე, ყოველი ადამიანი მოვალეა გაუსწოროს ამას ანგარიში. აქ ჩვენ წინ დგება კაცი, როგორც მოვალე, ვალით სავსე ღვთის წინაშე და მართლაც, რით შეუძლიან დაიკვეხნოს ადამიანმა, რომ რაიმე მისი საკუთარია - რა მოიტანა მან ამქვეყნად? მისი ვალი ღვთის წინაშე დიდია და ამ ვალს მიუტევენს ღმერთი მხოლოდ იმ პირობით, თუ მან თავის მხრივ მიუტევა ვალი თავის მოძმეს, რომელიც მისდამი მართებს. ვალი არაა მხოლოდ ნივთიერი ხასიათის. „თანანადებნი“ უთითებს სულიერ მხარესაც, რაც ადამიანს თან აქვს, თან დააქვს, რაცაა მასში. განწყობილება, მოფიქრება წინ უნდა უძღოდეს ჩვენს საქციელს. ანგელო-

ზი ადამიანთა წრეში იშვიათი მოვლენაა: ყველას მიგვიძღვის დანაშაული და პირველი ვალდებულება ყოველ მოქალაქისა არის, რომ სათნოება-პატიება თვისი ცხოვრების პრინციპად გაიხადოს, მით უმეტეს, თუ იგი ქრისტიანია. ჩვენი სჯული ებრძვის „სისხლის აღებას“ და ეკლესია აძლევს თვის წევრს უდიდეს მაგალითს ამ პატიებისა. იგი იმ შემთხვევებშიაც კი ასრულებს ქრისტეს ამ მცნებას, როდესაც ადამიანის გონება და მთელი მისი სულიერი თუ ფიზიკური არსება ეწინააღმდეგება მას.

დღეს არის არა ჩვეულებრივი დღე ჩვენი ემიგრაციისთვის. დღეს ვახსენებთ მით, ვინც ჩვენ ქვეყანაში აჯანყებისა და არეულობის დროს დაიღუპნენ და რომელთა სისხლი, ყველა ჩვენგანის რწმენით, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და წარმატებისთვის დაიღვარა. ამ გუნდში ერთია არა ერთი და ორი სამღვდლო პირიც. დღეს ჩვენ წინ გაივლიან ყველა ესენი, ახალგაზრდები და მოზუცებულნი; ისინი, ვისი გულიც გამოთბარი იყო დღეობა ცეცხლი მათში საშობლოს სიყვარულისა. თქვენ გაქონდათ ყოველთვის ტრადიცია ამ დღეს თავის მორიისა რომელიმე დარბაზში და იქ ისმენდით მოხსენებებს ამით ცხოვრებიდან და ღვაწლიდან. შარშანაც ასე მოიქცით და დღეს კი მოსაწონია თქვენი საქციელი, რომ ეკლესიაში, წირვაზედ მობრძანდით და გსურთ იესო ქრისტეს შეავედროთ მათი სული. ამაზედ უკეთეს სამსახურსა და მაღლობას თქვენ განსვენებულთა და მოწამეთ ვერ უძღვინთ და ჩემი მოვალეობა იყო დღეს (რადგან ეს პირველი შემთხვევაა ჩემთვის), რაიმე მეთქვა თქვენთვის - მათი ხსენების ღირსი და ჩვენთვისაც სასარგებლო. მოვალეობა იყო ძნელი, რადგან საერთოდ მე საჯაროდ გამოსვლას ჩვეული არ ვარ და მწამს, რომ ღვთის განცება დამეხმარა. ქადაგებათა ციკლი „მაშო ჩვენოზედ“ იდეა და გვამცნო - „და მომიტევენ ჩვენ“ და თვით სახარისი დღევანდელი, რომელიც ჩემ მიერ ამორჩეული არაა, არამედ ეკლესიის მიერ დაკანონებული, გვიამბობს იმ წმიდა და ღრმამშინაარსიან ამბავს, რომელიც თვითველმა თქვენთაგანმა სასოებითა და სიმდაბლით მოისმინა. გავიხსენოთ მოკლედ: იესო ქრისტესთან (მარკ.2) მოჰყავთ განრღვეული. მისი სწეულება, მაშინდელ თვალსაზრისით, იყო ცოდვების შედეგი. მისი განკურნება კი - მისი ცოდვების პატიება - იყო ხსნა იმ კრულიდან, რომელიც იყო მიზეზი მისი უბედურებისა. იესოც უუბნება: „გეპატიოს შენ ცოდვანი შენი“ და შემდეგ: „აღსდევ, აღიდე ცხედარი შენი და ვიდოდე“. ფარისეველთა შორის განგაშია, და იესო უსვამს მათ კითხვას: „რა უფრო აღვილი სათქმელად: „მოგეტევენ შენ ცოდვანი შენი“ თუ „აღსდევ, აღიდე ცხედარი შენი და ვიდოდე“. ჩვენი ერთი ემსგავსება ამ განრღვეულს, ამ ლოგინზედ მიჯაჭვულ უბედურს და ეს სენი ჩვენი ერის ცოდვის შედეგია და ამ სენიდან იხსნის ჩვენ ერს პატიება მის ცოდვათა.

ჩვენი ერის და თვითველ ჩვენთაგანის ცოდვები ისე არასდროს არ ღაღადებდნენ ღვთისადმი, როგორც დღეს. ჩვენ ვსხედვართ აქ უცხო ქვეყანაში, უცხოთა შორის, განა ჩვენი ზრუნვა და ტანჯვა გვაკლავს, რომ ისიც, რაც საჭირო არ არის დღეს ჩვენთვის, რაც წარ-

სულს ეკუთვნის, - მძიმე ლოდივით თან გულზედ გვე-
ლოს? არა სჯობს ჩვენთვის მოვიშოროთ, გადავაგდოთ
ყოველივე ეს? განა ჩვენი ცხოვრება დღეს არაა ისედაც
ძნელი, ბნელი და მძიმე, რომ ისიც თან ვათრიოთ, რაც
უმიზეზოდ გველის, უაზროდ პორიზონტს გვიბნელებს,
აზრს და მიზანს გვიხლართავს და ისედაც რთულ ცხოვ-
რებას სრულიად უსარგებლოდ გვირთულებს?... საჭი-
როა ვითომ ამდენი ქიშპობა, შური და ბორცვება, რო-
მელიც დღეს ჩვენს შორის სუფევს? - არა, ერთმა მეორეს
უნდა შეუნდოს აქ დანაშაული. უთანანადებო, უცოდვე-
ლი ჩვენ შორის არვინაა... და მომიტყვევ ჩვენ თანანა-
დებნი ჩვენნი, ვითარც ჩვენ მიუტყვევებთ თანამდებთა
მათ ჩვენთა. ამინ.

**„და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“
(ლუკა 11,4;
მათე 6,13).**

წარსულ სიტყვებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ თვი-
თეული ადამიანი არის მტკიცედ გადახლართული და
გადაბმული მეორე ადამიანთან, რომ ერთს, მხოლოდ
ერთს, ვერაფრის გაკეთება ვერ შეუძლიან, თუ მეორე
მას არ დაეხმარება იმ მიზნების მისაღწევად კი არა მხო-
ლოდ, რომელიც ჩვენ ზევით განვიხილეთ, არამედ თვი-
სი მოქალაქეობის წარმატებისთვის. ის სთხოვს ღმერთს
პურს თვისთვის და სხვისთვისაც და თუ მასში ის შეგ-
ნება არაა, რომ მან ეს პური სხვისთვისაც გამოითხოვა
და მოვალეა ამის გამო, მისცეს სხვასაც, შედეგად გა-
მოიწვევს საშინელ ეკონომიურ კრიზისს: ერთის მხრივ,
რამდენიმეს ხელში აღმოჩნდება ეს პური და, მეორე
მხრივ, დარჩება მშვიერი მასსა... ქართულად თანანადებ-
ნი ნიშნავს ვალს. ჩვენ ყველანი ვართ ვალით სავსე
ღვთის წინაშე, რადგან ყველაფერი, რაც გვაქვს - მის-
განაა. ამისთანა ვალით გადატვირთულ ადამიანს მხო-
ლოდ მით შეუძლიან თავი იმართლოს, თუ იმ კაცს,
რომელსაც მისიც რაიმე მართებს, ის შეუნდობს და აპა-
ტიებს. და თუ ადამიანი ესე არ მოიქცა, ამას შედეგად
მოჰყვება საშინელი სულიერი გახრწნილება, როგორც
სათავე, საიდანაც გამომდინარეობს ყოველგვარი უბე-
ღურება მოქალაქეთა ცხოვრებისა. დღეს კი იგივე ადა-
მიანი, გადახლართული მეორე ადამიანთან, სთხოვს
ღმერთს: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“, ე.ი. ნუ
შეგვიყვან განსაცდელში ჩვენ ანუ მე და მას, თვითეულ
წევრს საზოგადოებისა.

დღეს ჩვენ გვაქვს საქმე იმისთანა რამესთან, რომე-
ლიც გარედან აღგება საზოგადოებას. სურათი ასეთია:
ცხოვრების ზღვაზედ დგას ადამიანი ნავით და ტალღე-
ბით სცემენ ამ ნავს და სურთ მისი დაღუპვა. ესაა განსაც-
დელი და ადამიანი სთხოვს ღმერთს, არიდოს მასაც და
სხვასაც ცხოვრების ზღვაზედ ეს მორევი, რითაც თავი-
ს უფლად შეიძლება დაღუპვა. ესაა ტრადიკა ადამიანის
ცხოვრებისა. უფალო, გვატარე ისეთი გზებით, სადაც
ჩვენ შეგვიძლიან საბრული; ბილიკებით, სადაც ამდენი
ეკალი, გესლიანი ბალახი და მხამიანი პირუტყვები არ
არიან; გვარიდე აღმართი, რომელიც გველის და სუნ-
თქვას გვიპრობს - ნუ აგვიიდებ მეტ ტვირთს, მის გარ-
და, რის ზიდვაც შეგვიძლიან! და ეს მორევი, ეს ბილიკი,

ეს აღმართი არიან მით უფრო საშინელნი, რომ ივინი არ
გვანან ბარათაშვილის ბილიკს, ერთის მიერ მეორეს-
თვის რომ იტკეპნება, მეორეს გზას უხსნის და უადვი-
ლებს და... არც იმ ეკალს, რომელსაც უკვე თვისი წვეტი
მოწყვეტილი აქვს და აღარავითარ საშიშროებას აღარ
წარმოადგენს. არა, ეს ბილიკი არის გაუმძღვარი და მეო-
რეს, მეათეს, მესამეს იგივე განსაცდელი მოეღის, რო-
მელიც პირველს დახვდა გზაზედ. ადამიანი თავის სი-
სუსტეს ისე არსად განიცდის; როგორც აქ განიცდის
თავის ადამიანობას, რომელსაც მფარველი სჭირია,
მტკიცე ხელი, როგორც ბავშვს, უფროსის ხელი, რომ ეს
ბავშვი ქუჩაში არ დაიკარგოს, არ გაიჭყლიტოს და არ
გადაიჩეხოს. ეს ადამიანი სთხოვს ღმერთს ამისთანა
ხელს, რომ იგი ცხოვრების გზაზედ არ დაიკარგოს, არ
გაიჭყლიტოს და არ გაისრისოს: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ
განსაცდელსა“.

და ეს სამი რამ: პური, თანანადებნი და განსაცდელი
არიან ერთმანეთთან ორგანიულად გადახლართულნი და
გადაბმულნი, და თვით ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადა-
მიანი თვის მოქალაქეობისთვის საჭიროებს არა მხო-
ლოდ პურს, თუ გნებავთ, ეკონომიურ საკითხის გადა-
წყვეტას მხოლოდ, არამედ ამ ორ რამესაც - სულიერ პარ-
მონიასა და ურთიერთობას და გარედან ერთგვარ ზღუ-
დეს. ამათგან მხოლოდ ერთის მიღწევით და მეორეს ან
მესამეს გამორიცხვით არ არის ადამიანის ცხოვრება
სრული და ნამდვილი, კურთხეული და ადამიანური, არც
რაიმე ნაყოფის მომცემი. ამასთანავე, ეს პური, ეს თანა-
ნადები, ეს განსაცდელი არაა ისეთი რამ, რომელიც
ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ხდება. იგი მეორდება
ყოველთვის, ყოველ დღეს და ყოველ საათს და თვით
გრამატიკული ფორმაც უთითებს ამაზედ და ეს მას ნიშ-
ნავს, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ყოველთვის ყური
აქცევილი და თვლი მომარჯვებული და სწორედ ასე-
თი ყურის აქცევა, თვლისმომარჯვება და წინდახედუ-
ლება ჩვენ ისე არსად არ გვმართებს, როგორც აქ, უცქო-
თში. ადამიანს ელის განსაცდელი, მუდამ კი არა, არა-
მედ, მომეტებულ წილად, როდესაც ის მარტოა, ცალკე;
გადმოვარდნილი ერთი დიდი კავშირიდან. ბავშვს ელი
განსაცდელი მაშინ, როდესაც იგი თავის დედას ხელს
უშვებს და ხალხით სავსე ქუჩაში სრულიად მარტო
სდგას. დღეს ჩვენ ვართ აქ ამისთანა მდგომარეობაში
თვითეული სდგას თავისთვის და თვითეულის გამოცდი-
ლებაზედ, უნარზედ და მომზადებაზედა და მყარებული
თავის დახსნა ამ განსაცდელისაგან. განსაცდელში ვართ
ჩვენ აქ, როგორც წვერნი ჩვენი ეკლესიისა და როგორც
წვერნი ჩვენი სამშობლოსი.

ჩვენ ვართ მართლმადიდებელნი. ჩვენი ქართული
კულტურა არის მართლმადიდებლური და ჩვენ, საბედ-
ნიეროდ თუ საუბედუროდ, გვიხლება არა მართლმადი-
დებელ ქვეყნებში ცხოვრება. ჩვენი მოვალეობაა შევი-
ნარჩუნოთ ჩვენი რელიგიური სახე და ერთგულება ჩვე-
ნი ეკლესიისადმი. როგორც წვერნი ჩვენი ქვეყნისა, დღეს
თვითეული ჩვენთაგანი ასისხლხორცებს ამ სამშობლოს-
ჩვენი სხეული ეკუთვნის ამ სამშობლოს და ჩვენი ღონე,
ძალა და სხეული არ უნდა გავყიდოთ რაღაცა წარმა-
ვალ ქონებათა გულისთვის; უნდა დავიცვათ ღირსეუ-

ლად ჩვენი თავი და დავანახოთ სხვებსაც ღირსება ქართველი კაცისა. სამშობლო ჩვენი საკუთარი თავია და ეს თავი უნდა ყოველთვის მალღა გვეჭიროს და სასოწარ-კვეთილებამ იმ ზომამდის არ უნდა მოიპოვოს ჩვენზედ უფლება, რომ თავი მოვიკლათ. ჩვენ ყველას გვაქვს მოსახდელი ვალი ჩვენი სამშობლოს წინაშე და ის ვაჟაკა-ცი არაა, რომელიც გაურბის ამ ვალს, ან სრულიად გამოფიტული და ძალამიხილი მივა თავის ბატონთან საძუქროდ.

ყოველ განსაცდელს კაცი უნდა უფრთხილდეს და განზედ უნდა დაუდგეს. და როდესაც ჩვენ ვლოცულობთ: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“, ეს ნიშნავს იმასაც, რომ ჩვენ თვითონ, ჩვენი მოქმედებით სხვები არ უნდა შევიყვანოთ განსაცდელში: მდიდარმა-ღარიბი, ძლიერმა-უძლური, მამლარმა-შვიერი, დიდმა-პატარა; თვითუღმა თავისი თავი უნდა დაიფაროს და სხვებიც დაიფაროს. თუ ჩვენი მისწრაფება და გულისყური ერთი მთავრი მიზნისაკენ იქნება მისწრაფებული და ეს მიზანი ყოველთვის თვლწინ გვედგება, მაშინ უფრო ადვილად შევებრძოლებით და გაუმბარდებით ამ განსაცდელს. „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“. ამინ.

„არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ (ლუკა 11,4; მათე 6,11).

თავისი მიზნის მისაღწევად (ღვთის სახელის წმიდაყოფა, ღვთის სუფუვის დედამიწაზედ დასამყარებლად ბრძოლა, ღვთის ნებისათვის თავისი ნების დამორჩილება) ადამიანს სჭირია, როგორც საშუალება, პური, ე.ი. არსებობა და ისეთი შინაგანი სულიერი განწყობილება, რომელიც ყოველგვარ ინსტიქტებზედ ან ჯინაზედ მალღა იდგება. მას სჭირია, გარდა ამისა, მაგარი და მტკიცე ზღუდე, რომ ქარიშხალმა ან რაიმემ არ დასცეს იგი, ტალღებმა არ შთანთქანს მისი ნავი, რაიმე მოულოდნელმა არ მოსპოს მისი მიღწევა სულიერი, ერთი დღის, ერთი წლისა თუ ერთი ეპოქისა.

მაგრამ რისთვის ხდება ეს ყველაფერი, ადამიანი რისთვის ხდება ხშირად განსაცდელის მსხვერპლი? იმისთვის, რომ ადამიანი იმ პურს, რომელიც სხვისთვისაც გამოითხოვა და სხვისთვის გადასაცემადაც მიიღო, იტოვებს თავისთვის და რომ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება პატიება და სიყვარული კი არაა, არამედ შური და მტრობა, რომ იგი სხვის თვალში უბრალო ბეწვს ამჩნევს და თვისში კი დვირესაც არ გრძნობს. ამიტომაც მთელი ჩვენი ცხოვრება ემსგავსება იმ ზღაპარს, რომელიც ერთ-ერთი გმირისთვის გზა-ჯვარედინზედ წარწერაა: „თუ პირდაპირ წახვალ, მგლის ლეკვად იქცევი და თუ მარჯვნივ, არც იმ გზაზედ დაგემართებაო რაიმე ხეირი“. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ ცხოვრების გზაზედ ეს წარწერა თვალშისაცემი არაა და ადამიანი მოუშხადებლად, მოულოდნელად ხდება განსაცდელის მსხვერპლად.

„არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“... არსებობს რაღაც ბოროტი, რომლისაგან ითხოვს ხსნას ადამიანი. სწორედ ამ ბოროტმა დააბა და შეკვანდა იგი. კედელი

დაუდგა წინ ადამიანის სულიერ განვითარებას და ამის გამო უხდება ადამიანს ბრძოლის წარმოება განსაცდელთან.

ამ ლოცვის სათავეში დგას მამა, ე.ი. ღმერთი. ბოლოში კი ბოროტი, ოღონდ აქედან შეცდომა იქნება იმ დასკვნის გამოტანა, ვითომ იესო ქრისტეს აზროვნება იყო დუალისტური: ერთის მხრივ-ღმერთი, ე.ი. კეთილი, ნათელი და მეორე მხრივ-ბოროტი და ბნელეთი.

სუბიექტი ამ მუხლში — „არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ — არის ღმერთი, რომელსაც შეუძლიან ადამიანის ხსნა ამ ბოროტისაგან. ამ ბოროტს აქვს უფლება ადამიანზედ, მაგრამ ღმერთთან შედარებით იგი სუსტია.

მაგრამ რაა ეს „ბოროტი“? სიტყვა ბოროტი ჩვენთვის ცნობილია. ჩვენ ვამბობთ მაგ. ბოროტი ადამიანი, ბოროტი სული. ბოროტი არის კონკრეტული რამ, ე.ი. ერთგვარი რამ, რომელიც არსებობს არა მხოლოდ აზროვნებაში და წიგნში, არამედ ცხოვრებაში და სინამდვილეში. ესეცაა ნაყოფი ჩვენი ენის გენიისა. ლათინურად და ბერძნულად მაგ. დღესაც ღვთისმეტყველთა შორის დავაა, თუ რაა ნაგულისხმევი (სახარების ამ მუხლში ნახსენებ სიტყვა „ბოროტი“): აბსტრაქცია „ბოროტება“ თუ კონკრეტი რამ „ბოროტი“, რომელიც შხამავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და რომელსაც ქართულად ჰქვიან, სხვანაირად, ეშმაკი. მაგრამ ერთგვარი გულუბრყვილობაა, როდესაც ამ ეშმაკს ყველაფერს აბრალებენ, რის ახსნაც ადამიანს ან არ შეუძლია, ან ვერ გაუბედავს, ანდა ეშინია და ყველაფერი მას ბრალდება ისე, როგორც ჩვენში დღეს ბევრი ბევრ სისაძაღლეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან მე-19 საუკუნეში მხოლოდ რუსებს აბრალებენ. ამისთანა აზროვნებით ადამიანი სულიერ ცხოვრებაში ნაბიჯს წინ ვერ წარსდგამს. ჩვენი მოვალეობაა, პირველად ვიცნოთ ჩვენი საკუთარი დანაშაული და ჩვენი ბრალი, თუ გვსურს რაიმეს მივაღწიოთ. ეშმაკი არის ძლიერ რთული არსება. მისი სავესებით შეგნება შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც სულიერ ცხოვრებაში უკვე ნაბიჯი წინ აქვს წამდგარი. არც თქვენ და არც მე არა ვართ დღეს ისე წინ წაწეული ამ სულიერი-მნევემატურ ცხოვრებაში, რომ ამ ფენომენის შეგნება შეგვეძლოს სავესებით...

მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვა „ბოროტი“? ეს ერთადერთი უცხო სიტყვაა ამ ლოცვაში და თანაც იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი არ იხმარებოდა იმ ერთა შორის, სადაც ეს სიტყვა იშვა.* დღესაც ამ სიტყვას სომხებთან, მაგალითებურ, თავისი ძველი მნიშვნელობა არ დაუკარგავს და ესაა ის სენი-კეთი, რომელსაც უცხო ენაზედ „ლეპრა“ ჰქვიან. ესაა საშინელი ავადმყოფობა, გამოურკვეველი დღესაც. ამ სენით შეპყრობილს ავლებდნენ სახლიდან, სოფლიდან და ქალაქიდან სადმე უდაბნოში, სადაც ისინი სიკვდილის მოლოდინში, საშინელ ტანჯვაში და გაჭირვებაში სცხოვრობდნენ. ვინმე მოწყალე ხელი უზიდავდა მათ სანოვავს იქ, სადაც საზღვარი სოფლისა თავდებოდა და ეს უდაბნო იწყებოდა.

* სიტყვა „ბოროტი“, წინამდებარე ქადაგების ავტორის აზრით, მომდინარეობს სომხური მირისაგან *Բոր* (ბორ), რომელიც ნიშნავს „კეთრს“ და არა „ბოროტს“. ამ ცნებისათვის სომხურ ენაში არსებობს სპეციალური ტერმინი *բար* (ჩარ.) (რედ. შენ.)

არავინ ეკარებოდა მათ. ანტიური ადამიანისათვის ყოველი სწეულება იყო ეშმაკის, ბოროტი სულის საქნარი და ამ საშინელ სენში ხედავდა იგი ამ ბოროტი სულის უღრმეს და უსაშინლეს ინკარნაციას. დღესაც ხვედრამისთანა სენით შეპყრობილია არაა უკეთესი. დღესაც ვინც ამ სენით შეპყრობილია, რომელიმე, განმარტოებულსა და დაშორებულს, სადღაც ოკეანეში გადაკარგულ კუნძულზედ ასახლებენ და მათ მხოლოდ მოწყალე ხელი და ქველმოქმედება ინახავს. ამ საბრალოებს სიცოცხლეშივე ალბეპათ სხეულის ნაწილები და გვამის გახრწნას, რომელიც ყოველ ადამიანს სიკვდილის შემდეგ ესტუმრება, ესენი სიცოცხლეშივე თავიანთ საკუთარ სხეულზედ ხელავენ, გრძობენ და განიცდიან.

ვინც ზერელედ დააკვირდება ჩვენს ცხოვრებას, ის მაღლობას შესწირავს ღმერთს, რადგან, მისი აზრით, ამ საშინელი სენიდან ჩვენი კურთხეული ქვეყანა თავისუფალია, მაგრამ ეს არაა სინამდვილეში — ეს სენი არსებობს ჩვენს ქვეყანაში და ეს ის სენია, რომელიც უსპობს ჩვენს ქვეყანას გზას წარმატებისაკენ — ავღვეს მას სხეულის ჯანსაღ ნაწილებს, სწამლავს და ალბობს მის ერთეულს და ამსგავსებს მას რაიმე ჩონჩხს, ლანდს, ანდა რაიმე უღონო არსებას. ესაა ჩვენი ქიშპობა, პარტიებად დაყოფა, რაღაცა „პრინციპების“ წინაშე კულტი, აუცილებლობა — „ჩემი შენსას სჯობსო“, ეშმაკს, ბოროტ სულს, სწორედ ამ სენით ჰეგემონია უჭირავს ჩვენს ერზედ და აფერხებს ყოველ მის წინსვლასა და ცხოვრებას. ჩვენი წინაპრები გრძობდნენ და განიცდიდნენ ამ საშინელ სენს — მათ კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ ჯანსაღ ადამიანს, ერთიანსა და განუყოფელს, შეუძლიან მხოლოდ გამარჯვება და დაგვიტოვებს ეს ჩვენ ანდერმად. მაგალითებურ, სისრულე, რომელიცაა უმაღლესი წერტილი ქრისტიანული ეთიკისა — „იყავით სრულნი, ვითარცა მამა თქვენი ზეციური სრულ არს“ — ჰგულისხმობს იმგვარ ადამიანს, რომლის სული, გულისყური, აზროვნება ერთი რომელიმე საგნისადმი მიმართული. ეკლესიის მტრებს, ე.ი. სექტებს, ჩვენი ეკლესია ეძახის მწვალებლებს. წვალება ნიშნავს განყოფას, ე.ი. ისინი, მწვალებლები, ამ ეკლესიის ერთეულს რაღაცა, მათ მიერ მოწონებული, მოძღვრებით ან დოქტრინებით არღვევენ.

დღესაც ჩვენი ქვეყანა მოითხოვს ერთი მიზნით, ერთი სულითა და გულით შეერთებულ ერს და ჩვენი ეკლესიაც მოითხოვს ამგვარ მრევლს. თუ მთელი ემიგრაცია ამ მიზანს არ დაისახავს და ამ მიზნით არ აღიჭურვება, თუ მხოლოდ ორიოდ კაცს მიანდობენ ეკლესიის საქმეს და სხვები, როგორც სერიის მაყურებელნი, გარეთ იდგებიან, მერწმუნეთ იმ მიზანს, რა მიზანიც ჩვენ აქ დაგვისახნია, ვერ მივალწევთ. მანამ ჩვენ ყველას ერთი აზრი არ შეგვკრავს და არ შეგვაერთებს, მხოლოდ ცარიელი სიტყვა იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარება, კეთილდღეობა და წარმატება. და ვინც ლოცულობს: „არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“, უნდა სახეში იქონიოს, რაც ხრწნის, არღვევს და შხამავს ჩვენს მთლიანობას და ღმერთს უნდა სთხოვოს დახმარება ამათ წინააღმდეგ.

„არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“. ამინ!

„რამეთუ შენი არს სუფევა, ძალა და დიდება უკუნისამდე ამინ!“

უკვე თითქმის ორი წელიწადია, რაც დავიწყე ამ წმიდა ადგილიდან „მამაო ჩვენო“-ს განმარტება და დღეს ჯვარცმული ქრისტეს გვამის წინ მიხდება მისი დასრულება. ჩვენ დავინახეთ, რომ „მამაო ჩვენო“ არაა მხოლოდ ლოცვა ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ, ამავე დროს, პროგრამა ქრისტეს ეკლესიის ყოველი წევრისთვის — ესაა მანიფესტი ჩვენი სარწმუნოებისა, ესაა ანდერძი იესო ქრისტესი, მოცემული მის მიერ. სწორედ ამ ანდერძის წაკითხვა, მასში ღრმად ჩახედვა და დაფიქრება ვალია თვითეული ჩვენთაგანისა, ამ ანდერძის მომცემელის, თვითეულ ჩვენთაგანის ცხოვრებისა და ხსნის გულისთვის ტანჯული და ჯვარცმული გვამის წინაშე.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი უნდა იყოს ცხოვრება და მოქმედება ჭეშმარიტ ქრისტიან მოქალაქისა. ამ სიტყვად „მოქალაქემ“ — გამოიწვია ზოგიერთ მსმენელთა შორის უსიამოვნება და დაბრკოლება. მათი შეხედულებით ეს ტერმინი შექმნილია რევოლუციის დროს, ან მისი ზეგავლენით. სინამდვილეში კი ეს ტერმინი გაცილებით ძველია და ის შინაარსი, რომელსაც ეს ცნება თვისში ატარებს, ის სილიადე, ის სიწმიდე, ის სისპეტაკე და კეთილშობილება, რომელიც ამ ცნებაშია ჩაქსოვილი, ვერ მოსპო რევოლუციამ (და ან რისთვის უნდა მოესპო?).

აქამდისინ გვექონდა საქმე იესო ქრისტეს აუთენტიურ სიტყვებთან. დღეს კი — „რამეთუ შენი არს“ და სხვა — უკვე ეკლესიის მიერ ჩამატებულიან, რათა იმ მიზნების აღსასრულებლად, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი და რომელნიც აღმატებულან ჩვენს ძალას და ღონეს, ადამიანს ყოველთვის მიმართული ჰქონდეს გონების თვალი მისკენ, ვის ხელშიცაა სუფევა, ძალა და დიდება და რომელიც მის გულწრფელ განზრახვათა და წაბილთ ყოველთვის დაეხმარება.

ეს მუხლი — „რამეთუ შენი არს...“ — არაა ქრისტეს მიერ ნათქვამი, არამედ წირვიდანაა გადასული სახარებაში. მოგეხსენებათ, რომ პირველმა ქრისტიანებმა შეითვისეს ებრაელებიდან მათი წირვა და შემდეგ იგი წმ. მამათა მუშაობით განვითარდა და ჩამოსცილდა მას ებრაული ელემენტები. ზოგი ებრაული ელემენტი კი მაინც დარჩა და ამით შორის „რამეთუ შენი არს...“ (მხოლოდ გაქრისტიანებული). ჩვენ აქ გვაქვს სამჯერ სამი, ე.ი. წმ. სამების სამჯერ ხსენება — სუფევა, ძალა და დიდება. შემდეგ — მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. და ბოლოს — აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე. ასე გამოიყურება ეს მუხლი დღეს.

ჩვენთვის შეიძლება გაუგებარი იყოს „უკუნითი უკუნისამდე“. „უკუნითი“ ესაა ძველი ქართული ბრუნვის დაბოლოება და დღეს იქნებოდა „უკუნიდან უკუნისამდის“. ე.ი. სიბნელიდან სიბნელემდის, ერთ წერტილიდან მეორე წერტილამდის. ამ ორ წერტილთ, ამ ორ სიბნელეთ შორის არის ჩაყენებული ჩვენი ქვეყანა,

მთელი სამყარო, რომლის დასაწყისი ქაოსია, სიბნელით მოცული, გაუგებარი და გაურკვეველი და მისი დასასრულიც იგივე ქაოსია, სრული დანგრევა და სიბნელე. ამ ორ ბნელ წერტილს შორის არის ჩაყენებული ცხოვრება და მოქმედება ყოველი მოქალაქისა: საიდან მოდის იგი, მან არ იცის. და სად წავა, როცა იგი მოკვდება და ფიზიკურად მოისპობა, არც ეს იცის. იესო ქრისტე და ეკლესია არ გვაძლევენ ჩვენ აქ იმის განმარტებას, თუ რა იყო ჩვენ წინ, ან რა იქნება ჩვენს შემდეგ. ასეთ განმარტებას იძლევიან ლოცვები ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. აქ არის პროგრამა მოქმედებისა მორწმუნე ადამიანისთვის, მისთვის, ვინც ერთი სიბნელიდან გამოსულა, ცხოვრობს და მოქმედებს მეორე სიბნელით განსაზღვრული და ცდილობს, რომ მისი ცხოვრება ამ ორ წერტილთა შორის არ იყოს ქაოტიური, სიბნელით მოცული, შეუგნებელი, უხეში და ბოროტი, რომ მის ცხოვრებას უნათვიდეს ღვთის ნათელი და ეს ნათელი გაჰყვეს და გაუძღვეს მას იქაც სიკვდილის შემდეგ.

წარმოთქმული 14 აპრილს 1933, წითელ პარასკევს, გარდამოსხნის გამოსვენების შემდეგ.

„რამეთუ შენი არს“ - ში ჩაქსოვილია აგრეთვე მეორე აზრიც - წარმავლობა ჩვენი ცხოვრებისა: „წუთი სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“ და დასკვნაც: „თუ ერთმანეთს არა ვარგეთ, ამის მეტი რა შეგვრჩება“!


და გრა მხოლოდ პთელი ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოველდღიურობაც არის სიმბოლო და აჩრდილი ამ ორ ბნელ წერტილს შორის მდგარი არსებობისა. ამის გამო ყოველი ქრისტიანი მოვალეა, ყოველ დღე, ყოველ დღით გაიმეოროს გულდასმით ეს ქრისტეს ანდერძი - მამა ჩვენო - იმ იმედით, რომ ამ ერთი დღის განმავლობაში ის გააკეთებს და აასრულებს - გინდაც სულ მცირე რამეს - ქრისტეს ამ ანდერძიდან და ყოველ საღამოს, მეორე სიბნელის წინ, ღმერთს მადლობას უძღვნის, რომ მან, მიუხედავად საშინელი გაჭირვების და აუტანელ პირობებისა, რომელშიაც იგი იმყოფება, მაინც შემლო რაღაცის გაკეთება.

„ყოველი დღე შენს თავს ჰკითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე!“
ამინ!

ბრიგოლ ფარაბე



ნათლობის საიდუმლოს შესახებ



ნათლობა არის შეიდ მაცხოვრებელ საიდუმლოთაგან პირველი. „საიდუმლო“ იმეტომ ეწოდება, რომ ამ მღვდელმოქმედების დროს იღუბლად, ხორციელ თვალთათვის უხილავად გარდამოდის საღვთო მადლი მასზედ, ვინც ინათლება.

ნათლობა დაგვიწესა თავად უფალმა იესო ქრისტემ, როდესაც უბრძანა თავის მოციქულებს, რათა წასულიყვნენ მთელს ქვეყანაზე, მოემოწაფებინათ ყოველნი წარმართნი და ნათელი ეცათ მათთვის სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა (მთ. 28.19,20).

ნათლობის წესის შესასრულებლად გამოიყენება წყალი, როგორც განწმედის, სულიერი განბანის მნიშვნელობის მქონე. განწმედის მნიშვნელობით წყალი აღრეც ხშირად გამოიყენებოდა და გამოიყენება სხვა, ან უკვე მკვდარ თუ ამჟამადაც მოქმედ ეკლესიებში, მაგრამ ქრისტიანულ რელიგიასთან იგი მხოლოდ გარეგნულადაა მსგავსი და არ ეხება სიღრმისეულ რეალობებს.

ნათლობის ჟამს, ნიშნად წმიდა სამებისა, მოსანათლის წყალში შთაფლვა ხდება სამჯერ. ამ დროს, რწმენის შექმნით, იგი კვდება ცოდვისათვის და იბადება ქრისტესათვის, უბრუნელი, წმიდა ცხოვრებისათვის (რომ.6.3.—11).

რა არის საჭირო მოსანათლად? — რწმენა, შეგნებული რწმენა ჭეშმარიტი ღვთისა. ამისათვის საჭიროა, რომ თითოეულმა ნათლვად განზხადებულმა, უკეთუ იგი სრულწლოვანია, იცოდეს სარწმუნოების სიმბოლო — „მრწამს ერთი ღმერთი“... ეს მან უნდა დაიხეპროს გაახრებულად. ასევე უნდა იცოდნენ სარწმუნოების სიმბოლო თვითონ ნათლებამც.

პირველ საუკუნეშივე მოციქულთაგან, ან მათ მიერ ხელდასხმულ სულიერ მწყემსთაგან ხალხი ან ჯერ განისწავლებოდა საღვთო სჯულის, სწორი სარწმუნოების ქადაგებით და შემდგომად ამისა ინათლებოდა (საქ.წმ.მოც.17); ანდა პირდაპირ, ირწმუნებდნენ რა ქრისტეს, მაშინვე ინათლებოდნენ (საქ.წმ. მოც.10.44—48). ნათლობის ეს ორივე სახეობა ახლაც არსებობს. მაგრამ უნებურად, მხოლოდამხოლოდ ტრადიციული გავლენით რომ არ მოხდეს ნათლობის აღსრულება, უმჯობესია, მოსანათლი წინასწარ განისწავლებოდეს საღვთო სჯულით.

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, შეიძლება მონათლოს არა მარტო სრულწლოვანი მორწმუნე, როდესაც იგი ამას შეგნებულად იქმს, არამედ მცირეწლოვანიცა და ძუძუთა ბავშვებიც, როდესაც მათ ნათლობისა არა გაეგებათ რა, არ ესმით მისი მნიშვნელობა. ბავშვთა ნათლობა ქრისტეს შობის პირველსავე საუკუნიდანაა მიღებული ეკლესიაში და ეს იქიდანაც ჩანს, რომ მაშინ მთელი ოჯახი ინათლებოდა ხოლმე, სადაც აუცილებლად იქნებოდნენ ბავშვებიც. ბავშვები ინათლებიან მათი მშობლებისა და მიმრქმელთა, ანუ ნათლიათა რწმენით. ნათლობის ჟამს ისინი ხორციელად განიწმინდებიან დაბადებიდან თან მოყოლილი ცოდვებისაგან ახალი, სულიერი დაბადებით (კართ.110).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათლობისათვის აუცილებელია წყალი, ოღონდ, წყალი სუფთა უნდა იყოს. არ შეიძლება ამისათვის გამოყენება ვარდის წყლისა, ან სხვა რომელიმე სითხისა, მაგ. ღვინისა და სხვა.

კვლესიამ ასევე გაითვალისწინა იშვიათი, მაგრამ მაინც დასაშვები შემთხვევები, როდესაც შეიძლება მონათლის საჭიროება შეიქმნას უწყლო, უღაბო, ქვიშიან ადგილას. ასეთ დროს, ნათლობა წყლის მაგივრად ქვიშის გამოყენებით შესრულდება.

ქრისტიანობის ისტორიამ იცის ნათლობის სხვა შემთხვევებიც, როდესაც მორწმუნენი ვერ ასრუებდნენ წყლით მონათლვას და მათ ცოცხლად სწავებდნენ, ან მხეცებს მიუგდებდნენ, მახვილით ჰკლავდნენ და სხვა. ასეთ შემთხვევაში ისინი არიან მონათლულები ცეცხლით, მათივე სისხლით და ა.შ.

როგორც ითქვა, მართლმადიდებელ ეკლესიას ნათლობისათვის საჭირო, დაკანონებული ასაკი არა აქვს. მორწმუნეს ყოველ ასაკში შეუძლია ნათლისღება, მაგრამ მიღებულია ასევე, რათა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა მშობლებმა დაიცვან წესი, რომლის თანახმადაც მშობიარობის პირველ დღეს დედასა და ახალშობილ შვილს მღვდელმა უნდა ულოცოს საამისოდ დაწესებული ლოცვა, მაგრამ, ვინაიდან ჩვენს დროში მშობიარობა საშობიაროებში ხდება, შეიძლება მღვდელმა ეს ლოცვა წაუკითხოს იმავე დღეს, მაგრამ დაუსწრებლად, ეკლესიაში ან მორწმუნის ბინაში.

შობიდან მე-8 დღეს მღვდელი კვლავ ულოცავს დედას და ბავშვს ახალშობილს და დაარქმევს ქრისტიანულ სახე ის.

შობიდან მე-40 დღეს მშობლები და მიმრქმელი, ანუ ნათლია, ბავშვითურთ მივლენ ეკლესიაში, ჯერ არ შევლენ, გაჩერდებიან კარიბჭის წინ, იქ მღვდელი ულოცავს დედას, შემდეგ შევლენ ტაძარში, მღვდელი კვლავ ულოცავს დედასა და ბავშვს წესისამებრ და ამის შემდეგ შესრულდება ნათლობა.

უკეთუ ბავშვი ავადმყოფია და ეშინიათ მისი მოუნათლავად გარდაცვალებისა, მაშინ შეიძლება მისი პირველსავე ან მომდევნო დღეებში მონათლვა.

ნათლობის საიდუმლოს შესრულების უფლება აქვს მხოლოდ მღვდელსა და მღვდელმთავარს, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი თუ ქრისტეს მორწმუნე ვინმე სრულწლოვანი მოუნათლავი კვდება და აქვთ მონათლის სურვილი, მაგრამ მღვდლისა ან მღვდელმთავრის მიყვანამდე შეიძლება ავადმყოფი გარდაიცვალოს, ნათლობა შეიძლება შეასრულოს ერისკაცმაც, მიუხედავად იმისა, იგი კაცი იქნება თუ ქალი, ოღონდ, თავად ნათლობის შემსრულებელი ერისკაცი ასე ნათლავს: დაიწერს პირჯვარს და, უკეთუ მოასწრებს, ჯერ ილოცვს დასაწყის ლოცვებს და მერე კი მონათლავს, ხოლო უკეთუ აღარ რჩება ამ ლოცვებისათვის დრო, მაშინ მარტო პირჯვარს და ნაკურთხ ან ჩვეულებრივ, ლიტონ წყალში სამ-

ჯერ ჩაუშვებს მოსანათლოს, ხოლო უკეთუ წყალში ჩაშვებაც ვერ ხერხდებოდეს, მაშინ სამჯერ დაასხამს თავზე და ტანზე მოსანათლო ავადმყოფს და იტყვის ასე: ნათელს იღებს მონა ღვთისა ანუ — მხეველი ღვთისა, სახელითა მამისათა (დაასხამს წყალს, ან ჩაუშვებს წყალში), ამინ, მამისათა და ძისათა (დაასხამს წყალს, ან კიდევ ჩაუშვებს წყალში), ამინ, და სულისა წმიდისათა (მესამეჯერაც დაასხამს და ჩაუშვებს წყალში), ამინ, ყოვლადე, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შემდგომად ასეთნაირად მონათვლისა, უნდა აცნობონ ამის შესახებ მღვდელს ან მღვდელმთავარს და უკეთუ გარდაიცვლება ასეთნაირად მონათლული, მას ქრისტიანულად ულოცავენ და დაკრძალავენ, ხოლო უკეთუ გადარჩება, მაშინ მას მირონსა სცხებს მღვდელი ან მღვდელმთავარი.

ერისკაცი ვერ მონათლავს სხვას, უკეთუ თავად ნათლობის შემსრულებელი იქნება ურწმუნო, ან თუნდაც დრმად მორწმუნე, მაგრამ არაქრისტიანი, მაგ. იუდეველი, მაჰმადიანი და სხვა. რაც თვითონ არა აქვს, სხვას როგორ მისცემს? ანუ, თავად მას არ სწამს ქრისტე-ნათელი და სხვას როგორა გაანათლებს.

ახლად მონათლულს ნათლობის შემსრულებელი მღვდელი ანუ მღვდელმთავარი ჯვარს უკურთხებს და მკერდზე დაპკიდებს ნიშნად იმისა, რომ იგი არის მორწმუნე ჯვარცმული ქრისტესი, რათა მარადის შეახსენებდეს ჯვრის ხილვა და ტანზე მისი შეგრძნება მას, რომ იგი შეუდგა ქრისტეს და ამისათვის უნდა იტვირთოს თავისი კუთვნილი ჯვარი და გაჰყვეს ქრისტეს, მიჰყვეს მის კვალს, რათა ჯვრის მიერ დაცული იქნას იგი განსაცდელთაგან. ეს ჯვარი მან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უნდა ატაროს მკერდზე.

„აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მისატყვებელად ცოდვითა“; წერია სარწმუნოების სიმბოლოში. როგორც ხორციელად ერთხელ იბადება, იშვება ადამიანი ღვთის მუცლიდან, ასევე ერთხელ იშვება იგი სულიერად ნათლისღების დროს და არაგზით აღარ შეიძლება მისი მეორედ მონათვლა. წინასწარი შეცნობით მეორედ მომნათლული მღვდელი განიკვეთება სამღვდელო ხარისხიდან; ხოლო ერისკაცს კი მძიმე ეპიტიმია (საეკლესიო სასჯელი) ედება.

ერთ კაცს ერთი მიმრქმელი, ანუ ნათლია უნდა ჰყავდეს და ჩვენი ეკლესიის წესი არ არის, როდესაც ერთ კაცს, ანუ ბავშვს უყენებენ ნათლია კაცსა და ნათლია ქალს ერთდროულად. ზოგმა იცის ორი ან მეტი ნათლიის დაყენება, ზოგი შვიდ ნათლიასაც კი უყენებს, მაგრამ ასეთ დროს მხოლოდ ერთი ითვლება ნათლიად, სხვები კი მოწმეები არიან და

ნათელ-მირონობის ხაზით ნათესაობა მხოლოდ ამ ერთთან ექნება ნათლულს (იხ. მღვდ. დავით დამბაშიძის „სახელმძღვანელო წიგნი“, ტფილისი, 1875 წ.).

ნათლია სულიერი მშობელი არის ნათლულისა და პასუხს აგებს ღვთის წინაშე, უკეთუ იგი ქრისტიანული სჯულისაყარ არ აღზრდის მას. მან ჭეშმარიტი სარწმუნოება უნდა ასწავლოს თავის ნათლულს და მუდამ ყურადღებას უნდა აქცევდეს.

ნათლია არ შეიძლება, რომ მცირეწლოვანი იყოს. სასურველია ვაჟი ვაჟმავე მონათლოს, ანუ კაცმა, ხოლო მღვდლობითი სქესისანი კი მათივე სქესის ნათლიებმა.

არ შეიძლება ნათლიად სხვა სარწმუნოების კაცის დაყენება. უკეთუ ვინმე სხვა სარწმუნოების მქონეს ჰქონდეს და ნათლმირონების სურვილი ქრისტიანთან, მაშინ ჯერ მანვე უნდა შეისწავლოს ჭეშმარიტი სარწმუნოება, მოინათლოს და ამის შემდეგ შეეძლება სხვისი მონათვლა.

ნათლიად არ შეიძლება ცული და უზნეო ყოფაცქვეის კაცის დაყენება, რადგანაც იგი წესიერად ვერ აღზრდის თავის ნათლულს.

მკვდრის მონათვლა არასჯობით არ შეიძლება, რადგანაც მისგან განშორებული არის სული, ხოლო ხორცი კი მიწაა, მიწა არ ინათლება. მიცვალებულის მომნათლელი მღვდელმსახური განიკვეთება სამღვდლო ხარისხიდან და დაიყვანება წიგნის მკითხველად, ხოლო მღვდლის თანაგამზრახ ერისკაცთ მძიმე საეკლესიო სასჯელი, ანუ ეპიტიმია დაედებათ.

თითოეული ქრისტიანი უნდა ცდილობდეს, დროულად მიინათლოს და ასევე დროულად მონათლოს თავისი ახლობლები, რადგანაც მხოლოდ ამ გზით უახლოვდება იგი ქრისტეს და ეწოდება მოქალაქედ ზეცისა და ნათლისა. ნათლობის სხვა დღისთვის გადადება არაა სასურველი. ასეთი საქციელი სიზარმაცედ და განელეზულ რწმუნად ეთვლება ადამიანს, ხოლო უკეთუ მათი მიზეზით უნათლავად გარდაიცვლებიან, მაშინ მოუნათლაობის მაღლგანმარცვილი და ცოდვით დაბრუნებულნი წარემართებიან პირიქითა საშუაროში. დიდი ცოდვა ედებათ იმ მშობლებს, რომლებსაც მათი მიზეზით შვილები მოუნათლავნი გარდაეცვლებათ, ამიტომაც უნდა ეცადნონ, დროულად მონათლონ ისინი.

ნათლობის მადლით, ქრისტიანი, კვდება რა ცოდვისათვის, იბადება სულიერად და ცხოვრობს ქრისტესთან ერთად დინამიური, სულიერად დღითიდღე ზრდადი ცხოვრებით, იქმს ყველაფერს, რათა მოაკვდინოს ცოდვა და იცოცხლოს ღვთისათვის, ემზადება სასუფეველისათვის ღვთისა და დაიმკვიდრებს მას.

მარხვისათვის

წმ. იოანე ოპროპირი

ოდეს იმარხვიდე, ჰოი, კაცო, საზრდელი შენი უწილადე გლახაკთა, ასე იმარხულე, რათა საზრდელმა მზრდელმა შენმა, გლახაკც გამოგვებოს. და თუ კი ილოცე და იმარხულე, მშვიერი კი არ შეიბრალე, გეწიოს სიტყვები ესაია წინასწარმეტყველისა: „უკეთუ ძაძაჲ შეიმოსო და ნაცარი დაიფინო და განჰკაფო გუამი შენი მარხვისა სიმრავლითა, და გლახაკი არ შეიწყვალო, არა შეიწირავს ლოცვასა შენსა და მარხვასა“.*

თუ ნახო მშვიერი, პური მისცე და კერიას შეიყვანო, მოგცილდეს უკეთურება შენი, უფალმან ლოცვა შენი მაშინ შეიწყნაროს.

რას გარგებს მარხვა, თუკი გლახაკი ნახო და არ გაიკითხო! არ იცი განა, რა ბედი ეწიათ ქალწულთ, მარხვითა და მიწაზე წოლით განწმედით... არ გამოზარდნეს რადგან გლახაკნი, მათაც გამოეკეცათ კარი წყალობისა. აკი ბრძანებს ღმერთი, ოდეს მარხულობდე, შენი საზრდელი უწილადე გაჭირვებულს. თუ დანაურდეს დატაკი და დაგლოცოს, შეისმინოს უფალმან ლოცვა გლახაკისა, იმ წყალობის წილ, რომელიც შენ უყავ კაცსა გაჭირვებულს.

ამ ქვეყნისაგან განშორებულ მონაზონთა ლოცვა წმიდაა და უბიწო, მათ არც ნივთიერი გააჩნიათ რაიმე, გვამიც მარხვით აქვთ მოუძღურებულნი.

თუკი იმარხვიან და საკუთარივე საზრდელით აპურებენ მავანნი გლახაკთა და მშვიერთ, ამ მოწყალების წილ შეიწირება მარხვა მათი ღვთის წინაშე. არ გსმენია, რა სიკეთე მოელოთ მმარხველთ?

ვერიდით საზრდელის მიღებისას უძღებებას, სასმელში — უზომობას, რათა არ ვავნოთ თავსა ჩვენსა, არ აგვერიოს ფეხი, არ აგვემღვრვნეს თვალნი, არ იბორძიკოს ენამ, და მოარულთ არ გვექნეს ქანება აქა-იქ, რათა. არ განიზრახოს გონებაჲმან უჯერო და მოგვეცეს ხედვა ეშმაკულისა და არ გვეჩვენოს კერია ჩვენი დატრიალებული, რათა არ იქმნეს სასირცხვილო და სამარცხვინო, ყოველი ქცევა ჩვენი, ჟამსა მაგას.

მარხვა, საყვარელნო ჩემნო, პატოსანი რამაჲ, რადგან ჰყოფს კაცთა ანგელოზთა მსგავსად. მარხვამ შესძინა სიწმიდე და უბიწოება ყოველთა წმიდანთ. მარხვამ დაუშკვიდრა კეთილისმყოფელი ზეცა. საზრდელითა და სასმელით მარხვას როდი ვამბობ მხოლოდ. მარხვა გვმართებს ყველანაირი ბოროტებისაგან, სიხარბისა, მტერობისა და ძვირის-ხსენებისაგან, სიძულვილისაგან და შფოთისაგან, სიცრუისაგან. მხოლოდ მარხვა როდი მოითხოვა ჩვენგან უფალმა, არამედ განშორებაც ყველა იმ ბოროტ საქმეთაგან, რომელიც ძულს მას და ქმნა იმ კეთილ სათნოებათა, რომელიც უყვარს მას: ლოცვა და მარხვა, მღვიძარება და შეწყალება გლახაკთა, სიწმიდე და ძვირუხსენებლობა, სიყვარული და სიმდაბლე, მოთმინება და სულგრძელება, ამათი შექმნა გვიბრძანა ღმერთმა და როცა მოვიპოვებთ მათ, მაშინ შეიწირება ჩვენი მარხვაცა და ლოცვაც და შევიქმნებით ღირსნი მისი სასუფეველისა, რათა ვადიდებდეთ სახელსა წმიდასა მისსა, რამეთუ მისი არს ღიღება უკუნისამდე, ამენ.



¹ აღმოჩენილია ჯერ-ჯერობით, ამ სიტყვის მხოლოდ ძველ ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი, რომელიც გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ: მამათა სწავლანი, X—XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით. თბ., 1955 წ. გვ. 25—26, საიდანაც ჩვენ იგი ახალ ქართულ ენაზე ვაღმოვიღეთ.



მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს

მრავალნათანჯი მიწა

ლევან საღარაძე

რა იქნებოდა ქართველი ერი, ღმრის მუცლიდან რომ თან არ მოჰყვებოდეს შეგრძნება იმისა, რომ სადაც არ უნდა ვიყოთ და როგორაც არ უნდა ვიყოთ, მოვალენი ვართ, ფეხზე ვიდგეთ, რომ არ შეიძლება დავეცეთ...

ეს ფიქრები იმ დღეს მოგვეძალა, როდესაც მოვიდა ცნობა: რომ გარდაიცვალა სირიაში მცხოვრები ქართველი, ბატონი ლევან საღარაძე!

ამ ცნობამ ტკივილად გაუარა ქართველ საზოგადოებას, ვინც დიდი წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) საიუბილეო დღეებს თვალყურს ადევნებდა, ვისაც ტელევიზიით, ან პირადად ერთხელ მაინც მოუსმენია ბატონი ლევანისათვის, არ შეიძლებოდა გულის ძარღვი არ ჩაწყვეტოდა მისი აღარყოფნით.

გაზაფხულის თბილი და მზიანი ამინდი 14 მარტს წვიმიანმა დღემ შეცვალა. ათონელის ქუჩაზე, საქართველოს სახდგარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახლთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რათა გამოთხოვებოდა თანამემამულეს, რომელმაც მისი სიცოცხლის 76 წლის მანძილზე, 57 წელი უცხოეთში გაატარა.

უცნაურია მიწის ყვილის სენი. არაფერი კურნავს მას, გარდა ისევ და ისევ მშობლიური მიწისა. აქ, მაგონდება რევან თაბუკაშვილის ფილმიდან („ნაბარცვის კვალაკვალ“) ვანო ქიქოძის სიტყვები: „ჟველა შეიძლება იყოს ემიგრანტი, ქართველი კაცი კი არა“. ამასვე ადასტურებს ხალხის ნათქვამი: ბედნიერი კაცი ყოფილაო ბატონი ლევანი! საქართველოში ედირსაო სამარადისო დამკვიდრება, აუსრულდაო ნატვრა.

იმატა წვიმამ. მეჩვენებოდა, ეს იმ ემიგრანტთა ცრემლები იყო, ვისაც საზღვარგარეთ საქართველოს ნატვრაში გაელია სიცოცხლე.

დღის ორ საათზე ქართულ ჩოხებში გამოსვლილმა ყმაწვილებმა გამოასვენეს ყვეაილებში ჩაფლული ნეშტი. მისი სახე მშვიდი იყო, საქართველოში დაბრუნების იმედი თუ უადვილებდა ხულთან განშორებას.

სამგლოვიარო პროცესია ზაბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისკენ გაემართა. უკანასკნელი იყო მისთვის რუსთაველის გამზირზე გავლა. ისევ იმატა წვიმამ. მაგონდებოდა დიდი რუსთაველის სიტყვები:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოვლი შენი მონდობილი ნიდაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან საღაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“ ავი არც გასწირა!

ვინ არ იცის ქუთაისი, სიძველეთა მოჩუქურთმებული აკვანი, დავით აღმაშენებლის ცხენის ფლოქვებით ამოტვიფრული. სწორედ ამ ქალაქში დაიბადა იგი 1913 წელს, ცნობილი ფოტოგრაფის, ნიკოლოზ საღარაძის ოჯახში. აქ ეზიარა ბავშვობიდანვე ქართულ კულტურას, ლიტერატურას, გაითავისა და შეისისხლხორცა იგი. სწავლობდა ჯერ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში და მარიაშვილის სასწავლებელში. ლევან საღარაძე კარგად ფლობდა უცხო ენებს, რამაც შემდგომში დიდი დახმარება გაუწია ემიგრაციაში ყოფნისას.

1932 წლის ოქტომბერში თბილისის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, იგი თავის მეგობრებთან აპოლონ დანელიას, გიორგი მხეიძესა და მიშა გაწერელიასთან ერთად აჭარაში, ჩხუტუნეთთან ართვინის ვილაიეთში გადავიდა. ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, რომელიც მთელი სიცოცხლე მოსვენებას არ აძლევდა. დაიწყო სრულიად ახალი, მწველი ემიგრანტული პერიოდი მის ცხოვრებაში. მალე ახალგაზრდებმა თავი ამოჰყვეს სირიაში. ბევრი ხეტიალის, დამცირების და უხახხრობის შემდეგ, ბედმა გაუღიამო და შეხვდნენ ქართველ ქალს, ბეირუთში ბელგიის ელჩის მეუღლეს — თამარ გოგინაშვილს, რომელმაც დახმარება გაუწია მათ. სწორედ მან მუდმივ სამსახურში რეკომენდაცია მისცა ლევან საღარაძეს, რამაც ფაქტიურად ხასიკეთოდ განსაზღვრა ჭაბუკის შემდგომი ბედი.

ლევან საღარაძე საზღვარგარეთის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი სირიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და კომერციულ სამყაროში დიდი გავლენით სარგებლობდა.

... ჩვენთვის, ქართველი საზოგადოებრიობისათვის, გამორჩეული მნიშვნელობა აქვს ლევან საღარაძის საქველმოქმედო

მოღვაწეობას. 1984 წელს დამასკოში მისი სახსრებით გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი არაბული თარგმანი, რამაც შესაძლებლობა მისცა არაბ მკითხველებს გასცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას, ზიარებოდნენ ქართულ კულტურას... მან დააინტერესა არაბი საზოგადოება, სამეცნიერო წრეები საქართველოში, მისი ისტორიით, ენით, კულტურით.


1987 წელს, ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ, სირიაში, ლევან საღარაძემ გამოსცა კრებული „განდევილი“, რომელშიც წარმოდგენილია ილიას ამავე სახელწოდების პოემა და რჩეული ლირიკა.

დიდი ღვაწლი დასდო მან ახლო აღმოსავლეთის ეკლესია-მონასტრებში და წიგნსაცავებში არსებული ქართული სულიერი კულტურის ნიმუშების გამომზეურებას და საქართველოსათვის მათ გაცნობას. ამ მხრივ იგი დახმარებას უწევდა სირიაში სხვადასხვა დროს მოღვაწე ქართველ სპეციალისტებს...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლევან საღარაძის თანამშრომლობა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებთან. მან საკუ-

თარი სახსრებით შეიძინა და საქართველოში გამოგზავნა უმდიდრესი სამეცნიერო, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველ ორიენტალისტებს. ამჟამად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გიორგი წერეთლის სახელობის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შექმნილია ლევან საღარაძის წიგნების ფონდი, რომლითაც სარგებლობენ მეცნიერთანამშრომლები, სტუდენტები. ფონდში დაცულია იშვიათი ლექსიკონები, ფილოლოგიური გამოკვლევები, კლასიკური და თანამედროვე არაბული ლიტერატურის ნაწარმოებები. მნიშვნელოვანი ბაზაა არაბისტთა ახალი თაობების მოსამზადებლად.

კიდევ ბევრი რამის გაკეთება ჰქონდა განზრახული ქართველ მამულიშვილს, მეცენატს და პატრიოტს, მაგრამ აღარ დასცალდა განეხორციელებინა ჩვენთვის არაერთი სასიკეთო საქმე. ნათელი დაადგეს მის სულს, მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მრავალნატანჯი მიწა.



რეკენ სამრეკლოს ზარეპი

ბოლნისის სიონი

ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე წერდა: „რამდენადაც ძველია რომელიმე ტომი, რამდენადაც მომეტებული გავლენა გამოუვლია იმას გარედან, იმდენად მეტია უძველეს საუკუნეთა კვალი იმის ენაში, იმის ყოფა-ცხოვრებაში და საზოგადოდ, იმის კულტურაში.“

დღეს ეს კვალი არამც თუ იკარგება, არამედ უფრო დრამატული და ყოველი არქეოლოგიური აღმოჩენა თუ ძველი ტაძრის ახალი ზარების რეკვა სარწმუნოების აღდგენის იმედის შუქად შემოდის სულში.

ასეთი იყო ა.წ. 5 მარტს ბოლნისის სიონის კურთხევა. მისი გახსნა და ამოქმედება ქართველი ხალხის გული-სა და გონების გახსნის კიდევ ერთი კერაა, ქართული სულის დემერტამდე ამადლების ლტოლვაა.

დღიდან ქართლის მოქცევისა ქრისტიანული რწმენა განუყოფლად შეეთვისა ქართველი ხალხის ეროვნულ სულს და როგორც უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ეხარობდით. და — უფალი იყო ჩვენთან, ვტიროდით და-ისვე უფალი გვანუგეშებდა, ვეცემოდით და გვაყენებდა, ვშორდებოდით და არ გვტოვებდა.“

სულმნათი სულხან-საბა ასე განმარტავს ლექსიკონში: „სიონი — სადგური ღუთისა, ტაძარი, გინა უფალი, გინა მცნება; სიონი ეწოდების მადალსა, რომელ არს ეკლესია“. რაოდენ ბედნიერებაა, რომ კვლავ შეგვემატა ერთი ტაძარი, სადიდებლად ღუთისა და მამისა, რომ ამ ეროვნული მთლიანობისა და რწმენის სიმტკიცის ბურჯში ხანგრძლივი მყუდროების შემდეგ კვლავ განახლდა სიცოცხლე და ახმიანდა ზარები.

ბოლნისის სიონის კურთხევისა და ამოქმედებისადმი მიძღვნილ სახეიმი ლიტურგიაზე ბრძანდებოდნენ: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, აგარაკ-წალკელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე, საბატრიარქოს სამღვდელთა და მგალობელთა გუნდი.

ტაძრის შემოგარენში თავი მოეყარა მრავალრიცხოვან მრევლს. რეკდა წლების მანძილზე დადუმებული სამრეკლო. მისმა უწმიდესობამ დალოცა მრევლი და შესთხოვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, საქართველოს ყველა ტაძარი, ყველა ეკლესია ბოლნისის სიონი-

ვით ამოქმედდეს და ისმოდეს წირვა-ლოცვა კიდით-კიდემდე. დემერტმა ისმინოს!

ბოლნისის სიონი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 76 კილომეტრით დაშორებული, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ბოლნისის ხეობაში მდინარე ფოლადაურის გასწვრივ, მაგრამ მდინარეს ასეთი სახელწოდება არ შეუნარჩუნებია. „იგი გამოდის ლელვარის მთიდან, მიემართება ჩრდილოეთისაკენ და რატევანს ქვემოთ ერთვის მაშავერს. ამ ხევს სამხრეთით ლელვარის მთა საზღვრავს, ხოლო დასავლეთით ლოქისა“.

როგორც ისტორია გვამცნობს, თბილისიდან სამხრეთით მიმავალი გზა რამდენიმე ყოფილ, მაგრამ მათ შორის სომხეთში მიმავალი საქარავნო გზა ყველაზე მეტად გამოირჩეოდა, რადგან იგი იყო უმოკლესი და გადიოდა ბოლნისის ხეობაზე, მდ. ფოლადაურის აყოლებით. ეს გზა იყო თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე, რასაც ბოლნისის სამრეკლოზე არსებული წარწერაც მოწმობს. იქ გარკვევითაა მოხსენებული, რომ „ბოლნელმა ეპისკოპოსმა 1678-1688 წლებში ააგო ქარვასლა და ღუქნები...“

...XVII—XVIII საუკუნეებში ბოლნისი რამდენიმე ყოფილა: „ზემო ბოლნისი“, „შუა ბოლნისი“, და „ქვემო ბოლნისი“.

...ამ ხეობაში ოდითვე ქართველები მოსახლეობდნენ, მაგრამ თემურლენგის დროიდან დაწვებული, მკვიდრი მოსახლეობის შემცირება და ნაწილობრივ, სომხების იმიგრაცია იწყება. როგორც ჩანს, XVIII ს. ნახევარში ეს ახალი მოსახლეობა იღუპება ლეკთა განუწყვეტელი თარეშისა და სპარსელთა და ოსმალოთა თავაშვებული მოქმედების შედეგად. 1741 წელს მემატთანე პაპუნა ორბელიანი გვაუწყებს: სპარსელებმა ქართლს ისეთი ხარკი დაადვეს, რომ „მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისი ხელით კაფიდის და ზოხრებდისო“.

ამ შფოთიან ეპოქაში ბოლნისის ტაძარი და მისი გალავანი ხშირად ციხის როლს ასრულებდა, ...იგივე მემატთანე 1755 წლის ამბების აღწერის დროს მოგვითხრობს, რომ ლეკებმა ააოხრეს საბარათიანო და ეს კუთხე. „დააკედეს კიბეები, მივიდნენ ბოლნისისა ციხესა

ზედა, მიაღვეს კიბენი და გარდვიდნენ ციხეში. ...შეუტყვეს. მაშინვე აცვივდნენ კოშკებში, გაამაგრეს ბურჯები და საყდრის თავში აიყვანეს დედაკაცი ანუ ყმაწვილი, რომელი იყვნენ ციხესა შინა. დაუშინეს თოფი, დახოცეს ლეკნი, რომ გადავანი სულ ლეკის სისხლით შეწებეს... ასე მამაცურად იყვნენ ბოლნელები, რომ დიად საქებელი არს“. ასეთი შემთხვევა მრავალი ყოფილა. რასაც მკვიდრი მოსახლეობა განადგურებამდე მიუყვანია. 1780 წლის ერთ-ერთ საბუთში პირდაპირ ნათქვამია, რომ ბოლნისის მოსახლეობა - მოხუცი და ჯველნი-სადღაც გახსნულა ბოლნისიდან. კვლავ ახალი იმიგრაცია ხდება ჯერ თურქული ტომებისა. შემდეგ მომეტებულად სომხებისა. რომლებიც ყარაბაღიდან უნდა იყვნენ გადმოხვეწილნი და ბოლოს ჯავახელი ქართველებისა.

ბოლნისის საფლავის ქვების წარწერები და ისტორიული საბუთები მოწმობენ, რომ აქ XIX ს. შუა წლებში მცირე რაოდენობით კიდევ ყოფილა შემორჩენილი ქართული მოსახლეობა და სიონის ტაძარიც მოქმედებდა, როგორც ქართული ეკლესია“.

მართალია, ბოლნისის ტაძარმა ჩვენამდე შედარებით კარგ მდგომარეობაში მიაღწია. მაგრამ ამ უძველესი ტაძრის საფუძვლიანი შესწავლისათვის საჭირო იყო მიწისაგან მისი გაწმენდა. ამ მიზნით, 1936 წელს, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, მოეწყო ექსპედიცია ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის კონსულტანტი იყო აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი. არქეოლოგიური სამუშაოს შესრულების შემდეგ 1936-1937 და 1939-1940 წლებში ნაგებობანი შეაკეთა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებამ.

„ბოლნისის სიონის გრანდიოზული ნაგებობა თავისი ტიპით წარმოადგენს სამწავიან ბაზილიკას (ბაზილიკა-უგუმბათო ნაგებობა, რომელიც, ჩვეულებრივ შედგება სამი ნავისაგან) ჩრდილოეთისა და სამხრეთის მთელ სიგრძეზე რთული ნაწილებით. ამთავან სამი ნავი მოთავსებულია ორფერდა სახურავის ქვეშ, ხოლო გვერდითი ნაწილების სახურავი ცალფერდაა.

... ცენტრალური განიერი ნავი (ნავი ნაგებობის ის ნაწილია, რომელიც მეორისაგან სვეტებითა გამოყოფილი და კამაროვანი გადახურვის მქონეა) გვერდითა ნავებს უერთდება ხუთი წყვილი სვეტით. ამ სვეტების გვერდით ტოლმეტავე ჯვარია და ოთხივე მიმართულებით გარდამავალ თაღს ესაჩვენებს.

მთავრი ნავი საკურთხეველის აფსიდით (ნახევარწრიული მოხაზულობის მქონე ნაწილით) მთავრდება და იმავე ფორმით გარეთ არის გამოშვებული. თვით აფსიდს (ნახევარწრიული კონქი (კონქი-აფსიდის კამაროვანი გადახურვა) და ნაღისებური თაღი ამთავრებს. ტაძრის კომპოზიციის მთავარ ღერძს სწორედ ეს აფსიდით დამთავრებული შუა ნავი წარმოადგენს. საკურთხეველს გვერდითი ოთახები არ გააჩნია და ვიწრო ნავები ყოველ კედლებით მთავრდება. (ჩრდილოეთის ნავის აღმოსავლეთის კედელში გვიან კარი გაუჭრიათ, რითაც გარე მიწაშენი შეუერთებიათ ეკლესიასთან), საკურთხეველი შედგება მხოლოდ და მხოლოდ ერთი აფსიდისაგან, ამას კი დიდი

მნიშვნელობა აქვს ბოლნისის სიონის ადგილის დასადგენად, არა მარტო ქართულ, არამედ მთელ მაშინდელ საქრისტიანოს არტიკულურაში.

...ეკლესიაში შესასვლელი მხოლოდ გრძივ კედლებში იყო მოწყობილი. დასავლეთი კედლის ღერძზე დღეს არსებული კარი კი XII საუკუნის შეკეთების დროს ეკუთვნის. ამიტომაც იატაკზე მდლდა და სულ სხვა ფორმები აქვს.

თავდაპირველი კარებიდან გვერდითი კარები წყვილ-წყვილად ერთმანეთის შიგავსია...

ჩრდილო შემოსასვლელის ზემოთ გრძელი ქვებია დადებული. ამით ზემოთ კი მოწყობილია მდლალი ნაღისებრი ფორმის ლუნეტები (ღია თაღები). სამხრეთის ვიწრო კარებიდან-ერთი გადის დახურულ სადგომში. მეორე კი-უშუალოდ კარიბჭეში.

...თავდაპირველი გადახურვა ძეგლს არ შემორჩენია.

ბოლნისის სიონის აგების თარიღის დასადგენად ერთხანს ეყარებოდნენ ქართლის მოქცევის მატთანეს, რომელიც მოგვიტობს: „მეფობდა ბაკურ ძე თრდატის და მთავარ-ეპისკოპოსი იყო ელია და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“. მაგრამ აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა ეჭვი შეიტანა მატთანეთა ცნობაში, მისი ვარაუდით, ასეთი ძეგლი V ს. დამდევს არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო.

„ტაძრის ხუროთმოძღვრული ნიშნების შედეგად მიღებულ დასკვნებს აზუსტებს უკანასკნელი გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერა.

ბოლნისის ტაძარზე შემონახულია სამი დიდი წარწერა. მეოთხე კი, რომლის უმნიშვნელო ფრაგმენტი იყო შემორჩენილი, დაკარგულად ითვლებოდა ნაგებობის მიწიდან გაწმენდამდე. სწორედ ეს წარწერა აღმოჩნდა შინაარსით ყველაზე საინტერესო და ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე.

ეს წარწერა მოთავსებული იყო ჩრდილო სტოიდან (სტოა - ეკლესიის ან სასახლის გვერდებზე მიდგმული კამაროვანი, სვეტებიანთალოვანი ნაგებობა) ტაძარში შესასვლელ აღმოსავლეთ კარის ბალკონზე. ქვის ზედა ნაწილში ე.წ. ბოლნური ჯვარია, ქვემოთ კი სწორკუთხა ჩარჩოში ოთხსტრიქონიანი რელიეფური მრგლოვანი წარწერაა“.

აღსანიშნავია, რომ ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის შესახებ დღემდე ბევრია დაწერილი. წარწერის ტექსტი პირველად აკ. შანიძემ წაიკითხა 1937 წელს: „(შეწვენითა წმიტისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხიქმნია დაწყებაჲ) ამის ეკლესიაჲსა და ათხოვთმეტ წლისა(ა შემდგომად განხეშორა ვი)ნ აქა შინა თაყვანისსცეს ღ-ნ შეიწყალენ და ვინა (მის ეკლესიაჲსა დ(ავი)თ ე)პისკოპოსსა ხოვლოცოს იგიცა ღ-ნ შეიწყალენ (ამც).“

ბოლნისის სიონის აშენების ამ წარწერის მიხედვით პეროზის მეფობის მეოცე წელს (4582), 478 წ. დაიწყო, ხოლო დამთავრდა მშენებლობის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ, ე.ი. 493 წელს“ ...ეს თვალსაზრისი იმთავითვე გაითარეს გ. ჩუბინაშვილმა, ლ. მუსხელიშვილმა, კ. კეკელიძემ, ივ. ჯავახიშვილმა.

ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებული ადგილე-

ბის სხვაგვარი წაკითხვა წარმოადგინეს სარგის კაკაბაძემ 1958 წ. საურმაგ კაკაბაძემ 1977 წ. და შეძღვე რ. პატარიძემ და ბ. მჭედლიშვილმა. მათ წარწერაში მოხსენებული პეროზი გააიგივეს სამშვილდის ერისთავთან, რის საფუძველზე ძველი IV საუკუნით დაათარიღეს.

აღნიშნულ ნაშრომში წარწერა შესწავლილია გრაფიკული მონაცემების საფუძველზე. ჩატარებული ანალიზით ტექსტი შედარებულია ადრეული ხანის ეპიგრაფიკულ და ლიტერატურულ ძეგლებთან, ისტორიულ წყაროებთან.

მიუხედავად არაერთი გამოკვლევისა, მეცნიერთა ინტერესი ამ წარწერის მიმართ არ წყდება, რადგან წარწერა დაზიანებულია და მას სხვადასხვაგვარად კითხულობენ.

თავად აკ. შანიძე 1975 წელს კვლავ აქვეყნებს ნაშრომს „ბოლნისის წარწერები“, მაგრამ რ. პატარიძე წერს: „1937 წლიდან მოკიდებული 1975 წლის ჩათვლით, დღემდე ბოლნისის წარწერის არამც თუ აღდგენა, ტექსტის გრამატიკულად გამართვაც ვერ მოხერხდა.“

ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის პირველი მეცნიერული აღწერილობა ლევან მუსხელიშვილს ეკუთვნის.

...ქართულმა ეპიგრაფიკამ სხვა ასე დასაზღვრული რელიეფური წარწერა არ იცის. ამ თვალსაზრისით, ტაძრის რელიეფური მთავარი სამშენებლო წარწერა უნიკალურია.

ბოლნისის სამშენებლო წარწერის ერთიანი სიგრძე დაახლოებით 3 მეტრია, სიგანე 21სმ. ხოლო ტექსტის დასაწყისი და დასასრული ნაწილების საერთო სიგრძე დაახლოებით 140 სმ-ია. ამ წყლისაგან ჩამორეცხილი ნაწილების შესწავლა უკვე 45 წელიწადია, რაც აგრძელდება.

... „ბოლნისის სამშენებლო წარწერა არა მხოლოდ შემოსაზღვრულია ყოველი მხრიდან, არამედ წარწერას აქვს როგორც დასაწყისი, აგრეთვე დასასრულის აღმნიშვნელი ფორმულა. ტექსტი იწყება ვედრების გამომხატველი ფორმულით:

„ო“ — ე. ი. უფალო და მთავრდება ქრისტიანული მრწამსის მარადისობის ფორმულით — ამინ.

... „ბოლნისის სამშენებლო წარწერა პეროზ უფალო-

უფალისა-თარიღიანი წარწერაა, ხოლო ბოლნისის ტაძარი აგებულია 342(3-356)7 წლებში.“

... „ქარაგმების გახსნით და ახალი ქართული ორთოგრაფიით, წარწერა ასე წაკითხება: უფალო. შეწვენითა წმიდისა სამებისათა, უფალოუფალისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა ჟამეულსა აღხეშენა. ჯუარსა ქრისტესსა ვინ აქა შინა თაყვანისცეს, ღმერთმან შეიწყალებ და ვინ ამა ეკლესიასა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღმერთმან შეიწყალებ. ამენ.

ტექსტის აღდგენაში, ჩემთან ერთად, მონაწილეობდა ბაადურ მჭედლიშვილი.

პეროზ უფალოუფალის სამშენებლო წარწერა შესრულებულია მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარის ქვეშ. ორივე ერთ ქვაშია გამოქანდაკებული და ორივე ერთი მთლიანობაა (ჯვარი ზემოდან წარწერას ზუსტად შუაში მოუდის). ცხადია, ჯვარი პეროზ უფალოუფალის სალოცავია, ხოლო წარწერა ჯვარის ქვეშ უფლისადმი პეროზის სავედრებელია.

... „ბოლნისის სამშენებლო წარწერის არასწორი ამოკითხვის შედეგად, ბოლნისის ტაძრის სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა შინაარსის წარწერები, ერთთავად ვკვლა ჯერ 439/4 წლით, ხოლო შემდეგ 502/3 წლით დათარიღდა.


... რაც შეეხება ქართული დამწერლობის ნიმუშებს, რომლებიც ბოლნისის ტაძარზე შემოგვინახა, ჩემის აზრით, ასე უნდა დათარიღდეს:

1. პეროზ უფალოუფალის წარწერა-357 წლით;
2. ვარდან ნახპეტის წარწერა-დაახლოებით 357 წლით;
3. ძნელაჲს — დაახლოებით 357 წლით.
4. ბოლნისის ნახპეტის წარწერა-დაახლოებით 350-იანი, 360-იანი წლებით;
5. ფარსმან ერისთავის წარწერა დაახლოებით 390-იანი წლებით“

ბოლნისის სიონის წარწერებზე კვლავ განაგრძობენ მეცნიერები მუშაობას. ეს ტაძარი ნიმუშია იმ შემოქმედებითი ნიჭისა, რომელიც ქართველ ერს უხსოვარი დროიდან მოსდგამს.

დღგრძელი იყოს მისი მოდგმა. ამინ!

ლალი ღვინოსიძე



ДЖВАРИ ВАЗИСА

(КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ)



Журнал открывается материалами, посвящёнными трагическим событиям 9-го апреля. Публикуются письма и отзывы как духовных лиц, так и писателей и общественных деятелей.

Как мы уже сообщали в предыдущем номере, в текущем году исполнилось 900-летие творческой деятельности великого грузинского царя, святого Давида Агмашенебели. В связи с этим в журнале напечатано несколько писем и статей, в которых отражаются его заслуги не только перед Грузией, но и — всем Кавказом.

В журнале помещено слово Католикоса—Патриарха Илии II...

Здесь же печатается завещание Давида Агмашенебели, устно высказанное им перед смертью монаху Арсению.

В статье «Святой царь», автором которой является профессор Б. Ломинадзе, обозревается история его причисления к лику святых в Грузии и говорится о тех заслугах и делах, которые так оценил грузинский народ.

Сохранилось до наших дней блестящее произведение Давида Агмашенебели «Песнопение—покаяние», которое является одним из наиболее лучших образцов поэтического жанра... В журналах даётся его обзор, автором которого является Л. Григолашвили.

Обзор жизни и творчества Давида Агмашенебели даётся в статье известного писателя и исследователя Т. Натрошвили «И стало восходить Солнце».

Среди тех великих рукотворных памятников, которые позволили народу наречь царя именем Агмашенебели, особенно блистательны Гелатский монастырь и академия.

В статьях «Гелати» (автор М. Картвелишвили) и «Из истории Гелатской академии» (автор А. Абдаладзе) читатель знакомится с историей строительства Гелати и деятельностью академии...

Среди всех войн, которые вёл Давид, особенно выделяется Дидгорское сражение, в котором 600 000-ную турец-

кую армию разгромили 40 000 грузинских воинов. Статья, Д. Сонгулашвили, описывает ту местность, где происходила битва.

Кем был легендарный Иоане Хуцеси? Этот вопрос давно волнует учёных. Существует множество предположений, одно из которых отождествляет его с Давидом Агмашенебели. Такую точку зрения разделяют многие европейские учёные. Этому вопросу касается статья германолога Н. Какабадзе.

Общеизвестна благотворительная деятельность Давида Агмашенебели. С его именем связано существование при многих церквях и монастырях «ксенона», т. е. больницы. Об этом идёт речь в письме профессора М. Шенгелиа. В статье Царь-философ и полководец профессор В. Абашмадзе знакомит читателя с государственной политикой Давида, а также его заботой об улучшении духовного и материального благосостояния страны.

В журнале печатаются стихи, посвященные великому царю.


В журнале напечатана статья К. Чолокашвили «Оружие времён Давида Агмашенебели».

В отделе «Богословие» журнал предлагает читателю теологическую работу известного царковного деятеля Гр. Перадзе.

Под рубрикой «Учения» публикуются письма: «О тайнстве Крещения» и «К посту» Иоанна Златоуста.

Грузинская церковь, как и весь наш народ, отозвалась на кончину проживавшего в Сирии грузинского патриота и мецената Л. Сагарадзе, чей прах по его же желанию был предан родной земле. Журнал печатает прощальное письмо о Л. Сагарадзе.

«Звонят колокола» — в этой рубрике читатель знакомится с историей Болнисского Сиони, который открылся недавно и где первое богослужение совершил Католикос—Патриарх всея Грузии Илия II.





D J V A Z I V A Z I S A [THE CROSS OF VINE]:

The journal opens with information concerning the tragic events which took place in Tbilisi on April 9. The letters, verses and ideas of clergy and laymen are printed here.

In the previous issue we have mentioned that 900 years had passed since the life and public activities of St. David the Builder. In this connection the journal publishes some articles representing his work and great merits not only to Georgia, but to those times Causasus as well.

The journal publishes the speech of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of ALL Georgia.

The last will of St. David the Builder, made at monk Arsen's Depart, is printed here.

The article written by professor B. Lominadze, acquaints us with the history of Georgian Saints as well as with some information concerning the great deeds and merits of St. king David the Builder, for which the Georgian nation carried the profound respect of its own son through the centuries.

The brilliant work „Singing of Regrets“, by David the Builder, is the treasure not only of georgian ecclesiastic poetry.... The journal represents a survey of this remarkable work, by L. Grigolashvili.

In the article „And the Sun Began to Light up“ the known investigator T. Natroshvili is considering the life and merits of David the Builder.

The georgian nation called king David „The Builder“ for his great deeds. among them shines Gelati Monastery and Academy, which became an illustrious centre of Christian thinking. The spiritual life of Gelati Academy was based on the harmonious synthesis of science, art and religion.

Among those brilliant battles, which David the Builder carried on against various enemy at different times, „Didgory War“ was especially distinguished. It was a wonderful victory. David the Builder with 40 000 forces inflicted an utter defeat on 600 000 strong army of Turks.. Therefore, this battle is called „Amazing Victory“.

The article „Where the amazing Victory Happen?“, by Dj. Songulashvili, represents the new point of view of this battle.

Who was John Khutsesi? This question excited the curiosity of scientists. There exists an opinion that John

Khutsesi [Confessor], is David the Builder. this standpoint enjoys the warm support of European scientists. The article with the same title, by noted germanist N. Kakabadze covers the question.

It is well-known, that David the Builder was the most cherable person. He generously helped defenceless, poor, disabled people out of difficulty.

The building of „Ksenoni“ or hospitals is connected with the name of David the Builder.

In the article „David the Builder—Fatherly Merciful to Sicks“, professor M. Shengelia writes about the Georgian kings immeasurable charities.

St. David the Builder founded the just state. in the article „King—philosopher and Commander—in—chief“, professor V. Abashmadze relates about David's concern for the State policy and for the improvement of material and spiritual welfare of the country.

The article „Weapons at that time of David the Builder“, by K. Cholokhashvili is printed in the journal.


Under the heading „Roetry“, the journal publishes some verses by the georgian poets, dedicated to the king David the Builder.


The theological section acquaints the reader with the work [continuation] of known ecclesiastic worker Gr. Pheradze „An example of True Citizenship“—explanation to 'Our Father'.

Under the heading „Teachings“ the articles: „About the Mystery of Christening“ and „For Fasting“, by John Chrysostomos are printed here.

The Georgian Church together with the georgian nation closely took to heart the decease of the georgian emigrant and great patriot L. Sagaradze. According to his will his dead body was committed to the earth in the native land. The journal publishes the parting letter to L. Sagaradze.

Under the heading 'Church Bells are Ringing' the reader will get acquainted with the history of Bolnisi Sioni.... Bolnisi Cathedral has been reopened after long silence. the first liturgy was conducted there by Catholicos — Patriarch ILIA II.





ისმპ 9 აპრილი და 19 აპრილი

ცხრა აპრილის სისხლიან იარას აჭარის ტრაგედიაც დაერთო. უნდა გავუძლოთ ამ გამოცდასაც... მრავალტანჯულ აჭარის მიწავ...ულამაზესო, წალკოტად ქმნილო... გვტკივა და გვზარავს შენი ტკივილი... რა ვუთხრათ ხალხს შენს მთაგორებზე საუკუნეთა მანძილზე შეფენილთ...წინაპართა ძვლებზე ამოზრდილთ... მამა-პაპის ადათის შემნახველთ... მძიმეა და ძნელი მშობლიური კუთხის მიტოვება, ახალი გზების, ახალი ცხოვრების დაწყება... მაგრამ მთელი საქართველოა თქვენთან... იგივე თქვენი სამშობლოა კახეთიც, ქართლიც, მესხეთიც, გურიაც, იმერეთიც...

მძიმე დღეებს განვიცდით დღეს... ორღესული ბარებითა და მოშამველელი გაზით მოგვიკლეს შვილები... მწარეა და მოუშუშებელი ამის შეგრძნება... მაგრამ ვიდრე ამ ქვეყნად ქართველი ერი არსებობს, თვით ასეთ მწუხარებაშიც იგი მუდამ იპოვის თავის სულში ღონეს და სიკეთეს განსაცდელში მყოფ მოძმეს რომ ხელი გაუწოდოს...

ჩვენ ერთნი ვართ და მუდამ ერთად ვივლით... გამაგრდით აჭარლებო!

ჩ ვ ე ნ თ ა ნ ა რ ს დ მ ე რ თ ი!

ახლანა აჭარაში ჩაბრუნდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II. იგი ეწვია სხალთასაც... მოიხილა სტიქიური უბედურების ადგილები... შეხვდა ხალხს. ამ ფაქტის ამსახველი მასალები დიბეჭდება ცალკე ნარკვევად.

შ ი ნ ა რ ს ი

ნეტარ იევნენ დევნილნი სიპართლისათვის

ა. კალანდაძე. ახლოა ვაში
ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. **მიხეილ გორბანოვს** . . . 6
ილია II სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. უფალი გვეხმარება . . . 7
 მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე). საქართველო გადარჩება . . . 7
 არქიმანდრიტი **სოკრატე** (ჭულუხიძე). იარონ ნათელში . . . 7
ლოცვა მიცვალებულთათვის . . . 8
ნეტარ იევნენ, რომელი გამოირჩე, უფალო . . . 10-17
დაინთქა სიკვდილი ძღვევითა
თ. კობალაძე. ამაღლება . . . 18
ხეებზე გაკრული ლექსებიდან . . . 23
ა. ბაქრაძე. ტრაგედია სულს წმენდს . . . 27
 კათალიკოს-პატრიარქი **ილია II**. დავით აღმაშენებელი . . . 30
 ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა; პანკრატონ-დავითიანისა . . . 32
ბ. ლომინაძე მეფე-წმიდან . . . 34
ლ. გრიგოლაშვილი. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ . . . 38
ლ. დეკანოზიძე. მეფეო დავით (ლექსი) . . . 44
თ. ნატროშვილი. და იწყო აღმოცისკრებად ბნელსა უკუნსა შუემან . . . 46
ხეებზე გაკრული ლექსებიდან
მ. ქართველიშვილი. გელათი . . . 52
ა. აბდალაძე. გელათის აკადემიის ისტორიიდან . . . 56
ჯ. დვინჯილიძე. დავით აღმაშენებელი . . . 59
ნ. ნათაძე. დრამად მწამს . . . 59
ი. ნონეშვილი. დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს (ლექსი) . . . 60
ჯ. სონღულაშვილი. სად მოხდა ძღვევა საკვირველი . . . 61
ნ. კაკაბაძე. ვინ იყო იოანე ხუცესი . . . 67
მ. შენგელია. დავით აღმაშენებელი სნეულთა „მამებრ მწეალობელი“ . . . 70
ვ. აბაშაძე. მეფე-ფილოსოფოსი და მხედართმთავარი . . . 73
კ. ჩოლოყაშვილი. დავით აღმაშენებლისდროინდელი საჭურველისათვის . . . 76
ღვთისმეტყველება
გრ. ფერაძე. შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა . . . 80
ქადაგებანი... სწავლანი
 ნათლობის საიდუმლოს შესახებ . . . 89
ი. ოქროპირი. მარხვისათვის . . . 91
გამოსათხოვარი
ლ. სადარაძე . . . 92
რეკენ სამრეკლოს ზარები
ლ. დეკანოზიძე. ბოლნისის სიონი . . . 94
 რეზიუმე რუსულ ენაზე . . . 97
 რეზიუმე ინგლისურ ენაზე . . . 98
 ისევ ცხრა აპრილი და ცხრაშეტი აპრილი . . . 99

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე (შიოშვილი)**
 შურნალის რედაქტორი **თინათინ კობალაძე**
საპროფსაჟო კოლეგია: **ზაზა ალექსიძე, ვახტანგ გურგენიძე,**
მღვდელი დავითი (შიოლაშვილი), ნოდარ მბრალიძე, ზურაბ კიკნაძე,
მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), შოთა ლომსაძე, გარიამ
ლორთქიფანიძე.

საქართველოს საპატრიარქო
 თბილისი. 1989 წ. სიონის ქ. №4. ტ. 72.04.53
 შეკვეთა №1052
 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა. თბილისი, 380060 კუტუზოვის ქუჩა №19

ДЖВАРИ ВАЗИСА (Лозовый крест) №2 1989
 Грузинская Патриархия
 Заказ №1052
 Типография АН Груз.ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова 19.

ქართული ანბანი

ა	ა	ა	a	1	ბ	ბ	ბ	b	200
ბ	ბ	ბ	b	2	გ	გ	გ	g	300
გ	გ	გ	g	3	დ	დ	d	4	400
დ	დ	დ	d	4	ე	ე	e	5	500
ე	ე	ე	e	5	ვ	ვ	v	6	600
ვ	ვ	ვ	v	6	ზ	ზ	z	7	700
ზ	ზ	ზ	z	7	ე	ე	ē	8	800
ე	ე	ე	ē	8	თ	თ	t	9	900
თ	თ	თ	t	9	ი	ი	i	10	1000
ი	ი	ი	i	10	კ	კ	k	20	2000
კ	კ	კ	k	20	ლ	ლ	l	30	3000
ლ	ლ	ლ	l	30	მ	მ	m	40	4000
მ	მ	მ	m	40	ნ	ნ	n	50	5000
ნ	ნ	ნ	n	50	ი	ი	j	60	6000
ი	ი	ი	j	60	ო	ო	o	70	7000
ო	ო	ო	o	70	პ	პ	p	80	8000
პ	პ	პ	p	80	ჟ	ჟ	ž	90	9000
ჟ	ჟ	ჟ	ž	90	რ	რ	r	100	10000
რ	რ	რ	r	100	ს	ს	s	200	
ს	ს	ს	s	200	ტ	ტ	t	300	
ტ	ტ	ტ	t	300	ყ	ყ	y		
ყ	ყ	ყ	y		ო	ო	u	400	
ო	ო	ო	u	400	ფ	ფ	p	500	
ფ	ფ	ფ	p	500	ქ	ქ	k	600	
ქ	ქ	ქ	k	600	ჩ	ჩ	č	700	
ჩ	ჩ	ჩ	č	700	ც	ც	c	800	
ც	ც	ც	c	800	ძ	ძ	ǰ	900	
ძ	ძ	ძ	ǰ	900	წ	წ	č	1000	
წ	წ	წ	č	1000	ჭ	ჭ	č	2000	
ჭ	ჭ	ჭ	č	2000	ხ	ხ	x	3000	
ხ	ხ	ხ	x	3000	ც	ც	č	4000	
ც	ც	ც	č	4000	ძ	ძ	ǰ	5000	
ძ	ძ	ძ	ǰ	5000	წ	წ	č	6000	
წ	წ	წ	č	6000	ჭ	ჭ	č	7000	
ჭ	ჭ	ჭ	č	7000	ხ	ხ	x	8000	
ხ	ხ	ხ	x	8000	ც	ც	č	9000	
ც	ც	ც	č	9000	ძ	ძ	ǰ	10000	
ძ	ძ	ძ	ǰ	10000					

